სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება
ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

ჯამბულ ანჩაბაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან (1918-1921)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

UDC (უაკ) 338.2(479.22)(09)+94(479.22)
ა – 726

ნაშრომში, სათანადო პირველწყაროებისა (ძირითადად საარქივო დოკუმენტების) და არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გაშუქებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო საკითხები. ნაჩვენებია ამ პოლიტიკის არსი, საგანგებო ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის საერთაშორისო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებზე და ა.შ.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის, მისი გამოყენება შეიძლება აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელოდ *„ისტორიის“* სპეციალობის სტუდენტებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ზურაბ პაპასქირი

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი დავით ჩიტაია
ისტორიის დოქტორი დაზმირ ჯოჯუა

© ჯ. ანჩაბაძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009
თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-797-7

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის საკვანძო საკითხებზე არა ერთი მეცნიერი მსჯელობს. ბოლო წლებში გამოქვეყნდა საინტერესო ნაშრომები, რომლებიც ძირითადად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგარეო ურთიერთობებისა და კულტურის სფეროებს მოიცავს. რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს, იგი ჯერაც არ გამხდარა საგანგებო მეცნიერული კვლევის საგანი. თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემა საერთოდ არ დარჩენილა მეცნიერ-ისტორიკოსთა ყურადღების მიღმა. არსებობს არაერთი განმაზოგადოებელ ნაშრომი, რომლებშიც ავტორები აღნიშნულ საკითხსაც განიხილავენ.

ამ მხრივ აღსანიშნავია ალ. ბენდიანიშვილის უაღრესად საინტერესო მონოგრაფია *„საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)“*.[1] ავტორი მდიდარ, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით სრულყოფილად წარმოაჩენს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, საკმაოდ ვრცლად აშუქებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავრობისეულ პროგრამას. ალ. ბენდიანიშვილი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხებს სათანადო ადგილს უთმობს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოშიც.[2]

ჩვენს საკვლევ თემას ეხება შ. ვადაჭკორია მონოგრაფიაში *„ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წწ.“*.[3] ნაშრომი მოიცავს სოციალ-დემოკრატების საქმიანობას ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ჩამოყალიბებისა და საერთაშორისო

---

[1] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბ., 2001.

[2] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს ისტორია (1801-1921 წწ.). თბ., 1999.

[3] **შ. ვადაჭკორია.** ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში. თბ., 2001.

არენაზე ქვეყნის ინტერესების დაცვის საქმეში. ავტორს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები ცალკე თავად აქვს გამოყოფილი და ამ საკითხს განიხილავს ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური საქმიანობის ფონზე. შ. ვადაჭკორიას მონოგრაფია უდავოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს, მაგრამ ნაშრომის სტრუქტურიდან გამომდინარე, იგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს სრულად ვერ წარმოაჩენს.

ფ. ლომაშვილს საქართველოს ისტორიის სკოლის სახელმძღვანელოში ცალკე პარაგრაფად აქვს გამოყოფილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა.[1] ავტორი ამ საკითხს განიხილავს იმ მოცულობითა და სიღრმით, რაც სასკოლო პროგრამას შეესაბამება.

საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას მეტ-ნაკლებად ეხება ა. სურგულაძე თავის ნაშრომებში: *„ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921 წწ.)“*;[2] *„ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში 1918-1921 წწ.“*;[3] *„სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში 1917-1921 წწ.“*[4] და *„ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა“*;[5] რომლებშიც ის ამიერკავკასიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გატარებულ რეფორმებს ცალსახად უარყოფითად აფასებს.

---

[1] ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია, სასკოლო სახელმძღვანელო. თბ., 1994.

[2] ა. სურგულაძე. ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1954.

[3] ა. სურგულაძე. ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1918-1921 წწ.). თბ., 1957.

[4] ა. სურგულაძე. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში 1917-1921 წწ. თბ., 1961.

[5] ა. სურგულაძე. ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. VI. თბ., 1972.

გვჯერა, რომ მეცნიერის პოზიცია ამ საკითხზე მისი მსოფლმხედველობიდან არ გამომდინარეობდა. ბოლშევიკური რეჟიმის მიერ იმ პერიოდში გაბატონებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური წნეხის პირობებში მას საკუთარი ჭეშმარიტი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა არ მიეცა. მოგვიანებით, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე ა. სურგულაძემ, ერთ-ერთმა პირველმა ქართველ ისტორიკოსებს შორის რეალურად წარმოაჩინა მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული გარდაქმნები.[1]

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მაშინდელი მინისტრის – კონსტანტინე კანდელაკის წიგნი *„საქართველოს ეროვნული მეურნეობა“*,[2] სადაც ავტორი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს. კ. კანდელაკი საქართველოს მთავრობაში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. ის უძღვებოდა ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროებს. ბუნებრივია, ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის საქმიანობას ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნების გარეშე დადებითად აფასებს.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. კანდელაკის წიგნიდან აშკარად ჩანს ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისადმი უარლესად პოზიტიური დამოკიდებულება, რომელიც განასხვავებს მას თანაპარტიელებისა და კოლეგებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ კ. კანდელაკის წიგნში შეინიშნება ისეთი ნიუანსები, რაც ევროპის სოციალ-დემოკრატიას არ ახასიათებს, მისი დამოკიდებულება დასავლეთის ფასეულობებისადმი აშკარად დადებითია. კ. კანდელაკის დასავლეთისადმი სიმპათია განაპირობა, ალბათ, მისმა ხანგრძლივმა ემიგრაციამ ევროპაში. მას ჰქონდა შესაძლებლობა წლების განმავლობაში თვალი მიედევნებინა იქ მიმდინარე სოცი-

---

[1] ა. სურგულაძე. საქართველოს ისტორია (1783-1990 წწ.), საკითხავი წიგნი, თბ., 1991.

[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II. პარიზი, 1960.

ალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისთვის, ორმოცი წლის გადასახედიდან (წიგნი გამოვიდა 1960 წელს) უფრო რეალურად შეეფასებინა ამ მხრივ საქართველოში განვითარებული მოვლენები.

საქართველოს ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოკლედ ჩამოაყალიბა ასევე მაშინდელმა მიწათმოქმედების მინისტრმა – ნოე ხომერიკმა წიგნში *„აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა“*.[1] იგი ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა, ცხადია, ისიც მთავრობის მიერ გატარებულ აგრარულ რეფორმას ცალსახად დადებითად აფასებს. მიუხედავად ამისა, მის მიერ გამოთქმული რიგი მოსაზრებანი ფრიად საგულისხმო და მისაღებია.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს განიხილავს ვახტანგ გურული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში და ობიექტურ შეფასებას აძლევს ამ მხრივ საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულ საქმიანობას.[2]

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად მიმდინარე პროცესების წარმოჩენას ისახავს მიზნად ა. სილაგაძისა და ვ. გურულის უაღრესად საინტერესო ნაშრომი *„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918 წწ.“*.[3] ლ. თოიძე თავის წიგნში *„ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც“*. საინტერესოდ გადმოგვცემს 1920 წლის შემოდგომაზე ევროპის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების საქართველოში ჩამოსვლას და მათ მოგზაურობას საქართველოს რეგიონებში.[4]

რაც შეეხება საბჭოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა პოზიციას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

---

1 **ნ. ხომერიკი.** აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. თბ., 1920.

2 **ვ. გურული.** საქართველოს ისტორია, XX საუკუნე. თბ., 2004.

3 **ა. სილაგაძე, ვ. გურული.** საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობი აღდგენა 1917-1918 წლებში, თბ., 1998.

4 **ლ. თოიძე.** ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.

ისტორიის მიმართ ცალსახად უარყოფითია. ეს არც არის გასაკვირი. ბოლშევიკური დიქტატურის პირობებში დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის რეალური სურათის წარმოჩენა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ამ ტრადიციას სათავე დაუდო ფილიპე მახარაძემ, რომელიც მენშევიკურ მთავრობას ვერ პატიობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

კ. ორაგველიძის ნაშრომი *„ქართველი მენშევიკების აგრარული რეფორმა“*[1] მთლიანად მმართველი პარტიის მიერ გატარებული აგრარული რეფორმის კრიტიკას მოიცავს. კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებულ აგრარულ რეფორმას ი. მირცხულავა თავის ნაშრომში *„ოქტომბრის რევოლუცია და აგრარული საკითხი საქართველოში 1917-1921 წწ.“*:[2] მას განსაკუთრებით აფრთხობს აგრარული რეფორმის გატარების შედეგად ქართულ სოფელში ბურჟუაზიული წესწყობილების დამკვიდრების პერსპექტივა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ კ. ჩარკვიანის ნაშრომი *„ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ“*.[3] ავტორი საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის მიზეზთაგან გვერდს უვლის საგარეო ფაქტორს. ეკონომიკურ ჩავარდნებს მხოლოდ ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელ ფაქტორად მიიჩნევს. იგი მმართველი პარტიის მიერ გაწეულ დადებით თუ უარყოფით საქმიანობას ანტიხალხურს უწოდებს. უაღრესად ფასეულია ზ. ავალიშვილის,[4] გრ. ლორთქიფანიძის[5] მემუარული ხასიათის

---

[1] **კ. ორაგველიძე.** ქართველი მენშევიკების აგრარული *„რეფორმა“*. თბ., 1935.

[2] **ი. მირცხულავა.** ოქტომბრის რევოლუცია და აგრარული საკითხი საქართველოში 1917-1921 წწ. წიგნი II. თბ., 1965.

[3] **კ. ჩარკვიანის.** ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1970.

[4] **ზ. ავალიშვილი.** საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში.

[5] **გრ. ლორთქიფანიძე.** ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.

წიგნები. ყურადღებას იმსახურებს გ. გაბრიჩიძის,[1] ვ. ადამიას,[2] გ. ფიფიას[3] ნაშრომები.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის საკითხები საკმაოდ ვრცლად არის განხილული რ. ცუხიშვილის,[4] მ. დღვილავას,[5] დ. ჯოჯუას[6] ნაშრომებში. საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხები განიხილება ნ. კირთაძის,[7] ი. ტაბაღუას,[8] გ. შარაძის[9] პუბლიკაციებში. საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული საქართველო-საფრანგეთის საქმიანი კავშირები ა. ჩოხელის მონოგრაფიაში.[10]

ამგვარად, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამიტომ ავირჩიეთ ეს პრობლემა ძირითად საკვლევ თემად. ამჯერად წინამდებარე ნაშრომი დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას მივუძღვენით. სათანადო ფაქტობრივ (ძირი-

---

[1] *Германские оккупанты в Грузии в 1918 г.* Сборник документов и материалов, составленный и подготовленный к печати ***М. М. Габричидзе.*** **Тб., 1942**

[2] **В. Адамия.** Из истории Английской интервенции в Грузии. Сухуми, 1961.

[3] **Г. В. Пипия.** Политика Германии в Закавказье в 1918 году. Сборник документов. Тб., 1971.

[4] **რ. ცუხიშვილი.** ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. თბ., 1995.

[5] **მ. დღვილავა.** საქართველო-გერმანიის ურთიერთობა 1918 წ. თბ., 1996.

[6] **დ. ჯოჯუა.** საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წწ. თბ., 1997.

[7] **ნ. კირთაძე.** ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო 1919-1923 წწ. თბ., 1997; **ნ. კირთაძე.** საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები. თბ., 1997.

[8] **ი. ტაბაღუა.** საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 1994; **ი. ტაბაღუა.** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წწ. თბ., 1996.

[9] **გ. შარაძე.** საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა. თბ., 2003.

[10] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии (1917-1921). Тб., 1980.

თადად საარქივო დოკუმენტებზე) მასალაზე დაყრდნობით და არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზის ფონზე ახლებურად გავაშუქეთ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

დეტალურად გავაანალიზეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური კრიზისის ძირითადი მიზეზები. განსაკუთრებით ხაზი გავუსვით რუსეთის ფაქტორს, რომელმაც უმეტესწილად განაპირობა საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ის უმძიმესი მემკვიდრეობა, რომელიც მიიღო ქვეყანამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, ვაჩვენეთ ბოლშევიკური რუსეთის ანტიქართული საქმიანობა, რომელმაც ძირი გამოუთხარა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. მოვიყვანეთ კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ადასტურებენ მენშევიკური მთავრობის უაღრესად სერიოზულ შეცდომებს. ეს იყო: თანმიმდევრული, გამოკვეთილი ეკონომიკური პროგრამის არქონა, მერყეობა ბურჟუაზიულ და ბოლშევიკურ ეკონომიკურ პოლიტიკას შეორის, ბედოვლათობა და სხვა.

საარქივო მასალებისა და ქართული პოლიტიკური სპექტრის ლიდერების გამოთქმული შეხედულებების ანალიზის საფუძველზე ახლებურად წარმოვაჩინეთ მრეწველობის განვითარების დინამიკა, მისი რეალური სურათი. დეტალურად გავაანალიზეთ სოფლად შექმნილი მდგომარეობა. დავაკონკრეტეთ ის მთავარი ფაქტორები, რომელთაც განაპირობეს აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობა. თვალი მივადევნეთ თვით რეფორმის გატარების მიმდინარეობის პროცესს და გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე.

სრულყოფილად გავაშუქეთ მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული აგრარული პოლიტიკის არსი და გავარკვიეთ მისი მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური პრობლემების გარდაჭრის თვალსაზრისით მოცემულ პერიოდში.

პირველად წარმოვაჩინეთ სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარებისა და საგარეო სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი დეტალები. სერიოზულად განვიხილეთ ქვეყნის ბიუჯეტი. ამ მხრივ მთავრობის მიერ გაწეულ ნაყოფიერ

საქმიანობასთან ერთად ხაზი გავუსვით სერიოზულ შეცდომებს რომელთაც გარკვეულწილად განაპირობეს სოლიდური დეფიციტის შექმნა. მხარი დავუჭირეთ ოპოზიციის მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს და მდგომარეობიდან გამოსასვლელად მათ მიერ წამოყენებულ რეკომენდაციებს, რომელიც კერძო ინიციატივის წახალისებას შეეხებოდა.

ახალი საინტერესო მასალები მოვიძიეთ საბანკო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. ახალ უაღრესად საინტერესო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, პირველად წარმოვაჩინეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობის მთელი რიგი საკითხები. კერძოდ:

საქართველოს მთავრობის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები ინგლისის საქმიან წრეებთან და საბანკო დაწესებულებებთან.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ ამ ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დასამყარებლად მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობა.

საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები ჩრდილოეთ ევროპასთან (ბელგია, ნორვეგია, ფინეთი, შვეცია) საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად.

თავი I. დემოკრატიული საქართველოს მთავრობის პირველი ღონისძიებები

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერიაში განვითარებულმა მოვლენებმა ქართველ ხალხს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა მისცა.

1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ ეროვნული საბჭოს სახელით საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.[1] ეროვნული საბჭოს პირველსავე სხდომაზე შეიქმნა რესპუბლიკის კოალიციური მთავრობა, მის შემადგენლობაში შევიდნენ ნოე რამიშვილი (მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი), გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი), აკაკი ჩხენკელი (საგარეო საქმეთა მინისტრი), გიორგი ჟურული (ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა მინისტრი), გიორგი ლასხიშვილი (მიწათმოქმედების მინისტრი), ივანე ლორთქიფანიძე (გზათა მინისტრი) და შალვა ალექსი-მესხიშვილი (იუსტიციის მინისტრი).[2]

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა ახალი წევრებით შევსებული ეროვნული საბჭო, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ეწოდა.[3] აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად მინისტრთა კაბინეტს გადაეცა, რომელსაც 1918 წლის 24 ივნისიდან სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანია.

საქართველოს პარლამენტმა დასავლეთის სახელმწიფოთა კონსტიტუციური ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად, თავის ხელში აიღო საკანონმდებლო ორგანოს ყველა ფუნქცია. კოალიციურ მთავრობაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ, მაგრამ სხვა პარტიისა და მიმდინარეობის წარმომადგენლები, კერძოდ, სოციალ-ფედერალისტები გ. ლასხიშვილი,

---

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921 წწ.* თბ., 1990, გვ. 3-5.

[2] ალ. ბენდიანშვილი. საქართველოს ისტორია, 1901-1921 წწ. თბ., 1999.

[3] დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად საქართველოს ეროვნული საბჭო შეიესო საქართველოში მცხოვრები რუსების, სომხების, აზერბაიჯანის და სხვა ეროვნების წარმომადგენლებით.

შ. ალექსი-მესხიშვილი, სოციალისტ-რევოლუციონერი ივ. ლორთქიფანიძე და ეროვნულ-დემოკრატი მ. ჟურული საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმად გამოცხადდა „დემოკრატიული რესპუბლიკა“,[1] გაუქმდა ყოველგვარი წოდებრიობა და მემკვიდრეობითი პრივილეგიები, პიროვნების საკუთრების ხელშეუხებლობა,[2] დაკანონდა სინდისის (რწმენის) თავისუფლება, ზეპირი და ბეჭდვითი სიტყვის, კრების და გაფიცვების უფლება, მამაკაცისა და ქალის თანასწორობა[3] და სხვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა.[4] ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

შემუშავდა სახელმწიფოს სიმბოლიკაც: ეროვნული საბჭოს 1918 წლის 10 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშად დამტკიცდა სამფეროვანი დროშა,[5] რომლის საბოლოო ვარიანტი შეიმუშავა ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ. იმავე წლის 20 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა რესპუბლიკის გერბი,[6] რომელიც ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით შეიმუშავა იოსებ შარლემანმა. 1918 წლის 26 ივნისს სახელმწიფო ჰიმნის სტატუსი მიიღო კოტე ფოცხვერაშვილის *„დიდებამ“*. ჰიმნის საბოლოო რედაქცია კომპოზიტორთა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა.[7]

მთავრობაც და პარლამენტიც სახელმწიფო მმართველობის დროებით ორგანოს წარმოადგენდა. მათი ერთ-ერთი მიზანი იყო დამფუძნებელი კრების არჩევნების მომზადება. მართალია, ეროვ-

---

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის...* გვ. 5-6.
[2] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის...* გვ. 5-6.
[3] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის...* გვ. 6.
[4] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის...* გვ. 83.
[5] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის...* გვ. 62.
[6] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის...* გვ. 67.
[7] ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია,სასკოლო სახელმძღვანელო, თბ., 1994, გვ. 7.

ნული საბჭო პარიტეტული პრინციპის საფუძველზე ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს საკანონმდებლო ორგანო არ იყო შექმნილი საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით და ცხადია, რომ ის ვერ ასახავდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ძალთა თანაფარდობას, ამიტომ ოპოზიციური პარტიები მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების არჩევნების მოკლე დროში ჩატარებას. ამის წინააღმდეგნი არც სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ისინი ამ არჩევნებში დიდ წარმატებას ელოდნენ.

1918 წლის 22 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას ითვალისწინებდა.[1] ჯერ კიდევ დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე ჩამოყალიბდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემა. არჩეულ იქნა სამაზრო ერობები, ცენტრალურ ორგანოებს (პარლამენტი, მთავრობა) გარდა ერობებისა და საქალაქო თვითმმართველობისა,[2] ადგილებზე სხვა ორგანოები არ გააჩნდათ. მათი ფუნქციები და პრეროგატივა საკმაოდ ფართო იყო. რაც მთავარია, ყველა ადგილობრივი საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის უფლება ჰქონდათ. ერობებისა და საქალაქო თვითმმართველობის დადგენილებების და განკარგულებების გაუქმება მხოლოდ სასამართლოს შეეძლო.

ადგილებზე ორხელისუფლებიანობის თავიდან აცილების მიზნით, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს მმართველობის ფუნქციები ჩამოერთვათ. მთავრობამ ქმედითი ღონისძიებები განახორციელა სასამართლოს ხელში მართლმსაჯულების ცენტრალიზაციისათვის. გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალები. სხვადასხვაგვარი საგამომძიებლო კომისიები. განხორციელდა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია, ჩატარდა სასამართლოს საგამოძიებო ნაწილის რეფორმაც. მიღებულ იქნა კანონი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ, დამტკიცდა „უზენაესი საკასაციო და საკანონმ-

---

[1] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს ისტორია.., გვ. 136.

[2] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს ისტორია.., გვ. 136.

დებლო დაწესებულების“ – სენატის დებულება. შეიქმნა განსაკუთრებული საკვალიფიკაციო განყოფილება, რომელიც რეგულარულად აქვეყნებდა „ოფიციალური კანონებისა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს“.[1]

მენშევიკური მთავრობა სახელმწიფოს მშენებლობისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არმიის შექმნას. ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში სოციალ-დემოკრატ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით ჩამოყალიბდა მენშევიკური პარტიის „გვარდია“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკების გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში. გვარდია შენარჩუნდა და გაძლიერდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც. 1918 წლის 2 ივლისს პარლამენტმა მიიღო კანონი შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ, რომლის თანახმად სახალხო გვარდია აღიარეს სახელმწიფო-სამხედრო ორგანიზაციად და მისი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტს დაეკისრა, საგრძნობლად შეიცვალა გვარდიის წყობა, სტრუქტურა. ქვეითი მსროლელ ბატალიონებთან ერთად ჩამოყალიბდა გვარდიის არტილერია, ცხენოსანთა დივიზიონი, ტყვიამფრქვევთა რაზმი, საინჟინრო ნაწილი.[2]

1919 წლის 20 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის შექმნის შესახებ. მუდმივი ჯარის შემადგენლობაში შეიქმნა სამი ქვეითი ბრიგადა, სანაპირო ჯარი, თბილისის გარნიზონის ათასეული, საავტომობილო, საავიაციო და რადიოტელეგრაფისტთა რაზმები. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს პარლამენტი აკონტროლებდა. უწყების მეთაურად უშუალოდ სამხედრო მინისტრი დაინიშნა.[3]

ქართული არმიის მშენებლობაში დიდი როლი შეასრულეს გენერლებმა: გიორგი კვინიტაძემ, გიორგი მაზნიაშვილმა და სხვებმა. მალე რეგულარული არმიის შემადგენლობა 40-50 ათას კაცამდე გაიზარდა. მენშევიკური მთავრობის სოციალ-ეკონომიკუ-

---

[1] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს ისტორია.., გვ. 112.

[2] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს ისტორია.., გვ. 113.

[3] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს ისტორია.., გვ. 115-116.

რი პოლიტიკა პირველ ეტაპზე ბურჟუაზიულდემოკრატიული გარდაქმნისაკენ იყო ორიენტირებული (პროგრამა მინიმუმი). სოციალიზმი მხოლოდ შორეული მომავლის პერსპექტივად გამოცხადდა (პროგრამა მაქსიმუმი). ამ პოლიტიკის შედეგები ძირითადად მრავალწყობიანი ეკონომიკის შექმნით გამოიხატა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობათა ძირითადი პრინციპი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა იყო. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ჩამოყალიბებისთანავე საქართველომ წამოაყენა წინადადება მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამ კონფერენციას სამ მეზობელ ქვეყანას შორის სადავო ტერიტორიული საკითხები უნდა გადაეწყვიტა. სომხეთის უარყოფითი პოზიციის გამო ეს კონფერენცია ჩაიშალა. სწორედ ეს ტერიტორიები იქცა საომხეთ-საქართველოს ომის მიზეზად. 1918 წლის 8 დეკემბერს სომხეთის ჯარები ომის გამოუცხადებლად ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში შეიჭრნენ. საქართველოს ჯარის ნაწილებმა მომხდურები უკუაქციეს.

ქართული დიპლომატიისა და რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარების დიდი გამარჯვება იყო ბათუმისა და მესხეთ-ჯავახეთის შენარჩუნება. 1918 წლის დასასრულს „მუდროსის ზავის“ თანახმად თურქეთმა მესხეთ-ჯავახეთიდან თავისი ჯარები გაიყვანა. ქართული ჯარის მიერ ამ ტერიტორიის დაკავების შემდეგ სერვერ-ბეგ ათაბაგის რაზმებიც განდევნეს ამ ძირძველი ქართული მიწებიდან. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა აჭარის მაჰმადიან ქართველთა დიდი მხარდაჭერით ბათუმი და მთელი აჭარა საბოლოოდ დედა-სამშობლოს ტერიტორიის ფარგლებში მოექცა.[1]

საქართველოს ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი იყო სრული სუვერენიტეტის მოპოვება და განმტკიცება. შექმნილ კონკრეტულ, ისტორიულ პირობებში ამ პრინციპის სრულად განხორციელება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ამიტომ საჭირო იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის სწორად განსაზღვრა.

---

[1] ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია... გვ. 176-38.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ სწორი არჩევანი გააკეთა – ორიენტაცია გერმანიაზე აიღო. გერმანი იყო პირველი დიდი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და მასთან მრავალმხრივი ურთიერთობის სურვილი გამოთქვა. მან აიძულა თურქეთი ხელი აეღო საქართველოსა და ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმებზე. გერმანიამ ასევე სხვა ქვეყნების მხრიდან საქართველოს დაცვა იკისრა. ახლადშექმნილ სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო გერმანიის შუამდგომლობით 1918 წლის 4 ივნისს თურქეთთან საზავო ხელშეკრულების გაფორმება. მართალია, ზავის პირობები მძიმე იყო, საქართველო იძულებული გახდა თურქეთისთვის დაეთმო არა მარტო „ბრესტის ზავით“ გათვალისწინებული ტერიტორიები (ბათუმი, ყარსი, არდაგანი), არამედ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების დიდი ნაწილი, მაგრამ თავიდან იქნა აცილებული აგრესიული მეზობლის მიერ საქართველოს სხვა ტერიტორიების ოკუპაციის საფრთხე[1].

ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენამ ძირეულად შეცვალა ქართული კულტურის განვითარების გზა. ბოლო მოეღო ეროვნული კულტურის რუსიფიკაციის ცდებს. მოხდა საქართველოს კულტურის „გაეროვნულება“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშობლიური ენის უფლებების აღდგენას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მთავრობამ დაიწყო სახალხო განათლების გარდაქმნაზე ზრუნვა. პირველსავე წელს 166 დაწყებითი სკოლა გაიხსნა. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონის საფუძველზე თბილისის საოსტატო (სამასწავლებლო) ინსტიტუტი და გორის, ხონისა და სოხუმის სემინარიები ქართულ სახელმწიფო სკოლებად გამოცხადდა. იქ ყველგან სწავლება ქართულ ენაზე წარიმართა. მთავრობამ შეიმუშავა საყოველთაო, უფასო და სავალდებულო განათლების სისტემის პროექტი. ამით საზოგადო სკოლების სისტემა ერთ ორგანულ მთლიანობაში მოექცა.

---

[1] ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია... გვ. 42.

1918 წლის 3 სექტემბერს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაიქმნა. მთავრობამ დაიწყო ზრუნვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შექმნისა და ქართული ლიტერატურის და ხელოვნების აღმავლობისათვის[1].

ამრიგად, მენშევიკური მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ენერგიულად იღწვოდა ეროვნული სახელმწიფოებრიოების ჩამოყალიბებისათვის უპირველესი გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად. სამწუხაროდ დაწყებულ სასიკეთო გარდაქმნებს შესაბამისი შედეგი არ მოჰყვა. საქართველომ ვერ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. ქართველი ხალხის წინაშე კვლავ დაისახა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების ამოცანა.

[1] ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია... გვ. 53.

თავი II. საქართველოს მრეწველობა 1918-1921 წლებში

პირველმა მსოფლიო ომმა ევროპის ქვეყნების ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა. ომმა შთანთქა მეომარი ქვეყნების დოვლათი. ომისა და ანარქიის წლებში რუსეთმა დაკარგა თავისი სახალხო სიმდიდრის ნახევარზე მეტი.[1]

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო, რომელიც ეკონომიკურად მთლიანად რუსეთზე იყო დამოკიდებული. სრულიად მოიშალა ეკონომიკა, დაცარიელდა ბაზინა, ბანკებიდან და შემნახველი სალაროებიდან დიდი რაოდენობით ფული პეტერბურგში იქნა გატანილი.[2] სამრეწველო საწარმოთა ფუნქციონირება შეუძლებელი გახდა. კატასტროფულად შემცირდა მანგანუმის წარმოება, სპილენძის ამოღება და დამუშავება, ქვანახშირის, ტყვიის, ოქროს, ბარიტის მოპოვება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ადგილობრივი ნედლეულის — ბამბის, მატყლის და აბრეშუმის გადამამუშავებელი საწარმოები. საგრძნობლად შეიცვალა ტყავის ნაწარმის, თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელების, კვების პროდუქტების გამოშვება, ბაქოდან ნავთობპროდუქტების შემოტანის შეწყვეტას ენერგეტიკული კრიზისი მოჰყვა, რის შედეგად ბევრი საწარმო დაიხურა. უმუშევართა რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. მთლიანად მოიშალა რკინიგზის ტრანსპორტი, რომელიც სახალხო მეურნეობის ნგრევის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა გახდა.

უაღრესად გაუარესდა მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. სამრეწველო საქონლის დეფიციტთან ერთად თავი იჩინა პირველადი მოხმარების საგნების ნაკლებობამ. ასეთ ვითარებაში ფეხი მოიკიდა სპეკულაციამ. 1918 წელს პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ფასი 1914 წელთან შე-

---

[1] ა. სურგულაძე. პირველი იმპერიალისტური ომი და თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია საქართველოში. — *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. VI. თბ., 1972, გვ. 353.

[2] *სცსსა*, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 70, ფურც. 10.

დარებით 1157,69 ჯერ გაიზარდა.[1] სრული ქაოსი სუფევდა სატრანსპორტო მეურნეობაში. სატრანსპორტო საშუალების ფუნქციონირება თითქმის შეუძლებელი გახდა ელექტროენერგიის დეფიციტის გამო. ამავე მიზეზით შეწყდა ქალაქის უმეტეს რაიონში წყლის მიწოდება. დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა სამედიცინო მომსახურება, ელემენტარული პირობების გამო ალექსანდროვის საავადმყოფო დაიხურა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის დაკნინებული ეკონომიკის აღდგენაზე დაიწყო ზრუნვა. ამ საკითხის მოგვარებას სერიოზული პრობლემები აფერხებდა, კერძოდ ფინანსური სიძნელეები, გარე სამყაროსთან კავშირის უქონლობა, რის შედეგადაც დაიკარგა სამრეწველო ნაწარმის, ნედლეულის და ტექნიკის შემომტანი უცხოური კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობანი. ხელისუფლების დავალებით ადგილობრივმა სამთავრობო სტრუქტურებმა წარმოადგინეს იმ საწარმოთა სია, რომლებიც ასე თუ ისე ახერხებდნენ ფუნქციონირებას. მაგალითად, თბილისში მუშაობდნენ ისეთი საწარმოები, როგორიც იყო ბოზარჯიანცისა და ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები, სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა, ქიმიური, ლითონდამმუშავებელი, საკონსერვო, ლუდის, შაქრის, სპირტის, პურის, ხე-ტყის სახერხი, ხის დამმუშავებელი, აგურის და კრამიტის ქარხნები, ბამბის საქსოვი ფაბრიკა და მრავალი სხვა.[2]

წვრილი საწარმოები ფუნქციონირებდნენ სხვა ქალაქებშიც. კერძოდ, ქუთაისში – წერეთლის ტყავის ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა, საკონსერვო ქარხნები, კირის ქარხანები, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები. გორში – საპნის ქარხანა, ხის დამამუშავებელი ქარხანა. სენაკში – აზიური ფეხსაცმლების სახელოსნო, ჭურჭლის საამქრო, ტყავის ქარხანა, სახერხი ქარხნები. ბორჯომში – შუშის საწარმო, კახეთში – რკინიგზის სახელოსნოები, ორთქმავლის დეპო, თამბაქოს ფაბრიკა, სამჭედ-

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 32-ე სხდომა (სტენოგრაფიული ანგარიში), 1918. 20 ოქტომბერი.

[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 155, ფურც. 22-23.

ლოები. ზემო იმერეთში – თიხის ქარხანა. ოზურგეთში – ტყავის და ლიმონათის ქარხნები, ძაფსახვევი ფაბრიკა და სხვა.[1] ანალოგიური საწარმოები ფუნქციონირებდნენ სხვა რაიონებშიც.

სამწუხაროდ, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი და საერთოდ საქართველოს საწარმოთა თითქმის 100% უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა მძიმე ეკონომიკურ კოლაფსში იყო ჩავარდნილი. თბილისის 4 ბამბის გადამამუშავებელი ფაბრიკიდან (აბრამ ზლოტოგორსკის, ძმები მახმუდბეკოვები, მთვარაძე) მხოლოდ ერთს ჰქონდა ასე თუ ისე მაღალი მაჩვენებელი. მაგ. მთვარაძის საწარმოს მიერ 1914 წელს გადამუშავებულ იქნა 2225 ფუთი ბამბა, რომლის ღირებულება 60 ათას მანეთს აღწევდა. 1919 წელს კი გადამუშავებულ იქნა 5949250 მანეთის ღირებულების 2075 ფუთი საქონელი.[2]

მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკებიდან შედარებით გამართულად მუშაობდა მხოლოდ ორი საწარმო, რომელიც წლიურად 5 ათას ფუთ საქონელს აწარმოებდა. ძაფი ძირითადად სოფლებში იგზავნებოდა. სადაც ჩვეულებრივ მაუდს (შალს) ამზადებდნენ.[3] აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკებიდან წარმატებით მუშაობდა მხოლოდ თბილისის სააბრეშუმო სადგურთან არსებული საქსოვი სახელოსნო, რომელმაც 1920 წელს 4000 არშინი აბრეშუმის ნაქსოვი აწარმოა.[4] უკიდურესად დაქვეითდა თამბაქოს წარმოება. ომის შემდეგ ფაქტიურად შეწყდა როგორც ნედლეულის, ისე ნახევარფაბრიკატების ექსპორტი. თბილისის ექვსი ფაბრიკიდან (ენფინჯიანცი, სეილანოვები, *„ბოზარჯიანცი“*, *„მირ“*, *„კომეტა“*, *„საფაროვები“*) ომამდე აწარმოებდნენ 35 ათას ფუთ დაჭრილ თამბაქოს და 2 მილიარდ ცალ პაპიროსს. 1919 წელს გადამუშავებულ იქნა მხოლოდ 3500 ფუთი (10%) დაჭრილი თამბაქო და 27,500 ათასი პაპიროსი (1,4%).[5]

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 155, ფურც. 22-23.
[2] ქ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 94-95.
[3] ქ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 95.
[4] ქ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 95.
[5] ქ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 95.

თბილისის სპილენძის ჩამოსასხმელი ქარხანა ადრე წლიურად 25 ათას სპილენძს აწარმოებდა. ასევე წარმატებით მუშაობდნენ არსენალი, რკინიგზის სახელოსნოები, ხოშტარიას ფირმა, ძმები ვახნინსკების საწარმო და სხვა. ყველა ეს საწარმო უმთავრესად რუსეთიდან იღებდა ნედლეულს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეს წყარო მოისპო და საწარმოების მაჩვენებლები კატასტროფულად დაეცა.[1]

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სპილენძის მადნის საბადოების ექსპლუატაციის შესაძლებლობის შემთხვევაში ჩვენში სპილენძის წარმოება თვალსაჩინო ადგილს დაიკავებდა. ალავერდ-შამბულლის (ბორჩალო) და კვარცხან-ძანძულის (ართვინი, ბათუმის ოლქი) წლიურად იძლეოდნენ 440 ათასამდე ფუთ სპილენძს (1913წ.) რაც მაშინ მთელი რუსეთის იმპერიაში სპილენძის წარმოების თითქმის მეხუთედს წარმოადგენდა.[2] რაც შეეხება ალავერდს, ცნობილი მოვლენების გამო საქართველოს ხელისუფლებას მასზე ყოველთვის ხელი ვერ მიუწვდებოდა.[3] საქართველოში ყველაზე მსხვილ საწარმოდ ამიერკავკასიის სახელოსნო ითვლებოდა. კრიზისი მასაც შეეხო. 1919 წლის პირველი ნახევრისთვის გამოშვებულ იქნა 26 ორთქლმავალი, მაშინ, როდესაც 1916 წლის პირველი ნახევრისათვის მაჩვენებელი 60-ს აღემატებოდა.[4]

მეტნაკლები წარმატებით ფუნქციონირებდნენ არყისა და სპირტის ქარხნები მათი რიცხვი 150 აღწევდა. წარმატებით მუშაობდა კონიაკის სამი ცნობილი ფირმა: „სარაჯიშვილი", „არგო", „სესიაშვილი" – თბილისში. ერთი ქუთაისში (ყოფილი ანანოვის), ორი – ბორჩალოში, ერთი – კარდანახში. მეტნაკლებ წარმატებას აღწევდნენ საპნის ქარხნები: „ტოლლე", „ჟირომასი" და „ხოშტარია".[5] დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამ-

---

[1] ჯ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 94.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 147, ფურც. 19.
[3] ჯ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 94.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 155, ფურც. 22-23.
[5] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 155, ფურც. 23; ჯ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 95.

უშავდა ასანთის პატარა საწარმოები. მათ შორის „ასანთი“ ბოლო დრომდე მუშაობდა, დღეში 10-15 ათას კოლოფს უშვებდა.[1]

საქართველოში ფუნქციონირებდნენ სამრეწველო და სავაჭრო ფირმები, რომლებიც სააქციონერო საზოგადოებებს ეკუთვნოდათ. აქციონერთა ფირმები უფრო მეტ წარმატებას აღწევდნენ.[2]

1920 წლის დასაწყისისთვის ქვეყანაში 70 სააქციონერო საზოგადოება არსებობდა: სავაჭრო-სამრეწველო – 48, სავაჭრო – 6, დამზღვევი – 8, სატრანსპორტო – 5, დამზღვევი-სატრანსპრტო – 3. აქედან: 32 იყო ადგილობრივი – 189700000 მანეთის თანხით. 31 არაქართული (ძირითადად რუსეთის ფირმების ფილიალები), მათი თანხა უცნობია. 7 ევროპის ქვეყნებიდან – 11118065 მანეთის თანხით.[3] დამოუკიდებლობის პერიოდში ჩვენში დაარსდა 15 სააქციო საზოგადოება – 71600000 მანეთის თანხით.[4] სამწუხაროდ, ამ საზოგადოებებს რაიმე ღირებული წვლილი არ შეუტანიათ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში.

ოფიციალური ცნობებით 1920 წლისთვის საქართველოში სამრეწველო და სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი 18 ათასს აღწევდა[5] (მათ რიცხვში არ შედის მომხმარებლი საზოგადოებანი და საკრედიტო კოოპერატივები). როგორც წინათ, დამოუკიდებლობის პერიოდშიც თბილისი იყო მრეწველობის უმთავრესი ცენტრი 1919 წლისთვის აქ საქმიანობდა 38553 მუშა-მოსამსახურე (არის სხვა ციფრიც – 39573) აქედან: 137 ქარხანაში მუშაობდა 5202 მუშა-მოსამსახურე, 1099 სახელოსნოში – 1698, 2302 სავჭროში – 5037. 117 საზოგადოებრივ დაწესებულებაში – 2229, სატრანსპორტო ქსელში – 14247, ჯანდაცვის სისტემაში – 1537 მუშა-მოსამსახურე.[6]

ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენში საწარმოთა რიცხვი თვალსაჩინო იყო, მაგრამ მათი წარმადობის დონე უაღრესად

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 96.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 97.
[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 97.
[4] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 97.
[5] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 98.
[6] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 98.

დაბალი. მაშინ ოფიციალური სტატისტიკა ყველას აქცევდა საწარმოთა რიცხვში, ვინც სამრეწველო პატენტს იღებდა და გადასახადს იხდიდა, თუნდაც იქ ერთ დაქირავებულ მუშას არ ემუშავა. ამიტომ იყო გაბერილი საწარმოთა რიცხვი. არადა ჩვენში დიდი საწარმო ძალიან ცოტა იყო. მათი უმრავლესობა არარენტაბელურად მუშაობდა. ამიტომაც მრეწველობამ ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკაში თვალსაჩინო ადგილის დაკავება.

მრეწველობაში კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად მთავრობა მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებდა. კერძოდ, მთავრობის დავალებით თბილისის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ე.წ. „სალიკვიდაციო კომისისია“, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იკვლევდა წარმოების შეჩერება-შემცირებისა და მუშების დათხოვნის მიზეზებს. შემუშავებული დებულების თანახმად მრეწველებსა და სხვა დამქირავებლებს აეკრძალათ მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემცირება „სალიკვიდაციო კომისისიის“ ნებართვის გარეშე. ასეთი კომისიები შეიქმნა საქართველოს შედარებით მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. შედარებით ნაყოფიერად მუშაობდა თბილისის კომისია, რომელმაც 1919 წლის განმავლობაში 210 კაცი გადაარჩინა შემცირებას.[1]

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მრეწველობის განვითარების საკუთარი პროგრამა წარმოადგინა, რომელიც ითვალისწინებდა მრეწველობის მთელი რიგი დარგების სამთამადნო, საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის განვითარებას, სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტის მუშაობის სრულყოფას. მთელი რიგი დარგების მუშაობის გაუმჯობესებას მათი ნედლეულით მომარაგებას, საერთოდ მრეწველობის მდგომარეობის ზედმიწევნით შესწავლას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ტარიფების შემოღებას, შრომის კანონმდებლობის მომზადებას, შრომის პირობების დაცვას, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას ტექნიკური და კომერციული სწავლების შემოღებას და ა.შ.[2]

---

[1] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბ., 1999, გვ. 182.

[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 147, გვ. 96.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მრეწველობის განყოფილების ანგარიშში, რომელიც მოიცავდა პერიოდს 1918 წლის 26 მაისიდან 26 ნოემბრამდე დაფიქსირებულია მრეწველობაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და ამის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული სათბობის დეფიციტი.

თურქეთთან ომის დაწყების შემდეგ ამიერკავკასიის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრი – ბათუმი ფრონტისპირა ზონაში აღმოჩნდა და აქ არსებულმა ნავთობის გადამამუშავებელმა ქარხანამ და სხვა საწარმოებმა მუშაობა შეწყვიტეს. ხოლო ბოლშევიკების მიერ 1918 წელს ბაქოს დაკავების შემდეგ შეუძლებელი გახდა იქიდან ნავთობპროდუქტების გადმოქაჩვა. ამიტომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ძალისხმევით გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები ქვეყანაში არსებული ნავთობის რაციონალურად გამოყენებისათვის, კერძოდ, გადაწყდა, რომ ნავთობპროდუქტები მიეწოდებინათ მხოლოდ წყალმომარაგებისა და ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ფოთის და სამტრედიის განათებისთვის და იმ სამრეწველო საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებდნენ შიდაწვის ძრავებს.

მთავრობის მიერ შექმნილმა საგანგებო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, მრეწველობის განყოფილების, თბილისის საქალაქო თვითმმართველობის ფაბრიკა-ქარხნების საზოგადოების წარმომადგენლები შეამოწმა თბილისში მომუშავე ელექტროსადგურების (მცირე) მუშაობის რეჟიმი და განსაზღვრა თითოეული მათგანისათვის საწვავის სადღეღამისო ნორმა და დააწესა მკაცრი კონტროლი მის შესრულებაზე. 1918 წლის ოქტომბრიდან ბაქოსთან მიმოსვლა აღდგა, მაგრამ ნავთობის მიწოდება არ განახლებულა. ყველა ფუნქციონირებადი ფაბრიკა-ქარხნის შეუფერხებელი მუშაობა კითხვის ქვეშ დადგა. სამინისტრომ მდგომარეობიდან გამოსვლა მოახერხა, კერძოდ, კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიული საზოგადოების ალავერდის ქარხნის ხელმძღვანელობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება 12000 ფუთი ნავთობპროდუქტების მიღების თა-

ობაზე.[1] ოქტომბრის ბოლოს უკვე ბაქოდანაც მიღებულ იქნა დაახლოებით 35000 ფუთი ნავთობპროდუქტი.[2]

ნავთობპროდუქტების სპეკულირებასთან ბრძოლის მიზნით გამკაცრდა კონტროლი ნავთობის განაწილებისა და მისი რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით. ამ მიზნით შეიქმნა საგანგებო ბიურო ვაჭრობის მრეწველობის, გზათა სამინისტროების და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საგანგებო ღონისძიებების გატარების შედეგად მთავრობამ შეძლო მიეღწია ნავთობპროდუქტების რაციონალური ხარჯვისათვის. ქვეყანაში არსებული ქაოსის აღკვეთით სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, კადრების შერჩევის, აღრიცხვის და კონტროლის საქმის მოწესრიგების თვალსაზრისით 1918 წლის ოქტომბერში პარლამენტან შეიქმნა სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტი – თავმჯდომარედ დაინიშნა გამოჩენილი ეკონომისტი ფილიპე გოგიჩაიშვილი.[3] ამ უწყებამ თავიდანვე დაუწყო აქტიური მუშაობა და გაამაავლინა სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, საწარმოებში მოკალათებულ მოხელეთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაკისრებული მოვალეობისადმი ანტისახელმწიფოებრივი მიდგომა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება.[4]

გერმანიის საქართველოდან წასვლის შემდეგ, ხელისუფლება ეძებდა გზებსა და საშუალებებს სამთომადნო მრეწველობის ორგანიზაციული სრულყოფისათვის. 1918 წლის 14 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო სამთო საქმის კანონპროექტი. ამ კანონპროექტით შეიქმნა სამთო სამმართველო და გაუქმდა რუსული მმართველობის დროს არსებული კავკასიის სამთო სამმართველო, რომელიც მხოლოდ პეტერბურგის დირექტივებით მოქმედებდა.[5] პარლამენტის დადგენილებაში განსაზღვრული იყო ამ სტრუქტუ-

---

[1] *სცსსა*, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 189, ფურც. 133.
[2] *სცსსა*, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 189, ფურც. 133.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 75, ფურც. 95.
[4] *სცსსა*, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 3, ფურც. 6-9.
[5] *საქართველოს პარლამენტი*, სტენოგრაფიული ანგარიში, მე-19 სხდომა, 1918, 14.XI.

რის სამოქმედო გეგმა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა: სამთამადნო მრეწველობასთან დაკავშირებულ კანონპროექტის შემუშავებას, საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეების რუქის შედგენას, გეოლოგიური საძიებრო სამუშაოების ორგანიზებას, ნავთობის საკითხის მაკოორდინებელი სამსახურის შექმნას და სხვა.[1]

მთავრობამ ჭიათურის მანგანუმის მოპოვება-დამუშავების საკითხის საკუთარი ძალებით მოწესრიგებას მოკიდა ხელი. ჭიათურაში მარგანეცის წარმოება 1979 წელს დაიწყო. პირველ ხანებში აქ შრომის პირობები უმძიმესი იყო. განსაკუთრებით ჭირდა მარგანეცის ტრანსპორტირება. რუსეთის მთავრობა ამ მდიდარ საბადოს სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ აქ ვერ ააწყო მუშაობა. მოპოვებული მადანი ვერ გაჰქონდათ ფოთის ნავსადგურამდე ტრანსპორტის უქონლობის გამო. ათეულობით ხარ-კამეჩი იჩეხებოდა ხეობებში და პატრონიანად იღუპებოდა. სრული ანარქია იყო გამეფებული მადნის მოპოვების წესების დაცვის თვალსაზრისით. იმჟამად საბადოს ტერიტორია 10 სოფელს მოიცავდა ამ სივრცეზე თავიდანვე ყველგან ქაოსურად დაიწყეს მარგანეცის ამოღება (ჩიჩქნა). ამოღებული მადნის 70% ადგილზე რჩებოდა, უტრანსპორტობისა და უგზოობის გამო ნედლეული ფოთამდე ვერ აღწევდა.[2] უცხოელი ვაჭრები ჭიათურაში არ ჩამოდიოდნენ. ფოთიდან აგზავნიდნენ თავიანთ აგენტებს, და მათი შუამავლობით ნავსადგურამდე ჩამოტანილი ნედლეულის საფასურს ადგილზე იხდიდნენ და გაჰქონდათ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. საბადოს მეპატრონეებიც ცდილობდნენ თავიანთი საკუთრებისთვის თვითონ მოევლოთ, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ამ პერიოდის თავისებურება ის იყო, რომ ჭიათურაში უცხოური კაპიტალი ჯერ კიდევ არ იყო შემოსული.

---

[1] *საქართველოს პარლამენტი*, სტენოგრაფიული ანგარიში, მე-19 სხდომა, 1918, 14.XI.

[2] გაზ. *„საქართველო“*. 1920, 25 იანვარი.

აქტიურად საქმიანობდა შუამავალთა (პოდრაშიკთა) ჯგუფი, რომელიც ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის რაც შეიძლება იაფად გამოეგლიჯა ძვირფასი ნედლეული და უცხოელებისთვის ჩაებარებინა ფოთში.[1] ადგილობრივ მეწარმეთა მნიშვნელოვან ნაწილს უსახსრობის გამო შუამავალთა კონკურენციის დაძლევა უჭირდა და კოტრდებოდა. მეორე ნაწილმა მცირე სახსრებით, მაგრამ ქართული კაპიტალით ააწყო მუშაობა. მისი ძალისხმევით 1894 წელს გაყვანილ იქნა ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის ვიწრო ლიანდაგი.[2]

ადგილობრივმა მრეწველებმა მოახერხეს წარმოების გაფართოებისა და ტექნიკური აღჭურვილობისათვის მნიშვნელოვანი მუშაობის ჩატარება. 1918 წლის 27 სექტემბერს მათი უიმრავლესობა გაერთიანდა ერთ სააქციო საზოგადოებაში.[3] მრეწველთა საზოგადოების ძირითადი თანხა 30 მილიონ ოქროს მანეთს შეადგენდა. მასში გაერთიანებული იყო 165 დიდი თუ პატარა წარმოება[4] ჭიათურაში სულ 22 ფირმა ფუნქციონირებდა და აქედან ქართველების კუთვნილებაში იყო 6 ფირმა, მათ შორის იყო ახლად დაარსებული მანგანუმის მრეწველთა საზოგადოება,[5] რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ფირმას აერთიანბდა, გერმანელებს 2 ფირმა ეკუთვნოდათ.

ინგლისელებს – 2, ბელგიელებს – 1, ბერძნებს – 10.[6] ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საზოგადოება, რომელიც მხოლოდ ქართველ მრეწველებს აერთიანებდა, ქართული მანგანუმის მრეწველობის უმსხვილესი ფირმა გახდა.

მრეწველთა საზოგადოების შექმნის შემდეგ მანგანუმის წარმოებაში საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა. თუმცა წინა

---

[1] გაზ. *„საქართველო“*. 1920, 20 იანვარი.
[2] გაზ. *„საქართველო“*. 1920, 25 იანვარი
[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 89; გაზ. *„საქართველო“*. 1918, 25 იანვარი.
[4] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 89; გაზ. *„საქართველო“*. 1918, 25 იანვარი.
[5] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 89.
[6] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 89.

წლებში ამოღებული სოლიდური რაოდენობის მანგანუმის უცხოეთში გატანის საკითხი ისევ პრობლემად რჩებოდა. 1919 წლის 2 აგვისტოს კანონით მანგანუმის ექსპორტზე მონოპოლია გამოცხადდა. ექსპორტის უფლება მიენიჭა ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოება „ჩემოს“ 20 წლის ვადით.[1] მონოპოლიას უპირველეს ყოვლისა ფისკალური დანიშნულება ჰქონდა. მარგანეცის ექსპორტზე საერთო კონტროლის დაწესება ორგანიზებულ სახეს აძლევდა. სახელმწიფო „ჩემოს“ საქმიანობაში არ ერეოდა. თუმცა ის თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას. მას იქ თავისი წარმომადგენელი ჰყავდა. მთავრობას უფლება ჰქონდა შეემოწმებინა საზოგადოების საკასო ანგარიშები. „ჩემო“ სახელმწიფოს უხდიდა საექსპორტო მოგების 35% გარდა ამისა უცხოეთში გასატანი მანგანუმის საბაჟო გატარებისთვის სახელმწიფოს ყოველ ტონაზე ურიცხავდა 2 შილინგს დაბალი ხარისხის ნედლეულში, ხოლო მაღალი ხარისხის ნედლეულში – 4 შილინგს.[2]

მთავრობის მიერ მანგანუმის ექსპორტის მონოპოლიის დაწესებამ დადებითი შედეგი გამოიღო: 1919 წელს გატანილ იქნა 2600000 ფუთი მანგანუმი, ხოლო 1920 წელს 11200000 ფუთი.[3] მართალია მანგანუმის წარმოებამ და ექსპორტმა ამ პერიოდში 1913 წლის დონეს ვერ მიაღწია, მაგრამ წარმატებები თვალში საცემი იყო. დონიდან ქვანახშირის, ბაქოდან ნავთობის შემოტანის შეწყვეტის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ადგილობრივი ქვანახშირის ათვისების საკითხი. ტყიბულის ქვანახშირის ექსპლუატაცია ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ის არასდროს ყოფილა, როგორც ექსპორტის, ისე ადგილზე მოხმარების საგანი. ჩვენი მრეწველობა და რკინიგზა ბაქოს ნავთობით სარგებლობდა. მოსახლეობა სათბობ მასალად ძირითადად შეშას იყენებდა. შავი ზღვის ფლოტს ქვანახშირზე დიდი მოთხოვნილება ჰქონდა, მაგრამ ტყიბულის ქვანახშირით სარგებლობას მთავრობა უკრძალავდა. ის დონეცკის ქვანახშირის

---

[1] გაზ. *„საქართველო“*. 1920, 19 თებერვალი.

[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 90-91.

[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 92.

მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. შავი ზღვის ფლოტი მხოლოდ ამ ქვანახშირით სარგებლობდა.

ომისა და რევოლუციის წლებში ტყიბულის ქვანახშირის წარმოების დონე საგრძნობლად დაეცა. 1919 წელს ამოღებულ იქნა 2400000 ფუთი ქვანახშირი, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 1913 წელს 4200000 აღწევდა. ტყიბულის ქვანახშირის ათვისების საქმეს საზოგადოება „ნახშირი" წარმართავდა. მის საქმიანობაში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო ხელისუფლებამ ამ საბადოს გამოსყიდვა განიზრახა. საბადოს გამოსყიდვის შესახებ დეკრეტი 1920 წლის 13 თებერვალს დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ (მომხსენებელი გზათა მინისტრი გ. თევზაია).[1]

მემარცხენე ოპოზიცია, კერძოდ, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მხარს უჭერდა ტყიბულის საბადოს ნაციონალიზაციას, მაგრამ მისი გამოსყიდვის სასტიკი წინააღმდეგი იყო. პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას სოციალისტ-რევოლუციონერმა ილია ნუცუბიძემ აღნიშნა, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე რუსეთის მთავრობამ სააქციო საზოგადოება ნახშირს საბადოები ჩამოართვა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ტყიბულის ქვანახშირი ავტომატურად გადავიდა სახელმწიფოს ხელში. მან დასვა ასეთი შეკითხვა რა მოსაზრებით აღადგინეს „ნახშირის" უფლება ტყიბულის მაღაროებსა და მათთან დაკავშირებულ სხვა საწარმოებზე, რატომ უნდა მიეცეს ამ საზოგადოებას გამოსასყიდი თანხა? ესერთა ფრაქცია პრინციპულად ამის წინააღმდეგია, მით უმეტეს, როცა სახელმწიფო ხაზინა ცარიელია, განა დასაშვებია, რომ ხალხის ქონებიდან მილიონები გავიღოთ ორიოდე კაპიტალისტის სასარგებლოდ. პირდაპირ ვიტყვი, — განაცხადა ილია ნუცუბიძემ. — ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია გამართლებულია.[2] სინამდვილეში აქ საქმე სხვაგვარად იყო 1917 წელს დროებითმა მთავ-

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 8-ე სხდომა 13/II/1920. გვ. 22-23.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 88-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1920.

რობამ ძალულებითი რეკვიზიციით ესმაღაროები ჩაიბარა შემდეგ, როდესაც გამოქვეყნდა მიწათმფლობელობის კანონი მაღაროების ტერიტორია სახელმწიფო საკუთრება გახდა. მაგრამ შენობა-ნაგებობები, ტექნიკური მოწყობილობა და სხვა სამთამადნო ინვენტარი საზოგადოება „ნახშირის“ საკუთრება გახდა. აქ ლაპარაკი იყო ამათ შესყიდვაზე, რომელიც სინამდვილეში ეკუთვნოდა „ნახშირს“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი იყო არა წარმოების შესყიდვაზე არამედ ცალკეულ უძრავ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნოდა საზოგადოებას რისთვისაც მას უნდა მიეღო განსაზღვრული კომპენსაცია.

გ. თევზაიამ მიუღებლად მიიჩნია ოპოზიციის წინადადება და დეპუტატებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ წარმოდგენილი დეკრეტისათვის. გ. თევზაია აუცილებლად მიიჩნევდა „ნახშირი“-სთვის საკომპენსაციო თანხის გადახდას რათა სამართლებრივად დაუფლებოდა სახელმწიფო საწარმოს, რომ შემდეგ მის რენტალობაზე ეფიქრა.[1]

პარლამენტმა მიიღო წარმოდგენილი პროექტი, რომელის ტყიბულის მაღაროების გამოსყიდვის გზით ნაციონალიზაციას ითვალისწინებდა.[2] პარლამენტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ქვანახშირის ამოღების მთავრობისეული გეგმა კი წარმატებით ხორციელდებოდა. ტყიბულის ქვანახშირი თითქმის აკმაყოფილებდა საქართველოს რკინიგზას და საქალაქო კომუნალურ მეურნეობებს. ყოველწლიურად იზრდებოდა ნედლეულის ამოღების მაჩვენებლები, 1920 წელს ამოღებულ იქნა 5500000 ფუთი ქვანახშირი, ეს მაჩვენებელი 1913 წელს 4200000 ფუთს აღწევდა.[3]

ამრიგად ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების 1920 წლის მაჩვენებლები საუკეთესო იყო გასულ წლებთან შედარებით. მთავრობა ცდილობდა მაქსიმალურად აეთვისებინა ქვეყანაში არსებული ქვანახშირის რესურსები. მაგრამ უსახსრობის გამო ამის შე-

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 88-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1920.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 88-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1920.

[3] კ. ჯანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 93.

საძლებლობა არ ჰქონდა. ამიტომ გადადგა სწორი ნაბიჯი – 1920 წლის 11 ნოემბერს ხელშეკრულება დადო იტალიის ბრძმედებისა და ფოლადსასხმელი ქარხნების გაერთიანება *„ილვასთან“* ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის კონცესიის შესახებ,[1] რომელიც ორივე მხარისთვის სასარგებლო იყო.

ბაქოდან ნავთობის შეწყვეტის შემდეგ მთავრობა ასევე ცდილობდა ნავთობპროდუქტების ადგილობრივი რესურსებიც მოეძია. შირაქის ველზე ჯერ-ჯერობით წელიწადში დაახლოებით 20 ათას ფუთ ნავთობს იღებდნენ. ადრე ამ საბადოს გაფართოების საჭიროება არ იყო. ამჯერად გადაწყდა, სასწრაფოდ შეესწავლათ ნავთობის მარაგი შირაქში და დადებითი შედეგების მიღების შემთხვევაში დაეწყოთ მისი სრული ექსპლუატაცია.[2]

ომის წლებში გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა რკინიგზის ტრანსპორტი. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მთავრობამ მოშლილი სარკინიგზო მეურნეობის აღდგენისა და ახალი მაგისტრალის მშენებლობის გეგმა შეიმუშავა. ამ გეგმიდან გამომდინარე პარლამენტის მიერ 1918 წლის 25 ოქტომბერს დამტკიცებული კანონი *„შავი ზღვის სანაპიროს რკინიგზის მშენებლობის შესახებ“* სენაკ-ტუაფსეს მაგისტრალის მშენებლობას ითვალისწინებდა.[3] ამ გზის მშენებლობა ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს დაიწყო. პირველი მსოფლიო ომის დროს მას უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. მეფის მთავრობამ მშენებლობის დასამთავრებლად კერძო კომპანიებს სოლიდური თანხა გამოუყო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ კერძო კომპანიები გააძევა იქიდან და თვითონ მოჰკიდა ხელი გზის მშენებლობას. იმ დროს შექმნილი ქაოსის და არეულობის შედეგად მშენებლობა შეჩერდა.[4] დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამ გზის მშენებლობას. ეს გზა საგრ-

---

[1] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის... გვ. 61.

[2] გაზ. *„საქართველო“*. 1918/3/VIII.

[3] *საქართველოს პარლამენტი,* 51-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1918, 25.X.

[4] *საქართველოს პარლამენტი,* 51-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1918, 25.X.

ძნობლად გააადვილებდა ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლუატაციისა და ტრანსპორტირების საქმეს, ასევე ხელს შეუწყობდა სოხუმთან კონტაქტებს, აფხაზეთის მოსახლეობასთან დაახლოებას და იქ შექმნილ სიტუაციაში რეალურ გარკვევას.

გზათა სამინისტროს დაევალა დაუყოვნებლივ აეღო თავის გამგებლობაში გზის მშენებლობა, პირველ რიგში დაემთავრებინა სენაკ-ზუგდიდის მონაკვეთი. ამისთვის გამოიყო სულ 3 მილიონი მანეთი. მთავრობის ძალისხმევით სერიოზული სამუშაოები ჩატარდა კახეთის სარკინიგზო მეურნეობის აღსადგენად. მიღებულ იქნა ზომები შორაპან-ჭიათურა-საჩხერის მაგისტრალის ექსპლუატაციის სრულყოფისათვის.[1]

ხელისუფლებამ საზღვაო მიმოსვლის გაუმჯობესებაზეც იზრუნა. ბათუმზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ ფოთის ნავსადგური შავ ზღვაზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. მთავრობის 1918 წლის 2 ივლისის დადგენილების საფუძველზე საქართველოს ყველა ნავსადგურის მართვა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაევალა.[2]

ფოთის ნავსადგურში გამეფებული ანარქიის ლიკვიდაციისა და სრული წესრიგის დამყარების მიზნით, სამინისტრომ ქმედითი ღონისძიებები გაატარა. პირველ რიგში დაიწყო ზრუნვა ნავსადგურის მართვის სრულყოფაზე, მისი ტექნიკური დონის ამაღლებაზე, მუშა-მოსამსახურეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოეთის ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებას. დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე არსებითი წარმატების მიღწევა ამ სფეროში თითქმის შეუძლებელი იყო. ქვეყანა სრულ საგარეო იზოლაციაში იყო მოქცეული. საყოველთაო ქაოსისა და არაორგანიზირებულობის ფონზე გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელიც საქართველოს დამოუკიდ-

---

[1] *საქართველოს პარლამენტი,* 51-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1918, 25.X.

[2] *საქართველოს პარლამენტი,* 51-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1918, 25.X.

ებლობის აღიარებისა და მასთან მრავალმხრივი ურთიერთობის სურვილი გამოთქვა. 1918 წელს ზაფხულში ორ ქვეყანას შორის ფოთში და ბერლინში დადებულ ხელშეკრულებებს[1] დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი გაძლიერების თვალსაზრისით. ამ ხელშეკრულების რეალიზება განაპირობებდა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული სფეროების სამთამადნო მრეწველობის, სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას; საკრედიტო ფულადი სისტემის მოგვარებას, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის დარეგულირებას, ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას.

სამწუხაროდ, გერმანია ომში დამარცხდა. მისმა ჯარმა საქართველო დატოვა, ხოლო ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები განუხორციელებელი დარჩა.

1918-1919 წლების მიჯნაზე გერმანელები ინგლისელებმა შეცვალეს. თავიდან ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად დააფიქსირა საქართველოსადმი მხარდაჭერა რასაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გააქტიურება უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ რეალურად ეს ასე არ მოხდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბრიტანეთმა დაკარგა ინტერესი საქართველოს მიმართ. ბოლშევიკური საფრთხის წინაშე მდგარ ქვეყანაში კაპიტალის დაბანდება ინგლისმა სარისკო საქმედ მიიჩნია. ამიტომ საქართველო-ინგლისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არ შედგა.[2] შედარებით აქტიური საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდა იტალიასთან. იტალიას საქართველოში საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გააჩნდა, მაგრამ მისთვის ამ ეტაპზე საქართველოსთან ეკონომიკური ინტერესები უფრო პრიორიტეტული გახდა, მით უმეტეს პირველი მსოფლიო ომით საგრძნობლად დაზარალებულ ქვეყანას საქართველოს იაფი ნედ-

---

[1] მ. დღვილავა. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობა. თბ., 1996, გვ. 4-11.

[2] ჯ. ანჩაბაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის საკითხები (1918 -1921 წწ.). თბ., 2004, გვ. 35.

ლეული მეტად წაადგებოდა. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურობაზე მიუთითებს, იტალიური ფირმებისა და კომპანიების საქმიანობა, იტალია-კავკასიის ბანკის საკრედიტო ოპერაციები, ასევე საქართველოს მრეწველობაში იტალიური კაპიტალის დაბანდების ფაქტები.[1]

საინტერესოდ წარიმართა საქართველო-საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. 1920 წლიდან ფრანგებმა სერიოზული დაინტერესება გამოიჩინეს ქართული აბრეშუმის მიმართ. იმავე წელს შემოდგომაზე დადებულ იქნა ორივე მხარისთვის უაღრესად დადებითი ხელშეკრულებები.

ქართველ მრეწველთა შორის გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა აკაკი ხოშტარიამ, რომლის ძალისხმევა მიმართული იყო როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ კომერციული საქმიანობის გაფართოებისკენ. ადრე ის ნავთობის ბიზნესით იყო დაკავებული. შემდეგ საქმიანობდა ირანში. 1913წ. იქ ჩამოაყალიბა კონცესიური საზოგადოება *„ჰერსლესი“*, ააშენა ხე-ტყის ქარხნები, თევზისა და საპნის სარეწები. იქვე ჩამოაყალიბა პირველი სატრანსპორტო კომპანია, მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა თეირანსა და ფუჰლევს შორის. ფორდის ტიპის ავტომანქანა მიართვა აჰმედ-შაჰს.[2]

აკ. ხოშტარიამ საქართველოშიც სოლიდური კაპიტალი დააბანდა. თბილისში მოაწყო მექანიკური, სასოფლო სამეურნეო მანქანებისა სპილენძის ქარხნები.[3] ის დიდი ქველმოქმედი იყო. აფინანსებდა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სტიპენდიებს უნიშნავდა სტუდენტებს.[4] საქართველომ მისგან შეწირული ფულით ამერიკასა და იტალიაში „ლინკოლნის“ ტიპის ოთხი გემი შეიძინა.[5]

---

[1] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში. თბ., 1997, გვ. 90.

[2] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 226.

[3] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 226.

[4] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 226.

[5] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 227.

საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 30 სექტემბერს აკაკი ხოშტარიას კომპანიასთან (რუსკო-პერსიდსკოე ნეფტიანნოე ტოვარიშესტვო) გააფორმა ხელშეკრულება *„ლეჩხუმის მაზრის ტერიტორიაზე მდ. რიონის წყლის რესურსების გამოყენების შესახებ“*. ხელშეკრულების თანახმად მეწარმეებს რაჭიდან იმერეთამდე წყლის რესურსების გამოყენების უფლება ეძლეოდათ. ხელშეკრულებაში ხაზგასმით იყო დაფიქსირებული, რომ ჰიდრომშენებლობას მკაცრად უნდა დაეცვა ეკოლოგიური პირობები, რათა არ შეზღუდულიყო მოსახლეობის უფლებები სასმელ, სარწყავ და სხვა საჭიროების წყალზე, თევზჭერაზე, ხე-ტყის დაცურებაზე და ა.შ.[1]

კომპანიის საკუთრებაში უნდა გადაცემულიყო წყლის რესურსები, ჰიდროელექტროსადგური, ელექტროგადამცემი ხაზები ნაგებობების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები.[2] ხელშეკრულების თანახმად კომპანია ვალდებულებას იღებდა წინასწარი საპროექტო სამუშაოები დაემთავრებინა 2 წელიწადში, ხოლო 10 ათასი ცხენისძალიანი ჰიდროელექტეროსადგური და დამხმარე საწარმოები აემოქმედებინა 4 წელიწადში. კომპანია პირველ რიგში აკმაყოფილებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ხოლო კერძო პირებთან აფორმებდა სპეციალურ ხელშეკრულებას. კონცესიის ვადა სადგურის ამუშავებიდან 16 წლით განისაზღვრებოდა.

კომპანია სახელმწიფოსგან სესხს იღებდა, ამიტომ ის ვალდებულებას კისრულობდა მოგების 18% სახელმწიფო ბიუჯეტში გადაერიცხა.[3] თუ კომპანია ვალდებულებას დროულად ვერ შეასრულებდა, იხდიდა ჯარიმას, ხოლო თუ სამუშაოებს ბოლომდე ვერ მიიყვანდა ყველა ნაგებობები უსასყიდლოდ სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. სამწუხაროდ საპროექტო სამუშაოები დაიწყო, მაგრამ საბოლოო ხელშეკრულების განხორციელება ვერ მოხერხდა.

---

[1] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 226-227.
[2] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 226-227.
[3] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 227.

ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად საქართველო-ამიერკავკასიისათვის საერთაშორისო სატრანზიტო-სავაჭრო გზის ფუნქციის დაბრუნებას მიიჩნევდნენ.[1] ამ იდეის ავტორები შეგვახსენებდნენ შორეულ წარსულს, როცა ამიერკავკასია წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზას ევროპასა და აზიას შორის. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ მან დაკარგა ეს მნიშვნელობა და გადაიქცა რუსეთის სტრატეგიულ ბაზად. ამ რეგიონში და აღმოსავლეთში თავისი გავლენის განსამტკიცებლად ერთ-ერთ დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამიერკავკასიას დაუბრუნდეს ადრინდელი კულტურული და საალებმიცემო მნიშვნელობა. ამისთვის საჭირო იყო რუსეთის ნეიტრალიზება. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას დასავლეთის ქვეყნები უჭერდნენ მხარს,[2] მაგრამ ამ იდეის რეალიზაცია არ იყო იოლი საქმე.

სახელმწიფო ცდილობდა შეექმნა მსხვილი სატყეო მრეწველობა, მაგრამ ამ წამოწყებას სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია. სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით მუშაობის ორგანიზაციას თან ახლდა მრავალი ბიუროკრატიული ელემენტი, რომელიც საქმის მოგვარებას ხელს უშლიდა. ნებსით თუ უნებლიეთ ამ დარგში კერძო ინიციატივა იზღუდებოდა, რომელიც ამუხრუჭებდა დასახული მიზნების განხორციელებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სატყეო მეურნეობის საქმის მოგვარება თითქმის ჩაიშალა. ამ ფონზე სასარგებლო იყო სააქციო საზოგადოება „მრეწველის“ შექმნა. საქართველოში სატყეო მრეწველობის განვითარებას დიდი პერსპექტივა ჰქონდა. მარგანეცის მრეწველობის შემდეგ ის ერთ-ერთ წამყვან დარგად უნდა გადაქცეულიყო. საქართველო ფლობდა 1,5 მლნ. დესეტინა მიწას, რომელიც დაფარული იყო უმაღლესი ხარისხის ტყით. სწორ ექსპლუატაციის შეეძლო მკვეთრად გაეუმჯობესებინა ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური პოტენციალი. ამის დამადასტურებელი ფაქტების მოყვანა მრავლად შეგვიძლია. „მრეწველმა“ ქუ-

---

[1] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 225.

[2] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 225.

თაისისა და რაჭის ერობისგან გვიან მიიღო ნებართვა (1920 წ.) და, ცხადია, გვიან შეუდგა ტყის ექსპლუატაციას, მიუხედავად ამისა დიდი რაოდენობის სატყეო მასალა დამზადდა, რომლიც ღირებულება რამდენიმე მლნ. მანეთით განისაზღვრებოდა.[1]

„მრეწველმა" დაიწყო იმ ქარხნების ამუშავება, რომლებიც ტყესთან ახლოს იყვნენ გაშენებული და უმოქმედოდ იდგნენ (ანაკლიის, ყულევის, ფოთის ქარხნები).[2] საზოგადოება ითხოვდა სამეგრელოსა და გურიის ტყეების ექსპლუატაციის ნებართვას. ეს ტყეები შავ ზღვასთან ახლოს იყო. ის იძლეოდა გარანტიას, რომ ამუშავებდა ყველა სახერხ ქარხანას. „მრეწველი" ტყის ექსპლუატაციის გეგმას ორ ნაწილად ჰყოფდა: პირველი — ტყის საერთო ექსპლუატაცია და მზადება შემდგომი დიდი სამუშაოსათვის. ღონისძიების მეორე ნაწილში გათვალისწინებული იყო შრომატევადი სამუშაოების ჩატარება. კერძოდ, ტყის რესურსის ყოველმხრივი გამოყენებისათვის შესაბამისი ობიექტების, რკინიგზისა და საჰაერო ხაზების მშენებლობა, მდინარეთა კალაპოტის გაწმენდა და ა.შ.[3]

ამ სამუშაოების შესრულებას „მრეწველი" დაუყოვნებლივ დაიწყებდა, თუ ის სახელმწიფოსგან მიიღებდა გრძელვადიან სატყეო კონცესიას. რაჭისა და ქუთაისის თვითმმართველობის მიერ გაცემული კონცესიები გათვალისწინებული იყო მხოლოდ ერთი წლის ვადით. ცხადია, ასეთ პირობებში სააქციო საზოგადოებას არ შეეძლო, რაიმე სერიოზულ გეგმაზე ფიქრი. საზოგადოება „მრეწველის" მესვეურები მოითხოვდნენ, სახელმწიფოსა და მრეწველის ინტერესებიდან გამომდინარე არ დაეშვათ დასავლეთ საქართველოს ტყის დაქუცმაცება, ეზრუნათ იმაზე, რომ ეს ტყე მოქცეულიყო ერთი მრეწველის ხელში. ერთი აქციონერის ხელში სატყეო მეურნეობის მოქცევა ხელს შეუწყობდა მის რაციონალურად ექსპლუატაციას, საწარმოების თანამედროვე დანადგარებით უზრუნველყოფას, ფართომასშტაბიანი ექსპორტის განხორციელებ-

---

[1] *სცსსა*, ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 16.
[2] *სცსსა*, ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 16.
[3] *სცსსა*, ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 16.

ას და საზოგადოების უფრო მსხვილ ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას.[1]

სატყეო მრეწველობის ორგანიზაცია დიდ თანხებს მოითხოვდა. საჭირო იყო ამ დარგის საწარმოების სათანადო ტექნიკით აღჭურვა. სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფა. სატყეო მრეწველობის მესვეურები მთავრობასთან ურთიერთობის პარალელურად კონტაქტებს ამყარებდნენ საზღვარგარეთის საქმიან წრეებთან რათა მოეწვიათ სპეციალისტები სატყეო მრეწველობის გასაუმჯობესებლად.[2] საზოგადოება „მრეწველმა“ შექმნა ტყის მრეწველთა ძლიერი ჯგუფი, რომელსაც 1921-1922 წლებისთვის სერიოზული ამოცანა დაუსახა. მაგრამ რუსეთის ინტერვენციამ მის რეალიზებას წერტილი დაუსვა.[3]

საქართველოს მრეწველობის აღდგენისა და განვითარების საქმეს ძირითადად უძღვებოდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, რომელიც ეძებდა გზებს მდგომარეობიდან გამოსასვლელად. 1919 წლის გაზაფხულზე ამ სამინისტროსთან შეიქმნა ტექნიკური კომიტეტი, რომელიც განიხილავდა მინისტრის მიერ გადაცემულ საკითხებს.[4] ძირითადად კომიტეტში განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორიც იყო: გამომგონებლისა და რაციონალიზატორობასთან დაკავშირებული საკითხები, საკონტროლო საზომი ხელსაწყოების და აპარატურის გასინჯვა-შემოწმება, მათი გამოყენების წესის დადგენა და სხვა. ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე შეიძლება ყოფილიყო მინისტრის მოადგილე, ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ან მინისტრის მიერ დანიშნული პირი.[5] კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავდა მოადგილე, რომელსაც ნიშნავდა მინისტრი. მუდმივ წევრებს მინისტრი უმაღლეს სასწავლებელთა, ტექნიკურ და იურიდიულ საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან ირჩევდა. კომიტეტის თავმჯდომარე გარედან იწვევდა გამოცდილ, საქმის

---

[1] *სცსსა*, ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 16.
[2] *სცსსა*, ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 16.
[3] *სცსსა*, ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 16.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 224, ფურც. 1.
[5] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 224, ფურც. 1.

მცოდნე პერსონალებს, ექსპერტებს. ისინი კომიტეტის საერთო კრებაზე საკითხების განხილვაში იღებდნენ მონაწილეობას და სარგებლობდნენ გადამწყვეტი ხმით.[1]

კომიტეტს ჰქონდა განყოფილებები მექანიკურ-სამშენებლო, ტექნიკურ-ქიმიური, სამთამადნო, ტექნიკური, იურიდიული, ადმინისტრაციული და სხვა განყოფილებები. საკითხები ძირითადად კომიტეტში მზადდებოდა. მისი გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინებოდა ფინანსთა მინისტრს.[2]

მმართველობის სისტემის უზრუნველყოფის მიზნით, 1919 წლის აპრილში შეიქმნა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო.[3] ხელისუფლების ეს ნაბიჯი მარცხნივ გადახრას ნიშნავდა, მაგრამ მთავრობა ამაზე წავიდა. საბჭოს ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიების გატარება. ამ გზაზე მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაცია. მთავრობას მიაჩნდა, რომ სხვადასხვა უწყებებში მოქცეული საწარმოები ფუნქციონირებდნენ ყოველგვარი სამოქმედო გეგმის გარეშე, რაც დიდძალი სახსრების გაფანტვას იწვევდა.

უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს ჰქონდა 3 განყოფილება:

1. წარმოების,
2. ვაჭრობის,
3. ფინანსების.

წარმოების განყოფილების დანიშნულება იყო: საწარმოო ძალთა გამოკვლევა და შესწავლა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესწავლა, ახალი რეზერვების მოძებნა, მიმოსვლის საშუალებების გაუმჯობესება, კავშირგაბმულობისა და სატელეფონო საქმის მოწესრიგება. კონცესიების პირობების განხილვა.[4]

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 224, ფურც. 1-2.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 224, ფურც. 2.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 82, ფურც. 228-229.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 82, ფურც. 228-229.

ვაჭრობის განყოფილებას ევალებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობის კოორდინაცია საბაჟო ტარიფების და საერთოდ საბაჟო საქმის მოწესრიგება. საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულებების პირობების დამუშავებაში მომსახურეების საქმის გაუმჯობესება.[1]

საფინანსო განყოფილება კოორდინაციას უწევდა სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს. შემოსავლების გადიდებისა და ხარჯების შემცირების გზების ძიების, ქალაქების, ერობების და სახელმწიფო ბიუჯეტის გადასინჯვის, ფულის მიმოქცევის გაუმჯობესების, საშინაო და საგარეო სესხების აღების პირობების შემუშავების ღონისძიებებს.

უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დადგენილებანი სავალდებულო იყო თითქმის ყველა უწყებისათვის. საბჭოს დადგენილების განხორციელება ევალებოდა საბჭოს პრეზიდიუმს. თუ მიღებულ დადგენილებას რომელიმე უწყება არ დათანხმდებოდა, მაშინ დადგენილება წარედგინებოდა მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.[2] საბჭოს ჰქონდა სახელმწიფო მუნიციპალური, კომერციული და კერძო მეურნეობების სექციები.

უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი იყო თავმჯდომარე, მას ჰყავდა მოადგილე და მდივანი. თავმჯდომარე ინიშნებოდა მთავრობის მიერ. ხოლო მოადგილეს და მდივანს ირჩევდა თვით საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მომარაგების და შრომის მიწათმოქმედებისა და გზათა სამინისტროების წარმომადგენლები, სახელმწიფო ბანკის მმართველი, სახელმწიფო კონტროლიორი, ქალაქის ერობათა, კოოპერატორთა კავშირებისა და პროფკავშირთა ბიუროს 2-2 წარმომადგენლები.[3] საბჭოს დადგენილებები სავალდებულო იყო ეკონომიკის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულებისათვის. უთანხმოების შემთხვევაში საქმეს წყვეტდა მინისტრთა კაბინეტი.[4]

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 82, ფურც. 229.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 82, ფურც. 229.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 82, ფურც. 229.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 82, ფურც. 228-229.

საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული საკანონმდებლო ბაზის შექმნას. პროფკავშირების საქმიანობა ამ მიმართულებით არ იყო გამართული. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სატარიფო პალატის შექმნა (1919 წ. მაისი).[1]

სატარიფო პალატის კომპეტენციაში შედიოდა: წარმოებებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა თანამდებობის, პროფესიისა და კატეგორიის მიხედვით ხელფასის საკითხის მოგვარება, ცალკეული სამუშაოს ნორმის განსაზღვრა, არბიტრაჟის ფუნქციის შესრულება, პირველმოხმარების საგნების საბაჟო ფასების შესახებ ცნობების შეგროვება, ცხოვრების გაძვირების მიზეზების გარკვევა. სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების ძიება. საწარმოო ძალებისა და ფასების დარეგულირების საკითხების შემუშავება, შრომის კანონპროექტების მომზადება და ა.შ. მისი მთავარი დანიშნულება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება იყო, მაგრამ მას არ შეეძლო ამ მხრივ რაიმე წარმატების მიღწევა, თუ სახელმწიფო არ მიიღებდა გადამჭრელ ზომებს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისა და ფულადი სისტემის მოწესრიგებისათვის.

პალატამ თავისი საქმიანობა დაიწყო ხელფასის საკითხებში გარკვევით. ამ მხრივ მას, როგორც მუშების, მეწარმეების, ისე სახელმწიფოს ინტერესები უნდა დაეცვა. 1919 წლის მეორე ნახევარში პალატამ ორჯერ მიიღო დადგენილება ხელფასების მომატების თაობაზე. მაგრამ დადებითი შედეგი არ ჩანდა. მაგ. 1920 წლის 12 იანვარს სატარიფო პალატის გამოტანილ დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის 60%-ით გადიდების შესახებ მეწარმეთა ძლიერი წინააღმდეგობის გამო სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. სატარიფო პალატის დადგენილება თვითონ იქცა დაძაბულობისა და მხარეთა ურთიერთობის გამწვავების ერთგვარ საფუძვლად. 1920 წლის პირველ ნახევარში მომხდარი 482 კონფლიქტიდან 226 გამოწვეული იყო სატარიფო პალატის დადგენილებათა შეუსრულებლობით.

---

[1] *ცსხსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 82, ფურც. 229.

სამწუხაროდ, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო ღრმავდებოდა, ინფლიაციის ტემპი კვლავ მატულობდა, მოსახლეობის ცხოვრების დონე კატასტროფულად ეცემოდა, რამაც სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას დიდი პრობლემები შეუქმნა, გამოსავალი კი არ ჩანდა.

მიუხედავად მთელი რიგი ობიექტური მიზეზებისა, მრეწველობის აღდგენისა და განვითარების საქმეში თვით მთავრობის მიერ სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული. მას აკლდა მიზანსწრაფვა და ოპერატიულობა ეკონომიკის, კერძოდ, მრეწველობის სწორი მიმართულებით წარმართვის თვალსაზრისით. მთავრობამ ვერ შეძლო კერძო მესაკუთრეთა ეკონომიკური საქმიანობის წახალისება. მას ამაში, ეტყობა, ხელს უშლიდა მისი სოციალისტური ბუნება. შედეგად მივიღეთ ის, რომ 1918-1920 წლებში კერძო კაპიტალის აქტიურობა საგრძნობლად შემცირდა. კერძო მესაკუთრეთა საწარმოები შეიკვეცა, სამაგიეროდ, გაიზარდა სახელმწიფო, მუნიციპალური საწარმოების ხვედრითი წილი კიდევ უფრო გაიზარდა მუნიციპალური სექტორის გავლენა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში.[1] მთავრობამ ვერ დაიცვა ადრე ფუნქციონირებადი საწარმოები. ზოგი მათგანი ასე თუ ისე მიახლოებული იყო ევროპულ დონეს. ეს საწარმოები საშინელ პირობებში მუშაობდნენ და ვერ შეძლეს ფეხზე დადგომა, პირიქით, შეწყვიტეს არსებობა.

აშკარად ჩანდა, რომ იქ სადაც საქარხნე მეურნეობა მთავრობის ხელში იყო, ბატონობდა ბიუროკრატია და წარმოების პროცესი ჩიხში იყო შესული. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოებში მუშაობდნენ არაპროფესიონალები წარმოებისთვის სრულიად უსარგებლო ადამიანები.

მმართველი პარტია, ხელისუფლება საოცარი სიმშვიდით ადევნებდა თვალს შექმნილ ვითარებას. მდგომარეობიდან გამოსვლის კონკრეტული გეგმის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის სანაცვლოდ ხშირ შემთხვევაში არაფრისმთქმელი ლოზუნგებით იფარგლებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა, საქართველოს ეკონომი-

[1] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი.., გვ. 225.

კა, კერძოდ, მრეწველობა ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო, როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღეებში. ამის შესახებ გაზ. *„საქართველო“* იუწყებოდა „მმართველი წრეები დღესაც სოციალური სათვალეებით დაჰყურებენ ამ ჩვენს სავალალო სინამდვილეს და არავითარ ნიშანს არ იჩენენ, რომ მათ ხელი აეღოთ ეროვნული მრეწველობის შეურაცხყოფაზე. ისინი დღესაც უპრობლემოდ და უპერსპექტივოდ არიან, როგორც ამ ორი წლის წინ იყვნენ. დროა გონს მოხვიდეთ, თორემ საქართველოს დამოუკიდებლობას უფსკრული დარაჯობს“[1] აფრთხილებდა გაზეთი ხელისუფლებას.

მთავრობამ ვერ შეძლო ქვეყნის მდიდარი ჰიდრორესურსების ნაწილობრივ მაინც ათვისება. ამის გარეშე რაიმე სერიოზულ მიზნებზე საუბარი ზედმეტი იყო. ყოველ შემთხვევაში მთავრობას უნდა ეზრუნა ისეთი ჰიდრორესურსების შექმნაზე, რომელიც დააკმაყოფილებდა ჯერ კიდევ სუსტ საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობას, რკინიგზას, ელექტროტრანსპორტს, კომუნალურ მომსახურებას.

ისეთი სტრატეგიული დარგის განვითარებაზე ზრუნვა, როგორიც ენერგეტიკაა, სახელმწიფოს პრეროგატივაა. ორწელიწადნახევრის განმავლობაში მთავრობამ ამ დარგის განვითარების გეგმის შემუშავებაც კი ვერ მოახერხა. მთავრობამ ასევე ვერ მოახერხა ადგილობრივი მრეწველობისათვის შეექმნა საკუთარი ნედლეულის ბაზა, რომელიც ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე ფაბრიკა-ქარხნებს გამართული მუშაობის პირობებს შეუქმნიდა.[2] აქ იგულისხმება: საქსოვი ფაბრიკები, სამღებროები, ფეხსაცმლის ფაბრიკები. შუშეულობის საწარმოები, ხის დამმუშავებელი ქარხნები, საოჯახო ნივთების საწარმოები, თამბაქოს, საპნის, რძისა და ერბო-კარაქის, ლიმონდამმუშავებელი, მატყლის დამმუშავებელი ქარხნები. რაც მთავარია მთავრობამ ვერ მოახერხა ადგილობრივ მრეწველობაში კერძო სექტორის წახალისება. ამიტომ შედეგიც შესაბამისი მიიღო.

---

[1] გაზ. *„საქართველო“*. 1920, 13 თებერვალი.

[2] გაზ. *„საქართველო“*. 1920, 26 თებერვალი.

საქართველოში შესაძლებელი იყო მატყლის, აბრეშუმის, ბამბის ადგილზე გადამუშავება. მართალია, 1920 წლის შემოდგომაზე ფრანგულ ფირმასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება აბრეშუმის მრეწველობის განვითარების თაობაზე, თუმცა განვლილ ორ წელიწადს უქმად არ უნდა ჩაევლო.[1]

სავალუტო საქონლის ექსპორტზე მონოპოლიის პოლიტიკამ მანგანუმთან მიმართებაში გაამართლა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მატყლზე. ამ ნედლეულის ექსპორტის მონოპოლიამ მნიშვნელოვნად შეზღუდა ადგილობრივი მეწარმეები, შესაბამისად მინიმუმამდე დაიყვანა ამ ნედლეულის ადგილზე გადამუშავება. ექსპორტის მონოპოლიამ ვერ გაამართლა თამბაქოს წარმოებაშიც, რის შედეგად 1919-20 წლებში თამბაქოს წარმოება მნიშვნელოვნად დაეცა.

მთავრობამ არ ისურვა სოფლად სპონტანურად გაჩაღებული სარეწაო მუშაობისათვის ორგანიზებული მიმართულება მიეცა. როგორც ცნობილია, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე სოფლის მოსახლეობამ დაიწყო პირველადი მოხმარების საგნების წარმოება, ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვა. ხალხმა ძველი ხელობა გაიხსენა, თუ სადმე ჰქონდა დახავსებული საქსოვი დაზგები, დაიწყო მისი აწყობა. მთავრობა ვერ დაეხმარა ამ ხალხს მუშაობის ორგანიზებაში, მანქანა-დანადგარების შეძენაში, ვერ გამოუყო კრედიტი, ვერ გაუწია ტექნიკური და კომერციული დახმარება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას აფერხებდა რუსეთში საუკუნეობით დამკვიდრებული სახალხო მეურნეობის მართვის მანკიერი სისტემის და ჩამორჩენილი ეკონომიკური აზროვნების გადმონაშთები. ამის შესახებ გაზეთი „საქართველო“ 1918 წლის 4 ივნისის პუბლიკაციაში აღნიშნავდა: „რუსული აზროვნება ეკონომიკურ საკითხებში ვერ ითვისებდა სამეურნეო ცხოვრების სინამდვილეს, მოკლებული იყო ყოველ ცოცხალ გრძნობას მისადმი, მისი მსჯელობა მუდამ განყენებული ხასიათისა იყო და თუ პრაქტიკულად აყენებდა საკითხს, მუდამ მომხმარებლის

[1] გაზ. *„საქართველო“*. 1920, 26/II.

თვალსაზრისზე იდგა".[1] გაზეთი მოუწოდებდა მთავრობას რაც შეიძლება ჩქარა განთავისუფლებულიყო ჩამორჩენილი რუსული ეკონომიკური აზროვნების გავლენისაგან. „ეს რუსული სიკვდილის ფერის დამლა მალე უნდა მოვიშოროთ, იგი ლეშის სუნით ავსებს ჩვენს ცხოვრებას" — იუწყებოდა გაზეთი.[2]

ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადოდ უზრუნველყო კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარება. მმართველ პარტიაში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში აღმოჩნდნენ სოლიდური ძალები, რომლებიც წინ ეღობებოდნენ ქვეყნის ბურჟუაზიულ განვითარებას. ბურჟუაზიისადმი სიძულვილს ისინი საჯაროდ გამოხატავდნენ პარლამენტებისა და მთავრობის სხდომებზე.

ამასთან დაკავშირებით მოვიყვან ერთ მაგალითს: 1920 წლის 29 ივლისს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ასეთი განცხადება გააკეთა. ჩვენ, რასაკვირველია, ბურჯუაზიის მტერი ვართ, მაგრამ იმას არ ვამბობ, რომ ეს დღესვე მოხდეს:[3] (სტილი დაცულია — ჯ.ა.) ანალოგიური განცხადება ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სისტემატურად კეთდებოდა. ამას ადასტურებენ პარლამენტისა და მთავრობის სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები.

ოპოზიციური პარტიების ლიდერები დაუფარავად ამხელდნენ მთავრობას ქვეყნის ბოლშევიკური მეთოდებით მართვაში. ამასთან დაკავშირებით ეროვნული პარტიის წარმომადგენელმა ალ. ასათიანმა დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა: „მთავრობა გატაცებულია საზოგადოებრივი მეურნეობებით, კერძო ინიციატივა იდევნება. ეს მაშინ, როდესაც ამ წარმოებაზე მრავალი მილიონი ხაზინის ფული უშედეგოდ იხარჯება. ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ საზოგადოებრივი წარმოების მხარდაჭერით, თუ ისინი სარგებლობას მოუტანენ სახელმწიფოს... თქვენ ძალით ართმევთ ქარხნებს მათ მეპატრონეებს, ხშირ შემთხვევაში აიძულებთ მათ თვითონ წავიდნენ. მთავრობის

---

[1] გაზ. *„საქართველო"*. 1918, 4 ივნისი.
[2] გაზ. *„საქართველო"*. 1918, 4 ივნისი.
[3] *დამფუძნებელი კრება*. 39-ე სხდომა, 1920/29/VII.

თავმჯდომარეს მრავალჯერ განუცხადებია, რომ არ ებრძვის ინიციატივას, მაგრამ ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა საწინააღმდეგოზე მიუთითებს".[1]

ეროვნულ-დემოკრატები მოუწოდებდნენ მთავრობას, მმართველ პარტიას ხელი აეღოთ ამ მავნე პრაქტიკაზე და კანონმდებლობით უზრუნველეყოთ ბურჟუაზიის თავისუფალი განვითარება.

II ინტერნაციონალის ბელადები მენშევიკურ მთავრობას ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის პოლიტიკას უწუნებდნენ. კ. კაუცკი აღნიშნავდა, რომ „აქ (იგულისხმება საქართველო — ჯ.ა.) კაპიტალიზმი სათანადოდ არ არის განვითარებული. თქვენი მისია იმაშია, რომ ხელი შეუწყოთ მის განვითარებას".[2]

მემარჯვენე ოპოზიციის კრიტიკულ გამოსვლებს მთავრობა უპასუხოდ არ ტოვებდა. ამ მხრივ აღსანიშნავია იმჟამინდელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კ. კანდელაკის პოზიცია: „ხელისუფლება, — აღნიშნავდა მინისტრი, — კერძო ინიციატივას დიდ გასაქანს აძლევდა. მას გვერდს არ უვლიდა. თანამშრომლობას სთავაზობდა სახელმწიფოს მიერ წამოწყებულ საქმეებშიც. მაგრამ მათი კომერციული საქმიანობა უმეტეს შემთხვევაში წარუმატებელი იყო.[3]

მინისტრი აცხადებდა, რომ საქართველოში საქმიანი ინიციატივის, ცოდნისა და გამოცდილების ხალხი მრავლად იყო. მაგრამ შეძლებულნი უმეტესწილად არაქართველები იყვნენ. მათ უფრო მეტი კონტრაქტები ჰქონდათ უცხოეთის ბაზრებთან. მთავრობა მათ ვერ დაეყრდნობოდა, ვინაიდან ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში დაინტერესებული არ იყვნენ.[4] ევროპაში სულ სხვა სიტუაცია იყო, — აცხადებდა კ. კანდელაკი, — იქ ბურჟუაზიას საკუთარი თანხები და ეკონომიკური შესაძლებლობა და დიდი ხნის გამოცდილება ჰქონდა. დიდი საქმის საკეთებლად ის არ იყო სახელმწიფოზე დამოკიდებული,

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*. 39-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1920/29/VII, გვ. 41.

[2] **ა. სურგულაძე**. მენშევიკური მთავრობის... გვ. 607.

[3] **კ. კანდელაკი**. საქართველოს ეროვნული.., გვ. 121.

[4] **კ. კანდელაკი**. საქართველოს ეროვნული.., გვ. 122

პირიქით ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში მათ ეყრდნობოდა, სავაჭრო ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილი, რკინიგზა, ენერგოსისტემა კერძო სააქციონერო საზოგადოებას და კერძო პირებს ეკუთვნოდა. საბანკო სისტემაშიც ისინი დომინირებდნენ.[1]

ჩვენში, სამწუხაროდ მსგავსი რამ არ შეინიშნებოდა ასკვნიდა ყოფილი მინისტრი, ვინაიდან ბურჟუაზია იყო ძალიან სუსტი, მოუწყობელი, მცირე გამონაკლისის გარდა ის ისეთ უნარს ვერ იჩენდა, რისი პრეტენზია მათ იდეოლოგებს ჰქონდათ. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ მან ერთი მაგალითი მოიყვანა: „1918 წლის მიწურულს ხაზინა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, მთავრობამ საშინაო მოკლევადიანი სესხი აიღო. მან ჩვენი ბანკებისა და ბურჟუაზიის დახმარებით ამ სესხის 1%-ც ვერ გაანაღდა[2].“

ქართულ ბურჟუაზიას სუსტი ეკონომიკური ბაზა ჰქონდა ჩვენს საბანკო სისტემაში, ხოლო უცხოეთში ის ამას თითქმის მოკლებული იყო, დასძენს კ. კანდელაკი.[3] სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩარევასთან დაკავშირებით ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა თავისი მოსაზრება ასეთნაირად ჩამოაყალიბა: „ჩვენ ყველაფერი გვაკლდა, უპირველეს ყოვლისა სურსათი: პური, შაქარი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. არ გვქონდა ჩვენი საკუთარი ფართლეული, ტექნიკური და ქიმიური ნაწარმები, მედიკამენტები, არამედ უბრალო ძაფი და ასანთიც კი უცხოეთიდან უნდა შემოგვეტანა. ასეთ მოთხოვნილებათა დიდი ხნით გადადება სახელმწიფოსთვის შეუძლებელი იყო. ამიტომ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნდა ყოველგვარი იდეოლოგიური მოსაზრების გარეშე ჩვენში ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, არამარტო კანონების შემოღებით, სანოვაგის განაწილებით და ვაჭრობის ზოგიერთი დარგის რეგლამენტაციით, არამედ პირდაპირ და უშუალოდ წარმოებისა და ვაჭრობის ზოგიერთი დარგის სახელმწიფოს მიერ ხელში აღებით“.

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 122.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 82.
[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 82.

ამ უაღრესად სათუთ საკითხთან დაკავშირებით კ. კანდელაკის პოზიციას ვერ დავეთანხმებით, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ის შეიძლება მიმზიდველი იყოს. ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ყოველგვარ ჩარევას უზარმაზარი მანკიერი მხარე აქვს. ის მაქსიმალურად ზღუდავს საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით ქვეყნის განვითარებას.

საქართველოს მაინც არ ეშველა. ქვეყნის ეკონომიკამ ერთი უმნიშვნელო ნაბიჯიც კი ვერ გადადგა წინ. მრეწველობა კვლავინდებურად ღრმა კრიზისს განიცდიდა.

თავი III საქართველოს სოფლის მეურნეობა 1918-1921 წლებში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაში აგრარულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ქვეყნის მოსახლეობის 80% სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული და შემოსავლის 2/3-ს ეს დარგი იძლეოდა. მსოფლიო ომმა პირველ რიგში სოფელი დააზარალა. არც საქართველო იყო ამ მხრივ გამონაკლისი. ომის შედეგად აქაც მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა, დაეცა შრომის ნაყოფიერება, შეწყდა მარცვლეულის, ყურძნის და თამბაქოს ექსპორტი. პრობლემა შეექმნა შიდა ბაზარს. ფაქტობრივად მოხდა სასოფლო პროდუქციის ნატურალიზაცია. ანარქია და ქაოსი შეეხო სოფლის მეურნეობის ყველა სფეროს, მებაღეობიდან დაწყებული მეცხვარეობით დამთავრებული.[1]

სერიოზულ პრობლემას ქმნიდა მიწის სიმცირე. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი მცირემიწიანი იყო, ნაწილს საერთოდ არ გააჩნდა მამული. ომის შემდეგ საგრძნობლად იმატა მოსახლეობამ, უმთავრესად ჩამოსახლების ხარჯზე, მაშინ როდესაც სახნავ-სათესი ფართობი იგივე რჩებოდა. მესაკუთრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი არ აღმოჩნდა მზად მეურნეობის პროგრესული მეთოდებით მართვისთვის.

ვითარებას ამძიმებდა რუსეთის ფაქტორი. საქართველოში დამკვიდრებისთანავე რუსეთის ხაზინა ერთ-ერთი მსხვილი მემამულე გახდა. ის ჯერ ქართველ მეფეთა საგვარეულო მიწებს დაეპატრონა, შემდეგ საეკლესიო მიწები მიითვისა. გარდა ამისა, რუსეთის ხაზინამ სხვადასხვა ხრიკებითა და აკრძალული ქმედებებით, კერძოდ, ურჩობისა და მთავრობის ღალატის ცრუ ბრალდებებით, მის მიერ მართული სასამართლოს მეშვეობით ბანკებში გირაოს გადაუხდელობისათვის კონფისკაციის გზით ხელში ჩაიგ-

[1] გაზ. *„საქართველო“*, 4.VI.1918.

დო თავადაზნაურთა ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი.[1]

მიწათმფლობელობის საკითხის მოწესრიგების მოტივით რუსეთის ადმინისტრაციამ შემოიღო ყოვლად მიუღებელი სამართლის კოდექსი, რომელიც კერძო მესაკუთრეებს ავალდებულებდა მიწის საკუთრების დამადასტურებელი საბუთის წარდგენას.[2] ქართველ მემამულეთა უმრავლესობას ასეთი საბუთი არ გააჩნდა. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად მესაკუთრის მიერ უძრავი ქონების შეძენა შინაური ნასყიდობის საფუძველზე ხდებოდა. ასეთი წესით შეძენილ მიწებს რუსეთის ადმინისტრაცია უკანონოდ მიიჩნევდა და ხაზინის საკუთრებაში რიცხავდა.[3] ამ დროისთვის საქართველოს მიწის ფონდი 5.537207 დესეტინას შეადგენდა, აქედან კერძო მესაკუთრეებს 3 517195 დესეტინა ანუ 63.6% ეკუთვნოდა. რუსეთის ხაზინას კი 2020012 დესეტინა ანუ 36.4%.[4]

ამგვარად, უხეში ადმინისტრირებითა და არასამართლებრივი გზებით რუსეთის ხაზინა საქართველოში უმსხვილესი მემამულე გახდა. რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაცია სრულიად უგულებელყოფდა აქ მეურნეობის მართვის პროგრესული მეთოდების დამკვიდრებას, წინ ეღობებოდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებას. თვითონ რუსეთის სოფლის მეურნეობის მართვის სისტემა უაღრესად ჩამორჩენილი იყო. მას არ შესწევდა უნარი ეს დარგი თანამედროვე მეთოდებით ემართა. ამის შესახებ 1918წ. გაზეთი *„საქართველო“* იუწყებოდა: „ჩვენ ომამდე ვცხოვრობდით ჩამორჩენილ რუსეთთან და ვაჩანაგებდით წუთისოფელს... ჩვენში გაბატონებული ეკონომიკური აზროვნება, თუ მას აზროვნება დაერქმის, სიღარიბიდან თავის დაღწევის ყოველგვარ ხალისს უკარგავს ხალხს. აქ რუსეთის უბედური მემკვიდრეობა ჩანს“.[5]

აგრარულ სფეროში არსებულ მდგომარეობას ართულებდა

---

[1] ჯ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე. პარიზი, 1960, გვ. 146.

[2] ჯ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 146-147.

[3] ჯ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 147.

[4] ს. ავალიანი. მიწისმფლობელობა საქართველოში. თბ., 1920, გვ. 7.

[5] გაზ. *„საქართველო“* 1918 4.VI.1918.

ის ფაქტი, რომ საქართველოში მესაკუთრეთა ნაწილი მცირემიწიანი იყო. ქართველმა თავადაზნაურობამ სასაქონლო ფულადი მეურნეობის ჩასახვისა და განვითარების ფონზე შემოსავლის ძირითად წყაროდ მიწის დაგირავება ან გაყიდვა გაიხადა, რის შედეგადაც ხელიდან ეცლებოდა საკუთარი მიწის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად: აგრარული რეფორმის გატარების შემდეგ თავადაზნაურობა ფლობდა 1776823 დესეტინა მიწას. 1918 წლისთვის მის საკუთრებაში მხოლოდ 621625 დესეტინა იყო. ე.ი. ამ პერიოდში გასხვისებულ იქნა 994828 დესეტინა მიწა.[1] სამწუხაროდ, ქართველ მესაკუთრეთა მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა ერების წარმომადგენლებმა ჩაიგდეს ხელში.

მიწისმფლობელობის თვალსაზრისით ქართველი გლეხობის მდგომარეობა არასდროს ყოფილა სახარბიელო. მესაკუთრე გლეხები, ცხადია, უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მათი მიწის ფონდი უაღრესად მწირი იყო.

ხიზნებს უფრო მეტი პირადი თავისუფლება ჰქონდათ. მათი ერთი ნაწილი მემამულესთან წლიდან წლამდე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რიგითი მოიჯარადრის უფლებით, მეორე ნაწილი კი მუდმივი მოიჯარადრის უფლებით სარგებლობდა. შედარებით უკეთესი იყო სახელმწიფო გლეხების მდგომარეობა. XIXს. 60-იანი წლების საგლეხო რეფორმის შედეგად ამ კატეგორიის გლეხობის თითოეულმა კომლმა აღმოსავლეთ საქართველოში 17,8 დესეტინა, დასავლეთ საქართველოში, ბევრად ნაკლები — 4,2 დესეტინა მიწა მიიღო.[2] უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი საბატონო გლეხობა. ერთი ნაწილი სხვისი მიწით სარგებლობდა და ცხოვრობდა, მეორე ნაწილი საერთოდ უმიწაწყლო იყო.

გლეხთა შორის მიწის განაწილების შედარებით რეალური სურათის წარმოჩენის თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებია დაფიქსირებული 1917წ. სტატისტიკური ხასიათის მასალებში. 1917 წლისთვის მთელ საქართველოში (აჭარის გარდა) 321383

---

[1] ს. ავალიანი. მიწისმფლობელობა საქართველოში, გვ. 148.

[2] ს. ავალიანი. მიწისმფლობელობა საქართველოში, გვ. 14.

კომლი ირიცხებოდა. თითოეულ კომლში დაახლოებით 5,84 სული, ე.ი. ქვეყნის მასშტაბით 1.876869 გლეხი ცხოვრობდა. მათი საკუთრებაში იყო 817456 დესეტინა მიწა.[1] თითოეულ კომლზე მოდიოდა დასავლეთ საქართველოში – 2,27 დესეტინა, აღმოსავლეთ საქართველოში – 2,73 დესეტინა, სოხუმის ოლქში 2,57 დესეტინა. მთელ საქართველოში (აჭარის გარდა) მოდიოდა 2.57 დესეტინა.[2] თითოეულ სულზე დასავლეთ საქართველოში მოდიოდა 0,39 დესეტინა, აღმოსავლეთ საქართველოში – 0,44 დესეტინა, სოხუმის ოლქში – 0,64 დესეტინა მიწა.[3]

მთლიანად საქართველოში (აჭარის გარდა) – თითოეულ სულზე 0,43 დესეტინა მიწა მოდიოდა. ცხადია, ზოგს მეტი მიწა ჰქონდა, ზოგს – ნაკლები. გლეხობის 2%-ს საერთოდ არ გააჩნდა მამული.[4] 15,23%-ს მსხვილფეხა საქონელი არ ჰყავდა, ხოლო 39,51%-ს მუშა საქონელი არ ჰყოლია.[5] ევროპის ქვეყნებში მიწის დეფიციტის უარყოფითი შედეგების დაძლევა ძირითადად ინტენსიური მეურნეობის განვითარების საფუძველზე ხდებოდა. საქართველოში ამის პირობები არ არსებობდა.

წვრილმესაკუთრეთა მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც მცირემიწიანი და ღარიბი იყო, მეურნეობის ფინანსებით და ტექნიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობა არ გააჩნდა. თავადაზნაურობას ბანკების ვალი ახრჩობდა და ინტენსიურ მეურნეობაზე ნაკლებად ზრუნავდა. არც მსხვილი მემამულეები ზრუნავდნენ ამაზე. ბანკები მხოლოდ სესხის გაცემით იყვნენ დაინტერესებული.

საქართველოში გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწას იჯარით იღებდა (აღმოსავლეთ საქართველოში 60-64%, დასავლეთ საქართველოში 42%).[6] საიჯარო გადასახადი კი საკმაოდ მაღალი იყო. გარდა ამისა, გლეხი იხდიდა ღალას, საკომისიო, სასოფ-

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 148.
[2] ს. ავალიანი. მიწისმფლობელობა საქართველოში, გვ. 17.
[3] ს. ავალიანი. მიწისმფლობელობა საქართველო'ში, გვ. 17.
[4] ს. ავალიანი. მიწისმფლობელობა საქართველო'ში, გვ. 17.
[5] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 149.
[6] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 149.

ლო, საერობო, საგზაო და სხვა გადასახადს. ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ღალის ნატურით გადახდის პრეცედენტი.[1] მოიჯარე გლეხების უმრავლესობას მემამულეებთან ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. ცხადია, ის ვერ იქნებოდა დაინტერესებული, სხვის მიწაზე ფული დაებანდებინა.

ამრიგად, საქართველოს სოფელში არსებული უაღრესად მძიმე მდგომარეობა, კერძოდ, მიწის სიმცირე, მიწისმფლობელობის საკითხის მოუგვარებლობა, მეურნეობის პროგრესული მეთოდებით მართვის თვალსაზრისით მიწის მესაკუთრეთა სრული უუნარობა, მეურნეობის მართვის რუსული მანკიერი მეთოდების გადმონაშთები დღის წესრიგში აყენებდა აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობას. ამას მოითხოვდა არა მარტო გლეხობის მომავალი კეთილდღეობა, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. ცნობილია, რომ მეფის რუსეთის მიერ გატარებულმა რეფორმამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. დროებითმა მთავრობამ ამ მიმართულებით რადიკალური ცვლილებები ვერ განახორციელა, თუმცა თავისი მოღვაწეობის დასაწყისში მიწის საკითხის დადებითად გადაწყვეტის მცდელობა ჰქონდა. ამ მიზნით 1917 წლის 21 აპრილს გამოსცა დებულება *„საგუბერნიო და სამაზრო საადგილმამულო კომიტეტების შექმნის შესახებ“*,[2] რომლის მიზანი იყო აგრარული რეფორმისათვის ნიადაგის მომზადება. წარმოდგენილი დებულების პროექტი დამფუძნებელ კრებას უნდა დაემტკიცებინა. მაგრამ კრების მოწვევა გაჭიანურდა, ამიტომ ამ დოკუმენტის დამტკიცება საკანონმდებლო ორგანოში ვერ მოხერხდა.

ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების შემდეგ ამიერკავკასია ფაქტობრივად ჩამოსცილდა რუსეთს, შეიქმნა ადგილობრივი მთავრობა – კომისარიატი, რომელმაც 1917წ. 16 დეკემბერს დაამტკიცა დეკრეტი *„სახაზინო ყოფილი საუფლისწულო, სამონასტრო, იურიდიული პირების და კერძო მესაკუთრეთა მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ“*. დეკრე-

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 150.

[2] *ცსსა*, ფ 1915, აღწ. 1 საქ. 752, ფურც. 3-4.

ტის თანახმად ყველა მესაკუთრეს დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწები უსასყიდლოდ ჩამოერთმეოდა და სახელმწიფო ფონდში ჩაირიცხებოდა. საადგილმამულო კომიტეტები ამ მიწებს უმიწაო და მცირემიწიან გლეხებს გაუნაწილებდა.[1]

კომისარიატის დეკრეტს სერიოზული ხარვეზები ჰქონდა, მასში არ იყო განსაზღვრული მესაკუთრისათვის დასატოვებელი მიწის ნორმა, ასევე არ იყო გარკვეული, თუ რა წესით გადაეცემოდა გლეხობას მემამულისათვის ჩამორთმეული მიწები. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გაურკვევლობამ სოფლად აგრარულ ნიადაგზე წარმოშობილ სტიქიურ მოძრაობას გარკვეული სტიმული მისცა.

ამიერკავკასიის სეიმი ამ საკითხს უფრო რეალისტურად მიუდგა. 1918წ. 7 მარტს მიიღო კანონი, რომელიც მიწისმფლობელობის ნორმას განსაზღვრავდა. კერძოდ, მებაღეობა-მევენახეობა-მებოსტნეობის სფეროში დაკავებულთათვის მიწის ნორმა 7 დესეტინით განისაზღვრა. მარცვლეულის მწარმოებელთათვის 15 დესეტინით, ხოლო მეცხოველეობისათვის 40 დესეტინა.[2] სეიმის მიერ მიღებული კანონი ადასტურებდა ჩამორთმეული მიწების საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში გადაცემას. მათ უფლება ეძლეოდათ კანონის ფარგლებში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, თავიანთი შეხედულებისამებრ ემოქმედათ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საადგილმამულო საკითხებს გაცილებით მეტი ყურადღება მიექცა. საქართველოს ხელისუფლებას გაცნობიერებული ჰქონდა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის სწორად წარმართვის აუცილებლობა. ამ სფეროს ძირითადად მთავრობა, კერძოდ, მიწათმოქმედების სამინისტრო უძღვებოდა. სეიმმა მიწის ნორმა კი განსაზღვრა, მაგრამ მიწისმფლობელობის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩებოდა. ამ უაღრესად სერიოზულ პრობლემაზე პოლიტიკურ პარტიებს

---

[1] ა. სურგულაძე. ამიერკავკასიის კომისარიატის და სეიმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. VI, გვ. 345.

[2] ს. ავალიანი. მიწისმფლობელობა საქართველოში, გვ. 27.

განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ.

სოციალისტ-ფედერალისტებმა პარლამენტში განსახილველად საკუთარი კანონ-პროექტი წარადგინეს. სოციალისტ-ფედერალისტების პროექტის თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიწა ხალხის საკუთრებად ცხადდებოდა. მიწით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ მიწის მუშას. საქართველოს მოქალაქეს – თანაბარი უფლებით, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სქესისა, საჭიროების გათვალისწინებით.

საერთო-სახელმწიფოებრივი მიწის ფონდი სახელმწიფოს სრულ განკარგულებაში გადადიოდა. დანარჩენი მიწის განმკარგავი ადგილობრივი თვითმმართველობა ხდებოდა, რომელსაც სახელმწიფო გაუწევდა ზედამხედველობას. ქვეყნის ფარგლებში მიწის ყიდვა-გაყიდვა იკრძალებოდა. სახელმწიფოს ევალებოდა მიწის მუშების ამხანაგობების, კოოპერატივების ხელშეწყობა, რომლებიც მიწას საერთო შრომით დაამუშავებდნენ და მოსავალს შრომის მიხედვით გაინაწილებდნენ.[1] ასეთი იყო სოციალისტ-ფედერალისტების პოზიცია მიწის საკითხთან დაკავშირებით.

სოციალ-დემოკრატებს თავიდან მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამა ჰქონდათ. ამ პროგრამის მიხედვით სახელმწიფო მნიშვნელობის გარდა, ყველა მიწა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში გადადიოდა, რომელიც განსაზღვრულ საიჯარო ფასში დაარიგებდა მიწას. შემოსული თანხა თვითმმართველობის ამხანაგობებში ჩაირიცხებოდა და ადგილზე არსებული პრობლემების მოგვარებას მოხმარდებოდა.[2]

მოგვიანებით სოციალ-დემოკრატები ამ პროგრამის უარყოფამდე მივიდნენ. „ჩვენ სასურველად მიგვაჩნია მიწის მუნიციპალიზაცია, მაგრამ ცხოვრების კანონი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი მოსაზრებები... წვრილ წარმოებას კერძო უფრო ეგუება, ამიტომ ავიღეთ ჩვენ ხელი მუნიციპალიზაციაზე და შევჩერდით ისეთ ფორმაზე, რომელიც არც ეკონომიკურ განვითარე-

---

[1] *სცსსა*, ფ 1836, აღწ. 1 საქ. 44, ფურც. 243-244.

[2] გაზ. *„საქართველო“*, 6.VI.1918.

ბას შებორკავს და არც მასებისთვის იქნება მიუღებელი — ეს არის მიწის კერძო საკუთრება“, — აცხადებდნენ სოციალ-დემოკრატები.[1]

რაც შეეხება სოციალისტ-რევოლუციონერებს, ისინი მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც თავიდან ბოლომდე იბრძოდა მიწის კერძო საკუთრებისთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო. ეროვნულ-დემოკრატები კატეგორიულად მოითხოვდნენ უმიწო გლეხობისათვის შეღავათიან ფასებში, გრძელვადიანი კრედიტით მიწის სრულ საკუთრებაში გადაცემას.[2] სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა გლეხობის მიწით სარგებლობის ფორმის საკითხი (გამოსყიდვით თუ უსასყიდლოდ). პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მიწის შესყიდვას უჭერდა მხარს. მათი ვარაუდით, გლეხობის ნაწილს მიწის შესყიდვისკენ ჰქონდა მისწრაფება. თუ სახელმწიფო ამის შესაძლებლობას მისცემდა, მესაკუთრე გლეხთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა. ხაზინაში კი სოლიდური თანხა ჩაირიცხებოდა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ოდნავ მაინც გააუმჯობესებდა.[3]

საპირისპირო მოსაზრების ავტორებს მიაჩნდათ, რომ გლეხობის მიერ მიწის შესყიდვის დაკანონება ქვეყანაში ქაოსს და უწესრიგობას ხელსაყრელ ნიადაგს შეუქმნიდა. წლების მანძილზე გლეხობისათვის მიწის უფასოდ გადაცემის მუდმივი დაპირისპირების ფონზე ძნელი იქნებოდა მათი დაყოლიება მიწის შესყიდვაზე. სოციალ-დემოკრატებმა თვითონ ჩაიგდეს თავი უხერხულ მდგომარეობაში. მენშევიკები მართლაც პირდებოდნენ გლეხებს მიწის უფასოდ გადაცემას, ამიტომ მათთვის სხვა წინადადების შეთავაზება ეუხერხულებოდათ.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, აგრარული რეფორმა, შეიძლება ითქვას, მოკლე დროში მომზადდა. 1919წ. 28 იანვარს საქართვე-

---

[1] გაზ. *„ერთობა“*, 18.I.1919.
[2] გაზ. *„საქართველო“*, 21.VI.1918.
[3] გაზ. *„ერთობა“*, 18.I.1919.

ლოს პარლამენტმა მიიღო კანონი *„სახელმწიფო საადგილმამულო ფონდებიდან გლეხობისათვის მიწის კერძო საკუთრებად გადაცემის შესახებ“*. კანონი ყველა სახელმწიფო, საუფლისწულო, საეკლესიო-სამონასტრო და კერძო მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციას და სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში ჩარიცხვას ითვალისწინებდა.[1] ტყეები, წყლები, საძოვრები, ბუნებრივი წიაღისეული კულტურული და საკლევ-საცდელი მეურნეობები სახელმწიფო მეურნეობებად გამოცხადდა და არ ექვემდებარებოდა განაწილებას. დანარჩენი მიწა კი ეძლეოდათ კერძო საკუთრებაში უმიწო და მცირემიწიან გლეხებს, ვინც მიწათმოქმედებით ირჩენდა თავს.

მემამულეებისათვის დასატოვებელი მიწა მისი ხარისხისა და გაშენებული კულტურის მიხედვით სამ კატეგორიად იყოფოდა და მესაკუთრეს რჩებოდა იმ ნორმით, რომელიც ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 7 მარტს დაამტკიცა (7-15-40). რაც შეეხება გამოსასყიდის[2] ნორმას, მიწის მიმღები გლეხებისათვის უნდა გადაეწაწილებინათ ის თანხა, რომელიც, რეფორმის გატარების და მიწათმოქმედების გაუმჯობესებისათვის ფონდის შესაქმნელად დაიხარჯა. 1920 წლისთვის საქართველოში სახელმწიფო ფონდში ჩაირიცხა 610 553 დესეტინა მიწა.

სახელმწიფო მიწის ფონდი, იმის გამოკლებით, რომელიც ქვეყნის სამომავლო საჭიროებისათვის იყო გათვალისწინებული, 350-480 დესეტინას შეადგენდა. მაშინ საქართველოში დაფიქსირებული 317633 ოჯახიდან თითოეულს უწევდა დაახლოებით 1 დესეტინა (1 ჰა-ზე ცოტა მეტი). ამასთან ზოგი მესაკუთრე იყო. ცხადია, ის მიწას ვერ მიიღებდა. ეს არ იყო საკმარისი, მაგრამ საერთოდ უმიწოთათვის მაინც ერთგვარი შვება იყო. 28 იანვრის დეკრეტით ყოფილი სანადელო მიწები, რომლის დაკანონება დროებით ვალდებულმა გლეხებმა 1912წ. 20 დეკემბრის კანონის

---

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული.* 1918-1921წწ. თბ; 1990, გვ. 217.

[2] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული,* გვ. 217.

თანახმად ვერ მოახერხეს, გამოცხადდა კერძო საკუთრებად.[1]

კერძო საკუთრებად გამოცხადდა აგრეთვე ყოფილი სახაზინო გლეხების მიწები, რომელიც მათ საშვილიშვილო სარგებლობაში იმყოფებოდა, ასევე ხიზნების საიჯარო უფლებით სარგებლობაში მყოფი მიწები.[2] 28 იანვრის დეკრეტის მიღებამდე საქართველოს მთავრობამ ნაყოფიერად იმუშავა. 1918წ. მაისიდან მიმდინარეობდა მემამულეებისათვის ნორმაზე მეტი მიწების კონფისკაცია, ხოლო 1919წ. მარტიდან კი დაიწყო ჩამორთმეული მიწების გლეხების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.[3] რეფორმის პერიოდში მიმღები კომისიები, რომლებიც ყველა მაზრაში იყო შექმნილი, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა დუშეთის მაზრაში, ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების შედეგად კომისიებმა მუშაობა შეწყვიტეს.[4]

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, საჩხერისა და ლეჩხუმის მაზრებში, ოსებით დასახლებულ სოფლებში, ბორჩალოს მაზრაში.[5] ბორჩალოს მაზრაში მოსახლეობაზე უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივ მუსლიმთა მხრიდან ანტირეფორმულმა პროპაგანდამ. ისინი სდევნიდნენ მიმღებ კომისიებს, ხალხს არწმუნებდნენ, რომ მოვიდოდა ამ მიწის ნამდვილი პატრონი და ის დაურიგებდა ყველას თავის კუთვნილ მიწას. დუშეთიდან ბოლშევიკების განდევნის შემდეგ აქ და სხვა რაიონებშიც 1918 წლის შემოდგომაზე კომისიებმა მუშაობა განაახლეს.

აფხაზეთში კონსტიტუციის შემუშავებამდე აგრარული რეფორმის განხორციელება და სახელმწიფო მამულების გამგებლობა დაეკისრა აფხაზეთის კომისარიატს, რომელიც საქართველოს მი-

---

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული*, გვ. 218.

[2] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული*, გვ. 218.

[3] *სცსსა*, ფ 1915, აღწ. 1 საქ. 8. ფურც. 7.

[4] *სცსსა*, ფ 1915, აღწ. 1 საქ. 8. ფურც. 7.

[5] *სცსსა*, ფ 1915, აღწ. 1 საქ. 8. ფურც. 7.

წათმოქმედების სამინისტროსთან შეთანხმებით ნიშნავდა ხელმძღვანელ პირებს.[1] სოხუმის ოლქში კომისიებმა მუშაობა 1918 წლის დეკემბრიდან დაიწყეს.

1918წ. 7 მარტის კანონი ქალაქების ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა, ამიტომ მის ფარგლებში მოქცეული მიწები ხელშეუხებელი დარჩა. რეფორმის ორგანიზატორები ამ საკითხით დაინტერესდნენ. მიწათმოქმედების სამინისტრომ ქალაქების ხელმძღვანელობასთან, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა რეკომენდაცია ქალაქის საზღვრების გამიჯვნისა და მის ფარგლებს გარეთ დარჩენილი მიწების სახელმწიფო ფონდში გადაცემის შესახებ.[2] მიწის ნორმას განსაზღვრავდა ქალაქის გამგეობა და მიწათმოქმედების სამინისტრო ამტკიცებდა. შესაძლებელი იყო ჩამორთმეული მიწების იჯარით აღება.[3]

აგრარული რეფორმის კონტექსტში ჯდება საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1920წ. 28 მაისის კანონი *„მკვიდრთაგან მიტოვებული ყოფილი სახაზინო-სანადელო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლის შესახებ“*. ის მიწები, რომლებიც 1919წ. 28 იანვრის კანონით კერძო საკუთრებად გამოცხადდა, მაგრამ მეპატრონეები არ ცხოვრობდნენ საქართველოში, საადგილმამულო ფონდს გადაეცემოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამ კანონის გამოცხადებისა, არ დაუბრუნდებოდნენ თავიანთ მამულებს.[4] ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1920წ. 10 თებერვლის დეკრეტი, რომელიც მიწების ყიდვა-გაყიდვის თავისუფლებას აწესრიგებდა.[5]

---

[1] *სცსსა*, ფ 1915, აღწ. 1 საქ. 8. ფურც. 8

[2] *სცსსა*, ფ 1891 აღწ. 1 საქ. 650. ფურც. 7

[3] *სცსსა*, ფ 1891 აღწ. 1 საქ. 650. ფურც. 7-8

[4] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, სტენოგრაფიული ანგარიში, მე-20 სხდომა, 28.V.1920, გვ. 1.

[5] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, სტენოგრაფიული ანგარიში, 86-ე სხდომა, 1920.10.II, გვ. 3.

რეფორმის პირველ წელს მესაკუთრეთა მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელუხლებელი დარჩა. მამულის მფლობელებს ნორმაზე მეტი მიწა კი ჩამოართვეს, მაგრამ დროებით პატრონს დაუტოვეს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. საიჯარო გადასახადი შედარებით მცირე იყო, ამიტომ თითქმის ყველა მიწათმფლობელი ცდილობდა ნორმაზე მეტი მიწა თავისი მეურნეობის ფარგლებში დაეტოვებინა. ასეთი პრაქტიკა დაახლოებით ერთი წელი გაგრძელდა. აგრარული რეფორმის გატარების პროცესში აშკარად ჩანდა, რომ წამოწყებული რეფორმა მოსახლეობას მიწით სრულად ვერ დააკმაყოფილებდა, ამიტომ საჭირო გახდა ქვეყნის მჭიდროდ დასახლებული რაიონებიდან უმიწო და მცირემიწიანი გლეხების იმ რაიონებში ჩასახლება, სადაც შედარებით უფრო მეტი აუთვისებელი მიწის ფონდი არსებობდა.

ამ ღონისძიებების გატარება მთავრობამ 1918წ. მეორე ნახევრიდან დაიწყო. ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასაზღვრო რაიონებში აუთვისებელ მიწებზე ქართველი გლეხობის დასახლებას.[1] ხელისუფლების ამ საკითხით დაინტერესებას რეალური საფუძველი ჰქონდა. კერძოდ, იყო შემთხვევები, როდესაც მეზობელ ქვეყნებთან დაპირისპირებისას (მხედველობაში გვაქვს კონფლიქტები სომხეთთან და აზერბაიჯანთან) სასაზღვრო რაიონებში მცხოვრებ არაქართული მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ანტიქართული პოზიცია ეკავა, ამიტომ აქ უმიწო ქართველი გლეხების ჩასახლება უსაფრთხოების თვალსაზრისითაც გამართლებული იყო. უმიწო გლეხების ჩასახლება პირველად ლაგოდეხის რაიონში დაიწყო, შემდეგ ზაქათალის ოლქში, შირაქის, ელდარის და ახალქალაქის მაზრებში, მამისონის უღელტეხილზე.[2]

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა უმიწო ქართველი გლეხების აფხაზეთში ჩასახლებას. ამ საკითხს ოფიციალური ხასიათი ვერ მიეცა. აფხაზეთის სახალხო საბჭო მასთან შე-

---

[1] *სცსსა*, ფ 1915, აღწ. 1 საქ. 951. ფურც. 1

[2] *სცსსა*, ფ 1815, აღწ. 1 საქ. 951, ფურც. 2, ფურც. 5

თანხმების გარეშე ამ მხარეში ქართველების ჩასახლების წინააღმდეგი იყო. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის ოფიციალურ წარმომადგენლებს შეხვედრები ჰქონდათ მთავრობის თავმჯდომარესთან, მიწათმოქმედების მინისტრთან. ისინი თხოვდნენ ნ. ჟორდანიას მუჰაჯირების სამშობლოში დაბრუნების საკითხის გარკვევამდე საქართველოს მთავრობას შეეჩერებინა ჩასახლების პროცესი. ნ. ჟორდანია ამ საკითხთან დაკავშირებით სათანადო რეაგირებას დაჰპირდა.[1] მიუხედავად ამისა სოხუმის ოლქში ქართველი გლეხების ჩასახლების პროცესი გრძელდებოდა.

უმიწო და მცირემიწიანი გლეხების ჩასახლება მიმდინარეობდა თბილისის, გორის, თელავის, თიანეთის მაზრებში, მარაბდაში, სართიჭალაში და სხვაგან. ამ პერიოდისთვის საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჩასახლებულ იქნა 2800 კომლი, უკვე მოძიებული თავისუფალი მიწის ფონდმა შეადგინა 67000 დესეტინა, სადაც დაახლოებით 8 ათასი კომლის ჩასახლება იქნებოდა შესაძლებელი.[2] საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული შიდამიგრაციული ღონისძიებები სასარგებლო იყო გლეხთა მიწით დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ამასთან მას სტრატეგიული დატვირთვაც ჰქონდა.

ამრიგად, 1918-1921 წლებში საქართველოში გატარებული აგრარული რეფორმა ძირითადად დადებით შეფასებას იმსახურებს. ამით მენშევიკურმა მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სოფლად ბურჟუაზიული გარემოს შექმნისაკენ.

მემარჯვენე მიმართულების პოლიტიკურმა ძალებმა დადებით შეფასებასთან ერთად რეფორმის მიმართ არაერთი კრიტიკული შენიშვნა დააფიქსირეს. ეროვნულ-დემოკრატები არასწორად მიიჩნევდნენ მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციას. მათი აზრით, უმიწო გლეხები იმ მესაკუთრეების ხარჯზე უნდა დაეკმაყოფილებინათ, რომლებიც სოლიდურ მიწის ფონდს ფლობდნენ, მაგრამ სათანადოდ არ ამუშავებდნენ მას. ასევე მიწა არ უნდა ჩამორთმეოდა იმ მემამულეებს, რომლებმაც დიდი რაოდენობით კაპიტალი

---

[1] *სცსსა*, ფ 1915, აღწ. 1 საქ. 947. ფურც. 8
[2] *სცსსა*, ფ 1915, აღწ. 1 საქ. 951. ფურც. 6

ჩადეს ინტენსიური მეურნეობის შესაქმნელად.[1] არადა მოხდა ისე, რომ ყველა, დიდი თუ პატარა მესაკუთრე, რომელსაც მეურნეობის მართვის მრავალწლიანი ტრადიცია ჰქონდა, მამაპაპურ მამულს ჩამოაცილეს და 7 დესეტინა მიწის ამარა დატოვეს. მესაკუთრეთათვის დასატოვებელი მიწის ნორმის განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული მათი ოჯახების შემადგენლობა, არ იყო ბოლომდე არგუმენტირებული დეკრეტის ის მუხლი, მესაკუთრეზე დასატოვებელი მიწის ნორმას რომ განსაზღვრავდა იმის მიხედვით, თუ მეურნეობის რა სფეროთი იყო ის დაკავებული.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ალ. ასათიანს 7 დესეტინა მიწაზე სრულყოფილი მეურნეობის მოწყობა შეუძლებლად მიაჩნდა: „მეურნეთათვის, რომლებსაც 10 დესეტინა მიწა შეუძენიათ და მოუწყვიათ მეურნეობა, გაუშენებიათ ბაღ-ვენახები, 3 დესეტინა მიწის ჩამორთმევას რეალობის შეფასებასთან არავითარი კავშირი არ აქვს". თუმცა დებულების მიხედვით რეფორმის ადგილობრივ ორგანოებს რეალური პირობების გათვალისწინებით 7 დესიატინიდან 10-მდე აყვანის შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ რეფორმის გატარების პროცესში მსგავსი პრეცედენტი არ შექმნილა.

საქართველოში მიმდინარე აგრარული რეფორმა მკაცრად გააკრიტიკა გერმანულმა გაზეთმა. ექსპროპრიაციის ან ძალდატანებით საკუთრების მოსპობის შესახებ დეკრეტი მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც გამოქვეყნდა და მან გამანადგურებელი შედეგი მიიღო. სეიმმა დაადგინა, რომ ყველა არაგლეხი, დიდი მესაკუთრე მამა-პაპურ მიწას ჩამოცილებოდა და საკუთარი მამულებიდან სამოწყალოდ 7 დესეტინა მიწა რგებოდა. იმ წოდებას, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში მიწათმოქმედის კულტურა შეინახა და დაიცვა, უცერემონიოდ წაართვეს მამული. კანონის შემდგენლებს დაავიწყდათ, რომ ძალდატანებითა და ასეთი სიჩქარით საკუთრების შეცვლას თან სდევს სამეურნეო კრიზისი. ასეთი ფორმით მიწების ჩამორთმევას არც ერთ კულტურულ ქვეყანაში ადგილი არ ჰქონია.[2]

---

[1] *კ. კანდელაკი.* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 121.

[2] გაზ. *„საქართველო"*, 6.IX.1918, გადმობეჭდილია გერმანული გაზე-

აგრარულ რეფორმას მარცხნიდანაც აქტიურად უტევდნენ. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ მოუწოდა დამფუძნებელ კრებას, გაეუქმებინა ადრე მიღებული აგრარული კანონები. ილია ნუცუბიძემ აგრარული კანონის ძირითად ნაკლად მიიჩნია ის, რომ მას არ ასულდგმულებდა სოციალისტური იდეალი, რომ ის არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული დოკუმენტი.[1] ესერთა პროტესტი კიდევ უფრო გამძაფრდა მიწის ყიდვა-გაყიდვის კანონის მიღების შემდეგ.

სოციალისტ-ფედერალისტები ესერების მსგავსად ბრალს სდებდნენ მმართველ პარტიას სოციალიზმის პრინციპების ღალატში. მთავრობის ადრინდელ საქმიანობას და სამომავლო გეგმას მკაცრად აკრიტიკებდა სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერი შ. ალექსი-მესხიშვილი: სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, აღებ-მიცემობაში მთავრობა უნდა მიისწრაფოდეს, სადაც კი შესაძლებელია, კოლექტივიზაციისაკენ... მთავრობა ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს კოლექტიურ წარმოებას სოფლად[2] და ა.შ.

რეფორმის მიმართ, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან გამოთქმულ პრეტენზიებს თავისებურად პასუხობდნენ მთავრობის წარმომადგენლები. მემამულეებისათვის დასატოვებელი მიწების დაბალი ნორმის დაწესებასთან დაკავშირებით ოპოზიციის შენიშვნებზე პასუხი ასეთი იყო: „უმიწაწყლო მოსახლეობის მიწით დაკმაყოფილება, მხოლოდ მესაკუთრეთა მამულების ჩამორთმევის ხარჯზე იყო შესაძლებელი. ამ უკანასკნელთა შორის ცოტა იყო მსხვილი მემამულე, ხოლო უმიწაწყლო გლეხობა – მრავალრიცხოვანი. ამიტომ შექმნილი სიტუაცია მოითხოვდა მემამულეებისათვის რაც შეიძლება ნაკლები მიწის ნორმა დაგვეწესებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში უმიწაწყლო გლეხობის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო“.[3] რაც შეეხება მესაკუთრეებისათვის კომპენ-

---

თიდან *„Kaukazische Post“*.

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, სტენოგრაფიული ანგარიში, მე-80 სხდომა, 1920, 23.I, გვ. 10-11.

[2] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბ., 2001, გვ. 232.

[3] ჯ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 152.

საციების გაცემას, ამის შესაძლებლობა სახელმწიფოს არ გააჩნდა. აღსანიშნავია რომ ჩამორთმეული მიწების უდიდესი ნაწილი თავადაზნაურობას, სამღვდელოებასა და ვაჭარ-კაპიტალისტებს ეკუთვნოდა. მაგრამ მათ ამ ღონისძიებებისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. თავადაზნაურობა აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, ამიტომ თავისი მიწების უდიდესი ნაწილის დაკარგვას ის ეროვნული თავისუფლების სამსხვერპლოზე მიტანილ წვლილად თვლიდა.[1]

სოციალ-დემოკრატები არც მემარცხენეთა კრიტიკულ შენიშვნებს ტოვებდნენ უპასუხოდ. ამ მხრივ აღსანიშნავია 1920წ. 23 იანვრის დამფუძნებელი კრების სხდომაზე სოციალ-დემოკრატ კ. ნინიძის გამოსვლა, რომელიც შეეხებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვის თავისუფლებას, რომლის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები. კ. ნინიძე მიუთითებდა, რომ თუ არსებობს მიწაზე საკუთრების უფლება, მაშინ მისი ყიდვა-გაყიდვის უფლებაც უნდა არსებობდეს. რომ საკუთრების უფლება თავისთავად გულისხმობს ყიდვა-გაყიდვის უფლებას.[2] აგრარული რეფორმის საწყის ეტაპზე, – აღნიშნავდა კ. ნინიძე, – საჭირო იყო მსხვილი მემამულისათვის მიწის გაყიდვის აკრძალვა. ამჯერად მსხვილი მიწათმფლობელობა ლიკვიდირებულია, ამდენად 1918წ. 23 თებერვლის კანონმა ამოწურა თავისი დანიშნულება. ახლა იგი უკვე ეწინააღმდეგება გლეხობის ინტერესებს.[3]

საქართველოს ხელისუფლების საქმიანობას, კერძოდ ქვეყანაში გატარებულ აგრარულ რეფორმას დადებითი შეფასება მისცეს 1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში სტუმრად მყოფმა დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიათა ლიდერებმა. გერ-

---

[1] ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია. სასკოლო სახელმძღვანელო. თბ., 1991, გვ. 18.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, სტენოგრაფიული ანგარიში, მე-80 სხდომა, 1920, 23.I, გვ. 6-7

[3] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, სტენოგრაფიული ანგარიში, მე-80 სხდომა, 1920, 23.I, გვ. 7. 1918წ. 23 თებერვლის ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო კანონი მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

მანელი სოციალისტის ემილ ვანდერველდეს მიერ 1920 წლის 20 ოქტომბერს ჟურნალ *„ლე პოპლ“*-ში გამოქვეყნებულ სტატიაში – *„პირველი სოციალისტური მთავრობა“* – ვკითხულობთ 1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში, არის არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მიერ, ... შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობებთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების გონიერება და სიბრძნე.“[1]

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პიერ რენოლცი 1920წ. ნოემბერში გაზეთ *„ლე პროგრესს დე იუნიონ“*-ის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილების სერიაში აღნიშნავს, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გამოასწორეს თავიანთი რუსი თანამოაზრეების შეცდომა და დროულად, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის რესპუბლიკის არსებობის დროს, დაიწყეს აგარარული რეფორმის გატარება, მოხდა სრული აგრარული რევოლუცია სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანად“.[2] ქართველი სოციალ-დემოკრატების საქმიანობა შეაფასა აგრეთვე ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა რამზეი მაკდონალდმა. „საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ ის შეძლო, რაც ევროპის სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატებმა ვერ მოახერხეს... მათ უკონფლიქტოდ გაატარეს აგრარული რეფორმა, სოციალური კანონმდებლობა, შრომა დაუდეს საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას“.[3]

დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიათა ლიდერების მიერ მენშევიკური მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ესოდენ მაღალი შეფასება გადაჭარბებულად გვეჩვენება, მაგრამ მის მიერ გატარებული აგრარული რეფორმის შეფასებაზე ხელის ჩაქნევა არ იქნებოდა სამართლიანი. მართალია, საქართველოში აგრარული რეფორმა გატარდა უფრო ადრე, უფრო სრულად, ვიდრე რუსეთის იმპერიის სივრციდან გამოსულ სხვა

---

[1] ლ. თოიძე. ინტერვენცია ოკუპაციაც, ძალდატანებითი ოკუპაციაც, ფაქტობრივი ანექსია. თბ, 1991, გვ. 82-83.

[2] ლ. თოიძე. ინტერვენცია ოკუპაციაც.., გვ. 82.

[3] ლ. თოიძე. ინტერვენცია ოკუპაციაც.., გვ. 83.

სახელმწიფოებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ხარვეზებით, მაგრამ საქართველო ამ მხრივ მაინც არ ყოფილა პიონერი.[1] პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის არაერთ ქვეყანაში ჩატარდა აგრარული რეფორმა. ზოგან უფრო რადიკალური, ზოგან — ზომიერი. ყველგან რეფორმის ძირითადი მიზანი უმიწაწყლო გლეხობის მიწით უზრუნველყოფა და წვრილმესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო. ყოველივე ეს მსხვილ მემამულეთა ნორმაზე მეტი მიწის კონფისკაციის ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ სასყიდლის გადახდით.[2] ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში აგრარული კანონმდებლობა, აგრარულ რეფორმასთან ერთად წვრილმესაკუთრეთა მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, იაფფასიანი კრედიტით და სასოფლო-სამეურნეო განათლებით უზრუნველყოფის აუცილებლობას აფიქსირებდა. გერმანიაში, ავსტრიაში, ფინეთში და სხვაგან მესაკუთრეთა და სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების საფუძველზე ხდებოდა.[3]

ამ ფონზე საქართველოში გატარებული რეფორმა გარკვეულწილად არასრულყოფილი და ზოგჯერ კი არადემოკრატიულიც იყო. მენშევიკური მთავრობის აგრარული პოლიტიკა არ იყო ბურჟუაზიული მიმართულებით ცალსახად გამოკვეთილი. მართალია, საკმაოდ ფართო ასპარეზი მიეცა კერძო ინიციატივას, ინდივიდუალურ მეურნეობას, მაგრამ მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად რჩებოდა. მთავრობას არც მუნიციპალიზაციის პროცესზე აუღია ხელი. საკმაოდ სოლიდური მიწის ფართობი დაისაკუთრეს საერობო და საქალაქო თვითმმართველობებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. რაციონალურად გამართულ მამულების ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები. სახელმწიფო მეურნეობებად გარდაიქმნა ასევე საუფლისწულო უწყების მამულები[4] და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ერთხელ კიდევ ვაფიქსირებთ ჩვენს პო-

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 155.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 155.
[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, გვ. 155.
[4] ალ. ბენდიაშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა.., გვ. 122.

ზიციას, რომ მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული აგრარული რეფორმა დადებითი მოვლენა იყო დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში. საქართველომ აირჩია, როგორც ამას მაშინდელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავდა, „სოციალისტურ თეორიაში ჯერ კიდევ გაურკვეველი და სადავო, მაგრამ ცხოვრების სინამდვილესთან ორიენტირებული გზა“.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის უმთავრესი დარგი იყო. ორ მილიონამდე ადამიანი მიწაზე მუშაობით ირჩენდა თავს, ქალაქში კი მოსახლეობის მხოლოდ 17.8% ცხოვრობდა. ეს მაჩვენებელი ბელგიაში 78.8% აღწევდა, ინგლისში 73.5%, გერმანიაში 60%, საფრანგეთში 42%.[1]

მსოფლიო ომმა სოფლის მეურნეობა ჩვენშიც უკიდურესად დააკნინა. მენშევიკური მთავრობა სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა. აგრარული კანონმდებლობის მიღების შემდეგ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. მაგრამ ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის ჯერ კიდევ დრო იყო საჭირო. ჩვენში 1 დესეტინა მიწაზე საშუალოდ 50-57 ფუთი ხორბალი მოდიოდა. ბელგიაში კი 161 ფუთი, დანიაში 183 ფუთი, გერმანიაში 127 ფუთი. ერთ დესეტინაზე ვენახის საშუალო მოსავლიანობა ჩვენში 95 ვედროს აღწევდა, ხოლო საფრანგეთში 137 ვედროს, გერმანიაში 235 ვედროს, შვეიცარიაში 319 ვედროს. თამბაქო ჩვენში ერთ დესეტინაზე 49 ფუთი მოდიოდა, ხოლო გერმანიაში 114 ფუთი, ჰოლანდიაში 129 ფუთი.[2]

ანალოგიური მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობის სხვა სფეროში. „ძველი ცხოვრების მძიმე ცოდვები დიდხანს ექნება ჩვენს ქვეყანას სათრევი“. — აღნიშნავდა იმჟამინდელი მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი.[3] მინისტრის მიერ ეს ფრაზა

---

[1] **ნ. ხომერიკი**. საქართველოს აგრარული რეფორმა და სასოფლო მეურნეობა. თბ., 1920, გვ. 32.

[2] **ნ. ხომერიკი**. საქართველოს აგრარული პროგრამა.., გვ. 32.

[3] **ნ. ხომერიკი**. საქართველოს აგრარული პროგრამა.., გვ. 32.

შემთხვევით არ იყო დაფიქსირებული. საქართველოში მაშინ არსებული პრიმიტიული ტექნიკისა და დაბალი აგრონომიული აზროვნების ფონზე კონკრეტულ ფართობზე მოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით რაიმე წარმატების მიღწევა უაღრესად ძნელი იყო. არადა სასურსათო კრიზისის გაღრმავების პირობებში აუცილებელი იყო ეფექტური ზომების მიღება. მითუმეტეს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წელს გარედან ხორბლის შემოტანა ვერ ხერხდებოდა.

რა თქმა უნდა მთავრობა გულხელდაკრეფილი არ იჯდა, პირიქით ცდილობდა მოსახლეობის საკუთარი პურით დაკმაყოფილებისათვის ებრძოლა. ეს ძნელად განსახორციელებელი იყო, მაგრამ მიწათმოქმედების მინისტრი ამის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა, უპირატესად სათესი ფართობის გადიდების ხარჯზე. მისი ვარაუდით საქართველოს წელიწადში 41500000 ფუთი ხორბალი სჭირდებოდა.[1] ომამდე ჩვენში სათეს-სახნავი მიწა 650 ათას დესეტინამდე აღწევდა, რომელიც 33-35 მილიონ ფუთ მარცვალს იძლეოდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან დაახლოებით 7.5 მლნ ფუთი ხორბალი შემოჰქონდათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან სომხეთში 1 მლნ. ფუთი ქერი გადიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოდან 3 მლნ. ფუთი სიმინდი ოსმალეთში, მაშინ პურის დეფიციტი 3-4 მლნ. ფუთს არ გასცილდებოდა, მინისტრის მტკიცებით ამის აღმოფხვრა საკუთარი შესაძლებელი იყო.[2]

1918წ. მარცვლეულის სათესი ფართობის სივრცემ 520 მილიონი დესეტინა შეადგინა. 1919 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. რომ არა უამინდობა ამ წელს შეიძლებოდა საკუთარი პურით დაკმაყოფილება – აცხადებდა ნ. ხომერიკი.[3] ამასთან დაკავშირებით ჩვენ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მინისტრის პროგნოზი ცოტა გადაჭარბებული გვეჩვენება. იმჟამად საქართველოსი სოფლის მეურნეობაში დამკვიდრებული

---

[1] **ნ. ხომერიკი.** საქართველოს აგრარული რეფორმა.., გვ. 34.
[2] **ნ. ხომერიკი.** საქართველოს აგრარული პროგრამა.., გვ. 34.
[3] **ნ. ხომერიკი.** საქართველოს აგრარული პროგრამა.., გვ. 35.

უაღრესად არახელსაყრელი პირობების გამო. მარცვლეულის სათესი მიწის ფართობის გადიდების თვალსაზრისით მთავრობის გეგმაში დაზიანებული და დაცვით მნიშვნელობადაკარგული ტყის გაჩეხვა შედიოდა. მთავრობის ვარაუდით ამ სამუშაოს ჩატარების შემდეგ სახნავ-სათეს სივრცეს 100 ათას დესეტინაზე მეტი ფართობი შეემატებოდა.[1] მთავრობის მიერ იგეგმებოდა სერიოზული სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოების ჩატარება, რასაც უნდა მოჰყოლოდა დაახლოებით 148 ათასი დესეტინა მიწის ხალხის სამსახურში ჩაყენება.[2]

მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თუ ამჟამად მევენახეობის ძირითად რეგიონად კახეთი ითვლება, ამ მხრივ დასავლეთ საქართველო არანაკლებ იყო დაწინაურებული. მთლიანად ვენახს საქართველოში 50 ათასამდე დესეტინა ფართობი ეკავა. აქედან: დასავლეთ საქართველოში 30 ათასი დესეტინა, აღმოსავლეთ საქართველოში 20 ათასი.[3]

დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ ღვინოს დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში. აღმოსავლეთ საქართველო ღვინის წარმოებით დასავლეთ საქართველოს ჩამორჩებოდა, მაგრამ აღმოსავლური ღვინო უფრო მაღალი ხარისხის იყო. მეღვინეობის უმთავრეს რეგიონად კახეთი ითვლებოდა. სპეციალისტების დასკვნით კახური წითელი ღვინო (საფერავი) ტოლს არ უდებდა საფრანგეთის – ბორდოსა და ბურგუნდიის ღვინოებს. სასიამოვნო სურნელით და გემოთი გამოირჩეოდა კახური „რქაწითელა“. მაგრამ ის ხარისხით ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის სახელგანთქმულ ღვინოებს.

მევენახეობა ქართლის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო. მაღალი ხარისხის ღვინოს აწარმოებდნენ ს. ატენში, ხიდისთავში, მუხრანში. რაჭა-ლეჩხუმი ცნობილი იყო ალ-

---

[1] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული რეფორმა.., გვ. 34.
[2] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული რეფორმა.., გვ. 34.
[3] ბ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია. თბ., გვ. 103.

ექსანდრულით.[1] საქართველოში ამ პერიოდში 7.5 მილიონ ვედრო ღვინოს აწარმოებდნენ. აქედან 1/5 შიდა ბაზარზე გადიოდა, ხოლო 3/5 ადგილობრივი მოსახლეობა ხმარობდსა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი, უმთავრესად რუსეთში მხოლოდ 1/5 გაჰქონდათ.[2] ღვინოს უმეტესწილად ოჯახში პრიმიტიული მეთოდით აყენებდნენ. შინაური წესით დაყენებული ღვინო ვერ იტანდა ტრანსპორტირებას და მალე ფუჭდებოდა. თანამედროვე ტექნოლოგიებით ღვინოს მხოლოდ სახელმწიფო მამულებში (ყოფილი-საუფლისწულო) და საცდელ მეურნეობებში აწარმოებდნენ. მევენახეობისა და ღვინის წარმოების გაუმჯობესების თვალსაზრისით მთავრობა ამ მეურნეობებზე დიდ იმედებს ამყარებდა.[3]

ომისა და მის შემდგომ პერიოდში მევენახეობამ დიდი ზარალი განიცადა სხვადასხვა ავადმყოფობისაგან. მოსახლეობას საწამლავი საშუალების ყიდვის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ის საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. ადგილზე კი მიუწვდომელ ფასებში იყიდებოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეთამბაქოეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ბოლო ათეული წლების განმავლობაში ის სულ უფრო ვითარდებოდა. მეთამბაქოეობაში სამი ძირითადი რეგიონი იყო დაწინაურებული:

1. დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთი (აფხაზეთი, აჭარა);
2. დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რეგიონი;
3. აღმოსავლეთ საქართველო.

ამ კულტურის წარმოებით განსაკუთრებით აფხაზეთი გამოირჩეოდა. აქ თამბაქოს ძირითადი მწარმოებლები ჩამოსული ბერძნები, სომხები და თურქები იყვნენ. თუმცა არც ადგილობრივი მოსახლეობა (აფხაზები, ქართველები) ამბობდნენ ამ კულტურაზე უარს. აფხაზეთის თამბაქო თავისი თვისებებით ცნობილი

---

[1] გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 104.
[2] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა.., გვ. 40.
[3] *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი* (შემდგომ – *სცსსა*), ფ. 1915, აღწ. I, საქ. 249, ფურც. 19.

იყო, როგორც რუსეთში, ისე ევროპის ქვეყნებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა „სამსუნისა და ტრაპიზუნის“ ჯიშები. 1913-1916 წლებში აფხაზეთიდან რუსეთში გატანილ იქნა წარმოებული თამბაქოს 85-95 %, ევროპის ქვეყნებში 3.1%, ამიერკავკასიაში 2.4%, თამბაქოს ვაჭრობის მთავარი ცენტრი სოხუმი იყო.[1]

მეთამბაქოეობამ საქართველოში უმაღლეს დონეს 1914წ. მიაღწია. ამ წელს თამბაქოს პლანტაციებს 15 ათასი დესეტინა ფართობი ეკავა, მოსავალი 700 ათას ფუთს უდრიდა. შემდეგ წლებში ომის გავლენით თამბაქოს მოსავალი საგრძნობლად შემცირდა. 1918 წ. მხოლოდ 2047 დესეტინა ეკავა, ხოლო 1919 წელს 3046 დესეტინა. მოსავალი კი 142 ფუთზე ცოტა მეტი იყო.[2]

აფხაზეთშიც საგრძნობლად შემცირდა თამბაქოს მოსავალი. აქაც სათესი ფართობისა და მოსავლიანობის მხრივ 1914 წელს სარეკორდი იყო — 13103,7 დესეტინაზე მიღებულ იქნა 602676 ფუთი თამბაქო. 1918 წელს 1806 დესეტინიდან მიღებულ იქნა 97826 ფუთი. 1920 წელს 2000 დესეტინიდან მიღებულ იქნა 1000 ათასი ფუთი.[3] ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია თამბაქოს კულტურის შემცირება, სასურსათო კრიზისი იყო, რომელსაც მოჰყვა ხორბლის გაძვირება. ცხადია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მარცვლეულის წარმოებაზე გადავიდა.

მეთამბაქოეობის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თამბაქოს ექსპორტის მონოპოლიას მიიჩნევენ. მთავრობამ თამბაქოს ექსპორტზე მონოპოლია განახორციელა. ისე, რომ სრულიად გამოითიშა ამ პროცესიდან მისი მწარმოებლები. მთავრობის ჩინოვნიკები უხეში ბიუროკრატიული მეთოდებით, შანტაჟით დაშინებით ჩალის ფასად ართმევდნენ მეთამბაქოებს მათ ნაოფლარს. ქვეყნის შიგნითაც კი აკრძალული იყო თამბაქოს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა. ე.ი. მთავრობამ მოინდომა ამ დარგის გასახელმწიფოება.

აღმაშფოთებელი ფაქტები გამოვლინდა აფხაზეთში. მიწათ-

---

[1] *სცსსა*, ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 92, ფურც, 65.

[2] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა.., გვ. 38.

[3] გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 109.

მოქმედების სამინისტრომ იქ თავის რწმუნებულად ვინმე კიასოვი დანიშნა, რომელიც უხეშად არღვევდა მეთამბაქოების უფლებებს. ის აიძულებდა თამბაქოს მწარმოებლებს, რათა მათ ჩაებარებინათ ნაწარმი და სახელმწიფო საკუთრებად გამოეცხადებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სისხლის სამართლის წესით დასჯით ემუქრებოდა. მეთამბაქოების საქმიანობაში უხეშმა ჩარევამ აფხაზეთის მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. სიტუაციის შესასწავლად სოხუმში ჩავიდა დამფუძნებელი კრების წევრთა ჯგუფი ეროვნული დემოკრატიული პარტიიდან. დეპუტატებმა აფხაზეთში შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობის შესახებ დეპეშით აცნობეს მიწათმოქმედების სამინისტროს.

მთავრობამ ყურად არ იღო ეროვნულ-დემოკრატების მიერ მიწოდებული საგანგებო ინფორმაცია. პირიქით ეს ღონისძიება ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო საქმედ ჩათვალეს. ჩალის ფასად ჩამორთმეული თამბაქოს ნედლეულით გაივსო სამთავრობო საწყობები, მის რეალიზაციაზე კი ნაკლებად ირჯებოდა. არადა მაშინ ევროპის ბაზარზე თამბაქო 8-9 ინგლისური სტერლინგი ღირდა, მაშინ, როდესაც მისი მწარმოებლებისათვის 1 სტერლინგიც არ ჰქონდა გადახდილი იმის შემდეგ რაც ომის რეციდივები მინელდა, სავაჭრო გზები სრულად გაიხსნა, თამბაქოს მწარმოებელ სხვა ქვეყნებსაც მიეცათ თავიანთი საქონლის გატანის შესაძლებლობა, რის შედეგად ევროპის ბაზრებში დიდი რაოდენობით თამბაქო შევიდა, რასაც მისი ფასის საგრძნობი დაცემა მოჰყვა. ერთი ფუთი თამბაქო უკვე 2 სტერლინგიც არ ღირდა. ცხადია, ადგილებზე კატასტროფულად დაეცა თამბაქოს ფასი. ამიტომ მოსახლეობამ ამ კულტურაზე გული აიცრუა.

საქართველოს ცალკეულ რაიონებში მეაბრეშუმეობა საკმაოდ იყო დაწინაურებული. ეს დარგი უმთავრესად განვითარებული იყო ქვემო იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, აგრეთვე ქართლში და კახეთში (უმეტესად ალაზნის პირას). აბრეშუმის პარკი ძვირფას სავალუტო საქონელს წარმოადგენდა დემოკრატიულ საქართველოში. მისი მოთხოვნილება უცხოეთის ბაზარზე საკმაოდ სოლიდური იყო და მას ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში წამყვანი ადგილი ეკავა.

I მსოფლიო ომმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებაზე. იმ დროს დაირღვა საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებული პირობები და ნორმები, რასაც აბრეშუმის პარკის წარმოებისა და ექსპორტის მკვეთრი შემცირება მოჰყვა. მაგ. 1914წ. ჩვენში წარმოებულ იქნა 128 ათასი ფუთი ნედლი პარკი. 1919წ. ეს მაჩვენებლები 20 ათას ფუთამდე დაეცა. 1920 წლისთვის მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა, მოსავალმა 50 ათას ფუთს მიაღწია.[1]

ომის შემდეგ საფრანგეთმა, როგორც აბრეშუმის მწარმოებელმა ქვეყანამ უპირატესობა დაკარგა. მაგრამ იგი გრენის მსხვილი მწარმოებელი გახდა. საქართველო კი პარკის მწარმოებელი საექსპორტო ქვეყანა უნდა გამხდარიყო. გრენი კი მთლიანად საზღვარგარეთიდან უნდა შემოეტანათ. აქედან გამომდინარე საქართველოს მეაბრეშუმეებთან თანამშრომლობის ინტერესი გაუჩნდათ. ქართული აბრეშუმით განსაკუთრებით დაინტერესდნენ საფრანგეთის მეაბრეშუმეთა მსხვილი გაერთიანებები, კერძოდ, მარსელის სავაჭრო სახლი *„შაბრერ-მორელი“* და მეაბრეშუმეების საწარმო *„ფერან-ვინტრანი“*.[2]

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში წარმოებული აბრეშუმის პარკის მთლიანად შესყიდვა და ქართველი მეაბრეშუმეებისათივს გრენის მიწოდება. ე.ი. თურქული და იტალიური გრენის განდევნა საქართველოს ბაზრიდან. და იქ თავიანთი გავლენის დამკვიდრება. 1919წ. მაისში ამ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს შეხვედრა ჰქონდათ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელ კ. ჩხეიძესთან და მას საქმიანი თანამშრომლობის წინადადებით მიმართეს. ფრანგებმა ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის პროგრამაც წარუდგინეს ჩვენი დელეგაციის მეთაურს.[3]

პროგრამის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული იყო ქარ-

---

[1] გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 130.

[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 17.

[3] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии. *1917-1921* гг. Тб., 1980, გვ. 61.

თული აბრეშუმის პარკის შესყიდვისა და საქართველოში ფრანგული გრენის რეალიზაციის პირობები. პროგრამის მეორე ნაწილი მოიცავდა მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებს, კერძოდ, საქართველოს მეაბრეშუმე კოოპერატორებთან შეთანხმების მიღწევას მისაღებ ფასებში მათი გრენით მომარაგების თაობაზე, თანამედროვე საგრენაჟო ქარხნის მშენებლობას, თუთის ხეების გაშენებას, საცდელი მინდვრების მოწყობას, პარკის გადამამუშავებელი საწარმოების მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფს. იმპორტული გრენიდან რაც შეიძლება მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის მისაღებად ქართველ და ფრანგ მეაბრეშუმეთა ერთობლივ საქმიანობას. შეთანხმების ვადა 15 წლით განისაზღვრებოდა.[1]

ფრანგების მიერ შემოთავაზებულ პროგრამაში შეფარვით იყო დაფიქსირებული ფრანგული კომპანიებისათვის აბრეშუმის ექსპორტის მონოპოლიური უფლების გადაცემის შესახებ. მთავრობის მხრიდან ამ საკითხზე თანხმობის შემთხვევაში ისინი საქართველოში გრენისა და აბრეშუმის ქარხნებს ააშენებდნენ.[2] საქართველოს მთავრობამ ფრანგების მიერ შემოთავაზებული პროგრამა მოიწონა. ამასთან საფრანგეთში აბრეშუმის პარკის რეალიზაციისა და ფრანგული გრენის შესყიდვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხების გარკვევა მოითხოვა და დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ხელშეკრულების ხელმოწერაზე მზადყოფნა დააფიქსირა.

1920წ. საფრანგეთ-საქართველოს შორის მთელი რიგი საინტერესო ხელშეკრულებები დაიდო. ეს პროცესი ორ ეტაპს მოიცავდა. პირველ ეტაპზე ფრანგების მიერ ქართული აბრეშუმის პარკის სრული შესყიდვა უნდა მომხდარიყო. ქართველ მეაბრეშუმეებს კი ფრანგული გრენი უნდა შეეძინათ. მეორე ეტაპზე უფრო გრძელვადიანი შეთანხმებები – საკონსეციო ხელშეკრულებები იდებოდა, რომელიც საქართველოს მეაბრეშუმეობაში ფრანგული კაპიტალის

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 349, ფურც. 18.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 349, ფურც. 18.

უფრო ხანგრძლივი დროით შეღწევას ითვალისწინებდა.[1]

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფრანგული კაპიტალის შედარებით დინამიკური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით აღსანიშნავია 1920წ. 17 ოქტომბრის ფირმა ფერანი-გინტრანთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს აბრეშუმის მრეწველობაში ფრანგული კაპიტალის ინვესტირების მსხვილმასშტაბიანი პროექტი იყო, რომელიც ქვეყანაში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობა ბამბის წარმოებით იყო დაკავებული. ბამბა ხარობდა იმერეთში, ბორჩალოსა და ყარსის მინდვრებში, სიღნაღის მაზრაში. დასავლეთ საქართველოში მებამბეობის ცენტრებად ითვლებოდა სამეგრელო, აგრეთვე ბაღდადის რაიონი იმერეთში. 1914 წელს დასავლეთ საქართველოში 3700 დესეტინა ფართობი ეკავა და 30 ათას ფუთამდე გაწმენდილი ბამბა მოდიოდა. აღმოსავლეთ საქართველოში მებამბეობაში მოსახლეობა უფრო აქტიურად იყო ჩართული. იმავე 1914 წელს 8200 დესეტინა ფართობზე 1202 ათასი ფუთი ბამბა მოდიოდა.[2]

მსოფლიო ომმა და ანარქიამ მებამბეობაც დაანგრია. სასურსათო კრიზისმა კი ხალხს ამ კულტურაზე სავსებით ააღებინა ხელი. არადა ბამბა საფეიქრო მრეწველობის მნიშვნელოვანი ნედლეულია, რომელსაც ევროპის ბაზრებში ყოველთვის დიდი მოთხოვნილება ჰქონდა ამიტომ მთავრობის სამეურნეო გეგმაში მებამბეობის განვითარებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ამ მიზნით მიწათმოქმედების სამინისტრომ დაიწყო საცდელი პლანტაციების მოწყობა. მოწვეული სპეციალისტები შეუდგნენ ბამბის მოსავლის გადიდების თვალსაზრისით მოწინავე აგროტექნიკური მეთოდების დამუშავებას.[3] მიწათმოქმედების სამინისტროს გაანგარიშებით საქართველოს შეეძლო 1 მლნ. ფუთამდე გაწმენდილი ბამბისა და 2 მლნ. ფუთი თესლის მიღებას, რომელიც დიდად

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 22-24.

[2] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული რეფორმა.., გვ. 42.

[3] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული რეფორმა.., გვ. 42.

წაადგებოდა ქვეყნის ეკონომიკას.[1]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეჩაიობა პირველ ნაბიჯებს დგამდა. ამ კულტურის გაშენება კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით პირველად დასავლეთ საქართველოში დაიწყო. მისი განკარგულებით 1848 წელს ნიკიტინსკის ბაღიდან (ყირიმი) ჩინური ჩაის ბუჩქები სოხუმის ბოტანიკურ ბაღსა და ოზურგეთის კლიმატურ სადგურში დარგეს.[2] ახალმა მცენარემ კარგად აიტანა მაშინდელი სიცივეები. მაგრამ ყირიმის ომის დროს მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. XXს. დამდეგს ჩაის გაშენება დაიწყეს ჩაქვსა და ოზურგეთში. საცდელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ დადასტურდა, რომ ჩვენს პირობებში საშუალო ხარისხის ჩაის წარმოება შეიძლებოდა.[3] მისი მოშენება ხელსაყრელი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან სოლიდურ შემოსავალს იძლეოდა. 1912 წლისთვის ჩვენში ჩაის პლანტაცია გაშენებული იყო 711 დესეტინა ფართობზე და მოკრეფილ იქნა 1.106598 გირვანქა მწვანე ფოთოლი. 1920 წელს კი 837 დესეტინაზე მოკრეფილ იქნა 1141614 გირვანქა.[4]

1918-1920 წლებში ჩაის ფართობი და მოსავლიანობა თითქმის არ შეცვლილა. მთავრობა სამომავლოდ აპირებდა მეჩაიეობის განვითარებისათვის სერიოზული ღონისძიებების ჩატარებას. ამ მიზნით რესპუბლიკის მასშტაბით გამოიყო 50 ათასი დესეტინა მიწა. საიდანაც სავარაუდოდ შესაძლებელი იყო 40 მილიონი გირვანქა პროდუქციის მიღება.[5] მიწათმოქმედების სამინისტროს მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური მონაცემები ხალხის სასიკეთოდ განვითარდებოდა და ამ ძვირფასი კულტურის გაშენება უფრო სწრაფი ტემპით წარიმართებოდა.

მიწის ნაკლებობის მიუხედავად საქართველოში მესაქონლეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. 1917 წლის სასოფლო-სამე-

---

[1] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული რეფორმა.., გვ. 42.
[2] გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 116.
[3] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული რეფორმა.., გვ. 44.
[4] გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 119.
[5] ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული რეფორმა.., გვ. 44.

ურნეო აღწერის მონაცემებით მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობა 3260663 სულს. აღწევდა.[1] ჩვენში ძირითადად გავრცელებული იყო დიდი კავკასიის (მაღალმთიან რაიონებში) და მცირე კავკასიის (უფრო დაბლობში) ჯიშები. დიდი კავკასიის ჯიში მცირე ზომისა და წონისაა უფრო წონადია მცირე კავკასიის ჯიში.[2]

აღმოსავლეთ საქართველოში მესაქონლეობის განვითარებისათვის უკეთესი პირობები არსებობდა. ეს მხარე უფრო მეტად უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი საძოვრებით. ალპური ზონის უხვი საძოვრები მერძეულობის განვითარებისათვია ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

ამ მხრივ გამორჩეული იყო ახალქალაქის მთაგორიანი ნაწილი, ხევსურეთი და სხვა. რაციონალური მერძეობის პიონერად ითვლებოდა ალექსანდერსჰილფის ახალშენში მცხოვრები კერძო მესაკუთრე კუჩენბახი. მან 1864 წელს ბორჩალოს მაზრაში – სოფ. მამუდლოს მიდამოებში მოაწყო ალპური სარძევე მეურნეობა. შვეიცარიული და ადგილობრივი ჯიშის შეჯვარების შედეგად შექმნა მაღალი დონის მეწველი საქონლის ჯიში. კარაქისა და ხაჭოს გარდა კუჩენბახის მეურნეობაში აწარმოებდნენ ცნობილ კავკასიურ-შვეიცარიულ ყველს, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა არამარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის ბაზარზე, არამედ ევროპულ რუსეთშიც.[3]

კუჩენბახის გამოცდილების გაზიარება ადგილობრივმა კერძო მესაკუთრეებმა ვერ მოახერხეს. 30 წლის განმავლობაში მას ვერავინ მიბაძა, ვინაიდან ყველის მწარმოებლები საკუთარ გამოცდილებას უმალავდნენ დაინტერესებულ პირებს.[4] მოგვიანებით ზოგიერთმა ბორჩალოელმა მექარხნემ მოახერხა სარძეო მეურნეობის ორგანიზაცია და დაიწყო შვეიცარიული ყველისა და კარაქის წარმოება. 1911 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა ბორჩალოს მაზრაში ყველ-კარაქის ქარხნების რიცხვი. ყველ-კარაქის

---

[1] გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 132.
[2] *ცცსსა*, აღწ. 1, საქ. 276, ფურც. 7.
[3] გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 138.
[4] *ცცსსა*, ფ. 1915, საქ. 276, ფურც. 8.

სანიმუშო საწარმოდ მაინც კუჩენბახის ქარხანა ითვლებოდა.[1] 1918 წელს ჩვენში განვითარებული ანარქიისა და ქაოსის შედეგად როგორც კერძო პირების, საარტელო ქარხნების უმეტესი ნაწილი განადგურდა. ყველის წარმოების მაჩვენებელი 50 ათასი ფუთიდან 5-6 ათას ფუთამდე დაეცა.

აღმოსავლეთ საქართველოში მეცხვარეობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. რომელმაც სამრეწველო მნიშვნელობა შეიძინა და ქვეყნისათვის ეკონომიკური წარმატების მოპოვება შეძლო. გარდა იმისა, რომ ის არის სახორცე საქონელი, ეს სფერო წელიწადში 60-80 ათას ფუთამდე ყველს და 200 ათას ფუთამდე მატყლს იძლეოდა. აქედან ათეულ ათასობით ფუთი მატყლი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადიოდა.

ომმა და რევოლუციამ მეცხვარეობას დიდი ზიანი მიაყენა, ცხვრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. მიუხედავად ამისა საქართველოში მეცხვარეობა გადარჩა. თუმცა მისი აღორძინებისათვის მთავრობის მხრიდან დიდი ძალისხმევა იყო საჭირო.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონის ამაღლების თვალსაზრისით, შედარებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევდნენ კერძო მესაკუთრეთა კონსფიცირებული, რაციონალურად გამართული კერძო მამულები, რომლებიც მთავრობამ 1918 წლის მეორე ნახევარში სახელმწიფო მეურნეობებად გარდაქმნა. კერძოდ, წინანდლის, მუკუზანის, ნაფარეულის, მუხრანის, კარდანახის, გიაურ-არხის, ყარაიას, ვაჭევის, ჩაქვის, დიდი მთავრის, სმეცკოის მამულები აფხაზეთში, ფრიდონოვის მამულები მანავსა და სკრაში, მანთაშევის და არამიანცის მამულები ქვემო ქართლში, ანანოვის მამული ვარციხეში.[2] ამ მამულების უმრავლესობა ადრე წარმატებულ მეურნეობებად ითვლებოდა. ეს არც იყო გასაკვირი. მათ მფლობელებს მეურნეობის მოწინავე მეთოდებით მართვის მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდათ. სახელმწიფოს მმართველობაში გადასვლის შემდეგაც შეძლებულ მეურ-

---

[1] გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 139.

[2] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 1-3ბ, — *ალ. ბენდიანა შვილი.* საქართველოს პირველი.., გვ. 122.

ნეობებად დარჩნენ. ამაზე მიუთითებს 1919 წლის სტატისტიკური მაჩვენებლები:[1]

მევენახეობა-მეღვინეობის მეურნეობები

	ვენახები, დესეტინებში	ღვინის მოსავალი, ვედროთი
წინანდალი	103	9230
ნაფარეული	106	8520
მუკუზანი	120	8963
კარდანახი	40	1551
მანავი	32	1120
ქართლის (მუხრანი)	73	3860
ვარციხე	39	889
ვაჭევი	30	358
სულ:	543	34491

ეს არ იყო საუკეთესო მაჩვენებლები. ომისა და რევოლუციის შედეგად შექმნილი არეულობისა და ქაოსის პირობებში მათ გაუჭირდათ დიდი წარმატებების მიღწევა. ხშირ შემთხვევაში, დესტრუქციული ძალები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. კვალიფიციური კადრები ჯარში გაიწვიეს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების უკიდურესად შეზღუდულობის გამო, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, მინერალური სასუქებისა და ვენახისათვის აუცილებელი შესაწამლი მასალების შემოტანა შეუძლებელი გახდა. ფეხი მოიკიდა ვაზის სხვადასხვა ავადმყოფობამ და ა. შ. მიუხედავად ამისა, სხვა ტიპის მეურნეობებთან შედარებით, ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები ურიგო არ იყო.

ამჯერად შევეცდებით ამ მეურნეობების შესახებ მცირე ექ-

[1] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 2.

სკურსი გავაკეთოთ:

წინანდეული, ნაფარეული და *მუკუზანი* (ყოფილი საუფლისწულო მამულები) – ეს მეურნეობები დაახლეობით ერთნაირ მოსავალს იძლეოდნენ. გამორჩეული იყო წინანდლის მამული. აქ უფრო ადრე დამყარდა წესრიგი და შეიქმნა მუშაობის ნორმალური პირობები.[1]

კარდანახის (ყოფილი შერემეტევის მამული) მეურნეობის ნორმალურ ფუნქციონირებას აფერხებდა საჭირო ინვენტარისა და შენობების პრობლემები, რომლის მოგვარებაც, ქვეყანაში შექმინილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯერჯერობით შეუძლებელი იყო.[2]

მანავი (ფრიდრიხის ყოფილი მამული) არეულობის გამო მნიშვნელოვნად დაზარალდა. მის აღდგენას სოლიდური თანხა დასჭირდა.[3]

ქართლის მამული *„მუხრანი“* (ყოფილი საუფლისწულო) მცირემიწიანი მეურნეობა იყო. 1918 წელს ბოლშევიკური მოძრაობის დროს საგრძნობლად დაზარალდა. საკუთრივ ვაზი მცირემოსავლიან ჯიშს განეკუთვნებოდა. მიუხედავად ამისა, თვალსაჩინო მოგება ჰქონდა.[4]

ვარციხე (ანანოვის ყოფილი მამული), ძირითადად, შესყიდულ ყურძენს ამუშავებდა – წელიწადში დაახლოებით 12599 ვედროს. შემოსავლის ერთ-ერთი წყარო წლობით შენახული ღვინისა და კონიაკის რეალიზაცია იყო. ომისა და ქაოსის პირობებში ვენახები დაზიანდა. 1919 წლს გაწეული სამუშაოები სა-

---

[1] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 2.
[2] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 2-2ბ.
[3] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 2ბ.
[4] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 2ბ.

მომავლოდ წარმატების იმედს იძლეოდა.[1]

ვაჭევი (ყოფილი საუფლისწულო) ომის წლებში (I მსოფლიო?) სამეურნეო მაჩვენებლები საგრძნობლად დაეცა. ვენახის უმრავლესობა სოკოს ავადმყოფობამ დააზიანა. 1919 წელს მხოლოდ 35831 ვედრო ღვინო იქნა წარმოებული, რომელიც უმაღლესი ხარისხის შამპანურის მასალად იქნა მიჩნეული.

თბილისის ღვინის სარდაფი (ყოფილი საუფლისწულო) სავაჭრო დაწესებულება იყო, რომელიც მევენახეობების მეურნეობების ნაწარმის რეალიზაციას ეწეოდა. ადრე დიდი რაოდენობის ღვინო იაფ ფასებში ჰქონდა შესყიდული. ამიტომ 1919წ. მოგების მაჩვენებელი ჩვეულებრივზე მაღალი ჰქონდა.[2]

ხორბლეულისა და მეხილეობის მამულები

გიაურ-არხი (ყოფილი საუფლისწულო) – მასთან გაერთიანებული იყო მეზობელი მამულები: *კულარი* (ყოფილი მანთაშევის) და *ლეჩხადინო* (ყოფილი არამიანცი). მეურნეობას ჯერ კიდევ საკუთარი ნათესი არ ჰქონდა. შემოსავლის ძირითად წყაროს იჯარა წარმოადგენდა. მოუგვარებელი იყო მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები: არ იყო განსაზღვრული მეურნეობისათვის საჭირო მიწის რაოდენობა; პრობლემები იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან დაკავშირებით. მეურნეობას ჰქონდა ვენახის ნაკვეთიც, რომელიც სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა. 1919 წელს საშუალოზე ნაკლები მოსავალი იქნა მიღებული.

ყარაია (ყოფილი სახაზინო) – ტერიტორია 11000-მდე დესეტინას მოიცავდა. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დასამუშავებ-

---

[1] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 2ბ.
[2] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 2ბ.

ლად გაცემული იყო სხვადასხვა დაწესებულებზე (სახალხო გვარდია, ერობათა კავშირი, ადგილობრივი მაცხოვრებლები). ნაწილი საიმიგრაციო ფონდისთვის იყო განკუთვნილი. შემოსავლის უმთავრესი წყარო იჯარა იყო.

სკრა (სარქისოვისა და ფრიდონოვის მამული) სახელმწიფოს გამგებლობაში 1919 წლის აპრილში გადავიდა. ხეხილის ბაღები ნორმალურ მდგომარეობაში იყო, ხოლო სანერგე მეურნეობა – სრულიად განადგურებული. 1919 წლის II ნახევრიდან დაიწყო მისი რეაბილიტაცია.[1]

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებიდან[2] ჩანს, რომ ზემოხსენებული მამულები, სახელმწიფოს გამგებლობაში გადასვლის შემდეგ, მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებდნენ. ყველა მათგანმა, ასე თუ ისე, მოგებით დაასრულა 1919 წლის სამეურნეო წელი. მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს:

	წმინდა მოგება
წინანდლის მამული	3 044 200 მან. 04 კაპ.
ნაფარეულის მამული	3 287 704 მან. 78 კაპ.
მუკუზანის მამული	3 596 704 მან. 92 კაპ.
კარდანახის მამული	609 475 მან. 93 კაპ.
მანავის მამული	187 470 მან. 06 კაპ.
ქართლის („მუხრანი") მამული	1 460 156 მან. 98 კაპ.
ვარციხის მამული	3 322 051 მან. 56 კაპ.

[1] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 3.

[2] ჩვენ ვერ მოვიპოვეთ აფხაზეთის კერძო მამულების – სინოპის, დიოსკურიის, კოლხიდის, გულრიფშის – მაჩვენებლები იმიტომ, რომ მათი სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა 1920 წლიდან დაიწყო. ამ წლის მონაცემები მხოლოდ 1921 წელს გამოქვეყნდებოდა. სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების გამო, ეს არ მოხდა.

ვაჭევის მამული	69 008 მან. 79 კაპ.
თბილისის ღვინის სარდაფი	10 605 472 მან. 29 კაპ.
გიაურ-არხის მამული	4 595 338 მან. 95 კაპ.
ყარაიას მამული	4 260 839 მან. 67 კაპ.
სკრას მამული	169 978 მან. 22 კაპ.
სულ:	263 622 მან. 57 კაპ.[1]

ამგვარად, ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებული მამულების დადებითი სამეურნეო მაჩვენებლები, მათი ყოფლი მფლობელების გამართული საქმიანობებიდან გამომდინარეობდა და სახელმწიფოს ხელში გადასვლის შემდეგაც მოწინავე მეურნეობებად დარჩნენ.

სააქართველოში სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების საკითხი მოუგვარებელი იყო. ფუნქციონირებდნენ თითზე ჩამოსათვლელი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, კერძოდ: ერთი საშუალო-სპეციალური სასწავლებელი და მებაღეობის სკოლა თბილისში, სასოფლო-სამეურნეო დაწყებითი სკოლები ქუთაისში, წინამძღვრიანთკარში და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.[2]

უსახსრობის გამო, სასწავლებლებს არ გააჩნდათ მინიმალური პირობებიც კი სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის. მათი მატერიალურ-ტექნიკური პირობები და სწავლების ხარისხი ვერ აკმაყოფილებდა სოფლის მეურნეობის ნორმალური განვითარების მოთხოვნებს. ამიტომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დებულება „სასოფლო სამეურნეო განათლების შესახებ“,[3] რომელიც მიზნად ისახავდა ამ სფეროს ჩამოყალიბებისათვის საფუძვლის შექმნას. დებულება ითვალისწინებდა უმაღლესი აგრონომიული სასწავლებლის გახსნას, დაწყებითი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლების ფართო ქსელი შექმნას. ელემენტარული აგრონომიული ცოდნის მისაღებად სა-

[1] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 896, ფურც. 3ბ.
[2] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 10.
[3] სცსსა. ფ. 1915, საქ. 8, აღწ. 1, ფურც. 10-11.

ღამო სკოლების გახსნას.

ახალი დებულების თანახმად, ფუნქციონირება დაიწყო თბილისის საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლამ მემინდვრეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის მიმართულებით. სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად სკოლას 69 დესეტინა მიწის ფართობი გამოუყვეს.[1] ქუთაისის დაწყეითი სასოფლო-სამეურნეო სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად მემინდვრეობისა და მებოსტნეობის პროფილით. ამ სკოლასაც სასწავლო-პრაქტიკული მუშაობისთვის ათჯამეთში გადაეცა ნაკვეთები.[2]

წინამძღვრიანთკარის დაწყებითი სკოლა ოთხწლიან სასწავლებლად გარდაიქმნა.[3] ოთხწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნა ლანჩხუთშიც, ორწლიანი – სოფ. მერეთში, ძველ სენაკში, საერობო სკოლა – თამაკონში.[4] პრაქტიკული სკოლები (ალბათ, პროფტექნიკური – ჯ. ა.) გაიხსნა სოფ. წინანდალში, მუხრანში, ოზურგეთში და სხვა მაზრებში.[5] ელემენტარული აგრონომიული ცოდნის მისაღებად იხსნებოდა ორთვიანი პრაქტიკული საღამოს სკოლები.[6]

აგრონომთა კადრების დეფიციტის ნაწილობრივ აღმოფხვრის მიზნით, თბილისში გაიხსნა ორწლიანი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო საღამო სკოლა.[7]

1918 წლის ბოლოს მიწათმოქმედების სამინისტროს სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო განათლების სექცია.ამ საქმისთვის 1919-1920 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ გამოიყო 1 164 450 მანეთი.[8] კონკრეტულად, ეს თანხა გამოყვეს თბილისის, ქუთაისის, წინამძღვრიანთაკარის, ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო სკოლები-

---

[1] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 10-11.
[2] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 10-11.
[3] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 10-11.
[4] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 10-11.
[5] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 10-11.
[6] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 11.
[7] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 11-12.
[8] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 137.

სათვის; სმეცკოის (ქ. სოხუმი), წინანდლის, ყარაიას სახელმწიფო მამულებისათვის; ოზურგეთის საცდელი პლანტაციისთვის, თბილისის ბოტანიკურ ბაღთან სასოფლო-სამეურნეო სკოლის და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გასახნელად.[1]

სასოფლო-სამეურნეო სკოლებისათვის ერობებს გამოეყოთ 200 000 მანეთი.[2] ერობებისათვის გადაცემულ მამულებთან იგეგმებოდა დაწყებითი სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნა. ასეთი ტიპის სკოლები გაიხსნა სოფელ მერეთში – ფურცელაძის მამულის ბაზაზე.[3] 1919 წელს მთელ რიგ მაზრებში ფუნქციონირებდნენ სამსემესტრიანი საოფლო-სამეურნეო კურსები.[4]

სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან ასევე არსებობდა სასოფო-სამეურნეო მუშაობის სექცია, რომელსაც სოფლის მეურნეობის მოწინავე აგრო-ტექნიკური მეთოდების დამკვიდრებისათვის უნდა ეზრუნა.[5] 1919 წელს სახელმწიფომ ამ საქმისათვის გარკვეული თანხა გამოჰყო. შეძლებულ მეურნეობებთან შეიქმნა საცდელი საკვლევი სადგურები.[6] ქუთაისის საცდელი სადგური აჯამეთში გადაიტანეს, რომელიც შემდგომში საცდელი საქმის ერთ-ერთი ცენტრი გახდა.[7] საქართველოს სანერგე მეურნეობა და არგვეთის სახელმწიფო მამული საქარის საცდელ-საკვლევ მეურნეობად გარდაიქმნა, რომელიც დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემებზე მუშაობდა.[8] ანალოგიური პროფილის მეურნეობა იქმნებოდა წინანდლის მამულის ბაზაზეც.[9]

საცდელმა სექციამ აქტიურად წარმართა მუშაობა ბამბის

---

[1] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 137.
[2] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 138.
[3] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 137-138.
[4] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 138.
[5] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 137.
[6] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 137.
[7] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 137-138.
[8] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 138.
[9] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 139.

მოსავლიანობის გაზრდის, ჯიშების შერჩევისა და სელექციის გაუმჯობესების მიმართულებით. ამ მიზნით გამოიყო საცდელი ნაკვეთები სიღნაღის მაზრაში, აჯამეთის საცდელ-მეურნეობაში, გიაურ-არხისა და ყარაიას სახელმწიფო მამულებში.[1]

1920-1921 სამეურნეო წლისათვის საცდელ-საკვლევი მუშაობის ჩასატარებლად მთავრობამ 859 778 მეტი მანეთი გამოჰყო.[2]

ნაყოფიელ მუშაობას ეწეოდა აგრონომიული დახმარების სექცია. სექციის ძირითადი დანიშნულება სოფლის მეურნეობსი წარმოების გაზრდის ხელშეწყობა იყო. უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ საერობო დაწესებულებებს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების აქტიური დახმარებით მოსახლეობაში ელემენტარული აგრონომიული ცოდნის გავრცელებისათვის უნდა ეზრუნათ. 1919წ. ამ საქმისათვის სოლიდური თანხა იქნა გამოყოფილი.[3]

შესაძლებლობის ფარგლებში სექცია ზრუნავდა სასოფლო--სამეურნეო ლიტერატურით მოსახლეობის მომარაგებისათვის. ამ საქმეს ართულებდა ქართულ ენაზე ლიტერატურის ნაკლებობა. ამ უაღრესად საჭირო საქმის მოსაგვარებლად სახელმწიფომ 100 000 მანეთი გამოჰყო.[4]

ჩვენს ხელთ არსებული მასალები ზოგადად წარმოაჩენენ მთავრობის საქმიანობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე აგროტექნიკურ რელსებზე გადაყვანის თვალსაზრისით. ამის მცდელობა მას ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ამ ამ დარგის განვითარებაზე დადებითი გავლენა არ მოუხდენია.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მემკვიდრეობით ერგო ფაქტობრივად განადგურებული სოფლის მეურნეობა. უკიდურესად დაქვეითებული იყო ისეთი

---

[1] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 139.
[2] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 139.
[3] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 142.
[4] სცსსა. ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 604, ფურც. 142.

სფეროები (მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება და სხვა) რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის ტრადიციულ საქმიანობად ითვლებოდა და ეკონომიკურადაც უფრო სარფიანი იყო. ომის შემდეგ შექმნილმა სასურსათო კრიზისმა ქვეყანა შიმშილის საფრთხის წინაშე დააყენა. ამ უბედურებისაგან მოსახლეობა მიწაზე მუშაობამ იხსნა. მთავრობა მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების წინაშე დადგა. ამას იგი სათესი სივრცის გაფართოების გზით აპირებდა. რაც შეეხება ინტენსიური მეურნეობის განვითარებას, ამის ელემენტარული პირობები არ არსებობდა. 1919 წლისთვის უხვ მოსავალს ვარაუდობდნენ, მაგრამ არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა ნახევარზე მეტი მოსავალი გაანადგურა. არც 1920 წელი იყო ამ მხრივ წარმატებული. მთავრობის ვარაუდი, თითქოს საქართველოს მოსახლეობას შეეძლო თავისი თავის გამოკვება, ვარაუდად დარჩა.

სრული განადგურების საფრთხე დაემუქრა მეთამბაქოებას, ომამდე თამბაქოს ათეულ ათასობით დესეტინა მიწა ეკავა. 1918 წლიდან ეს ფართობი სრულიად დაიცალა ამ კულტურისაგან. გლეხებმა და პლანტატორებმა თამბაქოს მოყვანაზე ხელი აიღეს პროფესიონალი მეთამბაქოეები თავიანთი ხელობით მუშაობის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ გადიოდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო თამბაქოს ექსპორტის მონოპოლიის მახინჯი გამოვლინებები, შიში იმის, რომ მოსავალს ჩალის ფასად წაართმევდნენ. რა თქმა უნდა, იყო შიმშილის შიშიც. ამიტომ იყო, რომ მოსახლეობა გადაერთო მარცვლეულის წარმოებაზე.

ანალოგიურო მდგომარეობა იყო მეაბრეშუმეობაში, თუმცა საფრანგეთის საქმიან წრეებთან დადებული ხელშეკრულება ამ დარგის კრიზისიდან გამოყვანის პერსპექტივას სახავდა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობიდან ნათლად ჩანდა, რომ თამბაქოს და აბრეშუმის და სხვა სავალუტო საქონლის წარმოების შემცირების კომპენსაცია სხვა კულტურის ჩანაცვლებით, თუნდაც ხორბლითა და სიმინდით შეუძლებელი იყო, ვინაიდან მათ არ შეეძლოთ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსზე სერიოზული ზემოქმედება მოეხდინათ.

მემარჯვენე ოპოზიცია მთავრობისაგან კატეგორიულად მო-

ითხოვდა ზემოჩამოთვლილი დარგების განსავითარებლად უფრო ეფექტურ მოქმედებას, ასევე მეურნეობის მართვის რუსულ მეთოდებზე უარის თქმას, კერძო მესაკუთრეთა წახალისებას, რომელთაც უფრო ხელეწიფებოდათ მეურნეობის პროგრესულ რელსებზა გადაყვანა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მენშევიკური მთავრობა არ ზრუნავდა სოფლის მეურნეობაში შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობის გამოსწორებაზე, მაგრამ 1918-1920 წლის მონაკვეთში ამ მხრივ რაიმე სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა. მაგრამ მთავრობა ოპტიმიზმს არ კარგავდა მას სჯეროდა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების. თუმცა სჯობდა აწმყოში მეტი ქმედითუნარიანი ყოფილიყო, რათა სამომავლო გეგმის განსახორციელებლად უფრო მყარი საძირკველი შეექმნა.

თავი IV. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა

§ 1. სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, როგორც ახლადშექმნილმა სახელმწიფომ პირველი წელი ბიუჯეტის გარეშე დაასრულა. ქვეყანაში შექმნილი უაღრესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია მთავრობას არ აძლევდა საშუალებას, თუნდაც მიახლოებით მაინც დაედგინა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი. მითუმეტეს, მას არ ჰქონდა წინა წლების მონაცემები, რომლებზედაც უნდა დამყარებულიყო მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბიუჯეტის შედგენისას თავი იჩინა გამოუცდელობამაც. რუსული მმართველობის პერიოდში ამიერკავკასიაში ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარების თვალსაზრისით სათანადო მუშაობა არ მიმდინარეობდა. არ იყო შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვის სისტემა, სახელმწიფო ხაზინის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, განაპირა რეგიონებიდან შემოსული საშემოსავლო თანხები საერთო სახელმწიფო ხაზინაში ირიცხებოდა და გასავალი საერთო სახელმწიფო წყაროდან იფარებოდა.[1] ადგილებზე არ არსებობდა საბიუჯეტო ორგანიზაციები. ფინანსთა სამინისტროში თითქმის არ იყო საბიუჯეტო საქმეში გამოცდილი კადრები.[2] რუსი ეროვნების სპეციალისტებიც კი, რომლებიც კავკასიის ადმინისტრაციაში საფინანსო სფეროს უძღვებოდნენ უარს აცხადებდნენ ფინანსთა სამინისტროში მუშაობაზე, თუნდაც მაღალი ანაზღაურების გარანტიით.[3]

მდგომარეობიდან გამოსვლას მთავრობა ახერხებდა იმით, რომ გასავალ-შემოსავლის ციფრებს ადგენდა ნაწილ-ნაწილ და

---

[1] *სცსსა*, ფ. 1991, აღწ. 1, საქ. 211, ფურც. 12.
[2] *სცსსა*, ფ. 1991, აღწ. 1, საქ. 211, ფურც. 12.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 211, ფურც. 12.

ისე შეჰქონდა პარლამენტში დასამტკიცებლად. 1918 წლის 1 ივნისიდან 1919წ. 1 ივლისამდე დახარჯული თანხა 663 507 ათასს აღწევდა, ხოლო შემოსავალი 174,254 ათას მანეთს.[1] ეს იყო 1918 წლის მეორე ნახევრისა და 1919 წლის პირველი ნახევრის ფაქტობრივი შემოსავლისა და გასავლის ციფრები, და არა საბიუჯეტო მონაცემები, რომლის საფუძველზე შეიძლებოდა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება. მთავრობა ამ საკითხს სერიოზულად მიუდგა. მან თავის თავზე აიღო, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებების შექმნის ვალდებულება და ბიუჯეტის ფორმირების საკითხი. საბიუჯეტო წლის დასაწყისად დამტკიცებულ იქნა 1 ივნისი დასასრულად კი მომდევნო წლის 31 მაისი.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1919-1920 წლის ბიუჯეტი განსაკუთრებულ პირობებში იქმნებოდა. იგი არ ეყრდნობოდა წინა წლების მონაცემებს, წარსულის გამოცდილებას, ის იყო პრობლემატური, ვინაიდან უაღრესად ცვალებად სიტუაციაში შეუძლებელი იყო სწორი პერსპექტივის შექმნა.[3] მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა მთავრობამ 1920 წლის ზაფხულში საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ასე გამოიყურებოდა:

სახელმწიფო შემოსავალი

1. სახელმწიფო ქონება და თანხები – 574.208.420 მან. – 72%
2. არაპირდაპირი გადასახადი – 64.747.000 მან. – 8,1%
3. პირდაპირი გადასახადი – 55.275.300 მან. – 7%
4. ბაჟი – 43.486.400 მან. – 5,4%
5. მთავრობის რეგალიები - 7948392 მან. – 1,0%

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 170-171.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 211, ფურც. 12.
[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 171.

6. სხვადასხვა შემოსავალი – 3.311959 მან. – 0,4%
7. სესხის დაბრუნება და სხვა ხარჯები – 923.716 მან. – 0,41%
8. საკრედიტო ოპერაციებიდან – 47.500.000 მან. – 6%

სულ 797.401.186 – 100%[1]

სახელმწიფო გასავალი

1. დამფუძნებელი კრება – 3.365.600 მან. – 0,4[2]
2. მთავრობის საქმეთა მმართველობა – 312.100 მან. – 0,3%
3. შინაგან საქმეთა სამინისტრო – 64.076.487 მან. 8,03%
4. განათლების სამინისტრო – 37.527.447 მან. – 4,70%
5. სამხედრო სამინისტრო – 251.246.399 მან. – 31,50%
6. საგარეო საქმეთა სამინისტრო – 3.137.600 მან. – 0,40%
7. იუსტიციის სამინისტრო – 23.111.970 – 3%
8. ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო – 22.020.321 – 2.76 %
9. მიწათმოქმედების სამინისტრო – 62.942.140 – 7,89%
10. გზათა სამინისტრო – 261.491.067 – 32,79%
11. შრომის სამინისტრო – 398.500 - 0,06%
12. სახელმწიფო კონტროლი – 2.303.100 – 0,28%
13. 1918-1919 წელს შეუსრულებული ხარჯები – 10.468.456 – 1,26%
14. გამოსყიდვა 5%-იანი ვალდებულებათა – 50.000.000

სულ – 797.401.187 –100%

ამ ციფრებიდან აშკარად ჩანს, რომ მთავრობას სურდა მოკლე დროში მოეგვარებინა ახლადშექმნილი სახელმწიფოს წინაშე

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 171.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 172.

მდგარი პრობლემები. ეს ეხება თავდაცვას, სახალხო განათლებას, სოფლის მეუნეობას, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტს, ფაქტობრივად ეკონომიკის ყველა სფეროს, თვითმმართველობას და ა.შ. გაწეული იყო უზარმაზარი ხარჯი, შემოსავლის წყაროს მოძებნის საკითხი კი – ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი. ამიტომ ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი პარლამენტისაგან ითხოვდა ზოგიერთი ხარჯის გადავადებას იმ დროისათვის როცა შემოსავლის წყაროები უფრო ჩამოყალიბებული იქნებოდა,[1] მაგრამ მოხდა პირიქით. ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ სანამ ბიუჯეტის პროექტი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში იხილებოდა, სამინისტროებსა და უწყებებს შეჰქონდათ შესწორებები ადრე წარდგენილ კანონ-პროექტებში, ან სავსებით ცვლიდნენ მათ.

ამგვარად, საბიუჯეტო წლის დასაწყისში მთავრობის მიერ წარდგენილმა ბიუჯეტის კანონ-პროექტმა საკანონმდებლო ორგანოში განხილვის დროს ცვლილებები განიცადა და შემდეგი სახე მიიღო:

შემოსავალი – 1.163.564.000 მან.
გასავალი – 1.960.490.000 მან.[2]

ამასთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განმარტა, რომ დამფუძნებელი კრების კომისიას, სრულიად არანორმალურ პირობებში უხდებოდა მუშაობა, რომ უაღრესად რთულად მიმდინარეობდა ბიუჯეტის ფორმირების პროცესი. კომისია აღნიშნავდა, რომ ცხოვრების დონე ყოველდღიურად შორდებოდა იმ ციფრებს, რომელიც პარლამენტში იყო შესული. სანამ პარლამენტში ბიუჯეტის პროექტი იხილებოდა (განხილვა გაჭიანურდა) სამინისტროები ახალ მომატებულ ციფრებს გვაწვდიდნენ. კომისია იძულებული გახდა 1920წ. იანვრამდე შემოსული ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში გაეტარებინა. მოხდა ისე, რომ აქ მოყვანილი

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 172-173.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 173.

თანხებიდან შვიდი თვის ხარჯი საკანონმდებლო ორგანოს მიერ უკვე მიღებულ იყო. ის ცალ-ცალკე დამტკიცებული ჰქონდა პარლამენტს. ე.ი. მხოლოდ ხუთი თვის ნამდვილი ბიუჯეტის პროექტი დარჩა განსახილველი. ამიტომ პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის განხილვა არ უნდა ყოფილიყო საინტერესო. მაგრამ მის ირგვლივ ცხარე კამათი საკანონმდებლო ორგანოში მაინც გაიმართა. ბიუჯეტი კრიტიკის ქარტეხილში გაატარა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის წარმომადგენელმა ლეო შენგელაიამ. მან ბიუჯეტს უბრალო საბულალტრო ანგარიში უწოდა.[1]

ბიუჯეტის განხილვა ლ. შენგელაიამ უინტერესოდ მიიჩნია იმის გამო, რომ აქ ლაპარაკი იყო წარსულზე და არა მთავრობის საფინანსო პოლიტიკის მომავალ გეგმებზე. „ბიუჯეტი არ არის სოციალისტური, ის არ არის დამყარებული სოციალისტურ პრინციპებზე... ეს გარემოება გვაძლევს ჩვენ სრულ უფლებას ამ დოკუმენტის ავტორებს მოვთხოვოთ ახალი პრინციპები, რომლებზეც უნდა იყოს დამყარებული სოციალისტური ეკონომიკა და სოციალისტური ფინანსები“[2] – აღნიშნავდა ლ. შენგელაია. მან მიუთითა ყოვლად მიუღებელ ხარჯებზე. მან კურიოზული უწოდა სახელმწიფოს მიერ ეკლესიის საჭიროებისათვის მილიონობით ფულის ხარჯვას. მაშინ როდესაც გასავალი მნიშვნელოვნად აღემატებოდა შემოსავალს.[3]

სხდომაზე ასევე ბიუჯეტის კრიტიკით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპ. კედია. პირველი შენიშვნა, რომელიც მან ბიუჯეტის მიმართ გააკეთა, იყო ის, რომ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენელი იყო არა მთელი წლის, არამედ 5 თვის ბიუჯეტი.[4] არასაკმარისად მიიჩნია სპ. კედიამ რეალუ-

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 35-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 20.VII, გვ. 24.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 35-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 20.VII, გვ. 25.

[3] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 35-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 20.VII, გვ. 25.

[4] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 39-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 29.VII, გვ. 16.

რი ბიუჯეტის შედგენის ხელშეწყობის თვალსაზრისით საფინანსო კომისიის მუშაობა. სპ. კედია შეშფოთებას არ მალავდა ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დეფიციტის გამო და შიშობდა, რომ ის თანხა, რომელიც შემოსავალში იყო ნავარაუდევი სრულად არ შემოვიდოდა და დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდებოდა.[1]

ეროვნული დემოკრატების ლიდერმა ყურადღება გაამახვილა ფულის კურსის დაცემის ფაქტზე. „თუ ბიუჯეტის დეფიციტისა და ფულის კურსის დაცემა პარალელურად განვითარდება, ჩვენ მალე კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით“[2] – ამბობდა იგი და მთავრობას მოუწოდებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად მუშაობის კარდინალურად გარდაქმნისაკენ. მისი აზრით, პირველ რიგში მთავრობას უნდა ეზრუნა განადგურებული მრეწველობის აღდგენაზე, სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფაზე, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის აღმოფხვრაზე და ა.შ. მას მიუღებლად მიაჩნდა თამბაქოს ექსპორტის მონოპოლიის მთავრობისეული გადაწყვეტა, რომელიც მთელ რიგ მანკიერ ელემენტებს შეიცავდა, რასაც თამბაქოს მოსავლიანობის მკვეთრი შემცირება მოჰყვა (800 ათასი ფუთიდან 20-30 ათას ფუთამდე). ქვეყანას დააკლდა უზარმაზარი რაოდენობის ვალუტა.[3] არანორმალურად მიიჩნია სპ. კედიამ ბორჯომის წყლის ჩამოსხმისა და რეალიზაციის საქმეში მთავრობის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელსაც ქვეყნისათვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდა.[4]

საინტერესო იყო ეროვნულ-დემოკრატების კიდევ ერთი ლიდერის ალ. ასათიანის გამოსვლა. მან წარმოდგენილ ბიუჯეტს გასულ წელს გაწეული ხარჯების ანგარიში უწოდა[5] და აღნიშ-

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 39-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 29.VII, გვ. 16.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 39-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 29.VII, გვ. 16.

[3] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 39-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 29.VII, გვ. 18.

[4] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, 39-ე სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 29.VII, გვ. 25-26.

[5] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 35.

ნა, რომ მისი განხილვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, როგორც საზოგადოდ მიღებულია ბიუჯეტის განხილვის დროს. „ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ ესა თუ ის ხარჯები, ვინაიდან ის უკვე ფაქტობრივად გაწეულია“. ალ. ასათიანმა დაადასტურა სპ. კედიას მოსაზრება, რომ შემოსავლების არაპროგნოზირებადობის პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება მოსალოდნელი თანხები არ შემოვიდეს და დეფიციტი კიდევ უფრო გაღრმავდესო.

ალ. ასათიანმა საგადასახადო, საბაჟო სამსახურების, მთავრობის სხვა სტრუქტურებისა და ვაჭრობის უწყების საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და მოითხოვა მათი მუშაობის კარდინალურად გარდაქმნა. მან აღნიშნა საშინაო ვაჭრობის სფეროში შემორჩენილი ის ძველი წესები – ერთი მაზრიდან მეორეში შემოტანილ საქონელზე წესდებოდა გაუგებარი რეკვიზიციები, რის შედეგად ძვირდებოდა საქონელი, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც შეჭირვებული მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას.[1]

ალ. ასათიანი შეეხო ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, იმ დარგებს, რომლებზედაც ძირითადად დამოკიდებული იყო საბიუჯეტო თანხების მობილიზება. მან ილაპარაკა იმ შეცდომებზე, რომლებიც დაშვებულ იქნა სოფლის მეურნეობის მართვაში.[2] კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მუნიციპალიტეტებისა და ერობების საქმიანობა, მათი განუკითხავი მოქმედება მესაკუთრეთა მიმართ.[3] დეპუტატმა მრეწველობის ჩავარდნაზეც ისაუბრა: მან დაგმო მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა და მას უვარგისი უწოდა, რის გამო არამც თუ განვითარდა ეს დარგი, არამედ განადგურდა ისიც რაც მემკვიდრეობად მიიღო ქვეყანამ.[4]

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 42.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 40-41.

[3] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 40-41.

[4] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 40-41.

ალ. ასათიანმა ილაპარაკა სავალუტო საქონლების ექსპორტის მონოპოლიის შესახებ. მონოპოლიამ მანგანუმის გარდა, – აღნიშნა დეპუტატმა. – ვერ მოგვცა სასურველი შედეგი. თამბაქოს ექსპორტის მონოპოლია მეთამბაქოების დაცემის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი გახდა.[1] ანალოგიური შეფასება მისცა მან აბრეშუმის პარკის მონოპოლიას. ჩვენ ბიუჯეტს არ ვქმნით, თუმცა საბიუჯეტო კამათი გავმართეთ. სახელმწიფოს აქვს უზარმაზარი ხარჯები, შემოსავლები კი მის მესამედს ფარავენ. ქვეყანა ფულის საბეჭდ მანქანაზე არის დამოკიდებული როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის გამყარებას საბეჭდი მანქანით ცდილობს, მისი მომავალი უნუგეშოა – აცხადებდა ალ. ასათიანი.[2]

მიწათმოქმედების მინისტრის ნ. ხომერიკის გამოსვლა მიეძღვნა მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას. მან აღნიშნა, რომ მმართველი პარტია ხელს უწყობს საზოგადოებრივ მეურნეობას, მაგრამ არ დევნის კერძო ინიციატივას, რომ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას ახასიათებს სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ მეურნეობათა თანაარსებობა.[3]

მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა ქვეყანაში გატარებულ აგრარულ რეფორმას. ამასთან აღიარა ჩავარდნები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში. ბოლოს სამომავლო გეგმებზე გაამახვილა ყურადღება.[4] სპ. კეიდიას განცხადებას, თითქოს ბორჯომის წყლები აზარალებენ ქვეყნის ბიუჯეტს, მინისტრმა უპასუხა „1919 წლის მონაცემებით ბორჯომის წყლების ექსპლუატაციის შემდეგ სახელმწიფომ 866037 მანეთის წმინდა მოგება მიიღო“.[5]

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 42-43.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 22.

[3] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 22.

[4] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 24-25.

[5] *საქართველოს დამფუძნებელი კრება*, მე-40 სხდომა, სტენოგრაფიული ანგარიში. 1920. 30.VII, გვ. 27.

პარლამენტის სხდომაზე გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა კ. კანდელაკმა ილაპარაკა ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე. მან გააკრიტიკა სამინისტროებისა და უწყებების მესვეურები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ბიუჯეტის შედგენა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა. მინისტრმა მოუწოდა კოლეგებს ბიუჯეტთან დაკავშირებული მასალები დროულად წარუდგინონ ფინანსთა სამინისტროს.[1] მინისტრმა ხაზი გაუსვა ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ კრიზისს, რომ საწარმოთა თითქმის 99%-ს პრობლემები ჰქონდა. ამის გამო შემოსავალ-გასავალზე ანალიზის გაკეთება შეუძლებელი იყო.ერთერთ სერიოზულ პრობლემად მინისტრმა ვალუტის დეფიციტი დაასახელა. ის შეეხო ადგილობრივ ვალუტასაც, რომ ბონების დაბეჭდვა კატასტროფამდე მიიყვანდა ქვეყანას.

საფინანსო უწყების მეთაურმა საგარეო ვაჭრობის უარყოფით ბალანსზე გაამახვილა ყურადღება. მან აღშფოთება ვერ დამალა იმის გამო, რომ საზღვაო ქვეყანაში სანაოსნო ტრანსპორტი ფაქტობრივად არ არსებობდა. მინისტრმა დაასკვნა, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას არ ეშველებოდა თუ არ განხორციელდებოდა საგანგებო ზომები ადგილობრივი საწარმო ძალების განსავითარებლად.[2]

ბიუჯეტის დეფიციტი უპირველეს ყოვლისა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის შედეგი იყო. ბაქოს ნავთობი, რომელსაც დიდი შემოსავალი შემოჰქონდა, ამიერკავკასიის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ეს წყარო ფაქტობრივად ჩაიკეტა. ნავთობიდან შემოსავლის დაკარგვის კომპენსაცია მანგანუმთან ერთად თამბაქოსაც შეეძლო. მეთამბაქოეობა საქართველოში ტრადიციულ დარგად ითვლებოდა. ქართული თამბაქო არაფრით არ ჩამოუვარდებოდა უცხოურს. მისი ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გადიოდა და სოლიდური შემო-

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება,* სტენოგრაფიული ანგარიში. 1920.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება,* სტენოგრაფიული ანგარიში. 1920.

სავალი შემოჰქონდა. ომის დროს როცა გზები ჩაიკეტა თამბაქო შიდა ბაზრის ამარა დარჩა და მისი ფასი საგრძნობლად დაეცა. ამას დაემატა თამბაქოს ექსპორტის მონოპოლიის საფარქვეშ მეთამბაქოეთა საქმიანობაში სახელმწიფოს უხეში ჩარევა, რის შედეგადაც მოსახლეობას გული აუცრუვდა ამ კულტურაზე და მისი წარმოება კატასტროფულად დაეცა.

პრობლემა შეიქმნა ბათუმთან დაკავშირებით. ორი წლის განმავლობაში აჭარა მოწყვეტილი იყო დედა-სამშობლოს. უფრო ადრე – ახალციხე და ახალქალაქი. ამ რეგიონებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სახაზინო ქონებიდან შემოსავლებმა იმედები ვერ გაამართლა. საბიუჯეტო კომისიის პროექტით, აქედან უნდა შემოსულიყო 747369000 მანეთი. ფაქტობრივად შემოვიდა 442424000 მან.[1] მიწის ფონდის კერძო საკუთრებაში გადაცემის შედეგად უნდა შემოსულიყო 252 მილიონი მანეთი, ფაქტობრივად შემოვიდა 2455 ათასი მანეთი ანუ 1%-ზე ნაკლები[2]. რკინიგზამაც ვერ შეუწყო ხელი ბიუჯეთის შევსებას. ამიერკავკასიის რკინიგზამ, რომელიც თავისი სატრანსპორტო ფუნქციით ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმპერიის სივრცეში, ჩვენ მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ვითარების გამო დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა, შესაბამისად ნაკლებად დატვირთული იყო, შემოსავალიც ნაკლები შემოდიოდა. მარგანეცის ექსპორტის შეჩერების გამო ასეთ დღეში აღმოჩნდა ჭიათურა-ფოთის რკინიგზა.

1919 წელს საქართველოში ცუდი მოსავალი იყო. ხორბლის დეფიციტის დაფარვა, პურის რაციონის დაწესება არ იყო იოლი საქმე. ამან კიდევ უფრო დაამძიმა მთელი წლის ბიუჯეტი. გორის მიწისძვრამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის სახალხო მეურნეობას, ცხადია ამ უბედურებამ თვალსაჩინო გავლენა იქონია ბიუჯეტზეც. საბჭოთა აზერბაიჯანთან კონფლიქტმა და საომარი წესების შემოღებამ გაადიდა ხარჯები და შეარყია ბიუჯეტის სიმტკიცე. ბიუჯეტის წონასწორობისათვის განსაკუთრებით

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 174.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 174.

ხელისშემშლელი იყო ხარჯთაღრიცხვების ძირითად პროექტში ახალი, თავიდან სრულიად გაუთვალისწინებელი ხარჯების შეტანა, რომლის დასაფარავად ვერავითარი ახალი შემოსავლის წყარო ვერ იქნებოდა მოძებნილი.

რაც მთავარია სახელმწიფოს არ ჰქონდა მწყობრი საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო ადმინისტრაცია ჯერ კიდევ სავსებით ჩამოუყალიბებელი იყო. ამიტომ ხელისუფლებას უჭირდა მოსახლეობიდან გადასახადების აკრეფა. მმართველმა პარტიამ ამ მხრივ საქმე თვითონ გაირთულა. ადერე სოციალ-დემოკრატები გლეხებს მიწის გადასახადების გაუქმებას პირდებოდნენ. ვინც გადასახადს მოითხოვდა მას ხალხის მტრად აცხადებდნენ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთავრობამ საგადასახადო კამპანია, რომ წამოიწყო გლეხებისგან უარი მიიღო.[1]

ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მოსახლეობაში დაგროვილი ფულის გააქტიურება. ამ პერიოდში მოსახლეობაში დიდძალი ფული დაგროვდა. მაშინ ძირითადად სოფელი იყო მწარმოებელი, გლეხს თავისი ნაწარმი ქალაქში გაჰქონდა გასაყიდად სიძვირის გამო ის სამრეწველო პროდუქციას არ ყიდულობდა და ე.ი. გლეხს ქალაქში საქონელი შემოჰქონდა და ფული გაჰქონდა, ის ფულს შინ ინახავდა, შემნახველ სალაროებს არ ენდობოდა, ვინაიდან არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ის შეტანილ ფულს საჭიროების შემთხვევაში დროზე მიიღებდა. უძრავი ფული მიმოქცევიდან გადიოდა და საზოგადოებრივ ღირებულებას კარგავდა.[2]

მნიშვნელოვანი და ყურადსაღები იყო ის, რომ გადასახადების აკრეფის არეალი არ იყო დიდი. ომის შემდეგ სოფლის მეურნეობა უკიდურესად დაქვეითდა. მრეწველობას ნაბიჯიც არ გადაუდგამს უკეთესობისაკენ. ფინანსთა მინისტრი ამასთან დაკავშირებით ამბობდა, რომ „მრეწველობა კალაპოტიდან ამოვარდნილი იყო".

საქართველოს სახალხო მეურნეობაზე უკიდურესად უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის დასაცავად წარმოებულმა საომარმა

---

[1] გაზ. *„საქართველო"*. 1919.26.II.

[2] გაზ. *„საქართველო"*. 1919.26.II.

მოქმედებებმა ადრე თურქეთთან, შემდეგ დენიკინის ჯარებთან, სომხეთთან. საბჭოთა აზერბაიჯანთან "რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის მრავალჯერ მობილიზაცია სოლიდურ თანხებს მოითხოვდა. 1918-1919 წლებში სამხედრო საქმეზე გამოყოფილი იყო 201 მილიონ 201 ათასი მანეთი. 1919-1920 წლებში – 1.196.511 ათასი მანეთი ანუ ბიუჯეტის 36%.[1] 1918 წელს კავკასიის ფრონტთან დაკავშირებით რუსეთის მიერ გადასახდელი თანხა რომელმაც 98 მილიონი 244 ათასი მანეთი შეადგინა, საქართველომ გადაიხადა.[2]

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი საკმაოდ არგუმენტირებული ფაქტები ნათლად წარმოაჩენენ იმ მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუშალეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას. ამასთან, სახეზეა არაერთი სუბიექტური მიზეზი, რომლის შესახებ ნაწილობრივ ითქვა და გაგრძელდება ჩვენი ნაშრომის დასკვნით ნაწილში.

ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი საბაჟო სამსახურია. ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მთავრობამ ამ უწყების შექმნაზე დაიწყო ზრუნვა. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა კანონპროექტი რუსეთის ყოფილი საბაჟოების გაუქმებისა და ახალი საბაჟოების გახსნის შესახებ. კომისიისის მიერ შემუშავებული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 1918წ. 30 აგვისტოს,[3] რის საფუძველზე დაარსდა საბაჟოები: ფოთში, ნატანებში, სადახლოში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ყულევში, აბასთუმანში, გაგრაში, აწყურში.

საქართველოს მთავარი საბაჟოს გამგებლობაში იყო ადლერის, სოჭისა და ტუაფსეს საბაჟოები მოხალისეთა ჯარების მიერ ამ ტერიტორიების დაკავებამდე. საბაჟოები მთავარ საბაჟოს ემორჩილებოდნენ. ეს უკანასკნელი კი ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარებოდა.[4] პირველ ხანებში საბაჟო სამსახურებში სერი-

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 180.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 181.
[3] *სცსსა,* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 46.
[4] *სცსსა,* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 46.

ოზული პრობლემები შექმნა. მოსახლეობისათვის უჩვეულო იყო მეზობლებს შორის ერთგვარი კედლების აღმართვა რასაც ხშირად საბაჟოს მოხელეებსა და მოსახლეობას შორის დაპირისპირება მოჰყვებოდა, საქმე ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფამდეც მიდიოდა. ხალხი ყველანაირად ცდილობდა გვერდი აევლო საბაჟოებისათვის. დიდი მუშაობა დასჭირდა ხელმძღვანელობას ასე თუ ისე მომზადებული მოხელეებით დაეკომპლექტებინა ეს სამსახური. სასაზღვრო საბაჟოების მუშაობას აფერხებდა მოუწყობელი საყოფაცხოვრებო პირობები. მიუხედავად ამისა ეს უწყება ახერხებდა ნორმალურ ფუნქციონირებას. რაც დრო გადიოდა მისი მუშაობა უმჯობესდებოდა.

1918-1919წ. პირველ ნახევარში საქართველოში ძირითადად საქონელი რუსეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, ნაკლებად სომხეთიდან, უკრაინიდან, ზაქათალიდან შემოჰქონდათ.[1] ფართო ვაჭრობას ეწეოდნენ უმთავრესად *„ფორერის“, „კონკორდის“, „პობედას“, „რუსეთის საზოგადოების“* ხოშტარიას, შესტოვის, აბრამოვიჩის, გაბახანოვის, კახეთის მევენახეთა საზოგადოების, „ოქროს ვერძის“, „სარაჯიშვილის ამხანაგობის“ და სხვა[2] კერძო მოვაჭრეები: კაპლანი, ლენბერგი, სოხინი, პოპოვი, რობერტ დე რია, ძმები ჰუსეინები, ახმეტოვები, ბერკოვიჩი, ჯიქია, ელიგუშვილი და სხვა.[3] საქონელი ძირითადად რკინიგზით შემოჰქონდათ, ასევე ზღვით, ავტომობილებით და ა.შ.

უმთავრესად შემოჰქონდათ: ერბო, ყველი, კარაქი, მარილი, ტყავეულობა, ქალალდი, საპონი, ხილი, ფქვილი, ნავთი, ზეთი, ბრინჯი, მაზუთი, შაქარი, ხორცი, კარტოფილი, თაფლი, ქერი, ხორბალი, სიმინდი, ლეკური შალი, მზესუმზირის ზეთი, რკინეულობა, მზა ტანსაცმელი, მედიკამენტები, ხისა და ლითონის ნაწარმი, ქალალდი, წიგნები და სხვა.[4] გაჰქონდათ: ღვინო, თხილი, ხილი, ძველი ხალიჩები, შალეულობა, კაკალი, თუთუნი, ლობიო,

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 46.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 46.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 46.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 46-47.

ძველი საოჯახო ნივთები, ყავა, ლამპის შუშები, ყუთები, შინაური ცხოველები და სხვა ადგილობრივი ნაწარმი.[1]

1918წ. მაისის ბოლოდან 1919წ. ივნისის ჩათვლით შემოტანილ იქნა 385884 ფუთი, 304816214 მან. ღირებულების სხვადასხვა სახის საქონელი. მათზე საბაჟო გადასახადის სახით შემოვიდა 1294176 მანეთი.[2] 1920 წლის 11 თვეში შემოტანილ იქნა 25922 ათასი მანეთის საქონელი, ხოლო გატანილ იქნა 13327 ათასი მანეთის. საბაჟოს თანამშრომლებს აქტიური ბრძოლა უხდებოდათ კონტრაბანდის წინააღმდეგ. ჩვენს ტერიტორიაზე ინგლისის ეშელონების მიმოსვლის დაწესების შემდეგ, მათი დახმარებით კონტრაბანდისტებმა დაიწყეს საქონლის გატანა და შემოტანა. ამაში თვით ინგლისელი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ. მაგ. ნავთლუხის სადგურში მთავარი საბაჟოს განკარგულებით დაკავებულ იქნა სამი ვაგონი შაქარი, რომელიც მიბმული იყო ინგლისის სამხედრო მატარებელზე. ტვირთი თითქოს ინგლისელებს ეკუთვნოდათ, სინამდვილეში კი კერძო პირების საკუთრება იყო.[3] მიუხედავად ამისა, ეს ტვირთი ინგლისელებმა აზერბაიჯანში გაიტანეს. ასეთივე მეთოდით ინგლისელების დახმარებით თბილისიდან გატანილ იქნა სომხეთში 11 ვაგონი ტვირთი.[4] საბაჟო სამსახურების აქტიური მოქმედების შედეგად ერთი წლის განმავლობაში (1918 წლის მაისი 1919 წლის ივნისი) კონტრაბანდული ტვირთის კონფისკაციის შედეგად ხაზინაში შევიდა 3331443 მან.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საბაჟო სამსახური, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ასრულებდა თავის ფუნქციას, მაგრამ, ეს სრულებით არ იყო საკმარისი ქვეყნის ბიუჯეტის სერიოზული დეფიციტის შესავსებად.

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 47.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 47.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 48.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 215, ფურც. 48.

§ 2. ფულის საკითხი

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოს ხელისუფლების წინაშე ფულის პრობლემა დადგა. ჩვეულებრივ პირობებში დამოუკიდებელმა სახელმწიფომ იმთავითვე საკუთარი ფულის ნიშანი უნდა შემოიღოს. მაგრამ საქართველოში შექმნილი უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ამის საშუალებას არ იძლეოდა. ქვეყანა ჯერ ამიერკავკასიის ბონით, შემდეგ ქართული ბონით კი სარგებლობდა, მაგრამ ორივე რუსეთის მანეთთან იყო დაკავშირებული. იყო სხვა უაღრესად სერიოზული პრობლემებიც, რომლებიც ჩვენს ქვეყანას რთულ მდგომარეობაში აყენებდა და საკუთარი ფულის ნიშნების შემოღებას აფერხებდა. კერძოდ, ოსმალეთ-კავკასიის ფრონტიდან გამოქცეული საქართველოს საზღვრებთან თავმოყრილი, ბოლშევიკური პროპაგანდით გაბოროტებული რუსი ჯარისკაცები უკიდურესად მტრულად იყვნენ განწყობილნი დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ. ასევე მტრულად იყვნენ განწყობილნი თვით საქართველოში დისლოცირებული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცები.[1]

არანაკლებ საშიში იყო უმუშევრად დარჩენილი ამიერკავკასიის ადმინისტრაციის უკმაყოფილო ყოფილი ჩინოვნიკები. ასევე სამხედრო საჭიროებისთვის შექმნილი სხვადასხვა დაწესებულებათა მოხელეები, რომლებიც სამსახურის დაკარგვის დღიდან ხელფასების გასტუმრებას და საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაუყოვნებლივ დაფარვას მოითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის აოხრებით იმუქრებოდნენ. „საჭირო იყო უაღრესად ფრთხილი მოქმედება, რათა ქვეყანას თავიდან აეცილებინა სირთულეები.

ერთ გაუთვალისწინებელ მოქმედებას შეიძლებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყოლოდა. არეულობის ასაცილებლად მთავრობას უნდა მოეხდინა ყოფილი საიმპერიო და სამ-

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 60; ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა. თბ., 1996, გვ. 34.

ხედრო სტრუქტურების ლიკვიდაცია და მათი მრავალრიცხოვანი ჩინოვნიკებისა და სამხედრო პირების რუსეთში გასტუმრება. ამას რამდენიმე მილიონი სჭირდებოდა. ქართული ფულის ნიშანი ამ ღონისძიებისთვის არ გამოდგებოდა. ახალი ფულის ნიშნის შემოღებაზე მოფიქრების დროც არ იყო, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გვებეჭდა ამიერკავკასიის ბონი", — აღნიშნავდა კ. კანდელაკი.[1]

ამიერკავკასიის ბონს უფრო ვრცელი სამოქმედო არეალი ჰქონდა. თანაც ადგილობრივ საბანკო დაწესებულებებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რუსეთთან კავშირი გაწყვეტილი. ეს კი ამ სერიოზული საკითხის მოგვარების შესაძლებლობას უფრო იძლეოდა.[2] საქართველოს ფულის ნიშნის გამოშვების წინააღმდეგ ადგილობრივი ბანკები გამოდიოდნენ. მათ მოქმედებას პოლიტიკური ელფერი დაკრავდა.

ბანკირების უმრავლესობა არაქართველები იყვნენ. აშკარად ჩანდა, რომ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ძალების გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული.[3] ისინი ბანკების დახურვითაც იმუქრებოდნენ. ალბათ ეს მათ აწყობდათ. როგორც რუსეთის ნაციონალიზირებული ბანკების ადგილობრივი დაწესებულებები, აქ ღრმა კრიზისს განიცდიდნენ იმ დონემდე, რომ მეანაბრეებს ფულს ვერ უბრუნებდნენ. ბანკების დახურვას მთავრობას გადააბრალებდნენ და ამით მრავალრიცხოვან უკმაყოფილო კლიენტებს ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ფული რომც ყოფილიყო მიმოქცევაში, ის ასეთ შემთხვევაში მაინც ვერ გამოდგებოდა, ამიერკავკასიის ბონი კი ამ სერიოზული საკითხის გადაჭრისას შესაძლებლობას უფრო აიოლებდა.[4]

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 64.
[2] ნ. ჯაფახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 25.
[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 63.
[4] ნ. ჯაფახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 64.

აი, ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის ბონის დროებით შენარჩუნებას, მის მიერ ერთგვარი გარდამავალი ფულის ფუნქციის შესრულებას.

რუსეთის ცარისტული იმპერიის დაშლიდან ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს დაშლამდე ამიერკავკასიაში მიმოქცევაში იყო რამდენიმე ტიპის ვალუტა:

1. რუსეთის მეფისდროინდელი „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები".
2. რუსეთის დროებითი მთავრობის ფულის ნიშნები.
3. ამიერკავკასიის ბონები.[1]

მიმოქცევაში იყო ოსმალური ლირა, რომლის კურსი 1918 წლის ივნისში 16-ჯერ აღემატებოდა ამიერკავკასიის კომისარიატის მანეთის კურსს. გარდა ამისა, ფულის ნიშნების ნაკლებობისას ზოგიერთი ქალაქების სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილება საჭიროებისამებრ უშვებდა საკუთარ ფულად ნიშნებს, რომლებსაც მიმოქცევის არეალი შეზღუდული ჰქონდათ.[2]

ივლისის ბოლოს სამი რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება საკუთარი ფულის ნიშნების შემოღებამდე ამიერკავკასიის ბონის ემისიის გაგრძელების შესახებ. შემუშავებულ იქნა სამოქმედო გეგმა:

1. მკაცრად უნდა განესაზღვრათ ამიერკავკასიის ბონის გეგმაზომიერი და მიზანმიმართული ემისია და ფუფუნების საგნების იმპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ამიერკავკასიაში.
2. არ უნდა დაეშვათ კაპიტალის უცხოეთში გადინება.
3. მაქსიმალურად უნდა შეეზღუდათ რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთების" მიმოქცევა ამიერკავკასიაში და უნდა მიეღოთ მათი ბრუნვიდან ამოღების ზომები.
4. საქონლის ექსპორტს ამიერკავკასიიდან უცხოეთში საფუძვლად უნდა დასდებოდა ან სამაგიერო საქონ-

[1] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 19.
[2] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 19.

ლის იმპორტი უცხოეთიდან, ანდა აქედან გატანილ პროდუქციაში აღებული ვალუტა სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა.

5. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის პრეროგატივა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებს უნდა ჰქონოდათ, ხოლო მისი საკურსო თანაფარდობა ამიერკავკასიის ბონებთან შეფარდებით უნდა დადგენილიყო სამივე რესპუბლიკის შეთანხმების საფუძველზე.[1]

ამიერკავკასიის ბონების ემისია ხორციელდებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპეტენტური მისიების სპეციალურ დადგენილებათა საფუძველზე, რომელიც რატიფიცირდებოდა ამ რესპუბლიკების მთავრობათა მიერ.[2] პირველი რესპუბლიკათაშორისი შეთანხმება ფინანსურ საკითხზე 1918 წლის ივლისში მოხდა. ხოლო მანამდე დაიბეჭდა იმ რაოდენობის ბონები, რომელთა გამოცემაც ვერ მოასწრო ამიერკავკასიის სეიმმა თავისი დადგენილების ფარგლებში.[3]

1918 წლის ივლისიდან 1919 წლის ივლისამდე რესპუბლიკათა შორის შეთანხმების საფუძველზე განხორციელებულ იქნა ამიერკავკასიის ბონის ხუთი ემისია 1 მილიარდ 60 მილიონი მანეთის ოდენობით. ადრე, კომისარიატისა და სეიმის არსებობის პერიოდში, გამოშვებულ იქნა 300 მილიონი, საბოლოო ჯამში – 1 მილიარდ 360 მილიონი.[4] აქედან საქართველომ მიიღო 540 მილიონი მანეთი. დანარჩენი ერგო სომხეთსა და აზერბაიჯანს. საქართველოს მეტი წილი განაპირობა იმან, რომ მას უხდებოდა რუსეთის საიმპერიო დაწესებულებებთან და ფრონტთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა (ამისთვის საქართველომ დახარჯა 98 მლნ. 244 ათასი მან.).[5]

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 67. ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 27.

[2] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 27.

[3] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 27-28.

[4] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 28.

[5] *სცსსა*, ფ. 1839, აღწ. 1, საქ. 72, ფურც. 37-38.

ამიერკავკასიის ბონის ემისიას გარკვეული სარგებლობა კი მოჰქონდა, მაგრამ სახელმწიფოს შემდგომი განვითარების პერსპექტივა დღის წესრიგში აყენებდა ეროვნული ვალუტის შექმნის აუცილებლობას. პირველ ხანებში ემისია რესპუბლიკებს შორის სრული თანხმობის ატმოსფეროში ხორციელდებოდა. შემდეგ მდგომარეობა დიამეტრალურად შეიცვალა აზერბაიჯანის მთავრობის უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად. საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული ბაქოს განთავისუფლების შემდეგ ბოლშევიკების მიერ დატოვებული საბეჭდი მანქანით დაიწყო საკუთარი ფულის ბეჭდვა, საქართველოსა და სომხეთის მთავრობასთან შეუთანხმებლად. შემდგომში ყოველ ახალ ემისიაზე გადაწყვეტილების მიღება აზერბაიჯანის მხრიდან წინააღმდეგობის გამო სულ უფრო ძნელდებოდა. არადა ემისიები მხოლოდ სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა დადგენილებებითა და რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების რატიფიკაციის შემდეგ ხორციელდებოდა.

„ამიერკავკასიის ბონის ემისიას – აღნიშნავდა კ. კანდელაკი – ამიერიდან აზერბაიჯანის წარმომადგენლები ყოველგვარ დაბრკოლებას წინ უყენებდნენ. ვერავითარი ფულის გასანაწილებელი სახელმძღვანელო პრინციპი სამთავესათვის მისაღები, ვერ იქნა გამონახული: არც ტერიტორიის სივრცე და მოსახლეობის რაოდენობა, არც რაოდენობა აღებ-მიცემობის ან საქონლის საექსპორტო და საიმპორტო – არაფერი საერთო საზომად არ იქნა მიღებული. თითოეული ახალი ემისია დიდის ვაი-ვაგლახით ტარდებოდა ხოლმე სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფერენციაზე“.[1]

დროთა განმავლობაში ეს საკითხი სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა და ამიერკავკასიის უნიფიცირებული ფინანსური სისტემის შენარჩუნება თანდათან შეუძლებელი ხდებოდა.[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფოს, ისე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის სირთულე თავისებურ დაღს ასვამდა ქვეყნის ისედაც მოშლილ ეკონომიკურ

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 66-67.

[2] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა, გვ. 29.

ყოფას. სახელმწიფოს შემოსავალი საგრძნობლად ჩამორჩებოდა გასავალს, სახეზე იყო ბიუჯეტის სოლიდური დეფიციტი, სესხის აღება სერიოზულ პრობლემასთან იყო დაკავშირებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისეთ რთულ სიტუაციაში, როდესაც სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არის ფეხზე დამდგარი, ეკონომიკა კი კრიზისს განიცდის, ქაღალდის ფულს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ხელისუფლებისათვის. ამის თაობაზე კ. კანდელაკი წერს: „იგი სესხის როლს ასრულებს და გადასახადების საკმაოდ შემოსვლამდის სახელმწიფოს არსებობის საშუალებას აძლევს. ასე უნდა მომხდარიყო ჩვენშიც. ამიტომ ის გარემოება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ფულის ემისიით ჩვენი საჭიროებისა და შეხედულებისამებრ სარგებლობა, ასულდგმულებდა იმ აზრს, რომ შეუძლებელი იყო ჩვენთვის ისეთ საკითხში, როგორიც იყო ფულის საკითხი დიდხანს დავრჩენილიყავით დამოკიდებული მეზობლებზე, რომლებიც ხშირად ჩვენს საჭიროებას საკმარის ანგარიშს არ უწევდნენ ხოლმე“.[1]

აშკარად ჩანდა, რომ თუ ამიერკავკასიის ბონის ემისიას ადრე გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა, ის უკვე ფულად-საკრედიტო სფეროში ქვეყნის სუვერენიტეტს ზღუდავდა. საკუთარი ფულის ნიშნის შემოღებისთვის თითქოს უკვე ხელსაყრელი დროც დადგა. იმ პერიოდისათვის საქართველოს საგარეო მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდა. ქვეყანა „დე ფაქტო“ ბევრმა სახელმწიფომ ცნო. უცხოეთის ბაზრებისაკენ გზები ნელ-ნელა იხსნებოდა, სამთავრობო სტრუქტურებმა ეკონომიკის მართვის ერთი წლის გამოცდილება შეიძინეს, საქართველოს პარლამენტში ქართული ფულის ნიშნის, თუნდაც ბონის შემოღების მომხრეები საკმაოდ გაიზარდა.[2] აქედან გამომდინარე, მთავრობამ ამ მიმართულებით მუშაობა საგრძნობლად გააქტიურა. ამ საკითხს მიეძღვნა პარლამენტის რამდენიმე სხდომა, რომელიც სერიოზული დებატების ვითარებაში მიმდინარეობდა. მთავრობის პოზიცია ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე იყო ორიენტირებული. 1918

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 68.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 68.

წლის შემოდგომაზე გამოშვებულ იქნა 5 მილიონი მანეთის ღირებულების ქართული ლატარიის ბილეთები. შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ქართულ უნივერსიტეტსა და თეატრს.

1918 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მოკლევადიანი 5%-იანი სახელმწიფო ხაზინის ვალდებულების გამოცემის შესახებ“.[1] საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება გამოეცა 50 მილიონი მანეთის 5%-იანი მოკლევადიანი სახელმწიფო ხაზინის ვალდებულება 1 წლის ვადით. ეს ღონისძიება მიმართული იყო ფულის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად და სახელმწიფოს ხარჯის დასაფარად.[2] „სესხმა, როგორც ამას მთავრობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, ვერ მიაღწია დანიშნულებას, რისი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი საზოგადოების ფართო წრეები სრულიად არ იყო შეჩვეული ასეთ საქმეს. ეს მისთვის სრულიად ახალი მოვლენა იყო“.

ამ მხრივ ევროპის ქვეყნებში მოვლენები სხვანაირად ვითარდებოდა. იქ ბანკები გვერდში ედგნენ მთავრობას. მის მიმართ ოპოზიციურად არ იყვნენ განწყობილნი, პირიქით, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ პრობლემების დაძლევაში. მოსახლეობა აქტიურად თანამშრომლობდა საბანკო დაწესებულებებთან, იძენდა ფასიან ქაღალდებს, ფულს ინახავდა შემნახველ სალაროებში და ა.შ.

ეს ღონისძიება მაინც სასარგებლო იყო საზოგადოებისათვის, როგორც ერთგვარი მოთელვა საკუთარ ფულთან შესაგუებლად. რაც დრო გადიოდა, საკუთარი ფულის შემოღებისთვის მუშაობა უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამასთან ქართულ ფულს ჯერ კიდევ მოწინააღმდეგეები ჰყავდა. მოსახლეობაში ვრცელდებოდა დეზინფორმაცია ფულის რეფორმასთან დაკავშირებით, რათა შემნახველ სალაროებში ჩადებული ფული უკან გამოეტანათ. მთავრობა თავის მხრივ იღებდა ზომებს, რათა „ნიკოლოზის“, „კერენსკის“ და ამიერკავკასიის ფულის ნიშნებთან

---

[1] გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“*. 1918, 29.XII.

[2] გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“*. 1918, 29.XII.

კონკურენციაში ქართულ ფულს გაემარჯვა.[1] როდესაც ქაღალდის ფული ოქროს საფუძველს მოცილებული იყო, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების ნდობას. ამის პერსპექტივა ქვეყანაში ნამდვილად ჩანდა. ქართული ფულის თავგამოდებული კრიტიკოსებიც მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ საქმეში სრული დამოუკიდებლობისათვის უნდა მიეღწია.[2]

1919 წლის 11 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის შესახებ", რომელშიც დაფიქსირებულია:

1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს ბონი სამასი მილიონი მანეთისა.
2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნება საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოსყიდულ უნდა იქნეს.
3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით.
4. რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის ბონის თანახმად.
5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს ერთის, სამის, ხუთის, ათის, ოცდახუთის, ორმოცდაათის, ასის და ხუთასი მანეთის კუპიურებისა.
6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს თბილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისათვის გამოსაყენებლად.
7. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლია ერთი მესამედი, ან ერთ-ერთი ხელმომწერი, ან ნომერი უვარგისად ჩაითვლება და არ მიიღება.

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 62.

[2] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა, თბ., 1996, გვ. 50.

8. ყალბი ბონის დამზადების ან გასაღებისთვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით.
9. დეკრეტი ეს შედის ძალაში დღიდან მისი მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.[1]

საქართველოს მოსახლეობა დიდი ინტერესით მოელოდა ქართული ბონის გამოსვლას. ზოგი მის მიმართ ოპტიმისტურად იყო განწყობილი, საზოგადოების ნაწილი კი მას აზერბაიჯანის ფულის ხვედრს უწინასწარმეტყველებდა, რომელიც ამიერკავკასიის ბონზე 50%-ით ნაკლებს ფასობდა.[2] ქართული ბონით დამფრთხალი ხალხი მოაწყდა შემნახველ სალაროებს და ბანკებს, რათა თავიანთი ანაბრები ამიერკავკასიის ბონით მიეღოთ.

ფინანსურ საკითხებში გაუცნობიერებელი მოსახლეობის დაძაბულობის ფონზე მთავრობამ მიიღო საიდუმლო ზომები სალაროებში „ნიკოლოზის", „კერენსკის" და „ამიერკავკასიის ბონების" დიდი რეზერვის შესაქმნელად,[3] ამ ღონისძიებამ გაუადვილა მთავრობას გაეკეთებინა უაღრესად ეფექტური სვლა – მეანაბრეებს გაეტანათ კუთვნილი თანხა მათთვის სასურველი ვალუტით. ეს იქნებოდა რუსეთის საკრედიტო ბილეთები, ამიერკავკასიის თუ საქართველოს ბონები. ამ ღონისძიებამ შედეგი გამოიღო, საზოგადოებაში არსებული შიში გაქრა, მას ქართული ბონის მიმართ ნდობა გაუჩნდა. უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რომელი ფულის ნიშნებით მიიღებდა კუთვნილ თანხას.[4]

ამიერკავკასიის ბონების ემისიის შეწყვეტით ყველაზე უფრო მეტად სომხეთი დაზარალდა. მას ფულის გამოშვების ტექნიკური საშუალებაც არ გააჩნდა. არც აზერბაიჯანისთვის ყოფილა სასარგებლო საერთო ფულის ემისიის შეწყვეტა. მისი ადგილობრივი ვალუტის კურსი სულ უფრო ეცემოდა.[5]

---

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1919*, თბ., 1990, გვ. 290.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 70.
[3] ნ. ჯაგახიშვილი. ქართული ბონისტიკა.., გვ. 51.
[4] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 70.
[5] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 72.

საქართველოს ბონის გამოშვება თითქოს ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანობაში მაინც მძიმე რჩებოდა. ცხადი იყო, რომ სხვადასხვა დროს გამოშვებულ უამრავ ფულის ნიშანს კიდევ ერთი ახალი ფული დაემატებოდა. მთავრობა გახდა თუ არ საკუთარი ფულის პატრონი, ემისიებმა იმატა, რასაც ფულის გაუფასურება და ცხოვრების დონის კიდევ უფრო დაცემა მოჰყვა. ფასები ყველა საქონელზე გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. მთავრობა ისევ ემისიას მიმართავდა.[1]

1919წ. 1 ივლისიდან 1920 წლის 31 დეკემბრამდე გამოშვებულ იქნა 8400 მილიონი მანეთის ბონი.

I ემისია – 300 მლნ. მანეთის

II ემისია – 300 მლნ. მანეთის

III ემისია – 800 მლნ. მანეთის

IV ემისია – 7000 მლნ. მანეთის.[2]

1921 წლის იანვარში დაიწყო საქართველოს ბონის მე-5 ემისია 10 მილიარდი მანეთის ოდენობით.[3] მთავრობა იმედს იტოვებდა, რომ ეს იქნებოდა ბონის უკანასკნელი ემისია ახალი ფულის სისტემის შემოღებამდე. თუ 8400 მილიონ მანეთს მივუმატებთ უკვე დაწყებულ 10 მილიარდიან ემისიას და იმ 540 მილიონ მანეთს, ამიერკავკასიის ბონის საქართველოს წილს რომელიც თავის დროზე საქართველომ იკისრა, ქვეყანამ დამოუკიდებლობის პერიოდში გამოუშვა 18940 მილიონი მანეთის ბონი.

„ამ ციფრებიდან ჩანს, რომ მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ არა ისეთი საშიში და გამოუვალი, როგორც ამას ავისმსურველები ავრცელებდნენ“ – აღნიშნავდა კ. კანდელაკი. მან პოლონეთის მაგალითი მოიყვანა, რომელმაც დამოუკიდებლობა მიიღო თითქმის იმ პერიოდში, როცა საქართველომ. მაგრამ საკუთარი ფული ზლოტი შემოიღო მხოლოდ 1924 წელს. მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდ-

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 72.

[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 72.

[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 73.

რე საქართველო თავისი მრეწველობით, ვაჭრობით, საბანკო ქსელით, ევროპის დონეზე მობილიზირებული კადრებით, ევროპის ქვეყნების დახმარებით, მაგრამ მაინც ინტენსიურად ბეჭდავდა ქაღალდის ფულს. 1924 წლის დასაწყისისთვის მან განახორციელა ასტრონომიული თანხის ემისია 596244206000000 პოლონური მარკის ოდენობით. უარესი მდგომარეობა იყო ავსტრიაში მიუხედავად იმისა, რომ მან 1919-1922 წლებში სესხად მიიღო 75 მლნ. გირვანქა სტერლინგი მას 1923 წლისთვის გამოშვებული ჰქონდა 5557000000000 კრონის ქაღალდის ფული.[1] რომლის ღირებულება 387 ათას ოქროს არ აღემატებოდა. გერმანიაში 1923 წელს ქაღალდის მარკის რაოდენობა აღწევდა 116000 მილიარდ ოქროს მარკას. მისი ღირებულება კი 116 მილიონ ოქროს მარკას უდრიდა.[2]

ლატვიამ და ლიტვამ საკუთარი ფულის ნიშანი შემოიღეს 1922წ. ესტონეთმა, ავსტრიამ და პოლონეთმა 1924 წელს. გერმანიამ 1924 წელს შემოიღო საკუთარი რეიხსმარკა.[3] ქართული მანეთის კურსი 1920 წლის სხვადასხვა პერიოდში ასეთი იყო.

	გირვანქა სტერლინგი	დოლარი	ფრანგ. ფრანკი
15 იანვარს	900 მან.	–	19 მან. 60 კაპ.
15 მარტს	910	–	18
15 ივნისს	1474	350	26
15 აგვისტოს	3500	825	63
15 ოქტომბერს	4400	1300	80
15 დეკემბერს	118000	5500	300[4]

ფინანსთა მინისტრი დაბეჯითებით გვამცნობს, რომ საქართველოში ფულის საკითხი არ ყოფილა ისეთი კატასტროფული,

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 74.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 74.
[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 74.
[4] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 72.

როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზემოხსენებულ ქვეყნებში. თუმცა მათ მოგვიანებით მოახერხეს საკუთარი ფულის შექმნა და მისი ხმარებაში შემოტანა.[1] მთავრობის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს ჰქონდა ამის პერსპექტივა, მაგრამ რუსეთის ინტერვენციამ ქვეყანას ამის შესაძლებლობა არ მისცა.[2] კ. კანდელაკის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ კარგად უწყოდა, თუ რა მდგომარეობაში იყო ქვეყნის ეკონომიკა, რომ გამოსავალი უნდა გვეძებნა ადგილობრივი საწარმოო ძალების ამოქმედებაში, საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრაში, საგარეო სესხის აღებაში, უცხოური კაპიტალის მოზიდვაში და ა.შ.

ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპაში მივლინებული ოფიციალური სამთავრობო ეკონომიკური მისიის (ხელმძღვანელი ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი) წარმატებული საქმიანობა, რომელმაც 1920 წლის 19 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკ *„Limited 48“*-სთან დადო ხელშეკრულება მილიონ ნახევარი გირვანქა სტერლინგის სესხის თაობაზე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მოხმარებოდა ფულის მიმოქცევის საქმეს. აღნიშნული თანხა, რომელიც ქართულ მანეთზე გადაანგარიშებით 27 მილიარდს უდრიდა, ეკონომიკურ სასწაულს ვერ მოახდენდა, მაგრამ არა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება ნამდვილად შეეძლო. ამ თანხით საქართველოს ბონებისა და საქართველოს წილად დაბეჭდილი ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების აბსოლუტური რაოდენობის გამოსყიდვა და პლუს ერთი წლის სახელმწიფო ბუჯეტის დაფარვა შეიძლებოდა. 1920-1921 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი 8 მილიარდ 552 მილიონ მანეთს უდრიდა.[3]

ამის შესახებ კ. კანდელაკი წერდა: „ანგარიში მაჩვენებელია არა იმის, რომ სესხი დიდ თანხას წარმოადგენდა, არამედ იმის, თუ რა ცოტა იყო საჭირო ჩვენი მაშინდელი ფინანსური

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 74.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 74.
[3] ნ. ჯაგახიშვილი. ქართული ბონისტიკა, , გვ. 70.

მდგომარეობის გამოსასწორებლად.“[1] ამ ხელშეკრულების დადებას მიაწერენ 1921 წლის იანვარში ინგლისური გირვანქა სტერლინგის 18 ათასიდან 11 ათასამდე დაცემას. ასევე მნიშვნელოვანი იყო იტალიის უმსხვილეს საწარმოსთან დადებული ხელშეკრულება ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესიის შესახებ. საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო აბრეშუმის მრეწველობაში ფრანგული კაპიტალის ინვესტირების მსხვილმასშტაბიან პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულება.

1920 წლის მეორე ნახევარში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მთავრობის მიერ საქმიანი ურთიერთობების გააქტიურება, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო ხელშეკრულებებით დასრულდა, წარმატებული მომავლის იმედს სახავდა, რასაც სავალუტო სისტემის მოწესრიგებაც მოჰყვებოდა. ბოლშევიკური რუსეთის „წყალობით“ მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა.

§ 3. სახელმწიფო ბანკი

საქართველოში 1920 წლის ზაფხულამდე სახელმწიფო ბანკი არ არსებობდა. ამ დრომდე ფულადი საკრედიტო ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში დადებით როლს ასრულებდა რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და ცდილობდა პეტროგრადის ცენტრალური ბანკის გამგეობისგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი ყოფილიყო.[2]

ისეთი დაწესებულების გარეშე, რომლის ხელში იქნებოდა სავაჭრო-სამრეწველო კრედიტისა და ფულადი მიმოქცევის სადავეები, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას დიდი პრობლემები ექმნებოდა. ყოველივე ეს მთავრობას გაცნობიერებული ჰქონდა. ამიტომ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი სახელ-

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 190.
[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 129.

მწიფო ბანკის დაარსების შესახებ და წარუდგინა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს.[1]

სახელმწიფო ბანკის საკითხი მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა თავისებურად გადაწყვიტეს: ინგლისში სახელმწიფო საემისიო ბანკი კერძო სააქციონერო საზოგადოება იყო და მოქმედებდა მისთვის მინიჭებული საემისიო უფლებებისა და საკუთარი წესდების გათვალისწინებით. ის სრულიად დამოუკიდებელი იყო. მის მართვაში სახელმწიფო არ ერეოდა.[2] გერმანიაში სახელმწიფო ბანკი ფუნქციონირებდა, როგორც სააქციონერო საზოგადოება. ძირითადი თანხა კერძო აქციონერებს ჰქონდათ ჩადებული, მაგრამ ბანკის მმართველობას მთავრობა განაგებდა.[3] რუსეთში სახელმწიფო ბანკი მთავრობამ დააარსა. ძირითადი თანხა მის მიერ იყო ჩადებული. მართვის სადავეებიც მის ხელში იყო. ანალოგიური მოდელი იყო დამკვიდრებული ბულგარეთსა და ფინეთში.[4]

ამგვარად, საქართველოს მთავრობისათვის საბანკო პოლიტიკის გატარების წინა პერიოდში ცნობილი იყო სამი კლასიკური მოდელი: ა) სრულიად დამოუკიდებელი, წმინდა სააქციონერო (ინგლისი), ბ) შერეული – სააქციონერო-სახელმწიფო (გერმანია), გ) წმინდა სახელმწიფო (რუსეთი).

ფინანსთა სამინისტრომ სამივე მოდელის გაანალიზების შემდეგ საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბა, რომელიც შემდგომში მდგომარეობდა: სააქციონერო ხასიათის ცენტრალური საემისიო ბანკის მოდელი საქართველოსთვის მიუღებელი იყო. აქციონერების მიერ საჭირო კაპიტალის შექმნა, რომელსაც სოლიდური მოგება უნდა მოჰყოლოდა, საქართველოსთვის არ იყო ადვილად განსახორციელებელი. მითუმეტეს ქვეყნის საბანკო და სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენლები წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ სახელმწიფო ბანკი სააქციონერო პრინციპზე ყოფილიყო მოწყობილი.[5]

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 129.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 10.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 10.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 10.
[5] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 130.

შერეულ ბანკებზე მენშევიკურ მთავრობას ცუდი წარმოდგენა არ ჰქონდა. მან კარგად უწყოდა, რომ მასში შერწყმული იყო კერძო კაპიტალის სრული ნდობა და მთავრობის ხელმძღვანელობა, დაცული იყო ორივე მხარის თანამშრომლობა და ურთიერთკონტროლი. ამ ტიპის ბანკებმა ყველგან გაამართლეს.[1] მთავრობა ამ მოდელს ემხრობოდა, მაგრამ მაინც საქართველოს ბანკის სხვა პრინციპზე მოწყობა გადაწყვიტა. ამის მიზეზად ის განსაკუთრებული პირობები დაასახელა, რომელშიც ქვეყანას უხდებოდა ბანკის დაარსება.

ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში საწარმოო ძალთა განვითარებისთვის დიდი თანხა იყო საჭირო. მთავრობის პროგნოზით, ჩვენში კერძო კაპიტალი ვერ შეძლებდა ბანკის ფუნქციონირებისათვის ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამიტომ მან უფრო მართებულად მიიჩნია კერძო კაპიტალისთვის ეკონომიკის სხვა დარგი დაეთმო, ხოლო უაღრესად საპასუხისმგებლო საბანკო საქმე თვითონ სახელმწიფოს ხელში აეღო.[2] რაც შეეხება რუსეთის ბანკს, მას სახელმწიფო ბანკს უწოდებდნენ. მაგრამ ის უფრო მთავრობის ბანკი იყო. მის მუშაობაში ბევრი ნაკლი შეიმჩნეოდა და მთავრობა არ აპირებდა ამ ბანკის გამოცდილების გაზიარებას.[3] რუსეთის სახელმწიფო ბანკი ფინანსთა სამინისტროს სრულ განკარგულებაში იყო და ეს უკანასკნელი ბანკს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა. ყოველივე ეს ნდობას უკარგავდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.[4]

ყველა შესაძლო ვარიანტის შეჯერების შემდეგ მთავრობა დაადგა სახელმწიფო ბანკის ფორმირების განსხვავებულ გზას. კონკრეტულად მთავრობამ აირჩია შვედური ვარიანტი, რომელსაც ევროპაში უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ბანკის ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნოდა. მოგებაც სრულად სა-

---

[1] გ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 130.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 11-12.
[3] გ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 130.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 11-12.

ხელმწიფოს რჩებოდა.[1] ის ისეთი დამოუკიდებელი არ იქნებოდა, როგორც ევროპის სახელმწიფო ბანკები, მაგრამ არც მთავრობისაგან მორჩილი. თავის საქმიანობაში იგი პირდაპირ პარლამენტს ემორჩილებოდა. მისი გამგეობა და სამეურვეო საბჭო მთავრობისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ. მათ პარლამენტი ირჩევდა.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ორგანიზაციაც ამ პრინციპზე იყო აგებული და საფუძვლად დაედო ის წესები, რომლებიც საზოგადოდ ახასიათებს ცენტრალური ბანკების საქმიანობას. ბანკის ძირითადი თანხა 150 მლნ. მანეთს შეადგენდა.[2] ჩვეულებრივი ოპერაციების გარდა საქართველოს სახელმწიფო ბანკს უფლება მიეცა თვალყური ედევნებინა ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებათა ოპერაციებისთვის. ფაქტობრივად იგი გახდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კრედიტის მომწესრიგებელი. მას ფულის ემისიისა და მის განმტკიცებაზე ზრუნვის უფლება ჰქონდა. მაგრამ ამ უფლების განხორციელებას იგი არ შესდგომია სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შექმნამდე.

საქართველოს ბანკის მმართველობის სტრუქტურა ასეთი იყო: ბანკს მართავდა გამგეობა, რომელსაც ამტკიცებდა პარლამენტი. გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევდა პარლამენტი. პარლამენტი ირჩევდა აგრეთვე სამეურვეო საბჭოს წევრებს. საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო სავაჭრო-სამრეწველო და საზოგადოებრივ-ეკონომიკური, მეცნიერების, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისგან. საქართველოს სახელმწიფო ბანკი გაიხსნა 1920 წლის ივლისში. მისი განყოფილებები იყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ის აგზავნიდა კორესპონდენტებს უცხოეთში.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას ჩვენში მოქმედებდნენ შემდეგი საბანკო დაწესებულებები:

1. ადგილობრივი ბანკები:

ა) კავკასიის (ყოფილი თბილისის კომერციული) ბანკი.

---

[1] ჯ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 130-131.

[2] *ცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 11.

ბ) თბილისის სავაჭრო ბანკი. დაარსდა 1913 წელს. ძირითადი თანხა 23 მილიონი მანეთი

გ) ამიერკავკასიის ბანკი. დაარსდა 1916 წელს. ძირითადი თანხა 15 მილიონი მანეთი.

დ) ფრიდონოვის საბანკო კანტორა. ძირითადი თანხა 2 მილიონი მანეთი.

2. ოცი საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოება (3 თბილისში) ძირითადი თანხა 3200 ათასი.

3. რუსეთის ბანკების განყოფილებები: აზოვო-დონის, ვოლგა-კამის, პეტროგრადის საერთაშორისო კომერციულის, მოსკოვის სახალხო ბანკის.

ქვეყანაში ასევე ფუნქციონირებდნენ იპოთეკური ბანკები

I. ადგილობრივი:

ა) თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი.

ბ) ქუთაისის (მიხაილოვის) სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი.

გ) თბილისის საკრედიტო საზოგადოება.

II. რუსეთის იპოთეკური ბანკების განყოფილებები:

ა) სახელმწიფო სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის.

ბ) სახელმწიფო საგლეხო-საადგილმამულო ბანკის.

1918-1920 წლებში დაარსდა ახალი ბანკები:

1) ევროპა-კავკასიის ბანკი. ძირითადი თანხით 6 მლნ. მან. (1918 წ.)

2) საქართველოს კოოპერატიული ბანკი, რომელსაც მოსკოვის სახელმწიფო ბანკმა გადასცა მთელი თავისი აქტივი და პასივი. ძირითადი თანხით 146000 ათასი მან (1920წ.).

3) ცენტრალური სავაჭრო სამრეწველო ბანკი. ძირითადი თანხით 30 მლნ. მან. (1920 წ.).

4) ფოთის ქართული ბანკი. ძირითადი თანხით 71000 მან. (1920 წ.)

1919 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებდა იტალია-კავკასიის ბანკი. მისი გამგეობა იმყოფებოდა რომში. ძირითადი თანხა შეადგენდა 40 მლნ. იტალიურ ლირას[1].

საქართველოს ხელისუფლება სათანადო ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო ბანკის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებას. 1919 წლის 4 მაისის მთავრობის სხდომაზე განხორციელებულ იქნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის სხვა ადგილზე გადატანისა და იქ საქართველოს სახელმწიფო ბანკის განთავსების შესახებ. ამ სხდომაზე დაისვა საკითხი რუსული ბანკის საერთოდ გაუქმების შესახებ.[2]

რუსული ბანკის თბილისის კანტორის მესვეურებმა ამის თაობაზე წერილით მიმართეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სადაც გამოთქმული იყო უკმაყოფილება ასეთი გადაწყვეტილების მიღების გამო. წერილში დაფიქსირებული იყო, რომ რუსეთის საბანკო დაწესებულება ათეული წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა თბილისში, ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ – აღნიშნული იყო წერილში, საქართველო-რუსეთის გზა გაიყარა, მაგრამ ბანკი აგრძელებდა მუშაობას. ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით, დაკავებული იყო ბონების გამოშვებით.

წერილის ავტორები მიუთითებდნენ, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საკრედიტო ბანკის ლიკვიდაციას, რომელიც პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად აღმოჩნდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ბანკის ლიკვიდაცია, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მრავალრიცხოვანი კლიენტების უფლებების შელახვა იყო – ნათქვამია განცხადებაში.[3]

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აჭარის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების პირველი დღიდან ბათუმში მიავლინა თავისი რწმუნებულები რუსეთის ბანკის ბათუმის გან-

---

[1] *კ. კანდელაკი.* საქართველოს ეროვნული.... გვ. 125-127.
[2] *სცსსა,* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 387, ფურც. 15.
[3] *სცსსა,* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 361, ფურც. 40.

ყოფილების ქონების მისაღებად. ამ საქმეში ჩაერია საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში ს. კიროვი, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა პრეტენზია ამ ქონებაზე: «Исходя из того, что отделение российского государственного банка со всем его имуществом является собственностью Российской Федерации, я считаю, что занятие его помещении не может иметь место без ведома и согласия моего».[1]

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ს. კიროვის წერილი შეაფასა, როგორც ქვეყნის საშინაო საქმეში ჩარევა და ამის გამო მკვეთრად გამოხატა თავისი აღშფოთება. მინისტრმა განაცხადა: „ჩვენ ვახორციელებთ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას და თანხმობას ან ნებართავას არავის ვთხოვთ".[2]

§ 4. სოციალური პოლიტიკა

დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების წინაშე მდგარ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სოციალურ საკითხს ეკავა. ომის პერიოდში ცხოვრების დონე საკმაოდ დაეცა. ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა ომის შემდეგ.

1920წ. იანვრისათვის საშუალო საბაზრო ფასები მანეთებში, პირველი მოთხოვნილების საგნებზე (გირვანქობით) ასეთი იყო: ხორცი – 15.50; ყველი – 41.00; ლობიო – 9.19; ხახვი – 4.00; კომბოსტო – 2.88; ზეთი – 60.57; პური – 10.58; კარტოფილი – 6.03; მარილი – 4.83; ბრინჯი – 23.87; ნავთი – 3.24-ს[3]. ყოველთვიური გამოკვება მუშათა მაგიდის დახმარებით საშუალოდ 17000 მანეთი ჯდებოდა, ხოლო მის გარეშე 50000 მან.[4]

პროფესიის მიხედვით ამ პერიოდისთვის მუშათა დღიური ხელფასი იყო:

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 387, ფურც. 54.

[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 387, ფურც. 54.

[3] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 139; ნ. ჯავახიშვილი ქართული ბონისტიკა.., გვ. 59.

[4] შ. ვადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატია.., გვ. 318.

ქვის მთლელის – 120.96; მხურავის – 120.96; მჭედლის – 136.08; მღებავის – 120.96; გამთბობის – 120.96; მხერხავის – 104.96; ხუროს – 104.24; დღიური მუშის – 90.72; ხარატის – 120.96; დურგლის – 136.08; შემლესავის – 104.24[1].

1920წ. იანვარში 1914 წლის თებერვალთან შედარებით, საშუალო საბაზრო ფასები გაიზარდა 154.9-ჯერ, ხოლო იმავე დროს მუშის საშუალო ხელფასმა მოიმატა მხოლოდ 48.7-ჯერ.[2] 1920 წელს თბილისში მუშათა ნომინალური საშუალო ხელფასი მანეთებით შეადგენდა: ხისდამმუშავებლისა – 3550 მანეთს, რკინიგზელისა – 2630, მეტყავისა – 4100, ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკისა – 2980, მელითონისა – 4650, სასოფლო-სამეურნეო მუშაკისა – 2940, მშენებლის – 3330, მკერავისა – 430 მანეთს და ა.შ.[3]

მოსამსახურეები ღებულობდნენ: ადმინისტრაციული პერსონალი – 5070 მანეთს; საქმის მწარმოებელი – 4200; ტექნიკური პერსონალი – 4050; აღრიცხვა-კონტროლის პერსონალი – 6000; სამეანო გამანაწილებელი პერსონალი – 3840; განათლების მუშაკი – 4700; ხელოვნების მუშაკი – 6000, ჰიგიენის მუშაკი – 2850 მანეთს. პირველი მოხმარების საგნების საბაზრო საშუალო ფასები კი დედაქალაქში ასეთი იყო: ერთი ფუთი ხორბალის – 2100.6 მან. სიმინდის 1088.7, ქერის – 1128.9, პურის ფქვილის 1884, კარტოფილის – 631.67 მან. რაფინირებული შაქრის – 8894.16, შაქრის ფხვნილისა – 8576 მან. ერთი გირვანქა საქონლის ხორცის – 56.75 მან, ცხვრის ხორცის – 122.7 მან, ერბო – 493, ყველი – 130.94, საჭმლის ზეთი – 25.75, მარილი – 19.22, ნავთი – 14.25, საპონი – 115.41 მან.[4]

ამ მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ ფასების კატასტროფული ზრდის ფონზე ქვეყანაში შრომის ანაზღაურების თვალ-

---

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 139; ნ. ჯავახიშვილი ქართული ბონისტიკა.., გვ. 59.

[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 139; ნ. ჯავახიშვილი ქართული ბონისტიკა.., გვ. 59.

[3] ნ. ჯავახიშვილი ქართული ბონისტიკა.., გვ. 60.

[4] ნ. ჯავახიშვილი ქართული ბონისტიკა.., გვ. 60.

საზრისით არასახარბიელო მდგომარეობა იყო. ეს ეხებოდა არა მარტო მუშა-მოსამსახურეებს, არამედ მაღალი რანგის მოხელეებს, თვით მთავრობის თავმჯდომარის ჩათვლით. დემოკრატიული საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილე გ. კვინიტაძე უარყოფითად აფასებდა შრომის ანაზღაურების მთავრობისეულ პრაქტიკას საერთოდ, და სამხედრო მოსამსახურეების დაბალი ხელფასების პრეცენდენტს კონკრეტულად.[1]

ნ. ჟორდანიას *„ჩემი წარსული“* ამის შესახებ გვამცნობს: „მეც სანოვაგეს ჩემი სახლიდან ვიღებდი ხშირად. ერთხელ ჩამოვიდა დედაჩემი მრავალნაირი სანოვაგით, გაგვიხარდა რასაკვირველია. დედა მეუბნება მითხრეს შენ მინისტრი ხარო, რავა დავიჯერო მინისტრი ჩემი სარჩენი იყოს-ო. მართლაც, გამოდიოდა, რომ მე მას კი არ ვარჩენდი, არამედ ის მე. ერთი სიტყვით ყველა გაჭირვებული ვიყავით დაწყებული მაღალი საფეხურებიდან. ეს გათანასწორება გაჭირვებაში მოქმედებდა მუშაკებზედაც და მას იტანდნენ მოთმინებით“.[2]

ბუნებრივია, ხალხს შექმნილი ვითარების გამო გარკვეული პრეტენზია გააჩნდა. პროტესტსაც გამოთქვამდა, მოთხოვნებს აყენებდა. ერთი ნაწილი არეულობას ერიდებოდა. მეორე ნაწილი სახელმწიფოს მკვეთრად უპირისპირდებოდა და თავის უკმაყოფილებას გაფიცვებით გამოხატავდა. მათ ირგვლივ გაუგონარი დემაგოგიური ქსელი იყო გაბმული, რომელიც სტიმულს აძლევდა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს. ჟორდანიას მთავრობის საქმიანობის –სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულებრივს უწოდებდა საბჭოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი. კ. ჩარკვიანი კი ანტიხალხურს.[3]

ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ კ. ჩარკვიანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სათავეში იყო იმ ტრაგიკულ წლებში, როდესაც ფეხქვეშ ითელებოდა ადამ-

---

[1] გ. კვინიტაძე. ჩემი პასუხი. – *„მაცნეს ბიბლიოთეკა“*, ისტორიის სერია. თბ., 1991, გვ. 9.

[2] ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. თბ., 1990, გვ. 102.

[3] კ. ჩარკვიანი. ქართული მენშევიკების ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. თბ., 1970, გვ. 119.

იანის ელემენტარული უფლებები. მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები, ათასობით რიგითი ადამიანები. ასეთი ქარსულის მქონე პიროვნების მიერ ადამიანის უფლებების იგნორირებაში სხვისი დადანაშაულება რბილად რომ ვთქვათ ცინიკურად გვეჩვენება. ჩვენ მენშევიკური მთავრობის დამცველად ვერ გამოვდგებით, მაგრამ მას ვერ დავსწამებთ მშრომელი მოსახლეობის ინტერესების განზრახ იგნორირებას. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჟორდანიას მთავრობა სოციალური საკითხების მოგვარებას ცდილობდა იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები იძლეოდა.

მთავრობის ძალისხმევით დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობას და მთავრობის პრაქტიკულ საქმიანობას სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სათავე დაუდო რამდენიმე ძირითადმა დებულებამ, რომელიც დაფიქსირებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლში.

ფულის გაუფასურების პირობებში ხელფასების მომატება შედეგს ვერ იძლეოდა. ამიტომ ხელისუფლებამ მიზანშეწონილად მიიჩნია შრომის ანაზღაურების ისეთი ფორმის გამონახვა, რომელიც მისაღები იქნებოდა, როგორც სახელმწიფოს ისე მოსახლეობისათვის. ამ შემთხვევაში უპირატესობა ნატურით ანაზღაურებას მიენიჭა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბერს სხდომაზე მიიღეს დეკრეტი მუშა-მოსამსახურეებისათვის პირველი საჭიროების საგნების მისაწოდებლად 50 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ.[1]

შრომის ნატურით ანაზღაურების პრინციპი ამ ეტაპზე მისაღები იყო, მაგრამ ხელფასების მომატების აუცილებლობა 1920 წლის დასაწყისისთვის ისევ დადგა დღის წესრიგში. ეს საკითხი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 11 აგვისტოს სხდომის საგანი გამხდარა და მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასების მომატების წინადა-

[1] შ. ფადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატია.., გვ. 323.

დებაზე მხარი დაუჭერიათ. ამ დოკუმენტის მიხედვით 2500 მანეთის მქონე პირსს ხელფასი 100%-ით უნდა მომატებოდა. 3000 მანეთისას 80%-ით, 3500 მანეთის 70%, 4000 მანეთის – 60%-ით, 4500 – 50% და რიგით 50%-ით. 1921 წლის იანვრიდან ხელფასები 50%-ით გაიზარდა.[1]

ამ ღონისძიებამ ერთგვარად შეანელა სასურსათო ნიადაგზე გამოწვეული უკმაყოფილება. ამიტომ მთავრობამ ამჯერად ფონდისთივს 120 მილიონი მანეთის გამოყოფა მოითხოვა.[2] 1920 წლის 18 იანვარს მთავრობამ განიხილა ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის გაზრდის საკითხი. შესაბამის ორგანოებს დაევალათ ამასთან დაკავშირებით მოემზადებინათ კონკრეტული სამოქმედო გეგმა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.[3] მთავრობის აქტიურობა ამ საკითხზე ალბათ რეაგირება იყო იმ უკმაყოფილებაზე, რომელიც ღიად დააფიქსირეს ამ დაწესებულების მშრომელებმა დაბალი ხელფასების გამო.

1920 წლის 10 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი კახეთის რკინიგზელებისათვის პენსიის მომატების შესახებ. ამ კატეგორიის პენსიონერები უკიდურესად მძიმე მატერიალურ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. მათი პენსია დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდიდან არ შეცვლილა. დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით კახეთის რკინიგზელების პენსიის საკითხი უნდა მოეგვარებინა ამ უწყებას საკუთარი ავტონომიური ბიუჯეტიდან.[4]

მთავრობა შეძლებისდაგვარად ზრუნავდა მაღალმთიან რაიონებში სამკურნალო დაწესებულების ქსელის გაფართოებისათვის. 1920 წლის 21 მარტს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი სვანეთში სამკურნალო დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვის შესახებ. სვანეთში იმ პერიოდში 30 ათასი

---

[1] შ. ვადაჭკორია. ქაროული სოციალ-დემოკრატია.., გვ. 323.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება, 25-ე სხდომა,* სტენოგრაფიული ანგარიში, 1920.

[3] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 211, ფურც. 16.

[4] *საქართველოს დამფუძნებელი კრება, 86-ე სხდომა,* სტენოგრაფიული ანგარიში, 1920.10.11. გვ. 10.

სული ცხოვრობდა. იქ მხოლოდ ერთი საექიმო პუნქტი ფუნქციონირებდა, რაც ამ რაოდენობის მოსახლეობისათვის არასაკმარისი იყო. ამიტომ ამ რეგიონში კიდევ სამი საექიმო და რვა საფერშლო პუნქტების გახსნის საკითხი დადგა, რაც ჩვენმა საკანონმდებლო ორგანომ დადებითად გადაწყვიტა. იქ მომუშავე სამედიცინო პერსონალს 3-ჯერ მეტი ხელფასი ენიშნებოდა, ვიდრე ბარისას.[1]

1919 წლის 30 მაისს დამფუძნებელმა კრებამ განიხილა კანონ-პროექტი დაზარალებულ მეომართა ოჯახების დახმარების შესახებ.[2] სხდომაზე აღინიშნა, რომ სომხეთთან ომის დროს მრავალი ათეული ახალგაზრდა დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი დასახიჩრდა. ყოველდღე მატულობდა ობლებისა და უპატრონოდ დარჩენილი ოჯახების რიცხვი. ამიტომ მწვავედ დაისვა საკითხი მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 31 იანვარს მიიღო დროებითი დებულება ომში დაზარალებული ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ. დროებითი დებულება ძალაში იყო, სანამ არ იქნებოდა მიღებული პენსიების შესახებ ახალი დებულება.

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა მოსახლეობის სურსათით მომარაგების საკითხის გლობალურად გადაჭრის შესაძლებლობას არ იძლეოდა. საჭირო იყო ისეთი კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რომელიც ოდნავ მაინც შეცვლიდა სიტუაციას უკეთესობისაკენ. ეს საკითხი განხილულ იქნა 1920 წლის 31 ოქტომბერს ეკონომიკურ თათბირზე, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია საზღვარგარეთიდან ხორბლეულის შემოტანა. თათბირმა რეკომენდაცია მისცა შესაბამის ორგანოებს მიეღოთ გადამწყვეტი ზომები საქართველოდან სურსათის გატანის აღსაკვეთად. დაეხურათ გასართობი კლუბები, კა-

---

[1] გაზ. *„საქართველო“*. 1918, 1 ნოემბერი.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება, 21-ე სხდომა,* სტენოგრაფიული ანგარიში, 1919, 30 მაისი, გვ. 3.

ფე-ბარები, მათ სანაცვლოდ გაეხსნათ იაფფასიანი სასადილოები და პურის მაღაზიები.[1]

როგორც აღვნიშნეთ, ის ღონისძიებები, რომელიც მთავრობის მიერ ტარდებოდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის არ იყო საკმარისი. 1920 წლის 8 სექტემბერს საქართველოს სდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად სერიოზული და საქმიანი მსჯელობა გაიმართა. სხდომას კ. კაუცკი ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალური სფერო თავის დროზე გერმანიაშიც მოუწესრიგებელი იყო, რომ მაშინდელი სოციალ-დემოკრატების თავსატეხ პრობლემას ეს სფერო წარმოადგენდა. მან რჩევა მისცა ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომ „ერთადერთი ნამდვილი წყარო და საშუალება არის შრომის ნაყოფიერება, ღირებულებების შექმნა, საქონლის გამრავლება, სხვა რაც უნდა ატრიალო მიზანს ვერ მიაღწევ, შექმნა მეტი ღირებულება, რაც შეიძლება მეტი საქონლის, აი, რაშია ხსნა".[2]

კ. კაუცკის შეგონება, რომ საჭირო იყო საწარმოო ძალების განვითარება, შრომისნაყოფიერების ამაღლება და ა.შ. საქართველოს ხელისუფლებას კარგად უწყოდა, მაგრამ ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად რეალური გზების მონახვა იყო პრობლემა. რაც შეეხება იმას, რომ სოციალური სფერო გერმანიაშიც მოუწესრიგებელი იყო. აქ ალბათ კ. კაუცკი ეტყობა უბრალოდ გვითანაგრძნობს, ვინაიდან სოციალური ფონი გერმანიაში არასოდეს ყოფილა ისეთი კატასტროფული, როგორც ჩვენთან იყო დამოუკიდებლობის პერიოდში.

საყურადღებო იყო კ. კაუცკის რჩევა სამუშაო დროსთან დაკავშირებით: სამუშაო დროის გადიდებას მე არ გირჩევთ – აღნიშნავდა იგი რადგან ის ორპირა მახვილია და ცუდი შედეგების მოტანა შეუძლია. თქვენ ... მოიპოვეთ 8 საათიანი სამუშაო

---

[1] შ. ვადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატია... გვ. 324.

[2] შ. ვადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატია.., გვ. 326.

დღე და მას მაგრად უნდა ჩასჭიდოთ ხელი. თუ წესიერი ინტენსიური მუშაობა იქნება რვა საათი სრულიად საკმარისია.[1]

საქართველოს ხელისუფლება, მთავრობა ზრუნავდა მშრომელთა საკანონმდებლო უფლებების დაცვაზე ამ მხრივ მთავარი მიზანი იყო შრომის ხელშეკრულების საფუძველზე მეწარმისა და მუშის ურთიერთობის დარეგულირება. ეს საკითხი განხილულ იქნა დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 ივლისის სხდომაზე. წარმოდგენილი კანონ-პროექტით საფუძველი ეყრებოდა კანონმდებლობას, რომელიც შრომას სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, განსაზღვრავდა მხარეების უფლებამოსილებას, ლაგამს დებდა ყოველგვარ თვითნებობას.

აღნიშვნის ღირსია ის სასიამოვნო ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა შრომის სამინისტროს საქმიანობაში მისი ძალისხმევით მთელ რიგ საწარმოებში მუშათა დაზღვევის კანონი ამოქმედდა. 1920 წელს იგი 124 საწარმოზე ვრცელდებოდა.. 1919 წელს დაზღვევის ფონდი 76778749 მანეთს შეადგენდა. 1920 წელს – 1.251080 მანეთი დაემატა. იმავე წლის 15 ოქტომბრისათვის სადაზღვეო ორგანიზაციის მიერ 162 უბედური შემთხვევა დაფიქსირდა.[2]

მუშათა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში მიღებულ იქნა შემდეგი კანონები და დეკრეტები:

1. 8 საათიანი სამუშაო დღის შესახებ;
2. ქარხანაში დედაკაცთა შრომის შეზღუდვა და მცირეწლოვან (16 წლამდე) ბავშვების შრომის აკრძალვის შესახებ;
3. ღამის მუშაობის შემცირების შესახებ;
4. მუშათა კოლექტიური ხელშეკრულებების შესახებ მშრომელთა პროფკავშირებსა და წარმოების ხელმძღვანელებს შორის;
5. კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ.

---

[1] შ. ვადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატია.., გვ. 127.

[2] შ. ვადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატია.., გვ. 332.

6. შრომის ბირჟების შესახებ.

7. მომრიგებელი კადრების შექმნის შესახებ.

8. სატარიფო პალატის დაარსების შესახებ.[1]

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ საკითხში მთავრობის მიერ გატარებულ ყველა ღონისძიება ვერ წარმოვაჩინეთ, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება ამ სფეროს უაღრესად სერიოზულად ეკიდებოდა.

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ერთიანული... გვ. 143.

თავი V. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან

§ 1. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობები

ამიერკავკასია, კერძოდ, საქართველო ყოველთვის იყო მოქცეული გერმანიის სტრატეგიული ინტერესების სფეროში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გერმანიის კაპიტალი ამ რეგიონში დიდ უპირატესობას ფლობდა. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ევროპული ქვეყანა, რომელიც ჭიათურის მანგანუმით დაინტერესდა და წარმოებაში სერიოზული კაპიტალი ჩადო. ამ მხრივ გამოირჩეოდა ორი უმსხვილესი გერმანული ფირმა *„გელზენკირხენი“* და *„კავკასიის საბადოთა ამხანაგობა“*.[1]

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანელებმა მანგანუმის სოლიდური მარაგი შექმნეს. მიუხედავად ანტანტის ქვეყნების მკაცრი ბლოკადისა, გერმანიის მეტალურგია მანგანუმის უკმარისობას თითქმის არ განიცდიდა. მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა ამიერკავკასიაში ფირმა *„სიმენსი და ჰალსკე“*. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამ ფირმამ სატელეგრაფო ხაზების მშენებლობაში, ნავთობისა და სპილენძის წარმოებაში.[2] ამიერკავკასიაში მოქმედი გერმანული ფირმებიდან განსაკუთრებით საინტერესოა კომპანია *„ზინგერის“* საქმიანობა. ის რუსეთის იმპერიის ფარგლებში საკერავი მანქანების რეალიზაციის მონოპოლიას ფლობდა.[3]

გერმანიამ უაღრესად დადებითი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება გერმანიასთან

---

1 **М. М. Габричидзе.** Германские оккупанты в Грузии в 1918 г. *Сборник документов и материалов*. Тб., 1942, გვ. 127.

2 **М. М. Габричидзе.** Германские оккупанты в Грузии.., გვ. 127.

3 **М. М. Габричидзе.** Германские оккупанты в Грузии.., გვ. 127.

მჭიდრო კონტაქტების დამყარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მზად იყო ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადაედგა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო 1918 წლის 28 მაისს ფოთში დადებული დროებითი შეთანხმება *„ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო ურთიერთობათა წინასწარ დარეგულირების შესახებ“* ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა ნებას რთავდა გერმანიას, ომის დამთავრებამდე ესარგებლა ქვეყნის რკინიგზით, ჯარების გადასაყვანად და საბრძოლო აღჭურვილობის გადასაზიდად. რკინიგზებისა და ფოთის ნავსადგურის დასაცავად გამოყენებული იქნებოდა გერმანიის სამხედრო ნაწილები. ამ მიზნით თბილისში შეიქმნებოდა საგანგებო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით. აღნიშნული მუხლის შესრულებაზე ზედამხედველობა საქართველოს მთავრობას ეკისრებოდა.[1] შეთანხმების ეს მუხლი დაუყოვნებლივ იქნა რეალიზებული.

1918 წლის მაისის ბოლოს ფოთში გაფორმდა კიდევ ორი ხელშეკრულება. პირველი შეეხებოდა საქართველოსათვის სესხის გამოყოფას. ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს მთავრობას უკვე არსებული და მშენებარე რკინიგზა, ასევე ფოთის ნავსადგური სახელმწიფო საკუთრებად უნდა გამოეცხადებინა და მათი ექსპლოატაცია თვითონვე განეხორციელებინა. შემოსული თანხა სესხის დაფარვას მოხმარდებოდა. რკინიგზებისა და ნავსადგურის ექსპლოატაციის კონტროლს ერთობლივი ქართულ-გერმანული კომისია განახორციელებდა.[2]

საქართველოსა და გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ასევე შეთანხმებას *„ორ ქვეყანას შორის საგალუტო ურთიერთობათა წინასწარი რეგულირების შესახებ“*.[3] გერმანიის ჯარის ნაწილების საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით და მათთან ანგარიშსწორების მოგვარების მიზნით საქართველოს მთავრობა კისრულობდა ვალდებულებას, ადგილობრივ

---

[1] *სცსსა*, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. 28, ფურც. 1; მ. დღვილავა. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობა. თბ., 1996, გვ. 4.

[2] *სცსსა*, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. 28, ფურც. 12.

[3] მ. დღვილავა. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური.., გვ. 4.

ვალუტასთან ერთად დაეშვა გერმანიული ვალუტაც, როგორც კანონიერი საანგარიშსწორებო საშუალება მყარი კურსით. კურსის დადგენა უნდა მომხდარიყო ორი ქვეყნის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. სამამულო ვალუტად ითვლებოდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფულის ნიშნები.[1] აღნიშნული შეთანხმება ძალაში შედიოდა ხელმოწერისთანავე, ხოლო მისი მოქმედების ანულირება მოხდებოდა „ფულადი და სავალუტო ურთიერთობების მოწესრიგების შესახებ“ ორ ქვეყანას შორის საბოლოო ხელშეკრულების დადების შემდეგ.[2]

ფოთში მიღწეული შეთანხმების შემდეგ, 1918 წლის ზაფხულში, გერმანია-საქართველოს შორის ბერლინში დაიდო ახალი ხელშეკრულებები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია 12 ივლისს ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ, რომლის მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის საავაჭრო-სამრეწველო სამყაროს ყველაზე მსხვილი და გავლენიანი წარმომადგენლები. კერძოდ, გერმანია-ლუქსენბურგის სამთო-სამრეწველო და მეტალურგიული სააქციო საზოგადოება *„ბოხუმი“*, სააქციო საზოგადოება *„ფრიდრიხ კრუპი“*, *„გელზენკირხენის“* სამთო მომპოვებელი სააქციო საზოგადოება *„გერმანიის კაიზერი“*, სამთო-მომპოვებელი და მეტალურგიული მრეწველობის სააქციო საზოგადოება *„გუტეჰოფნუნგს ჰიუტე“* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კომპანია *„კავკასიის მალაროთა გაერთიანება“* და სხვ.

დაფიქსირებული იყო, რომ საქართველოს მთავრობა უფლებას აძლევდა სპეციალურად შექმნილ სააქციო საზოგადოება „საქართველოს მანგანუმის მომპოვებელ გაერთიანებას“ ქვეყნიდან გაეტანა მანგანუმი და კონცენტრატები 30 წლის ვადით. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა სამი კაცისგან შედგებოდა. აქედან ორს წარმოადგენდა გერმანული ფირმები და ერთს – ქართველი აქციონერები. საზოგადოების საქმიანობას კონტროლს გაუწევდა საქართველოს მთავრობა. სუფთა მოგების

---

[1] მ. დღვილავა. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური.., გვ. 4.

[2] მ. დღვილავა. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური.., გვ. 7-8.

ნახევარი, თუ ის შემოტანილი კაპიტალის 10%-ს გადააჭარბებდა, დაერიცხებოდა საქართველოს სახელმწიფოს. საქართველო მიიღებდა სამ მარკას თითოეულ ტონა გატანილ მანგანუმზე.

არანაკლებ საჭირო და სასარგებლო იყო საქართველოსათვის მეორე ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ჭიათურის სარკინიგზო სააქციო საზოგადოებისთვის შორაპან-ჭიათურა-საჩხერის რკინიგზის 40 წლის ვადით გადაცემას.[1] ამ ხელშეკრულებით სააქციო საზოგადოებას თავის განკარგულებაში საექსპლუატაციოდ უნდა მიეღო ზემოხსენებული რკინიგზის მთელი მეურნეობა და ესარგებლა მესაკუთრის აუცილებელი ყველა უფლებით. შეენარჩუნებინა ნაგებობები ვარგის მდგომარეობაში. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, როგორც ნაგებობები, ისე რკინიგზა უბრუნდებოდა საქართველოს მთავრობას ანაზღაურების გარეშე.

საინტერესო და პერსპექტიული ჩანდა ფოთის ნავსადგურის თაობაზე გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა 1918 წლის 16 ივლისს ბერლინში.[2] ამ შემთხვევაშიც შეიქმნა სააქციო საზოგადოება, რომელიც მუშაობას უნდა შესდგომოდა 1918 წლის 1 ოქტომბერს. ამ ხელშეკრულების თანახმად, გერმანული ფირმებს გადაეცემოდა ფოთის ნავსადგური 40 წლის ვადით.[3] მთელი მისი ტერიტორია, ნავსადგურის ინფრასტრუქტურა და საექსპლოატაციო საშუალებები გადადიოდა სააქციო საზოგადოების განკარგულებაში. საზოგადოება სარგებლობდა მესაკუთრის უფლებით და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ნავსადგურს გადასცემდა საქართველოს მთავრობას. სააქციო საზოგადოების ძირითადი კაპიტალი გათვალისწინებული იყო 10 მლნ. მარკის ფარგლებში.[4]

ბერლინში საქართველოს დელეგაციამ ცალკე შეთანხმებას

---

[1] **Г. В. Пипия.** Политика Германии в Закавказье в 1918 году. *Сборник документов.* Тб., 1971, გვ. 87.

[2] **Г. В. Пипия.** Политика Германии в Закавказье.., გვ. 87-92.

[3] საქართველოს მთავრობის წინადადებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა 60-დან 40 წლამდე მცირდებოდა.

[4] **Г. В. Пипия.** Политика Германии в Закавказье.., გვ. 92-94.

მიაღწია გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან. შეთანხმება შეეხებოდა ჯერ კიდევ აუთვისებელ მანგანუმის საბადოების ექსპლუატაციას წყლის ენერგიის გამოყენებით. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის (1918 წლის 16 ივლისი) შემდეგ მასპინძელმა, სადაც საქართველოს წარმომადგენლები სადილზე მიიწვია, გაიმართა გულახდილი საუბარი საქართველო-გერმანიას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ. სადილს ესწრებოდნენ: გერმანიის ვიცე-კანცლერი, ფინანსთა მინისტრი და სხვა ოფიციალური პირები.[1]

1918 წლის 15 აგვისტოს საქართველოს დელეგაციამ (აკ. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, ზ. ავალიშვილი) შეთანხმებას მიაღწია გერმანიის სავაჭრო ფირმებისა და ბანკების სინდიკატთან 6%-იანი სახელმწიფო სესხის თაობაზე. სინდიკატის შემადგენლობაში შედიოდნენ გერმანიის მსხვილი ფირმები და ბანკები: 1. ბერლინის სააღრიცხვო საზოგადოება, 2. სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, 3. ბერლინის სავაჭრო საზოგადოება, 4. ფირმა ს. ბლეიხრედერი, 5. გერმანიის ბანკი, 6. დრეზდენის ბანკი, 7. ფირმა მინდელსონი და კ°, 8. მ.მ. ვარბურგი და კ°. შეთანხმების თანახმად საქართველოს მთავრობა სესხად მიიღებდა 54 მლნ. გერმანულ მარკას. სესხისგან მირებული 50 მლნ. მარკა სახელმწიფო ბანკის დაარსებისა და ფულის მიმოქცევის სრულყოფისათვის იქნებოდა გამოყენებული.

მხოლოდ საქართველოს ბანკს ეძლეოდა ბონების გამოშვების უფლება. სესხიდან მიღებულ მოგებას მთლიანად ბანკი მიიღებდა, როგორც გამოშვებული ბონების საფუძველს. სესხის დაფარვა მოხდებოდა 6%-ის ფარგლებში. პროცენტების გადახდა წელიწადში ორჯერ იყო გათვალისწინებული. 1 აპრილს და 1 ოქტომბერს სესხის დასაფარავად ტირაჟი გაიმართებოდა წელიწადში ერთხელ. მთლიანად სესხის დაფარვის ვადა 28 წლით განისაზღვრა. სესხის დაფარვის გარანტად საქართველოს მთავ-

[1] **Г. В. Пипия.** Политика Германии в Закавказье.., გვ. 96.

რობა გამოდიოდა, ვალის გასტუმრების ძირითად წყაროდ ჭითურის სარკინიგზო და ფოთის სანავსადგურო საზოგადოებებიდან შემოსული შემოსავლები იყო მიჩნეული.[1]

ხელშეკრულების სხვა დეტალების გასარკვევად მთავრობამ გადაწყვიტა, ბერლინში თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა.[2] 1918 წლის იელის-აგვისტოში დადებული შეთანხმებები მთელ რიგ უპირატესობას ანიჭებდა საქართველოში გერმანულ მრეწველთა საქმიანობას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან შედარებით, მაგრამ ამ შეთანხმებათა რეალიზაცია მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანდა საქართველოს ეკონომიკას.

უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ცდილობდა რაც შეიძლება მეტად დაეინტერესებინა გერმანელები ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით და გეოპოლიტიკური მდგომარეობით, რომლის გონივრულად გამოყენება დიდ სარგებლობას მოუტანდა მას აღმოსავლეთში დასამკვიდრებლად. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ცნობილი პოლიტიკოსისა და მეცნიერის მიხაკო წერეთელის გამოსვლა 1918 წლის ზაფხულში გერმანულ-ქართული საზოგადოების წინაშე გერმანიის ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც ის ასაბუთებდა საქართველოსთვის დახმარების გაწევის აუცილებლობას. მან აღნიშნა: „თავისუფალი, მდიდარი და ძლიერი საქართველო უფრო გაუწევს სამსახურს გერმანიის ინტერესებს აღმოსავლეთში, ვიდრე განადგურებული და დამოკიდებული... აუარებელი ღირებულებათა შეძენა შეუძლია გერმანიას საქართველოსთან თანამშრომლობით“.[3]

თავის მხრივ გერმანიაც იჩენდა ინტერესს საქართველოს მიმართ. გერმანიის ხელისუფლებას მაღალი რანგის წარმომადგენლები აფიქსირებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოში იყო შესაძლებელი მოწესრიგებული სახელმწიფოს შექმნა. მაგ. 1918 წლის 24 ივნისს

---

[1] მ. დღვილავა. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური..., გვ. 11-12.

[2] *სცსსა*, ფ. 1864, აღწ. 1, საქ. 12, ფურც. 1.

[3] გაზ. *„საქართველო“*. 1918.6.XI.

გერმანიის სტატს-სეკრეტარმა რაიხსტაგში გამოსვლისას ბატონმა ფონ კიულმანმა, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, კერძოდ, მოკავშირე თუ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებს ეხებოდა, საქართველოს შესახებ ბრძანა: მეფის მთავრობის დამხობამ კავკასიაში მთელი რიგი პრობლემები წარმოშვა. საქართველო, რომელიც აქ ყველაზე მეტად მტკიცე სახელმწიფოს წარმოადგენს, დამოუკიდებლობის მილების შემდეგ იმთავითვე ცდილობდა თავისი ნაციონალური ცხოვრება ხელახლა მოეწყო და დამოუკიდებლად განევითარებინა. საქართველოს მიეკედლნენ შედარებით ახალი და ნაკლებ მტკიცე ერთეულები – სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს სამი სახელმწიფო შეეცადა, გაერთიანებულიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკაში და ამით თავისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა განემტკიცებინა... მაგრამ ოსმალეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად დაიბრუნა ოლქები, რომელიც 1978 წელს რუსეთს დაუთმო...

ოსმალეთის ჯარმა გადააბიჯა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიერ დაფიქსირებულ საზღვრებს და საკმაოდ ღრმად შეიჭრა იმ ტერიტორიაზე, რომლის ხანგრძლივი ოკუპაცია ან ანექსია ოსმალეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას... ოსმალეთის ჯარის წინსვლა კავკასიაში, როგორც გვატყობინებენ, შეჩერებულია და კავკასიის საქმეების მოწესრიგება კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე მოხდება. საქართველოს სახელმწიფომ, რომელთანაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, რომლის არსებობაც „დე ფაქტო“ ვცანით, ბერლინში თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი გამოაგზავნა.

ამ უკანასკნელთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ, ჩვენის მხრივ, თბილისში დიპლომატიური მისიით გენერალი ფონ კრესი მივავლინეთ, რათა ერთის მხრივ თვით საქართველოს და, საერთოდ კავკასიის პრობლემების შესახებ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას. ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს, მის მამაც ხალხსა და მდიდარ ქვეყანას ბრწყინვალე მომავალს და სიხარულით შევეცდებით, რამდენადაც უნარი შეგვწევს საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობა

განვამტკიცოთ! (სტილი დაცულია).[1]

ფონ კიულმანის გამოსვლიდან აშკარად ჩანდა, რომ გერმანიის მთავრობა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში განვითარებულ მოვლენებში საკმაოდ კარგად ერკვეოდა და ჩვენი ქვეყნის მიმართ სიმპათიას საჯაროდ გამოხატავდა და აფიქსირებდა მზადყოფნას, თავისი წვლილი შეეტანა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების საქმეში. ამ მხრივ ფრიად სასარგებლო იყო ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატის შექმნა (1918 წლის ზაფხულში, თავმჯდომარე ა. ხოშტარია). ამ მიზანს ემსახურებოდა გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოებაც,[2] რომლის პირველი სხდომის (1918 წ. 21 მაისი) მუშაობას ვრცელი პუბლიკაცია მიუძღვნა კავკასიაში გამომავალმა გერმანულმა გაზეთმა *„Kaukasische Post“*-მა (№39). გაზეთი გვამცნობს, რომ სხდომას ესწრებოდნენ გერმანიის მთავრობისა და ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები. საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული და სხვები.

სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ფილოსოფიის დოქტორი მარგველაშვილი, რომელმაც ილაპარაკა საზოგადოების მიზანსა და მნიშვნელობაზე, ორი ხალხის კულტურების დაახლოების პერსპექტივაზე, მან ხაზი გაუსვა ორი ერის თვისებათა მსგავსებას, რომელიც უმაღლესი სულიერი კულტურისა და განათლებისადმი მისწრაფებით გამოიხატებოდა, რასაც მათი დაახლოების ნაყოფიერი შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

სხდომის მონაწილეებს სიტყვით მიმართა არტურ ლაისტმა: „დიდ სიამოვნებას ვგრძნობ მე დღეს, რადგან აქ, ამ დარბაზში, მაგონდება ჩემი საუკეთესო მეგობარი – ილია ჭავჭავაძე, XIX საუკუნის უდიდესი მოღვაწე, მგოსანი და პატრიოტი. აკაკი წერეთელთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად მან შექმნა ნიადაგი დღევანდელი საქართველოსთვის“.

ინტერესს იწვევს ასევე გერმანიის გენერალური შტაბის

---

[1] გაზ. *„ერთობა“*. 1918.13.VII.

[2] გაზ. *„საქართველო“*. 1918.30.VII.

წარმომადგენლის მიერ 1918 წლის 9 ივლისს გაკეთებული განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ადვილად შეუძლია შექმნას ეკონომიკური ცხოვრების უფრო ორგანიზებული სისტემა... რომ თბილისთან უფრო ადვილია ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება, ვიდრე ამიერკავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებთან. შტაბის წარმომადგენელს მიზანშეწონილად მიაჩნდა – სანამ ორ ქვეყანას შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები საბოლოოდ მოგვარდებოდა, პოლიტიკური მოსაზრებით, თუნდაც მარცვლეულით დატვირთული ერთი გემი გამოეგზავნა საქართველოში, რათა გერმანიისგან დახმარების მოლოდინი ხალხის იმედგაცრუებაში არ გადაზრდილიყო.[1] მით უმეტეს ბოლშევიკები ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს გერმანელები მხოლოდ დასანგრევად იყვნენ მოსულნი ჩვენს ქვეყანაში.

სინამდვილეში საქართველო-გერმანიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად საქონლის გაცვლის პრინციპს ემყარებოდა, ვინაიდან საქართველოს ვალუტა არ გააჩნდა. ამ მხრივ გერმანელთა მხრიდან რაიმე დისკრიმინაციის ქმედებას ადგილი არ ჰქონია. ბუნებრივია, გერმანიას საქართველოში თავისი სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა სუვერენულ უფლებათა პატივისცემის ზღვარს არ გასცილებია.

კავკასიაში ნედლეულის შესყიდვის ორგანიზებული საკითხების მოგვარების თვალსაზრისით, გერმანიის მხარემ გერმანულ-კავკასიური ბანკის შექმნისა და თბილისში, ფოთში, ბაქოსა და ერევანში მისი ფილიალების გახსნის იდეა წამოაყენა.[2] გერმანიის მთავრობა დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა უცხო ქვეყნებში თავისი ნაწარმის ან ფულის გატანას. ამიტომ გერმანულ-კავკასიური ბანკისა და მისი ფილიალების გახსნა ააცილებდა მას ამ საკითხთან დაკავშირებულ ყოველგვარ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს.

ამრიგად საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წელს

---

[1] **Г. В. Пипия.** Политика Германии в Закавказье.., გვ. 92-94.

[2] **ვ. დღვილაგა.** საქართველო-გერმანიის ეკონომიკური.., გვ. 16.

საქართველო-გერმანიის ურთიერთობამ სერიოზული სახე მიიღო, რაც მთავარია ამით ორივე მხარე იყო დაინტერესებული.

სამწუხაროდ, ამ ურთიერთობამ შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა... გერმანია I მსოფლიო ომში დამარცხდა და იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანიის დელეგაციის მეთაურის ფონ კრესის ნააზრევი: „ჩვენ დავმარცხდით, ვტოვებთ საქართველოს ახლა, აქ შემოვლენ ინგლისელები. თუმცა ისინი ჩვენი მტრები არიან. ჩვენ მეგობარი ვართ საქართველოსი, რომელსაც თავისუფლების მოპოვებაში ვეხმარებოდით, რითაც შეგვეძლო. ჩემს ვალად ვთვლი, გირჩიოთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ მათ თხოვნით, თქვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს დაცვაში დახმარების აღმოსაჩენად“.[1]

1918წ. გერმანია-საქართველოს ურთიერთობების შესახებ საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი აღნიშნავდა: „გავრცელებულია ხმები თითქოს საქართველო გერმანიასთან ძალიან მძიმე პირობებით იყო შეკრული, რაც შემდეგ საქართველოს მტრებმა გამოიყენეს – სიმართლეს არ შეეფერებოდა“.[2] ცნობილი დიპლომატი და ისტორიკოსი ზ. ავალიშვილი დადებით შეფასებას აძლევდა გერმანელთა ყოფნას საქართველოში. იგი წერდა: საქართველო, კავკასია შევიდა ევროპულ პოლიტიკასა და ისტორიაში. დადგა ჩვენი არსებობის პროვინციული – რუსული ფაზის აღსასრული.[3]

საქართველოს ხელისუფლებას გერმანიასთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სურვილი იქ შექმნილი ცნობილი მოვლენების შემდეგაც არ განელებია. ამ ქვეყნის საქმიან წრეებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ეკონომიკური მისიის წარმომადგენელი ბერლინში მ. ყაუხჩიშვილი. რევოლუციის შემდეგ გერმანიაში თავისი საქმიანობა

---

[1] ფ. ფონ კრესენშტაინი. ჩემი მისია კავკასიაში. გერმანულიდან თარგმნა და ისტორიული კომენტარები დაურთო *ნ. მუშკუდიანმა*. ქუთაისი,

[2] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ.

[3] ზ. ავალიანი. საქართველოს დამოუკიდებლობა... გვ. 115.

მან აქ შესყიდული საქონლის საქართველოში გაგზავნის საკითხების მოგვარებით დაიწყო.[1] შემდეგ იმოგზაურა რეგიონებში, გაეცნო ბავარიის ენერგო სისტემას, განსაკუთრებით დაინტერესდა ელექტროსადგურების მუშაობით.[2]

1919 წლის შემოდგომაზე მ. ყაუხჩიშვილმა დაათვალიერა ორი სავაჭრო გამოფენა ლეიფციგსა და ფრანკფურტში. იქ ნანახმა მოახდინა დიდი შთაბეჭდილება.[3] ცნობილია, რომ გერმანიის ეკონომიკა იმ პერიოდში უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. მარკის კურსი საგრძნობლად დაეცა. მას ჩამორთმეული ჰქონდა საარის მხარე, სადაც თავმოყრილი იყო გერმანიის ქვანახშირის საბადოთა მნიშვნელოვანი ნაწილი. გერმანიის მთავრობა ვალდებული იყო საფრანგეთისა და ბულგარეთისთვის ყოველწლიურად ეძლია 10 მლნ. ტონა ქვანახშირი რურის საბადოდან. ამას ემატებოდა გერმანიის საშინაო ვალი, რომელიც 200 მილიარდს აღწევდა. ამასთან ანტანტა აკისრებდა მას 500 მილიარდამდე ვალს – საფრანგეთის, ბელგიისა და პოლონეთის სასარგებლოდ.[4] მიუხედავად ამისა, ეს ქვეყანა ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში ფლობდა რეზერვებს. აქ სხვა ქვეყნებთან შედარებით ნებისმიერი საქონლის ფასი დაბალი იყო.

ასეთ პირობებში საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების სურვილს თვით გერმანიის საქმიანი წრეები გამოთქვამდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო იყო საქართველოს წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრა ქ. ბრემენში, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის მსხვილი ფირმების წარმომადგენლები – მატყლის, ბამბის, თამბაქოს ბირჟებისა და მეტალურგიული წარმოების მესვეურები, სავაჭრო წრეების წარმომადგენლები, ქალაქის ბურგომისტრი საქართველოს ელჩი გერმანიაში. შეხვედრაზე გამოიკვეთა მხარეთა პოზიციების სრული ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით.[5]

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 301, ფურც. 18.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 301, ფურც. 18.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 301, ფურც. 18.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 301, ფურც. 19.
[5] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 301, ფურც. 19.

გერმანიის სახელმწიფო სტრუქტურებთან და საქმიან წრებთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარების მიზნით საქართველოს მთავრობამ მ. ყაუხჩიშვილი გერმანიაში თავის ეკონომიკურ წარმომადგენლად დანიშნა.[1]

მ. ყაუხჩიშვილი აქტიურად ჩაერთო საქმეში. მან ახალ ამპლუაში თავისი საქმიანობა გერმანულ ფირმებთან საქართველოს სახალხო მეურნეობისთვის საჭირო საქონლის შეძენის შესაძლებლობების გარკვევით დაიწყო. ბევრ მათგანთან დაამყარა საქმიანი ურთიერთობა. ამ მხრივ ნაყოფიერი იყო მისი შეხვედრა ფირმა *„დოიჩ ლუქსემბურგის“* მესვეურებთან. ფირმა მზად იყო დაკვეთის დღიდან 14 კვირის განმავლობაში საქართველოს რკინიგზისთვის საჭირო აღჭურვილობა მიეწოდებინა ორივე მხარისთვის მისაღები პირობების გათვალისწინებით.[2]

რურის ოლქში საქართველოს ეკონომიკურ აგენტს შეხვედრები ჰქონდა გერმანიის სამი უმსხვილესი ფირმის მესვეურებთან. ეს ფირმები საქართველოს მთავრობას სთავაზობდნენ ომის დროს ქ. კიოლნში აშენებული ფერომანგანუმის გადამამუშავებელ ქარხანას. ქარხანა გაჩერებული იყო, ვინაიდან ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურის მიერ მიწოდებული დენი ძვირი უჯდებოდათ გერმანელებს.[3]

საქართველოს კი ჰქონდა ჰიდრორესურსებით ქარხნის ამუშავების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა ქართული მარგანეცის გადამუშავებას თანამედროვე ტექნოლოგიით. ქართული მხარე ქარხნის მენახევრე ხდებოდა. ის ამ საქმეში ფულს არ დახარჯავდა, მას მხოლოდ უნდა უზრუნველყო ქარხნის ასაშენებელი ტერიტორიითა და ჰიდროელექტროენერგიით.[4] საქართველოს ეკონომიკურ წარმომადგენელს ეს წინადადება ფრიად სასარგებლოდ მიაჩნდა. იგი სთხოვდა ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტს ამის შესახებ დაუყოვნებლივ მოეხსენებინა ფინანსთა

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 16.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 16.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 16.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 16.

და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისათვის.

მ. ყაუხჩიშვილი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობის მიერ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური ხასიათის ბევრი პრობლემა მოეხსნებოდა. ის მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბრემენის ერთ-ერთ ფირმასთან სოფლის მეურნეობისთვის მანქანა-იარაღების მიწოდების თაობაზე. მნიშვნელოვან მოლაპარაკებას აწარმოებდა მ. ყაუხჩიშვილი საქართველოში მანგანუმის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გერმანელები შვეიცარიელებთან ერთად ქართულ მხარეს სთავაზობდნენ 30000 ც.ძ. ელექტროსადგურისა და მანგანუმის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას. საქართველო იღებდა აქციების 50%-ს უფასოდ. გარდა ამისა, ადგილზე უნდა შექმნილიყო ქართული საზოგადოება, რომელსაც დაერქმეოდა *„ქართული ფ.ძ.“*.[1]

ხელშეკრულების პროექტი, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ ევროპაში ცნობილი მრეწველები – „სიმენსი“, გელზენკირხენი, დოიჩ-ლუქსენბურგი და სხვა გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს კ. კანდელაკს. მ. ყაუხჩიშვილი საქართველოს მთავრობის შესაბამის სტრუქტურებს სთხოვდა ამ საკითხზე ოპერატიულ რეაგირებას.[2]

საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის ვერ ახერხებდა ურთიერთგაცვლის საფუძველზე ქვეყნისთვის საჭირო საქონლის იმპორტირებას. ცალკეულ შემთხვევაში საქონლის შეკვეთას ნაღდი ვალუტა სჭირდებოდა, რაც ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა.[3] გერმანული ფირმები პირობას იძლეოდნენ 29-35%-ით ნაკლებ ფასებში საქართველოსათვის საჭირო საქონელი მიეწოდებინათ. მაგრამ ამისთვის გარკვეული რაოდენობის ნაღდი ფულის საჭიროება მაინც ძალაში რჩებოდა.[4] არადა უფულობა დიდ ზიანს აყენებდა წამოწყებულ საქმიანობას. რაც შეეხება კრედიტს, ევ-

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 16.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 16.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 16.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 27.

როპული ქვეყნებიდან მისი მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. იმის შემდეგ, რაც ინგლისელებმა ბათუმი დატოვეს და აზერბაიჯანში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა.

გერმანია კვლავინდებურად შელავათიან პირობებს აყენებდა. მაგ. ფირმა „*Hermes*"-ი საქონლის შეკვეთისას მისი ღირებულების 1% ვალუტას ითხოვდა, დანარჩენი თანხა ფოთში მანგანუმის მოწოდებით უნდა დაფარულიყო.[1] საქართველოს ეკონომიკური წარმომადგენელი დაჟინებით სთხოვდა ვაჭრობა-მრეწველობის უწყებას, მიეღო გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ გერმანიის ფირმების მიერ შემოთავაზებული უაღრესად სასარგებლო წინადადებები. საინტერესოა საქართველოს წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიის ერთ-ერთ ფირმასთან მიაღწია შეთანხმებას. 50 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების რკინიგზისთვის საჭირო მოწყობილობების შეკვეთის შესახებ.[2]

საქართველოსთვის სასარგებლო ხელშეკრულება დაიდო თბილისში ფირმა „*Hermes*"-ის წარმომადგენლებისა და მომარაგების მინისტრს შორის. შეკვეთილი საქონლის ნუსხაში დაფიქსირებული იყო 1500 ცალი გუთანი, რომლის ღირებულება იფარებოდა თამბაქოთი და მარგანეცით.[3]

ჩვენი ვარაუდით საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ საქონლის შესაკვეთად შეძლო გერმანიაში განსაზღვრული რაოდენობის ფულის გაგზავნა, რასაც ადასტურებს 1920 წლის 23 ნოემბერს მ. ყაუხჩიშვილის მიერ მიწოდებული ცნობა იმის შესახებ, რომ ამ დროისთვის უკვე შეკვეთის პროცედურა დამთავრებული იყო და დეკემბრიდან დაიწყებოდა რკინიგზისთვის საჭირო მასალების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, კერძოდ გუთნების, სათიბი და სალეწი მანქანების, წყლის ტუმბოებისა და ქალაქის მეურნეობისათვის საჭი-

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 28.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 38.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673, ფურც. 38.

რო მოწყობილობების ტრანსპორტირება.[1] სამწუხაროდ სხვა შეკვეთების რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანული ფირმები თავადაც საკმაო დაინტერესებას იჩენდნენ საქართველოს მიმართ. ამას მოწმობს მსხვილი ფირმების წარმომადგენლების საქართველოში გამგზავრებისა და იქ მთავრობის სტრუქტურებთან სხვადასხვა საინტერესო პროექტებზე მოლაპარაკების სურვილი. მათი ინტერესების სფეროს მანგანუმთან ერთად წარმოადგენდა ბორჯომის წარმოების გაფართოება, ქიმიური ქარხნის მშენებლობა, საქალაქო ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვა.

§ 2. სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ინგლისთან

ინგლისელებს საქართველოში კომერციული საქმიანობის მრავალწლიანი ტრადიცია ჰქონდათ. XIXს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული პირველ მსოფლიო ომამდე ინგლისის კაპიტალის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი იყო. პირველი მსოფლიო ომის წლებში ინგლისელთა საქმიანი წრეების გავლენა საქართველოში საგრძნობლად შესუსტდა, გერმანიის სამხედრო ყოფის პირობებში კი ფაქტობრივად შეწყდა.[2]

1918წ. დეკემბერში საქართველოში ინგლისის ჯარების შემოსვლის ფონზე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ინგლისელთა სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობა გააქტიურდებოდა, მაგრამ, ამ მხრივ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ბუნებრივი რესურსებით, სტრატეგიული (სახმელეთო თუ საზღვაო-სატრანსპორტო) კომუნიკაციებით საქართველო ინგლისის ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა, ლოიდ ჯორჯის

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 673.

[2] **რ. ცუხიშვილი.** ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. თბ., 1992, გვ. 74.

მთავრობამ არა თუ აწარმოა ახალგაზრდა სახელმწიფოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, არამედ ხელი აიღო მასთან ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე, კატეგორიულად უარყო საქართველოს მთავრობის მრავალი წინადადება.[1] როგორც ცნობილია, 1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის მთავრობამ საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ჯარის ნაწილები განალაგა და ოფიციალურად გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა. ეს ნიშნავდა ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ინგლისის აქტირუი პოლიტიკის დაწყებას.

შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბრიტანეთმა დაკარგა ინტერესი საქართველოს მიმართ. ამ პერიოდში შექმნილმა ისტორიულმა პროცესებმა ბრიტანეთის მთავრობას თვალნათლივ დაანახა, რომ ამიერკავკასიაში ტერიტორიების გადანაწილება და საქართველოს დამოუიკიდებლობის მხარდაჭერა რუსეთთან დაპირისპირებას გამოიწვევდა, რაც შექმნილ ვითარებაში მისთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან როგორც ბოლშევიკური მთავრობა, ისე დენიკინი და მისი გარემოცვა საქართველოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.

ინგლისის მთავრობის პოლიტიკა „რუსეთის საკითხში“ ძირითადად დენიკინზე იყო ორიენტირებული, ხოლო საქართველოსთან ურთიერთობა „რუსეთის საკითხის შემადგენელ ნაწილად“ აღიქმებოდა. ლოიდ ჯორჯის მთავრობა საქართველოში ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების რეალურ საფრთხეს ხედავდა. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი თუ რა მოჰყვებოდა ბოლშევიკების ბატონობას. მითუმეტეს ლენინის მთავრობამ უკვე „გამოიჩინა თავი“ ცივილიზებულ საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კანონების უხეში დარღვევით. მან უარი განაცხადა უცხოეთის სახელმწიფოებისთვის მეფის რუსეთის ვალების გადახდაზე. ამის გამო ინგლისმა ხუთასი მოლიონი გირვანქა სტერლინგი დაკარგა.[2]

---

[1] **რ. ცუხიშვილი.** ინგლის-საქართველოს ურთიერთობა.., გვ. 74.

[2] **რ. ცუხიშვილი.** ინგლის-საქართველოს ურთიერთობა.., გვ. 74.

გაურკვეველი მომავლის, ბოლშევიკური საფრთხის წინაშე მდგარ ქვეყანაში კაპიტალის დაბანდება ინგლისმა სარისკო საქმედ მიიჩნია. ამიტომ მთავრობის დონეზე საქართველო-ინგლისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არ შედგა. ინგლის-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მოუგვარებლობის ფონზე საქართველოს ხელისუფლების ცალკეული უწყებები აბერხებდნენ ინგლისის საქმიან წრეებთან, მსხვილ ფირმებთან და საბანკო დაწესებულებებთან კონტაქტების დამყარებას, თუმცა ისინი ჩვენს ქვეყანაში მსხვილი კაპიტალის დაბანდებისგან თავს იკავებდნენ და მხოლოდ ვიწრო სავჭრო ურთიერთობებით იფარგლებოდნენ. ამ მხრივ საინტერესოა, პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ცალკეული წევრების შეხვედრა ინგლისის ერთ-ერთ ცნობილ სააქციო საზოგადოება *„კოსმოს ლიმითიდის“* მესვეურებთან.[1] მოლაპარაკებები შეეხებოდა ამ ფირმის მიერ საქართველოსათვის 5 მლნ. გირვანქა სტერლინგის ღირებულების საქონლის მიწოდებას და აქედან ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ექვივალენტური ღირებულების ადგილობრივი საქონლის (ძირითადად ნედლეულის) ექსპორტირებას.[2]

ამ ფირმის მესვეურები თავად იყვნენ დაინტერესებულნი ევროპის ქვეყნებთან ომისა და რევოლუციის დროს დარღვეული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენით. მათი სურვილი იყო საქმიანი ურთიერთობის დამყარება რუსეთის ყოფილი იმპერიის იმ ქვეყნებთან, სადაც ბოლშევიკური მმართველობა არ იყო. საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში ნათლად ჩანდა ამ საზოგადოების საქართველოთი დაინტერესება და მასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის სურვილი.

წერილის ავტორები საქართველოს მთავრობას ქმედით დახმარებას ჰპირდებოდნენ მრეწველობის აღდგენა-რეკონსტრუქციასა და სავაჭრო მანქანა-დანადგარების მიწოდების საქმეში.[3] წერილში დაფიქსირებული იყო, რომ საზოგადოებას თავის რიგებში ჰყავდა

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 42.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 42.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 42.

გავლენიანი პირები, რომელთაც გააჩნდათ სოლიდური კაპიტალი და ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ არა მარტო ინგლისის, არამედ ევროპისა და ამერიკის საქმიან წრეებში.[1]

წერილის ავტორები მათ მიერ აღებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულების გარანტიას იძლეოდნენ. საქართველოს მთავრობას სთავაზობდნენ თვითონ განეხორციელებინათ კონტროლი როგორც საზღვარგარეთ საქონლის შესყიდვის, ისე ადგილობრივი იმპორტული საქონლის რეალიზაციის პროცესზე.[2] წერილიდან ჩანს, რომ *„კოსმოსის“* მესვეურებმა საქართველოს მთავრობას გაუგზავნეს ხელშეკრულების ძირითადი დებულების პროექტი. ქართულ მხარეს ამ პროექტისადმი თავისი დამოკიდებულება უნდა გამოეხატა. საქართველოს მთავრობის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში ინგლისელები დაუყოვნებლივ მოავლენდნენ ჩვენთან პფიციალურ პირებს, რომლებსაც ექნებოდათ სათანადო რწმუნება – ხელი მოეწერათ ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტზე.[3]

სამწუხაროდ, უცნობია, რა ბედი ეწია ამ ხელშეკრულების პროექტს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის – ე. გეგეჭკორის მიერ 1919წ. 31 დეკემბერს გაზეთ *„The Georgian Mail“*-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დაფიქსირებულია, რომ საქართველოს მთავრობის შესაბამის სტრუქტურებს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ფირმა *„კოსმოსთან“*.

ე. გეგეჭკორი ამ ინტერვიუში აღნიშნავს: „...ჩვენ „კოსმოსის“ წარმომადგენლებთან აქტიურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს იმისათვის, რომ მათ გამოგვიგზავნონ ხორბალი და გადაგვიცვალონ იგი ნედლეულზე, რისთვისაც მზად ვართ. ფირმა „კოსმოსის“ წარმომადგენელს შესაძლებლად მიაჩნია ამ პირობებში მოგვამარაგოს ჩვენ ხორბლით“.[4] ადვილად შესაძლებელია ე. გეგეჭკორის მიერ ინტერვიუში ნახსენები *„კოსმოსი“* იყოს

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 42.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 42.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 42.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 1.

ფირმა – *„კოსმოს ლიმიტიდი“*.

საქართველოს მთავრობის ცალკეულმა სტრუქტურებმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს ინგლისის ასევე ცნობილ სააქციო საზოგადოება *„კოსმოს თრეიდინგ K°“*-სთან.[1] ქართულ მხარეს ამ საზოგადოებასთან ისეთივე შინაარსის მოლაპარაკებები ჰქონდა, როგორიც სხვა ინგლისურ ფირმებთან, კერძოდ, ქვეყნისთვის საჭირო საქონლის შემოტანის, საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართული ნედლეულის გატანისა და რეალიზაციის საკითხზე. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა ხელშეკრულების პროექტი.

ხელშეკრულების თანახმად ფირმა ვალდებულებას იღებდა საზღვარგარეთ გასატანი საქონლის (პურის ფქვილი, ხორბალი, შაქარი, კონსერვები და სხვა) რაოდენობის, ხარისხის, დროის, შესყიდვის პირობების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ თავიანთი სახსრებით უზრუნველყო მისი შემოტანა ქართული მხარის მიერ მითითებულ ნავსადგურებში.[2]

ფირმის მიერ საქონლის შესყიდვა მოხდებოდა წინასწარ დადგენილ ფასებში, სათანადო რწმუნების მქონე წარმომადგენლების შეთანხმების საფუძველზე. ფირმის წარმომადგენლები ქართულ მხარეს წარუდგენდნენ ფაქტურას[3] და საქონელი მას გადაეცემოდა დანიშნულების ადგილზე საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯების (ფარხტი,[4] დაზღვევა, საქონლის შენახვა, ბაჟი და სხვა) გათვალისწინებით. საქონლის შემოტანაზე დახარჯული თანხის 20%-ს ინგლისის მხარე მიიღებდა. ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ 20%-ის საკითხი გადაისინჯებოდა.[5]

შემოტანილი საქონლის სანაცვლოდ ქართულ მხარეს ათი დღის განმავლობაში მათთვის უნდა ჩაებარებინა ევროპაში გასა-

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 1.

[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 60.

[3] ანგარიში, რომელიც ეძლევა მყიდველს საქონლის რაოდენობრივი, ხარისხობრივი მაჩვენებლებით და ფასებით.

[4] ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვაზე საფასური (განსაკუთრებით საზღვაო ტრანსპორტზე).

[5] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 60.

ტანი საქონელი (ძირითადად ნედლეული). ადგილობრივი საქონლის ღირებულება უნდა ყოფილიყო შემოტანილი საქონლის ღირებულების ადეკვატური ან მეტი.[1] შემოტანილი საქონლის საფასურის გადახდა ქართულ მხარეს უცხოური ვალუტითაც შეეძლო ანგარიშსწორების მომენტში დაფიქსირებული გირვანქა სტერლინგის კურსის მიხედვით.[2]

საინტერესოა ინგლისის კიდევ ერთი სააქციო საზოგადოება *„სიბუნიონ ლიმითიდ“*-ის წარმომადგენლის – ლევ გერმანისა და საქართველოს მომარაგების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის – ილია ქარცივაძის მიერ 1919 წლის ოქტომბერში ლონდონში ხელმოწერილი ხალშეკრულება. ამ ხელშეკრულებით მომარაგების მთავარი სამმართველო სთავაზობდა *„სიბუნიონს“* ქართულ სავალუტო საქონელს, კერძოდ, თამბაქოს, შალს, ხეტყეს და სხვა.[3]

„სიბუნიონი“ თავის თავზე იღებდა ზემოხსენებული საქონლის გატანასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ფრახტი, დაზღვევა, სამაკლერო ხარჯები, ბაჟი და სხვა ემატებოდა საქაონლის თვითღირებულებას. ყველა ხარჯი შესაბამისი საბუთებით უნდა ყოოფილიყო დადასტურებული. *„სიბუნიონის“* მიერ საქართველოდან გატანილი და საზღვარგარეთ რეალიზებული საქონლის ხარჯებს ემატებოდა 5% მის სასარგებლოდ. სარეალიზაციო საქონლის მომარაგების მთავარი სამმართველო გადასცემდა *„სიბუნიონს“* ორივე მხარის მიერ შეთანხმებულ ფასებში. ამასთან, საზღვარგარეთის ბაზრებზე საქონლის რეალიზაცია უნდა მომხდარიყო არანაკლებ იმ ფასებში, რომელიც წინასწარ იყო განსაზღვრული ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.[4]

მომარაგების სამმართველოს მიერ *„სიბუნიონზე“* გაცემული საქონლის სანაცვლოდ ეს უკანასკნელი ვალდებულებას იღებდა, შეესყიდა და ჩამოეტანა ფოთის ნავსადგურამდე ეკვივალენტური

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 60.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 60.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 1.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 1.

ღირებულების საქონელი, რომლის სახეობა, რაოდენობა და ხარისხი შეთანხმებული იქნებოდა მომარაგების სამმართველოსთან და ჩაბარდებოდა მას შესაბამისი ფაქტურით, სადანახარჯო საბუთებით და დახარჯული თანხის 15%-ის *„სიბუნიონის“* სასარგებლოდ დარიცხვით.[1]

რეალიზებული საქონლის სუფთა მოგების 80% ჩაირიცხებოდა საქართველოს მთავრობის ანგარიშზე. ხოლო 20% რჩებოდა *„სიბუნიონს“*. იმ შემთხვევაში თუ მომარაგების სამმართველო რაიმე მიზეზის გამო უარს იტყოდა „სიბუნიონის“ მიერ ჩამოტანილი საქონლის მიღებაზე, 10 დღის შემდეგ ის გაიყიდებოდა საქართველოს ბაზარზე თავისუფალ ფასებში.[2]

ინგლისური ფირმების უმრავლესობა ძირითადად თამბაქოს გატანით იყო დაკავებული. სააქციო საზოგადოება „ნორტონ დე გრეგორს“ აფხაზეთში საკმაო რაოდენობის სხვადასხვა ხარისხის თამბაქო ჰქონდა შესყიდული, მაგრამ მისი გატანა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. 1919 წლის 24 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ სპეციალური დეკრეტით აკრძალა თამბაქოს გატანა ახლადშექმნილი საქონელგაცვლის კომიტეტის ნებართვის გარეშე. ასეთ ვითარებაში ინგლისური ფირმები დიდი რაოდენობით ზარალის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. საქმეში ჩაერია ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში ო. უორდროპი და ბრიტანეთის კონსული ბათუმში სტივენსი. მათი თხოვნით საქართველოს მთავრობამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ინგლისელთა ინტერესები.[3] მომარაგების სამინისტროსაც ამ საკითხთან ჰქონდა შეხების წერტილი. მაგ. 1919 წელს სააქციო საზოგადოება *„The Russian Tabacoo company limited“*-მა შეისყიდა 60000 ფუთი თამბაქო.[4] ამ საზოგადოების რწმუნებულმა ს. ბლიცმა განცხადებით მიმართა მომარაგების უწყების ხალმძღვანელობას, რათა ხსენებული რაოდენობის თამბაქოს გატანის ნე-

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 1.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 1-2.
[3] **რ. ცუხიშვილი.** ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. თბ., 1992, გვ. 81.
[4] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 75.

ბართვა მიეღო. მომარაგების სამინისტრომ თამბაქოს გატანაზე ნებართვის გაცემა აღუთქვა იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება შეასრულებდა შემდეგ პირობებს:

შემოიტანდა საქართველოში 13000ტ. პურის ფქვილს;

გადაიხდიდა 60000 ფუნტ სტერლინგს.

ბლიცმა თანხმობა განაცხადა პურის ფქვილის შემოტანაზე. ამასთან, ვალდებულების შესასრულებლად ითხოვდა ექვს თვეს. მითუმეტეს, რომ ამ პერიოდში კონსტანტინოპოლიდან პურის ფქვილის გატანა დროებით აიკრძალა. ასევე ინგლისის მთავრობა ზღუდავდა კავკასიაში ტვირთის შეტანას.[1] რაც შეეხება მომარაგების სამინისტროს მეორე მოთხოვნის შესრულებას, ბლიცმა პოლიტიკური თვალსაზრისით იგი მიუღებლად მიიჩნია. მან ვალუტის გადახდის სანაცვლოდ სხვა პირობები შესთავაზა ქართულ მხარეს:

შემოიტანდა საქართველოს ნებისმიერ ნავსადგურში 40000 ფუთ შაქარს ხელსაყრელ ფასებში – ფუთს 650 მანეთად, მაშინ, როდესაც ბათუმში ერთი ფუთი საქარი 1250 მან. ღირდა.

შემოიტანდა ერთ-ერთ ნავსადგურში, ქართული მხარის სურვილის შესაბამისად, 30 მლნ. მანეთის სხვადასხვა სახის საქონელს თვითღირებულების ფასებში.[2]

ბლიცმა აღნიშნა, რომ დროის გაწელვა გამოიწვევდა თამბაქოს თვითღირებულების გაზრდას, ამიტომ სამინისტროს ხელმძღვანელობას სთხოვდა, საჩქაროდ განეხილა ეს განცხადება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებინა ინგლისური მხარისათვის.[3] დოკუმენტის მუხლებიდან ჩანს, რომ ეს საკითხი ძირითადად ბლიცის მიერ შემოთავაზებული პირობების საფუძველზე გადაწყდა.

საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა უცხოეთის ბანკებთან ურთიერთობის საკითხებს. მთავარი მიზანი კრედიტების მოზიდვა იყო, ამ საკითხის მოგვარება, ძირითადად

---

[1] *ცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 75.
[2] *ცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 75.
[3] *ცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, ფურც. 75.

დაევალა მთავრობის მიერ შექმნილ ეკონომიკურ მისიას. ამ მხრივ აღსანიშნავია ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ლონდონში 1920 წლის 19 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკ *„Limited 48"*, ბიშოპსგეტ, ლონდონის სიტისა და საქართველოს მთავრობას შორის. ინგლისის მხარიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ჩარლზ ბერჩ კრიპსმა (ბანკის თავმჯდომარემ) და დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელმა ჰეროლდ კენზი ნიუ კომბმა. საქართველოს მხრიდან – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა.[1]

საქართველოსთვის ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ლაპარაკია მილიონნახევარ გირვანქა სტერლინგის სესხზე. ეს თანხა იყოფოდა ორ ნაწილად:

ერთი მილიონი სტერლინგი უნდა მოხმარებოდა საქართველოსთვის უკიდურესად აუცილებელი საქონლის შეძენას, როგორიც იყო: ნავსადგურებისათვის საჭირო მოწყობილობა, თბილისის წყალსადენისთვის ტექნიკური საშუალებები, ბორჯომის ქარხნისთვის საჭირო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ტექნიკური აღჭურვილობა.

სესხის მეორე ნაწილი – 50000 გირვანქა სტერლინგი ასევე ორად იყოფოდა: ა) ერთი მესამედი ანუ 160000 გირვანქა სტერლინგი განკუთვნილი იყო სახელმწიფოს აუცილებელი საჭიროებისთვის, რომელიც არ დაკონკრეტებულა, ბ) ფულის მიმოქცევის სრულყოფისათვის.[2]

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბანკი ამ მიმართულებით საჭირო მუშაობის სწორად წარმართვას. ამიტომ ხელშეკრულებაში ნათქვამია – 340 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოიყოფოდა მაშინ, როდესაც შედგებოდა კონკრეტული გეგმა ფულადი სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით.[3] ქართული მხარე სესხში იხდიდა ინგლისის ბანკის პროცენტზე ორი პროცენტით მეტს.

---

[1] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 258, ფურც. 7.
[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 258, ფურც. 7.
[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 258, ფურც. 7.

მაშინ ინგლისის ბანკის დისკონტი[1] იყო 7%, ე.ი. ჩვენ ვიხდიდით ყოველწლიურად 9%. თუ ხუთი წლის განმავლობაში ინგლისის დისკონტი გაიაფდებოდა, მაშინ ქართული მხარე შესაბამისად ნაკლებს გადაიხდიდა. სესხის ვადა იყო ხუთი წელიწადი[2] და მას წმინდა საბანკო ხასიათი ჰქონდა.

სესხს შედარებით შეღავათიან ფასებში იძლეოდნენ, მაგრამ ბანკისთვის გარანტიების მიცემა იყო საჭირო, რომ ფული დანიშნულებისამებრ დაიხარჯებოდა. უმთავრეს გარანტიად ბანკმა ჩათვალა ის, რომ საქონელი ბანკის მეშვეობით უნდა შეძენილიყო ან ინგლისში, ან სხვა სახელმწიფოებში, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი წარმომადგენელი მოახერხებდა იმ ფასებში, იმ ხარისხის საქონლის შესყიდვას, რომელიც ქართული მხარისათვის იქნებოდა მისაღები. წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან დამოუკიდებლად საქონლის შეძენის შესაძლებლობა იქმნებოდა.[3]

მთავრობამ ბანკს წარუდგინა სესხის გარანტიების ნუსხა, იმის დასამტკიცებლად, რომ მას მოეპოვებოდა სოლიდური შემოსავალი მანგანუმზე დადებული საექსპორტო ბაჟის სახით. მთავრობა უზრუნველყოფილი იყო შემოსავლით მანგანუმის საექსპორტო საზოგადოების *„ჩემო“*-ს, შავი ქვის მეწარმეთა მწარმოებელთა და მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

დადებითი პასუხის მიღებისთანავე ინგლისელები დაუყოვნებლივ მიავლენდნენ საქართველოში სათანადო რწმუნებით აღჭურვილ პირებს, რომლებსაც ნება მიეცემოდათ, ხელი მოეწერათ ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტზე. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ინგლისური მხარე დაუყოვნებლივ იწყებდა მუშაობას მის შესასრულებლად.

აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს მთავრობამ 1921 წლის 15 იანვარს დასამტკიცებლად წარუდგინა დამფუძნე-

---

[1] დისკონტი – თამასუქის განაღდების დროს ბანკის პროცენტი, გამოიხატება თამასუქის ან თანხის სხვაობით, რომელიც ბანკმა თამასუქის შესყიდვისას გადაიხადა.

[2] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 258, ფურც. 7.

[3] *სცსსა*, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 258, ფურც. 7.

ბელ კრებას. იურიდიულმა და საბიუჯეტო კომისიებმა მოიწონეს ეს დოკუმენტი, მაგრამ საბჭოთა რუსეთის ინტერვენციამ ჩაშალა მისი რატიფიკაცია.

ამრიგად, საქართველოს მთავრობამ უმაღლეს სამთავრობო დონეზე ინგლისთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება ვერ მოახერხა. ლოიდ ჯორჯის მთავრობას ამისი სურვილი არ აღმოაჩნდა. მიუხედავად ამის, საქართველოს ხელისუფლების ცალკეულმა სტრუქტურებმა შეძლეს, უაღრესად საჭირო კონტაქტები დაემყარებინათ ინგლისის საქმიან წრეებთან, მსხვილ ფირმებთან და საბანკო დაწესებულებებთან. ამ ურთიერთობებს შეეძლოთ გარკვეული სარგებლობა მოეტანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ წერტილი დაუსვა ამ პროცესს.

§ 3. საქართველო-იტალიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

პარიზის საზავო კონფერენციაზე ტერიტორიების გადანაწილების საკითხში დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობების უკიდურესად გამწვავებამ, ბრიტანეთის იმპერიის შიგნით შექმნილმა უაღრესად დაძაბულმა სიტუაციამ, ინგლისის მთავრობა აიძულა, კორექტივი შეეტანა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო გადაწყვეტილების მიღება საქართველოდან ჯარების გაყვანის თაობაზე.

1919 წლის აპრილში ინგლისსა და იტალიას შორის შეთანხმების საფუძველზე საქართველოში ინგლისის ჯარებს იტალიელები უნდა ჩანაცვლებოდნენ.[1] იტალია, რომელიც თავის დროზე მსოფლიოს ტერიტორიული გადანაწილების პროცესში იყო ჩართული, ადრევე ამჟღავნებდა ამიერკავკასიისადმი ინტე-

[1] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში. თბ., 1997, გვ. 68.

რესს. იგი აქტიურად მოქმედებდა ერთა ლიგის მანდატის მისაღებად. ამჯერად მას ამის რეალური შანსი გაუჩნდა. ინგლისის მთავრობის მხრიდან ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში იტალიის ჯარის ნაწილების შეყვანაზე თანხმობა, პარიზის კონფერენციაზე იტალიის ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმის ერთგვარი კომპენსაცია იყო.

ცნობამ ინგლისის ჯარების იტალიურით შეცვლის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი (ნ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი) ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილებას არ მალავდა. მათ შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ასეთი სერიოზული საკითხი წყდებოდა საქართველოს ხელისუფლების ინფორმირების გარეშე, უცნობი იყო იტალიის მთავრობის საქართველოთი დაინტერესების მიზეზები. მათ მიაჩნდათ, რომ ასეთ მანდატზე დათანხმება ზიანს მიაყენებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.[1] მეორე ნაწილმა (ზ. ავალიშვილი და მისი თანამოაზრეები) იტალიელთა შემოსვლას ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მხარი დაუჭირა.[2] რაც შეეხება ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვას, ზ. ავალიშვილის მტკიცებით ამას ადგილი არ ექნებოდა, ვინაიდან მანდატის განხორციელება ერთა ლიგის ზედამხედველობით მოხდებოდა.[3]

პარიზში მყოფი საქართველოს დელეგაცია, რომელიც იტალიური მანდატის თაობაზე არ იყო ინფორმირებული, პარიზის კონფერენციაზე იტალიის წარმომადგენლობის მთავარ მრჩეველს – პიეტრო ტორეტის შეხვდა. ტორეტიმ ქართულ დელეგაციას აუწყა, რომ საქართველოში იტალიის სამხედრო ნაწილების ყოფნა არ გამოიწვევდა პოლიტიკურ ცვლილებებს, იტალია არ ხელყოფდა საქართველოს სუვერენიტეტს, არ ჩაერეოდა მის სა-

---

[1] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ., 1929, გვ. 173.

[2] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა.., გვ. 173.

[3] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა.., გვ. 173.

შინაო საქმეებში, პირიქით, აქტიურად დაუჭერდა მხარს ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს „დე ფაქტო“ და „დე იურე“ აღიარებას.[1]

უფრო ადრე, 1919 წლის აპრილის დასაწყისში, პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. ჩხეიძე შეხვდა იტალიის დელეგაციის წევრს რაჯის და ზემოხსენებულ ტორეტის. ამ შეხვედრაზე ძირითადად განიხილებოდა საქართველო იტალიის ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები, ამასთან იტალიური მხარე, ალბათ ერთგვარ ზონდირებას ახდენდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შესაძლო რეაქციაზე იტალიის ჯარების საქართველოში შეყვანასთან დაკავშირებით.

ინგლის-იტალიის 1919 წლის მოლაპარაკებების შემდეგ იტალიის მთავრობა შეუდგა საქართველოში შეიარაღებული ძალების გაგზავნისთვის პირობების მომზადებას, ამ მიზნით საქართველოში მიემგზავრებოდა სამხედრო მისია, რომელსაც ევალებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებში ღრმად წვდომა, კერძოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შეწავლა, რომელიც მისცემდა მთავრობას შესაძლებლობას, საბოლოოდ გადაეწყვიტა მანდატის საკითხი.[2]

მისიას პროპაგანდისტული ფუნქციის შესრულებაც ეკისრა, რათა ჟორდანიას მთავრობა დაერწმუნებინა იმაში, რომ მანდატი ხელს შეუწყობდა ქართული სახელმწიფოებრიობის მყარი საფუძვლის შექმნას. საქართველოს მთავრობას, პირადად ნოე ჟორდანიას, იტალიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის ჩამოსვლისა და მისი სამოქმედო გეგმის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ ჰქონია, თუმცა ის სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ საქართველოში იტალიის მანდატის გავრცელების საკითხი წყდებოდა მისი მთავრობის გვერდის ავლით, თუნდაც პარიზის კონფერენციაზე მყოფი ქართული დელეგაციის წინასწარი ინფორმირების გარეშე ნ. ჟორდანია ითხოვდა უპირობო გარანტიას, რომ

---

[1] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა.., გვ. 173.

[2] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის.., გვ. 74-75.

იტალიელთა მიმოსვლას არ გამოეწვია ანტანტის ქვეყნების საერთო სტრატეგიის შეცვლა საქართველოს მიმართ.

საქართველო-იტალიის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის იდეას საკმაოდ ბევრი მომხრე გამოუჩნდა როგორც იტალიის, ისე საქართველოს გავლენიან წრეებში. მათ მიაჩნდათ, რომ იტალიის ჯარის ყოფნა საქართველოში დაიცავდა მას გარეშე საფრთხისაგან. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 10 ამისს საგანგებო სხდომაზე დააფიქსირა მზადყოფნა – მხარი დაეჭირა იტალიასთან სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის იდეისათვის, თუ იგი დაეფუძნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებასა და მისი სუვერენული უფლებების დაცვის პრინციპებს.[1]

საქართველოზე მანდატის დაწესების გეგმას მხარს უჭერდნენ იტალიის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურები. მათთვის ეს იყო ფაქტობრივად დემობილიზირებული გენერლებისა და ოფიცრების კვლავ დასაქმებისა და სამხედრო საწარმოების ნაწილობრივ ამოქმედების საშუალება.[2] რა თქმა უნდა, იტალიას ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ინგლისელებისგან განსხვავებით მასში, ალბათ, ეკონომიკური ინტერესები უფრო იყო ჩადებული. ცნობილია, რომ I მსოფლიო ომის შედეგად იტალიის ეკონომიკა საგრძნობლად დაქვეითდა, მსხვილმა საწარმოებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს, ქვეყანა დიდ სიძნელეებს წააწყდა ეკონომიკის ყველა დარგში, დაიწყო უმუშევრობა, ინფლაცია, განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ნედლეულის დეფიციტი, რის გამოც კატასტროფულად შემცირდა ფოლადისა და სპილენძის წარმოება. ასეთ პირობებში საქართველოდან ძირითადი ნედლეულის – მანგანუმის, ქვანახშირის, რკინის მადნის შეძენა ხელსაყრელი პირობებით ქვეყნის ეკონომიკას სასიკეთოდ წაადგებოდა.

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება, მე-15 სხდომა,* სტენოგრაფიული ანგარიში, 1919.10.V.

[2] *სცსსა.* ფ. 1833, საქ. 225, ფურც. 2.

ინგლის-იტალიის შეთანხმებიდან ერთი თვის შემდეგ, 1919 წლის 12 მაისს, საქართველოში ჩამოვიდა იტალიის სამხედრო-პოლიტიკური მისია, რომელსაც მთავრობის რწმუნებით ალჭურვილი სამხედრო პირი, პოლკოვნიკი მელკიადე გაბა ხელმძღვანელობდა.[1] მისიის შემადგენლობაში შედიოდნენ იტალიის სახმელეთო და საზღვაო ჯარის ნაწილების წარმომადგენლები, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საფინანსო დარგის სპეციალისტები. მისია შეხვდა მთავრობის თავმჯდომარეს – ნ. ჟორდანიას და სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკებს. საუბარი შეეხებოდა იტალიის სამხედრო შენაერთების საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იტალიის მისიამ აქტიური მუშაობა გააჩაღა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გასაცნობად. მისიის წევრები უშუალო კონტაქტებს ამყარებდნენ სახელმწიფო სტრუქტურის მესვეურებთაან. სოფლის მეურნეობაში შექმნილი პრობლემის შესახებ საჭირო ინფორმაციებს ღებულობდნენ მიწათმოქმედების სამინისტროსგან, ხოლო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო საინტერესო ცნობებს აწვდიდა მათ მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობაზე. მისიის წევრები განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ მომპოვებელი მრეწველობის მიმართ, ამ მიზნით ერთ-ერთი ჯგუფი ცნობილი იტალიელი მეცნიერ-გეოლოგის ნავარეზეს ხელმძღვანელობით ტყიბულსა და ჭიათურას ეწვია ქვანახშირისა და მანგანუმის ექსპლუატაციის რეჟიმის გასაცნობად.[2]

მრავალმხრივი საინტერესო მონაცემების შეგროვების შემდეგ 1919 წლის 19 მაისს გაბამ ვრცელი დეპეშა გაუგზავნა პარიზის კონფერენციაზე მყოფ იტალიის სამთავრობო დელეგაციას, რომელშიც მიუთითებდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ არასტაბილურობაზე, საზოგადოებრივი და სახლმწიფოებრივი მდგომარეობის არამყარობაზე, მძიმე საფინანსო-ეკონომიკურ

---

[1] ი. ტაბაღუა. საქართველოს მანდატი, გაზ. *„კომუნისტი“*; 1989. 6.VI.

[2] გაზ. *„საქართველო“*: 1920, 17 თებერვალი; დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის.., გვ. 96.

მდგომარეობაზე, უმუშევრობაზე, დაბალ ხელფასებზე, პირველად მოხმარების საგნების დეფიციტზე და ა.შ.[1]

საქართველოში იტალიის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის მოპოვებისათვის გაბა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბაქო-ბათუმის რკინიგზაზე საკუთარი კონტროლის დაწესებას. ასევე სანაოსნო დერეფნის ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს ქვეყანასთან პირდაპირი სამიმოსვლო კავშირის დამყარებას. ამ საკითხის დადებითად გადაჭრაზე იყო დამოკიდებული ბაქოს მდიდარი ნავთობის საბადოების სრულყოფილი ექსპლუატაცია და ნავთობპროდუქტების შეუფერხებელი ტრანსპორტირება და რეალიზაცია ევროპის ქვეყნებში. ამიტომ გაბა ორლანდოს მთავრობას მოუწოდებდა, რაც შეიძლება ჩქარა შეეყვანა საქართველოში ჯარის ნაწილები. იტალიას არ აწყობდა ბათუმში ინგლისის დომინანტობა. მაგრამ ინგლისის მთავრობა ბათუმის დატოვებას არ ჩქარობდა. გაბა იტალიის მთავრობისგან ამ საკითხზე სათანადო რეაგირებას ითხოვდა.[2]

საქართველოში შექმნილი სიტუაციისა და იქ იტალიის საექსპედიციო კორპუსის გაგზავნასთან დაკავშირებით სათანადო ცნობების მიღების მიზნით 1919წ. ივნისის დასაწყისში ორლანდომ გაბა და მისი ზოგიერთი წევრი პარიზში მიიწვია. გაბას ინფორმაციის მოსმენის შემდეგ იტალიის მთავრობამ ამიერკავკასიაში მოქმედების გეგმა ჩამოაყალიბა, რომელიც ითვალისწინებდა:

სამხედრო ოკუპაციის საშუალებით ამიერკავკასიაში გაბატონებული მდგომარეობის დაკავებას, მთავრობის ფუნქციებში ჩარევის გარეშე სამოქალაქო ცხოვრების დამკვიდრებას და წესრიგის დაცვას, სახელმწიფოს დახმარებით და კერძო ინიციატივაზე დაყრდნობით სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენის ხელშეწყობის, ბუნებრივი რესურსების – ნავთობის, ქვანახშირის, მანგანუმის, სპილენძის მოპოვების ტექნიკურ სრულ-

---

[1] ი. ტაბაღუა. საქართველოს მანდატი...; დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა..., გვ. 90.

[2] ი. ტაბაღუა. ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე (1920 წ.). – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №3, 1992, გვ. 89.

ყოფას, იტალიელთა მიგრაციას კავკასიაში[1] და ა.შ. მაშინ, როდესაც საქართველოში იტალიის მანდატის დაწესებისათვის გაბას მისიის მიერ მოსამზადებელი ღონისძიებები ტარდებოდა, იტალიაში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. 1919 წლის 23 ივნისს იტალიის პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა ვიტორიო ორლანდოს მთავრობას. ორლანდო და მისი კაბინეტი გადადგა. ახალი მთავრობა ფ. ნიტიმ ჩამოაყალიბა. მან უარი განაცხადა საქართველოში ჯარების შეყვანაზე.[2] ნიტის ამ ნაბიჯს ეტყობა სერიოზული საფუძველი ჰქონდა.

1919-1921 წლებში საქართველო-იტალიის ურთიერთობის კომპლექსურად წარმოჩენა, კერძოდ, ნიტის მთავრობის მიერ იტალიის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლის საკითხი ჩვენი კვლევის სფეროს არ განეკუთვნება. ჩვენ მხოლოდ ვიზიარებთ ამ პრობლემით დაკავებულ ავტორთა მოსაზრებას, რომელიც ნიტის მთავრობის მიერ საქართველოს მიმართ აქტიურ სამხედრო-ექსპანსიურ პოლიტიკაზე უარის თქმის უპირველეს მიზეზად ე.წ. „რუსეთის ფაქტორი“ მიაჩნდათ.[3] საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში დასავლეთის სახელმწიფოთა შეღწევა-დამკვიდრების მცდელობა ყოველთვის იწვევდა რუსეთის დიპლომატიის განსაკუთრებულ გაღიზიანებას. მით უმეტეს, საქართველოში იტალიის ჯარების შესაძლო შემოყვანასთან დაკავშირებით იმთავითვე შეშფოთება ვერ დამალეს, როგორც საბჭოთა რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, ისე ანტიბოლშევიკური ფრონტის მესვეურებმა (დენიკინი, კოლჩაკი). ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ იტალიისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ინგლის-ანტანტის სანქცია საქართველოში ჯარების გაგზავნის და მანდატის მირების თაობაზე. მკვლევარი დაზმირ ჯოჯუა თავის მონოგრაფიაში: *„საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წწ.“* მართებულად აღნიშნავს, რომ ნიტის მთავრობის გადაწყვეტილება ფინანსურ-ეკონომიკური ასპექტითაც

---

[1] ი. ტაბაღუა. ბათუმის საკითხი სან-რემოს.., გვ. 89.
[2] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 100-101.
[3] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 101.

იყო განპირობებული, ვინაიდან საქართველოში მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტიგენტის შეყვანა ისედაც დაქვეითებულ იტალიის ეკონომიკას კიდევ უფრო მეტ პრობლემას შეუქმნიდა.[1]

ნიტის მთავრობის მიერ საქართველოში ჯარების გაგზავნაზე უარის თქმის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ მოტივად ამიერკავკასიის მიმართ ამერიკის ეკონომიკური და პილიტიკური ინტერესების გაძლიერებას მიიჩნევდნენ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ ქვეყნის მიერ სომხეთზე მანდატის მიღების შემდეგ ადვილი შესაძლებელი იყო მას საქართველოზე, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაზე გაევრცელებინა მანდატის მოქმედება.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა განვითარების ასეთმა ტენდენციამ თავისებური გავლენა იქონია საქართველოში იტალიის მისიის ძირითადი საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებაზე. ნიტის მთავრობამ გაბას მისიას სამხედრო-სტრატეგიული საკითხების მოგვარების პრეროგატივა ჩამოართვა და მისი ფუნქცია ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კონტაქტების აქტივიზაციას დაექვემდებარა.[2] გაბას მისია კვლავინდებურად დაინტერესებას იჩენდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრისა და ნედლეულის მიმართ. იგი თანამშრომლობდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედებისა და მომარაგების სამინისტროებთან.

გაბას მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის ერთერთი შედეგი იყო იტალიის ადრიატიკის საზღვაო საზოგადოების ჩვენი ქვეყნით დაინტერესება, „იტალია-რუსეთის საზოგადოების“ საქმიანი ურთიერთობები საქართველოს სამთავრობო და კომერციულ სტრუქტურებთან.[3] ნიტის მთავრობის უარი საქართველოში ჯარების შეყვანაზე სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგი ჩვენს ქვეყანასთან შეწყვეტდა ეკონომიკურ თანამშრომლობას, პირიქით მთელ რიგ საჯარო გამოსვლებში დააფიქსირა ორ

---

[1] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 100-101.

[2] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 110.

[3] *ცცსა*. ფ. 1891, აღწ. 2, საქ. 1, ფურც. 15. „სახალხო საქმე“, 1919.22.X.

ქვეყანას შორის საქმიანი კომერციული საქმიანობისადმი სრული მხარდაჭერა.

ფრიად საინტერესო და შედეგიანი იყო 1919 წლის ოქტომბერში საქართველოს დიპლომატიური მისიის ვიზიტი რომში, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი მეთაურობდა. დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა იტალიის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. მხარეები შეეხნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობის საკითხს, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებს. იტალიის მთავრობის მეთაურმა აღუთქვა საბახტარაშვილს, რომ ის მხარს დაუჭერდა საქართველოს დე-ფაქტო აღიარებას.[1]

ქართული დელეგაცია მოლაპარაკებებს აწარმოებდა ასევე სახელმწიფო სტრუქტურების სხვა წარმომადგენლებთან და საქმიან წრეებთან. ქართული დელეგაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ქვეყნისთვის პურის მიწოდების საკითხის მოგვარება. 1919 წლის 21-22 ნოემბერს რომში გამართულ მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, სადაც რუსეთის იმპერიის სივრცეში ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოებისათივს ეკონომიკური დახმარების საკითხი იხილებოდა, საბახტარაშვილმა ეკონომიკურ საბჭოს აუწყა საქართველოში შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობის შესახებ და თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, მხარი დაეჭირათ განსაცდელში მყოფი ქვეყნისთვის ხორბლის მიწოდების საკითხში.[2]

სხდომას ხელმძღვანელობდა იტალიის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, როგორც ამ ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი. მისი ძალისხმევით საბჭომ მიიღო რეზოლუცია საქართველოსთვის 25 ათასი ფუთი ხორბლის მიწოდების შესახებ. ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა უმაღლესი ეკ. საბჭოში წარმოდგენილმა ქვეყნების მთავრობებმა. ამასთან, ხორბლის მიწოდებისა და მისი ტრანსპორტირების ორგანიზაციას იტალიის მთავრობა

---

[1] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 319, ფურც. 83.
[2] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 319, ფურც. 83.

კისრულობდა, აღსანიშნავია, რომ ინგლისი კატეგორიულად უარყოფდა საქართველოსთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, თუნდაც მარტივი საქონელგაცვლის დონეზედაც.

საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო მილანის სავაჭრო პალატის საერთო კრების მუშაობაში (დელეგაციის წევრები იყვნენ: ვ. ჟურული და კ. აბხაზი). კრებაზე მიწვეული იყვნენ იტალიის მრეწველობისა და მსხვილი ბანკების გავლენიანი პირები. საბახტარაშვილმა ამ კრებაზე წაიკითხა მოკლე და შინაარსიანი მოხსენება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს შეუძლია ქვეყნისთვის საჭირო სხვადასხვა სახის საქონლის, კერძოდ, პირველადი მოხმარების საგნების, სოფლის მეურნეობის, მანქანა-იარაღების, რკინიგზის აღჭურვილობის მიწოდების სანაცვლოდ იტალიის მთავრობას შესთავაზოს მანგანუმი, ქვანახშირი, თამბაქო, აბრეშუმი და სხვა სახის ნედლეული. კრებაზე სერიოზული საუბარი გაიმართა ორ ქვეყანას შორის საზღვაო მიმოსვლის აუცილებლობაზე, ეს განსაკუთრებით ეხებოდა ტორონტო-ბათუმისა და კონსტანტინოპოლ-ბათუმის მარშუტებს.[1]

იტალია-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობას ახალი იმპულსი შესძინა იტალიის სამრეწველო-ფინანსური ოლიგარქიის ცნობილი წარმომადგენლის ალბერტო კორსის ვიზიტმა. საქართველოში კორსი 1919 წლის სექტემბრის ბოლოს ჩამოვიდა. საქართველოში ჩამოსვლამდე კორსიმ მემორანდუმი გაუგზავნა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, სადაც ჩამოყალიბებული იყო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ძირითადი პრიორიტეტები. მემორანდუმში ნათლად ჩანდა იტალიის მხარის დაინტერესება ჩვენი ქვეყნის ნედლეულის ბაზრით, იტალია-საქართველოს საზღვაო კავშირით, სამრეწველო საწარმოთა აღდგენა-რეკონსტრუქციაში აქტიური მონაწილეობით რომ არ დარღვეულიყო ორ ქვეყანას შორის ინტერესთა თანხვედრის პრინციპები.[2]

---

[1] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 319, ფურც. 83.
[2] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 319, ფურც. 83.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კორსის საქართველოს ნედლეული აინტერესებდა, სანაცვლოდ კი ქართულ მხარეს მრეწველობის აღდგენა-რეკონსტრუქციისათივს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდებას პირდებოდა. ამ მიზნით იგი ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე ქვეყნის საქმიან წრეებთან. მოლაპარაკების შედეგების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა თავის მთავრობას. იტალიასა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით 1919 წლის ოქტომბერში კორსის ინიციატივით მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ქართულ-იტალიური ანონიმური სააქციო საზოგადოების შექმნის შესახებ.[1] ამ პროექტის განსახორციელებლად შეიქმნა „მთავარი კომიტეტი“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ქართველი მრეწველები და ფინანსისტები „ქართველთა ჯგუფის სახელწოდებით“.[2]

სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით ა. კორსი მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ნ. ხომერიკთან და ჰპირდებოდა მას ამ სფეროში სერიოზული კაპიტალის დაბანდებას,[3] ამავე დროს, კორსი ითხოვდა საქართველოში იტალიელი ემიგრანტი გლეხების დასახლებას. საქართველოს მთავრობას ამ საკითხისადმი აშკარად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოუხატავს.[4]

ალბერტო კორსის საქართველოში ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების თვალსაზრისით. ამ ვიზიტის დროს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე 1920 წლის ზამთარში ჩამოვიდა უფრო მაღალი დონის წარმომადგენლობის მისია, რომლის შემადგენლობაში თვითონ კორსი შედიოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის „დე ფაქტო“ აღიარებამ (1920

---

1 *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 2, საქ. 1, ფურც. 10.
2 *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 2, საქ. 1, ფურც. 8.
3 *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 2, საქ. 1, ფურც. 16.
4 *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 2, საქ. 1, ფურც. 10.

წლის 11 იანვარი) იტალია-საქართველოს ურთიერთობას ახალი შინაარსი შესძინა. საჭირო გახდა ამ ურთიერთობის შესაბამისი ოფიციალური წარმომადგენლობის შექმნა. ამ მიზნით იტალიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში სამხედრო მისიის გაუქმებისა და იტალიის სამეფოს პოლიტიკური სააგენტოს ჩამოყალიბების შესახებ.[1]

იმის გამო, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ იყო „დე იურე" აღიარებული, იტალიის წარმომადგენლობა საელჩოს სტატუსს ვერ მიიღებდა. ის მხოლოდ იტალიის სპეციალური მისიის როლს შეასრულებდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იტალიის პოლიტიკურმა მისიამ ბევრი რამ გააკეთა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში. საერთოდ, იტალია არ გამოირჩეოდა ამიერკავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარებით, მაგრამ ეს რეგიონი, კერძოდ, საქართველო ყოველთვის შედიოდა მის საგარეო-პოლიტიკურ გეგმებში. იტალიამ დიდი როლი შეასრულა 1921 წლის იანვარში ანტანტის ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე" აღიარების საქმეში.[2]

საქართველო-იტალიის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ახალი იმპულსი შესძინა საქართველოში იტალიის სამოქალაქო მისიის ვიზიტმა, რომელსაც იტალიის ყოფილი მინიისტრი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე სენატორი ეტორე კონტი ხელმძღვანელობდა. იტალიის მისია საქართველოში 1920 წლის 15 თებერვლიდან 21 მარტამდე იმყოფებოდა.[3] დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ იტალიის ფინანსური, დიპლომატიური, სამრეწველო, სავაჭრო წრეების წარმომადგენლები, სამთო საქმისა და სატყეო მეურნეობის სპეციალისტები.

დელეგაციამ საქართველოში ჩამოიტანა 500 ტონა პურის ფქვილი, რომელიც საქართველოს გამოეყო ანტანტის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს 1919 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილე-

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 305, ფურც. 2.

[2] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 150-151.

[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, გვ. 75.

ბის საფუძველზე.[1] 17 თებერვალს იტალიელი სტუმრები მიიღეს ნ. ჟორდანიამ და ე. გეგეჭკორმა. შეხვედრაზე განხილულ იქნა საკითხების ფართო სპექტრი, რომელიც საქართველო-იტალიის დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საკითხებს შეეხებოდა. კონტის მისისა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან და მის სტრუქტურებთან. ამ შეხვედრაზეც განიხილებოდა ორ ქვეყანას შორის ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებასთან დაკავშირებული საკითხები.[2]

საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ კანდელაკისაგან სტუმრებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. კ. კანდელაკმა კონტის მისიის წინაშე დააყენა სესხის საკითხი და წარუდგინა კრედიტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მის დარგობრივი სტრუქტურების მიხედვით დიფერენცირებას. კერძოდ: სარკინიგზო მაგისტრალების, ფოთის ნავსადგურის, საფეიქრო მრეწველობის ტექნიკურ გადაიარაღებას, მოსახლეობის პირველმოხმარების საქონლით მომარაგებას, არმიის ამუნიციის გაუმჯობესებას, ქართული ვალუტის შექმნისათვის ხელშეწყობას.[3] მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ კრედიტის დაფარვის პირობებზე.

კ. კანდელაკის წინადადებამ, რომ კრედიტის კომპენსირება მოხდებოდა მისი მიღების შედეგად ამუშავებული საწარმოების შემოსავლებიდან, იტალიელები არ დააკმაყოფილა, მათ კრედიტის საკომპენსაციო გარანტიად მოითხოვეს: 1. მონოპოლია სპირტიანი სასმელების წარმოებაზე, 2. გარკვეული კვოტები მარგანეცის ექსპორტის შემოსავლებიდან, 3. მონოპოლია თამბაქოს ექსპორტზე, 4. შემოსავლები სატყეო მეურნეობიდან. იტალიელთა ეს მოთხოვნები თავისთავად გამოიწვევდა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროზე იტალიელთა საქმიანი წრე-

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 318, გვ. 75.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 619, ფურც. 3.
[3] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 219.

ების კონტროლის დაწესებას. ამიტომ ქართულმა მხარემ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა, მით უმეტეს, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა ამის საშუალებას არ იძლეოდა.

კ. კანდელაკმა არ მოისურვა ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპიდან გადახვევა და კრედიტის დაფარვის მხოლოდ მისეული პირობები შესთავაზა მისიის წარმომადგენლებს. საქართველოს მთავრობამ უარი თქვა ფინანსურ კრედიტზე და დათანხმდა სამრეწველო კრედიტზე, თანაც ამ კრედიტის დაფარვის საკუთარ პირობებზე. ამის გამო მისიამ ნაწილობრივ შეცვალა საკუთარი პროგრამა და ყურადღება საკომპენსაციო ოპერაციების პრინციპებზე გადაიტანა. მან ქართულ მხარეს იტალია-კავკასიის კომპანიის შექმნის პროექტი წარუდგინა. კომპანია 3 თვის ვადაში უნდა შექმნილიყო და საქართველოსთვის ხუთი წლის ვადით 35 მლნ. იტალიური ლირა უნდა გამოეყო.[1]

კრედიტი უნდა მოხმარებოდა საქართველოს რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურად გამართვის საქმეს, საფეიქრო მრეწველობის საწარმოთათვის იტალიაში მანქანებისა და მოწყობილობების შეძენას. ფოთის ნავსადგურის ტექნიკურ გადაიარაღებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესყიდვას და ა.შ.[2] კრედიტის დაფარვის საკითხში კონტი პირვანდელ პოზიციას არ იცვლიდა. იგი კვლავინდებურად მოითხოვდა კრედიტის არა ვალუტით, არამედ ნედლეულით დაფარვას. ამასთან, ნედლეულის მიწოდების კონტისებური სქემა საქართველოს მთავრობის მონოპოლიურ უფლებებს საგრძნობლად ზღუდავდა ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში. კერძოდ, კონტის პროექტის მიხედვით კომპანიის კონტროლს დაექვემდებარა ჭიათურის მანგანუმის რეალიზაცია. მოგების თანაბარი განაწილების პრინციპით. კომპანიისათვის უნდა გადაეცათ აფხაზეთის თამბაქოს რეალიზაციის მონოპოლიური უფლებები პრინციპით – მოგების 75% - მთავრობას, 25% - კომპანიას.[3]

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 619, ფურც. 14.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 619, ფურც. 14.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 619, ფურც. 14.

ქართულ მხარეს ევალებოდა ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით იტალიური საქონლის გადაზიდვისათვის ხელშეწყობა, მისი საგადასახადო ვალდებულებებისაგან გათავისუფლების პრინციპით. ქართული მხარე ამ წინადადებას განიხილავდა, როგორც ულტიმატუმს, რომელიც სახელმწიფოს საკუთარი სავალუტო საქონლის რეალიზაციის მონოპოლიას უზღუდავდა.

თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ხელშეკრულების საკუთარი სქემა, რომელიც საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ქართული მხარის მიერ წარმოდგენილი პროექტი აკონკრეტებდა იტალიური კრედიტის გამოყოფის ვადას, კრედიტის დაფარვის ფორმებს და რაოდენობას გარკვეული ეტაპების მიხედვით.[1] ქართული მხარის მიერ შემოთავაზებული კრედიტის კომპენსაციის მექანიზმი გახდა მხარეთა უთანხმოების უმთავრესი მიზეზი. კერძოდ, საქართველოს მთავრობა ითხოვდა კრედიტის დაფარვას იტალიური ლირით, მხოლოდ ამის განუხორციელებლობის შემდეგ კისრულობდა ის ვალდებულებებს იტალიისათვის ყოველწლიური წილის სახით მანგანუმის ქვანახშირისა და თამბაქოს მიწოდებაზე – ევროპული საბაზო ფასებით.[2]

კონტის მისიამ უარი განაცხადა ქართული მხარის პროექტზე. განსაკუთრებით მიუღებელი გახდა კონტისათვის კრედიტის დაფარვის მექანიზმის ქართული ვარიანტი. თუ საქართველოს მთავრობა სესხის განაღდებას იტალიური ვალუტით მოახდენდა, მაშინ იტალიელები სტრატეგიულ სავალუტო ნედლეულს კრედიტის კომპენსაციის სახით ვერ გაიტანდნენ და იძულებულნი იქნებოდნენ მისი შესყიდვის ოპერაციები საკრედიტო ოპერაციებისაგან დამოუკიდებლად ეწარმოებინათ.[3] მიუხედავად ამისა, იტალიის მისიის ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალია-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით.

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 619, ფურც. 22.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 619, ფურც. 22.
[3] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 225.

კონტის მისია სამშობლოში 1920 წ. 21 მარტს გაემგზავრა. სახელმწიფო სტრუქტურებთან მათ საქმიან შეხვედრებს დადებითი შედეგები მოჰყვა. მაგ. 1920 წლის თებერვალში დაარსებულ იქნა *„იტალია-კავკასიის გამნაღდებელი ბანკი“*, რომლის საწესდებო კაპიტალი 40 მლნ. ლირას შეადგენდა. ბანკის ცენტრალური ადმინისტრაციული აპარატი განთავსებული იყო რომში, განყოფილებები ჰქონდა კავკასიაში. თბილისში მთავარი განყოფილება ფუნქციონირებდა. ფილიალები გაიხსნა ბათუმში, ფოთში, სოხუმში. ბანკის ადმინისტრაციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა საქართველოს საფინანსო დეპარტამენტის დირექტორი დიმიტრი აფხაზი.[1] საქართველოში იტალია-კავკასიის ბანკის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქვეყანაში საბანკო სისტემის მაუწყებლობის პირობებში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ექსპორტისა და საკრედიტო ბაზის შექმნაში. საქართველოდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ბანკის კრედიტმა და საშუამავლო ოპერაციებმა დაფარა. იტალიაში მყოფი საქართველოს მისია ამ ბანკის საშუალებით აწარმოებდა საიმპორტო საქონლის შეკვეთებს, მისი ფინანსური დახმარებით აგვარებდა სატრანსპორტო გადაზიდვების საქმეებსაც.[2]

ყურადღებას იმსახურებს იტალიის საქმიანი წრეების დაინტერესება საქართველოს აბრეშუმით. 1920 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი იტალიელი მრეწველი პოჯი. იგი გაეცნო საქართველს აბრეშუმის მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობას. სასარგებლო იყო მისი შეხვედრები საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრთან და მთავრობის სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. ქართულმა მხარემ მოიწონა პოჯის მიერ შემოთავაზებული საკონტაქტო პროგრამა, რომელიც სამტრედიის აბრეშუმის ქარხნის ამუშავებას შეეხებოდა.[3] ამ საკითხზე დადებულმა ხალშეკრულებამ ორივე მხარე დააკმაყოფილა.

---

[1] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 226.

[2] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 226-227.

[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 319, ფურც. 1.

საქართველო-იტალიის ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია იტალიის საფინანსო სტრუქტურების დახმარება ქართული ბონების გამოცემაში. კერძოდ, 1920 წლის დასაწყისში იტალიაში შეძენილ იქნა ბონების ემისიისთვის საჭირო ქაღალდი და საღებავი მასალა. მათი ღირებულების დაფარვა მოხდა იტალიაში თამბაქოს რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულით.[1]

1920წ.. დასაწყისიდან საქართველოს ნედლეულის ბაზრისაკენ იტალიის მთავრობის ლტოლვა თვალშისაცემი გახდა. ცალსახად გამოიკვეთა მისი მისწრაფება აქ გაბატონებული მდგომარეობის მისაღწევად. ამ მიზნით შემოჰქონდა სხვადასხვა სახის საქონელი. იტალიამ კარგად გააცნობიერა საქართველოს, როგორც სატრანსპორტო ქვეყნის როლი ამიერკავკასიაში და აღმოსავლეთში გავლენის მოსაპოვებლად. მან სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით ადრე დაამყარა საზღვაო კავშირი საქართველოსთან.

იტალია-საქართველოს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში გამორჩეული ადგილი უკავია ხელშეკრულებას ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის კონცესიის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართული მხარე მოლაპარაკებებს აწარმოებდა იტალიის ბრძმედებისა და ფოლადსასხმელი ქარხნების გაერთიანება *„ილვასთან“*, რომელიც 1920წ. 11 ნოემბერს შეთანხმების საბოლოო ვარიანტზე ხელმოწერით დაგვირგვინდა.[2] საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კ. კანდელაკმა, იტალიის მხრიდან – *„ილვას“* გენერალურმა დირექტორმა ორლანდომ და იტალია-საქართველოს სადისკონტო ბანკის თავმჯდომარემ პოლიანმა.[3]

ტყვარჩელის კონცესიის ვადა 45 წლით შემოიფარგლა. იტალიის მხარეს მიეცა კონკრეტული სამოქმედო პროგრამის განხორციელების, კერძოდ, საბადოს გამოკვლევის, ექსპლუატაციის, სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობისა და სოხუმისა და

---

[1] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 229-230.
[2] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 234.
[3] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 234.

ფოთის ნავსადგურების მოწყობის უფლება.[1] მიღწეულ იქნა შეთანხმება ფინანსურ საკითხებზე, კერძოდ, ქვანახშირის რეალიზაციიდან მიღებული მოგების, წმინდა შემოსავლებთან დაკავშირებული პირობები და სხვა კომერციული საკითხები ორივე მხარისთვის მისაღები ფორმის ფარგლებში იყო ჩამოყალიბებული.

ხელშეკრულების პირობები გამორიცხავდა კონცესიონერთა მიერ საბადოს ექსპლუატაციის მონოპოლიას. ამ თვალსაზრისით ხელშეკრულებაში ჩადებული იყო საქართველოს მთავრობის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვაზე იყო ორიენტირებული. საინტერესო იყო XIX მუხლი, რომლის თანახმად ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის ვადაში იტალიელ პარტნიორებს უნდა ჩამოეყალიბებინათ ქართული სააქციო საზოგადოება, რომელსაც უნდა გადასცემოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლებავალდებულებანი. საზოგადოების ფინანსური სტრუქტურა მთლიანად იტალიის მხარეს უნდა შეექმნა. პირველი დაწყებითი სააქციო კაპიტალი 15 მილიონი ლირა უნდა ყოფილიყო, შემდგომში კი – 30 მილიონი.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება საქართველოს მთავრობას კონცესიის ცალმხრივად ანულირების უფლებას აძლევდა. იმ შემთხვევაში, თუ კონცესიონერთა უფლებების რეალიზაცია ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ინტერესებს (მუხლი XX). რაც მთავარია, ხელშეკრულების VII მუხლის მიხედვით კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ მთელი საწარმოო სისტემა, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებათა ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონება საქართველოს გადაეცემოდა. მხარეებს შორის ყოველგვარ დავას საქართველოს „საარბიტრაჟო კომისია“ განიხილავდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ კონცესიაზე საქართველოს სასამართლო იურისდიქცია ვრცელდებოდა.

ამრიგად, ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესიის შესახებ იტალია-საქართველოს ხელშეკრულების პროცესში ორივე მხარის მიერ გადადგმულმა კომპრომისულმა ნაბიჯებმა განაპირობეს მისი ხელმოწერით დაგვირგვინება. ფინანსური თვალსაზრისით

[1] დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 234.

ეს ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნისთვის იდეალური არ იყო. ის გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა კონცესიონერებს, მაგრამ სხვა ქვეყნებთან ადრე დადებული ხელშეკრულების ფონზე ის სარგებლიანობის თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. რაც მთავარია, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით ხელშეკრულებაში ჩადებულ იქნა როგორც წარმოების, ისე ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების ბერკეტები. მთავრობამ შესძლო საბადოს ასათვისებელი ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნება, ასევე ხელშეკრულების რეალიზაციის ფარგლებში საბაჟო და საგადასახადო სისტემის მისეული კანონმდებლობის შექმნა.

აღნიშნულ ხელშეკრულებას საქართველოსთვის უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ხელს შეუწყობდა არა მარტო ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის, არამედ მთელი ქვეყნის ქვანახშირის წარმოების ძირეულ გარდაქმნას თანამედროვე საწარმო-ტექნიკურ და მეცნიერულ დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, გამოიწვევდა ეკონომიკისა და სხვა სფეროების განვითარებას, განსაკუთრებით კი სავალუტო სისტემის გაჯანსაღებასა და მოსახლეობის დასაქმებას.

1920 წლის პირველ ნახევარში იტალიიდან შემოტანილ იქნა 24374 ტონა სხვადასხვა სახის საქონელი, რომლის ქართულ ბაზარზე რეალიზაციის საერთო თანხამ 80 მლნ. 194 ათას ორასი ლირა შეადგინა. საქართველოს საქონელბრუნვის საერთო მოცულობა 1920 წელს 5 მლნ. გირვანქა სტერლინგს აჭარბებდა. აქედან იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი იტალიური იყო, ხოლო სატრანსპორტო გადაზიდვების 65% – ასევე იტალიური. ამასთან, საქართველოდან ნედლეულის ექსპორტზე იტალია-კავკასიის ბანკის მიერ გაცემული სესხი 80 მლნ. აჭარბებდა.

ამრიგად, 1919-1920 წლებში საქართველო-იტალიის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს შეიძლება წარმატებული ვუწოდოთ. ორი ქვეყნის ოფიციალური სტრუქტურების ძალისხმევამ, რომელშიც აქტიურად ერთვებოდნენ იტალიის მსხვილი ფირმები და კომპანიები, საგრძნობლად გააქტიურა საქონელგაც-

ვლის პროცესები, ხელი შეუწყო იტალიის კაპიტალის შემოსვლას საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში.[1]

§ 4. საქართველო-საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში საფრანგეთის კაპიტალის ხვედრითი წილი საქართველოში საგრძნობლად შემცირდა. ომის დამთავრების შემდეგ, უკვე დამოუკიდებელი საქართველო ისევ მოექცა საფრანგეთის მთავრობისა და ქვეყნის საქმიანი წრეების ინტერესთა სფეროში. თუმცა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება მხოლოდ 1920 წლიდან შეინიშნებოდა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს მიმართ საფრანგეთის მთავრობის პასიურობა მეტწილად განპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი უაღრესად რთული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით.

საფრანგეთის ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რამდენად მყარი იყო წლების განმავლობაში რუსეთზე მიბმული, მაგრამ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ დეკლარირებული პრინციპი კერძო საკუთრების შეუქცევადობის შესახებ. ამისთვის დრო იყო საჭირო.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ჯერ კიდევ ორიენტირებული იყო რუსეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს რანგში დაბრუნებისაკენ იმპერიის ადრინდელი ტერიტორიის ფარგლებში, რომლის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ქვეყნებიც მოიაზრებოდა. ამ ქვეყნების მიმართ ასეთი დამოკიდებულება საფრანგეთს ნებით თუ უნებლიეთ მათი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგედ აქცევდა.

ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთის პარლამენტის წევრის – დემონზის მიერ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ პიშონი-

---

[1] ამ ხელშეკრულების სრული ტექსტი იხ.: დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა.., გვ. 259-265.

სადმი საქართველოს შესახებ დასმული შეკითხვები და პასუხი, რომელიც გამოქვეყნდა 1919 წლის 6 სექტემბერს ოფიციალურ ფრანგულ *„Journal Officiel“*. პიშონი ეჭვქვეშ აყენებდა ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას და ზერელედ ეკიდებოდა ამ რეგიონში 1918წ. მაისში შექმნილ დამოუკიდებელი სახელმწიფოების პრობლემებს. თუმცა, ამ ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობებისთვის მზადყოფნას გამოხატავდა. პიშონი საფრანგეთის მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გაჭიანურების მიზეზად ქვეყანაში შექმნილ არასტაბილურ მდგომარეობას და გაურკვეველ მომავალს მიიჩნევდა.[1]

საფრანგეთის მთავრობა საქართველოში ბოლშევიზმის დამკვიდრების საფრთხეს ხედავდა. ბოლშევიკური რუსეთის მთავრობა უკვე ცნობილი იყო თავისი ე.წ. ნაციონალიზაციის პოლიტიკით, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხებსაც შეეხო, რის შედეგად მთელმა რიგმა ქვეყნებმა და მათ შორის საფრანგეთმა ამ ქვეყანაში ჩადებული სოლიდური კაპიტალი დაკარგა.

პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის წევრმა – ზ. ავალიშვილმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და მთავრობის სხვა ოფიციალური პირების განცხადებაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინა. 1919 წლის 25 სექტემბერს მან მემორანდუმი გაუგზავნა პიშონს. ზ. ავალიშვილმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არც თუ ისე სასიამოვნო მოსაზრებები დააფიქსირა საქართველო-საფრანგეთი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე და მოუწოდა საფრანგეთის ოფიციალურ პირებს საქართველოსთან უფრო მჭიდრო, კონსტრუქტიული თანამშრომლობისაკენ.[2] ქართველი დიპლომატი აღნიშნავდა, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველოს მხრიდან რაიმე სერიოზული წინააღმდეგობე-

---

[1] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии 1917-1921 гг. Тб., 1980, გვ. 25.

[2] **ზ. ავალიშვილი.** საქართველოს დამოუკიდებლობა.., გვ. 84.

ბი არ ემუქრებოდა, რომ საქართველოს მთავრობას გაცნობიერებული ჰქონდა ამ ურთიერთობის მნიშვნელობა და მზად იყო, ამ მიმართულებით უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინა. „თუ ჩვენს ქვეყნებს შორის რაიმე შემაფერხებელი ფაქტორი არსებობს, ის საქართველოსგან არ გამომდინარეობს“,[1] – აღნიშნავდა ზ. ავალიშვილი. ქართველი დიპლომატი განუმარტავდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ მის მიერ საქართველოს მისამართით გაკეთებული განცხადებები ხელს ვერ შეუწყობდა ქვეყანაში ფრანგული კაპიტალის შემოსვლას, რასაც ჩვენი ნედლეულის ბაზარზე სხვა ქვეყნების დაწინაურება მოჰყვებოდა.[2]

საქართველოში მოღვაწე საფრანგეთის ოფიციალური პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აქ ცხოვრობდნენ და კარგად იცნობდნენ ჩვენს ქვეყანასა და მის რესურსებს, ევროპის სახელმწიფოების მიერ საქართველოს ნედლეულის ბაზრიდან საფრანგეთის შევიწროების საშიშროებას ხედავდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ფრანგული ოფიციალური გაზეთის *„დრო-ს“* სპეციალური კორესპონდენტის – პ. ჟანტიოზონის მოსაზრება, რომელიც სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საგრძნობლად იკლო საფრანგეთის გემების შემოსვლამ საქართველოს ნავსადგურებში, რომ ამ მხრივ ინგლისი და იტალია საგრძნობლად უსწრებდნენ საფრანგეთს. ჟანტიოზონი მოუწოდებდა საფრანგეთის საქმიან წრეებს და ოფიციალურ პირებს, შემობრუნებულიყვნენ ნედლეულით მდიდარ საქართველოსკენ.[3]

ფრანგი პოლიტიკოსების წუხილს სერიოზული საფუძველი ჰქონდა – საქართველოში საფრანგეთიდან ბევრად უფრო ნაკლები საქონელი შემოდიოდა, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან. საქართველოს მთავრობა არ აკლებდა ძალისხმევას საფრანგეთთან მჭიდრო, საქმიანო კონტაქტების დასამყარებლად. თავის მრავალრიცხოვან განცხადებებში საზღვარგარეთის ქვეყნებს, მათ შორის

---

[1] **ზ. ავალიშვილი.** საქართველოს დამოუკიდებლობა.., გვ. 84.

[2] **ზ. ავალიშვილი.** საქართველოს დამოუკიდებლობა.., გვ. 84.

[3] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 27.

საფრანგეთს მოუწოდებდა შემობრუნებულიყვნენ ისეთი საიმედო პარტნიორისაკენ, როგორიც იყო საქართველო.[1] ცხადია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი გამოიღო. 1919 წლის ბოლოსათვის საქართველოს ნედლეულით დაინტერესდნენ საფრანგეთის მსხვილი მეტალურგიული ფირმები და მეაბრეშუმეთა გაერთიანებები.

ვალუტის დეფიციტის პირობებში საგარეო ვაჭრობის მოსაგვარებლად საქართველოს მთავრობას არასავალუტო საქონელგაცვლის იმედი ქონდა. ამ საქმის წინ წაწევის ერთ-ერთ ბერკეტად მას სავაჭრო-სამრეწველო პალატა მიაჩნდა. ამიტომ მხარი დაუჭირა ფრანგულ-ქართული სავაჭრო-სამრეწველო პალატის შექმნის იდეას.

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმის პერიოდში ფუნქციონირებდა ფრანგულ-რუსული სავაჭრო პალატა ამიერკავკასიაში, რომელსაც საქართველო-საფრანგეთის საქმიანი კონტაქტების დამყარებაში რაიმე წვლილი არ შეუტანია. 1920 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ძალისხმევით სამრეწველო პალატა ახალი სახით ჩამოყალიბდა. მან მიიღო სახელწოდება *„საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო პალატა თბილისში“*. 1920 წლის მაისში მთავრობამ პალატის წესდება დაამტკიცა და მისი კურირება საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს დაევალა.[2] ამით დამთავრდა ფრანგულ-ქართული სავაჭრო პალატის ფორმირება, რომელსაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მოგვარებაზე უნდა ეზრუნა.

სანამ ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატა თავის საქმიანობას შეუდგებოდა, საფრანგეთის კონსული თბილისში ნეტემანი დაინტერესდა, თუ რა პირობები არსებობდა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებისათვის. 1919 წლის 19 მაისს მან წერილით მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრს, რათა მის უწყებას საფრანგეთის მთავრობისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული კანონების

---

[1] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 25.

[2] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 36.

დებულებების, ცირკულარების შესახებ, რომლებიც საგარეო ვაჭრობის დარეგულირებას შეეხებოდნენ. მას აინტერესებდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი, საბაჟო წესები, საშინაო ვაჭრობა და ა.შ.[1]

საფრანგეთ-საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხი ასევე დაინტერესებული იყო საფრანგეთის სამხედრო მისია თბილისში. მისიასთან ფუნქციონირებდა სავაჭრო ოპერაციების განყოფილება, რომელსაც მიურატი ხელმძღვანელობდა, მისიას აინტერესებდა იმპორტული და საექსპორტო საქონლისათვის დაწესებული საბაჟო გადასახადების ტარიფი, ასევე იმ საქონლის სია, რომლის გატანა საქართველოდან აკრძალული იყო.[2]

ფრანგი სამხედროების საქართველოსთან ვაჭრობით დაინტერესებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მათ განზრახული ჰქონდათ საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო სავაჭრო მისია გარდაექმნათ ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატის ბათუმის განყოფილებად. საქართველოს მთავრობას ეჭვი შეეპარა იმაში, თუ რამდენად კომერციული ხასიათის იქნებოდა მისიის საქმიანობა. ამიტომ როდესაც პალატის შექმნის ინიციატორებმა დასვეს საკითხი ამ სტრუქტურასთან რადიოტელეგრაფული კავშირის დამყარების შესახებ, საქართველოს მთავრობისაგან კატეგორიული უარი მიიღეს.[3]

ცნობილია, რომ სრული ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს მთავრობა სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულთან ერთად მანგანუმზე ამყარებდა იმედებს. სამწუხაროდ, ომის პერიოდში საგრძნობლად შემცირდა მანგანუმის მოპოვება, ხოლო ექსპორტი ფაქტობრივად შეწყდა. ასეთი მდგომარეობა ომის შემდგომ პირველ წელსაც გაგრძელდა. ექსპორტის განახლების შემდეგ საზღვაო ტრანსპორტის პრობლემა შეიქმნა, რამაც ფრახტი საგრძნობლად გაზარდა. შექმნილმა ვითარებამ ამ სფე-

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. I, საქ. 322, ფურც. 82.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. I, საქ. 742, ფურც. 21-26.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. I, საქ. 742, ფურც. 21-26.

როში ქაოსი და არაორგანიზებულობა გამოიწვია. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა, მარგანეცის ექსპორტზე მონოპოლია შემოეღო და ეს უფლება კერძო დაწესებულებას – ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება *„ჩემოს“* გადაეცა. ამიერიდან მანგანუმის ექსპორტთან დაკავშირებულ ყველა საკითხს საქციო საზოგადოება „ჩემოს“ ხელმძღვანელობა წყვეტდა.[1]

საქართველოს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას უკმაყოფილებით შეხვდნენ საზღვარგარეთული ფირმები, მათ შორის ფრანგები. ამასთან, ზოგიერთი მათგანი ბედს ადრევე შეურიგდა და დაიწყო *„ჩემოს“* მესვეურებთან თანამშრომლობა. ერთ-ერთი მათგანი იყო ფრანგული ფირმა *„ლუი პანასიე“*. ფირმის მესვეურები დარწმუნდნენ იმაში, რომ „ჩემოს“ გვერდის ავლით შეუძლებელი იყო საექსპორტო ოპერაციების შესრულება: თავიდან აკრძალული წესებით სცადეს მთავრობის წარმომადგენლებთან გარიგება, მაგრამ უარი მიიღეს, ვინაიდან მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ *„ჩემოს“* წესდების დარღვევის პრეცედენტი არ დაეშვა.[2]

ამის შემდეგ *„ლუი პანასიემ“* დაიწყო *„ჩემოსთან“* დაახლოება და მალე მიზანს მიაღწია. უფრო მეტიც, მას ევროპაში „ჩემოს“ სამეთვალყურეო კომიტეტის წევრობა შესთავაზეს. ასეთი მოქმედებით ლუი პანასიე ცდილობდა, ომის დროს შეძენილი 49 ათასი ტონა მადნის საქართველოდან გატანა უზრუნველყო. *„ჩემოს“* მონოპოლიური უფლებების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა გააჩაღა ფირმამ *„მანგანუმის საზოგადოება დარკვეთში“*. ეს იყო მსხვილი ფირმა, რომელსაც ომამდე საქართველოდან მილიონობით ფუთი მანგანუმი გაჰქონდა. ფირმის მესვეურები განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მას *„ჩემომ“* მანგანუმის ექსპორტში მხოლოდ 2% წილი განუსაზღვრა. „დარკვეთის“ ხელმძღვანელის – მიულსის შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მან მონოპოლიის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, კერძოდ, 1919წ. 5 ივლისს საფრანგეთის ერთ-ერთ მეტალურგი-

---

[1] გაზ. *„საქართველო“*. 1920.19.II.

[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 92-96.

ულ გაერთიანებას *„კომიტე დე ფორეეს“* მიჰყიდა 15 ათასი ტონა მარგანეცი, მისი ადგილზე ტრანსპორტირების გარანტიით. მონოპოლიის გამოცხადების შემდეგ *„ჩემოს“* გვერდის ავლით ტვირთის გატანა ვერ მოხერხდა.[1]

მიულსი კატეგორიულად მოითხოვდა ამ ტვირთის გატანის ნებართვას, ამისთვის ის შანტაჟსა და პროვოკაციებს არ ერიდებოდა. მიულსის შეშფოთება არ იყო გასაკვირი, მას პარტნიორთან სიტყვა გაუტყდა, რაც მთავარია, ის ფინანსურად ზარალდებოდა. თავის მხრივ *„ჩემოს“* ხელმძღვანელობა არანაირ დათმობაზე არ მოდიოდა. მიულსის სასარგებლოდ *„ჩემოზე“* ზეწოლას ახდენდნენ ფრანგული მანგანუმის ისეთი მსხვილი მომხმარებლები, როგორიც იყო: *„საფრანგეთის სამთო კომიტეტი“*, *„მანგანუმის მრეწველთა საზოგადოება“*. *„კომიტე დე ფორეე“*, საზოგადოება *„მარგანეცი“*, *„სავაჭრო სახლი გინიონი“*. თითოეული მათგანი *„ჩემოს“* წინააღმდეგობის დასაძლევად ყველანაირ პროვოკაციებს, ხრიკებსა და მაქინაციებს მიმართავდა.[2] *„ჩემოს“* მონოპოლიური უფლებების წინააღმდეგ მებრძოლ ფირმებს ზურგს უმაგრებდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში გრაფი დე მარტელი. იგი აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობის მონოპოლიზაციის პოლიტიკა ვერ შეუწყობდა ხელს ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობას, პირიქით, შეაფერხებდა უცხოური კაპიტალის შემოსვლას საქართველოში, სახელმწიფოს მშენებლობას კი, მისი თქმით, რაც შეიძლება მეტი უცხოური კაპიტალის მოზიდვა სჭირდებოდა.[3] დე მარტელი საქართველოს მიმართ თითქოს კეთილგანწყობას გამოხატავდა, სინამდვილეში ფრანგული კაპიტალის გულმხურვალე მხარდამჭერი იყო.

საქართველოს მთავრობა ხშირ შემთხვევაში აქტიურობას არ იჩენდა, რომ ღიად გამოეხატა *„ჩემოსადმი“* მხარდაჭერა და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდა. ეტყობა, მას არ სურდა, დაეძაბა ურთიერთობა ანტანტის ქვეყნებთან. *„ჩემოს“*

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. I, საქ. 666, გვ. 80.

[2] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 48.

[3] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 56.

ხელმძღვანელობა კი პოზიციას არ იცვლიდა და ფრანგულ ფირმებს ურჩევდა, მიებაძათ ლუი პანასიესათვის, რომელიც დაექვემდებარა *„ჩემოს“* წესდებას, შემდეგ კი მასთან საქმიანი ურთიერთობა დაამყარა.[1]

„ჩემოს“ ზოგჯერ უჭირდა თავისი პოზიციების დაცვა. იმ შემთხვევაში, როდესაც მას აიძულებდნენ ისეთი ფირმებისათვის გაეცა ნებართვა მანგანუმის გატანაზე, რომლებიც ამას არ იმსახურებდნენ, მიუხედავად ამისა, *„ჩემო“* მაინც ახერხებდა წინააღმდეგობის დაძლევას, რომელსაც ის ფრანგული ფირმებისაგან არაიშვიათად აწყდებოდა. *„ჩემოს“* ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ემოქმედა მხოლოდ მის მიერ მიღებული წესდების საფუძველზე.

„ჩემოს“ მიმართ ზოგიერთი ფრანგული ფირმის არაკეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ ასახვა ჰპოვა საფრანგეთის მრეწველობაში ჭიათურის მარგანეცის მოხმარების დონეზე. მაგ. 1919 წ. 12 ნოემბრიდან (*„ჩემოს“* დაარსებიდან) 1920 წლის 1 ივლისამდე ინგლისში სარეალიზაციოდ გატანილ იქნა 69158 ტ. მარგანეცი. ბელგიაში 10000 ტ. ჰოლანდიში 10000 ტ., ხოლო საფრანგეთში 2100 ტ. მანგანუმი.[2]

1920 წლის შუა ხანებისთვის მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალა. საფრანგეთმა უფრო მეტი ინტენსივობით დაიწყო საქართველოდან მანგანუმის გატანა. ამ მხრივ მან იტალიასა და ბელგიას გაუსწრო.[3] სამწუხაროდ, წლის ბოლოს ეს პროცესი ჩიხში შევიდა. ამ შემთხვევაში მიზეზი უფრო სერიოზული იყო. კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპაც მოიცვა, ამან უარყოფითი გავლენა იქონია მანგანუმის ბაზარზე.

კატასტროფულად დაეცა მანგანუმის ფასები. ჭიათურის მანგანუმის მომხმარებლები ბაზრიდან გაქრნენ, ეს კი მანგანუმის მრეწველობას კრახს უქადდა. 1921 წლისთვის ჭიათურის

---

[1] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 56.
[2] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 48.
[3] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 9.

მანგანუმის მოპოვება შეწყდა. საწყობებში დარჩა 724579 ტ. ნედლეული.[1]

ფრანგი კაპიტალისტები საქართველოს აბრეშუმითაც დაინტერესდნენ. I მსოფლიო ომმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს მეაბრეშუმეობის განვითარებაზე. ომის დროს დაირღვა საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებული პირობები და ნორმები, რასაც აბრეშუმის პარკის წარმოებისა და ექსპორტის მკვეთრი შემცირება მოჰყვა. მაგ. 1915 წელს აბრეშუმის პარკის მოსავალი 2097 ტ. შეადგენდა, 1919 წელს ეს მაჩვენებელი 327 ტონამდე შემცირდა. მას შემდეგ, რაც მთავრობამ აბრეშუმის ექსპორტზე მონოპოლია დააწესა და გრენის შემოტანასაც კონტროლი გაუწია, მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. 1920 წელს ქვეყანაში აბრეშუმის პარკის მოსავალმა 8129 ტონას მიაღწია.[2]

ომის შემდეგ საფრანგეთმა, როგორც აბრეშუმის მწარმოებელმა ქვეყანამ, უპირატესობა დაკარგა. ამასთან იგი გრენის მსხვილი მწარმოებელი გახდა. საქართველო კი პარკის მწარმოებელი და ექსპორტიორი იყო, ხოლო გრენი მთლიანად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა. აქედან გამომდინარე, ფრანგებს საქართველოს მეაბრეშუმეებთან თანამშრომლობის ინტერესი გაუჩნდათ.

ქართული აბრეშუმით განსაკუთრებით დაინტერესდნენ საფრანგეთის მეაბრეშუმეთა მსხვილი გაერთიანებები, კერძოდ, მარსელის სავაჭრო სახლი *„შაბრერი-მორელი“* და მეაბრეშუმეობის საწარმო *„ფერანი-გინტრანი“*, რომელიც გაერთიანებული იყო მეაბრეშუმეთა ფედერაციასთან.[3] საფრანგეთის მეაბრეშუმეთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში წარმოებული აბრეშუმის პარკის მთლიანად შესყიდვა, ქართველ მეაბრეშუმეობისათვის გრენის მიწოდება, თურქული და იტალიური გრენის განდევნა საქართველოს ბაზრიდან და იქ თავიანთი პოზიციების დამკვიდრება.

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 9.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 9.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 17.

1919 წლის მაისში ამ გაერთანაბათა ხელმძღვანელებს შეხვედრა ჰქონდათ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელ კ. ჩხეიძესთან და მას საქმიანი თანამშრომლობის წინადადებით მიმართეს. ფრანგებმა ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების პროგრამაც წარუდგინეს ჩვენი დელეგაციის მეთაურს.[1] პროგრამის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული იყო ქართული აბრეშუმის პარკის შესყიდვისა და საქართველოში ფრანგული გრენის რეალიზაციის პირობები.

პროგრამის მეორე ნაწილი მოიცავდა მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებს, კერძოდ: საქართველოს მეაბრეშუმე-კოოპერატორებთან შეთანხმების მიღწევას მისაღებ ფასებში მათი გრენით მომარაგების თაობაზე, თანამედროვე საგრენაჟო ფაბრიკის მშენებლობას, თუთის ხეების გაშენებას, საცდელი მინდვრების მოწყობას; პარკის გადამამუშავებელ საწარმოების მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფას; იმპორტული გრენიდან რაც შეიძლება მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის მისაღებად ქართველ და ფრანგ მეაბრეშუმეთა ერთობლივ საქმიანობას. შეთანხმების ვადა 15 წლით განისაზღვრებოდა.[2]

ფრანგების მიერ შემოთავაზებულ პროგრამაში შეფარვით იყო დაფიქსირებული სურვილი ფრანგული კომპანიებისათვის აბრეშუმის ექსპორტის მონოპოლიური უფლების გადაცემის შესახებ. მთავრობის მხრიდან ამ საკითხზე თანხმობის შემთხვევაში ისინი საქართველოში გრენისა და აბრეშუმის ქარხნებს ააშენებდნენ.[3]

1919 წლის 14 სექტემბერს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად საფრანგეთში საქართველოს წარმომადგენელ ალ. ჯაბადართან ერთად თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის კომპანიების წარმომადგენელი ლ. გერბერგი. გერბერგი გრენის რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე წარმოადგენდა „ფერანის“ ჯგუფს, მეაბრეშუმეობის სინდიკატთან ერთად. ხოლო პარკის

---

[1] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 61.
[2] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 18.
[3] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 18.

შესყიდვის საკითხებზე – *„შარბიერ-მორელი და კ“*-ის წარმომადგენელი იყო.[1]

საქართველოს მთავრობა კმაყოფილებით შეხვდა ფრანგი მრეწველების წინადადებას და გერბერგს გადასცა წერილობითი პასუხი, სადაც დაფიქსირებული იყო, რომ საქართველოს მთავრობა ფრანგულ მხარეს მიაწვდიდა 10 ათას კგ. პარკს საამისოდ, ხოლო მეორე იმდენს მიჰყიდდა ნაღდ ანგარიშზე. ორივე შემთხვევაში ფული უნდა გადარიცხულიყო საქართველოს მთავრობის ანგარიშზე საფრანგეთის ნებისმიერ ბანკში. ამასთან საქართველოს მთავრობა კისრულობდა 20 ათასი კოლოფი ფრანგული გრენის შესყიდვას.[2] თბილისის მოლაპარაკებებში არ განხილულა ფრანგებისთვის აბრეშუმის ექსპორტის მონოპოლიური უფლების მინიჭების საკითხი.

საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალ. ალშიბაიამ ფრანგების მიერ შემოთავაზებული პროგრამა მოიწონა. ამასთან საფრანგეთში აბრეშუმის პარკის რეალიზაციასა და ფრანგული გრენის შესყიდვასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხში გარკვევა მოითხოვა და დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ხელშეკრულების ხელმოწერაზე მზადყოფნა დააფიქსირა. რაც შეეხება ფრანგული ფირმებისათვის აბრეშუმის პარკის ექსპორტის მონოპოლიური უფლებების გადაცემის საკითხს, ალშიბაია ამის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ საბოლოო პასუხისთვის დროს ითხოვდა.[3]

აბრეშუმის პარკის პირველი ნაკადი საფრანგეთში 1919 წლის 3 დეკემბერს გაიგზავნა, მაგრამ პრობლემები შეიქმნა ანგარიშსწორების საკითხთან დაკავშირებით. ფრანგული კომპანიები საფრანგეთის ბანკებში საქართველოს ანგარიშზე ფულის გადარიცხვაზე თავს იკავებდნენ, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ანტანტის ქვეყნების მიერ ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული. მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 18.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 18.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 19.

„ფერანი“ ნებართვას სთხოვდა საქართველოს მთავრობას, რათა ეს ფული მის მიერ ნდობით აღჭურვილი კერძო პირის სახელზე შეეტანა.[1] ამის შესახებ პარიზში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა კ. ჩხეიძემ შეატყობინა მთავრობის თავმჯდომარეს – ნ. ჟორდანიას და სთხოვა, საჩქაროდ ეცნობებინა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ამ საკითხზე. როგორც ირკვევა, აბრეშუმის პარკის პირველი ნაკადის რეალიზაციის შემდეგ მიღებული სოლიდური თანხა (რამდენიმე მილიონი ფრანკი) საქართველოს მთავრობის სახელზე ლიონის ბანკში გადაურიცხავთ.[2]

1920 წელს საფრანგეთ-საქართველოს შორის მთელი რიგი საინტერესო ხელშეკრულებები დაიდო. ეს პროცესი ორ ეტაპს მოიცავდა. პირველ ეტაპზე ფრანგების მიერ ქართული აბრეშუმის პარკის სრული შესყიდვა უნდა მომხდარიყო, ქართველ მეაბრეშუმეებს კი ფრანგული გრენი უნდა შეეძინათ. მეორე ეტაპზე უფრო გრძელვადიანი შეთანხმებები – საკონცესიო ხელშეკრულებები იდობოდა, რომელიც საქართველოს მეაბრეშუმეობაში ფრანგული კაპიტალის უფრო ხანგრძლივი დროით შეღწევას ითვალისწინებდა.

პირველი ეტაპის შეთანხმებიდან აღსანიშნავია კონტრაქტი, ფირმა *„შარბიერ-მორელი და კ“*-სთან, რომელსაც 1920 წლის 1 მარტს ხელი მოაწერა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კ. კანდელაკმა. ამ კონტრაქტით 1920 წლის მთელი შემოსავალი გადაეცემოდათ ფრანგულ ფირმებს, როგორც შესანახად, ისე რეალიზაციისთვის.[3] მეორე ეტაპის კონტრაქტს განეკუთვნება 1920 წლის 5 სექტემბერს საფრანგეთის ქ. მარსელში იმავე ფირმასთან დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად *„შარბიერ-მორელი და კ“* საქართველოს აგენტი ხდებოდა ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების რეალიზაციის სფეროში. ასევე საქართველოს მთავრობის დაკვეთით მას უნდა შეესყიდა ქვეყნისთვის საჭირო პირველმოხმარებისა და

---

[1] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 65.
[2] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 65.
[3] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 66.

სამრეწველო საქონელი, ასევე ხორბალი, ფქვილი და სხვა. *„შარბიერ-მორელი და კ“* ამ ხელშეკრულებით საგრძნობლად აფართოებდა საქართველოში თავისი საქმიანობის სფეროს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფრანგული კაპიტალის შედარებით დინამიკური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით აღსანიშნავია 1920 წლის 17 ოქტომბერს მეაბრეშუმეობის ფირმა *„ფერან-გინტრან“*-თან დადებული ხელშეკრულება.[1] შეთანხმების თანახმად, წესდებოდა სპეციალური საწარმოო სტრუქტურა – „მეაბრეშუმეობის განვითარების ფრანგულ-ქართული საზოგადოება“. კონცესიის ძირითად სუბიექტად გამოდიოდა საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტრო და საფრანგეთის მეაბრეშუმეობის განვითარებისა და გაუმჯობესების საზოგადოება „ფერანი-გინტრანი“. ამასთან, ფრანგულ მხარეს უფლება ჰქონდა, პროექტში ჩაერთო ლიონის, მარსელისა და საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის დეპარტამენტების მეაბრეშუმეთა წარმომადგენლები.[2]

„ქართულ-ფრანგული საზოგადოება“ უნდა შექმნილიყო მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით ქართული კანონმდებლობის ბაზაზე. შეთანხმების მეორე მუხლი არეგულირებდა საკონცესიო საწარმოს მმართველობის პირობასა და კონცესიის ფინანსურ რეჟიმს. საზოგადოების შტაბ-ბინა განთავსდებოდა თბილისში. გამგეობა შედგებოდა თავმჯდომარისა და 6 წევრისგან. მათგან გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე და ორი გამგეობის წევრი საქართველოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

ხელშეკრულება აწესებდა სააქციო საზოგადოების საქმიანობაზე საქართველოს მთავრობის არაპირდაპირი კონტროლის მექანიზმს. კერძოდ, საზოგადოებასთან არსებობდა მეთვალყურეობის კომისართა საბჭო, რომლის თავმჯდომარეს ნიშნავდა საქართველოს მთავრობა. რაც შეეხება კონცესიის საფინანსო პირობებს, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზ-

---

[1] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 66. ჯ. ანჩაბაძე. საქართველოს დემოკრატიული... გვ. 91.

[2] ჯ. ანჩაბაძე. საქართველოს დემოკრატიული... გვ. 91.

ღვრა არანაკლებ ორი მილიონი ფრანგული ფრანკის ოდენობით. საზოგადოებას ჰქონდა უფლება, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით გაედიდებინა აღნიშნული თანხა ახალი აქციებისა და ობლიგაციების გამოცემით, ასევე საკრედიტო-სასესხო ოპერაციების წარმოებით.

ხელშეკრულების II თავი მთლიანად ეძღვნება (4-13-ე მუხლები) ქართულ-ფრანგული შეთანხმების ეკონომიკურ პირობებს. ის არეგულირებს იმ ვალდებულებებს, რომლებსაც მხარეები კისრულობენ საქართველოში მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის შემდგომი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ამ სფეროში რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორიცაა ფრანგული მხარის მიერ საქართველოში თესლეულის შემოტანა და მის ხარისხობრივ მაჩვენებელზე კონტროლის დაწესება; საქართველოს მთავრობის მიერ ფრანგულ-ქართული საზოგადოების საქმიანობისათვის შეღავათიანი რეჟიმის უზრუნველყოფა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი (ერობები, მუნიციპალიტეტები, კოოპერატიული ამხანაგობები) მმართველობის დონეზე; ფრანგული მხარის მიერ ქართველი მეაბრეშუმეებისათვის აბრეშუმის ჭიის გადაცემა საშუალო ფასებში; საქართველოს შესაბამის ადგილებში (სამწუხაროდ ხელშეკრულების ტექსტიდან არ ჩანს აბრეშუმის მრეწველობის განვითარების კონკრეტული დარაიონება) აბრეშუმის მრეწველობის დაწესებულებათა შექმნა და ა.შ. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების მე-10 მუხლის ძალით ფრანგულ-ქართულ საზოგადოებას ევალებოდა საქართველოს მომავალ სააბრეშუმეო ცენტრებში თუთის სანერგეებისა და აბრეშუმის წარმოებასთან დაკავშირებული მეთოდების შემსწავლელი სკოლების შექმნა. ხელშეკრულების ძალით საქართველოს მთავრობა ინაწილებდა აბრეშუმის წარმოების სფეროში თავის მონოპოლიურ უფლებებს ფრანგულ მხარესთან ერთად. მაგრამ იტოვებდა აბრეშუმის პარკის ყიდვა-გაყიდვის მონოპოლიურ უფლებას.

ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელს აწერდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ ფრანგული მხარის კონტრაგენტი იქნებოდა

მიწათმოქმედების სამინისტრო, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა მეაბრეშუმეობის დარგი. მე-15 მუხლის თანახმად, რაიმე საკითხის გარშემო მიწათმოქმედების სამინისტროსა და ფრანგულ-ქართულ საზოგადოებას შორის დავა უნდა გადაეწყვიტა საარბიტრაჟო კომისიას პარიტეტული წარმომადგენლობით, რომლის შემადგენლობაში შედიოდა – ორი წევრი სამინისტროს, ხოლო ორიც – საზოგადოების მიერ არჩეული, თავმჯდომარე – ამ ოთხი წევრის მიერ იქნებოდა არჩეული.

ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 25 წელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ მთელი საწარმოო სისტემა, ინფრასტრუქტურა და უძრავ-მოძრავი ქონება უსასყიდლოდ გადადიოდა საქართველოს მთავრობის საკუთრებაში. ამასთან ერთად, საქართველოს მთავრობას ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 15 წლის შემდეგ უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს გამოესყიდა ფრანგული მხარისგან ფრანგულ-ქართული საზოგადოების მთელი საკუთრება, ოღონდ 2 წლით ადრე წინასწარი შეტყობინების შემდეგ. გამოსასყიდი ფასის დასადგენად უნდა შექმნილიყო პარიტეტული სანიტარული კომისია.

1920 წლის 17 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება იყო საქართველოს აბრეშუმის მრეწველობაში ფრანგული კაპიტალის ინვესტირების მსხვილმასშტაბიანი პროექტი, რომელიც საქართველოსთვის უდავოდ ხელსაყრელი იყო.[1]

საფრანგეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას მიზნად ისახავდა 1920 წლის გაზაფხულზე პარიზში ჩასული საქართველოს ეკონომიკური მისია, რომელსაც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი მეთაურობდა.[2] კ. კანდელაკის მისიას „ცარიელ ადგილზე“ არ დაუწყია საფრანგეთში საქმიანობა. აქ პოლიტიკურ სფეროში მოღვაწეობის პარალელურად აქტიურად იყვნენ ჩართულნი ფინანსურ-

---

[1] ამ ხელშეკრულების სრული ტექსტი იხ. ჯ. ანჩაბაძე. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის საკითხები. *1918*-1921. თბ., 2004, გვ. 149-165.

[2] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 66.

ეკონომიკური საკითხების მოგვარებაში პარიზის კონფერენციაზე მყოფი საქართველოს დელეგაციის წევრები ნ. ჩხეიძე, ზ. ავალიშვილი და სხვები.[1]

დელეგაცია თავიდანვე იღწვოდა საქართველოსა და ევროპას შორის ეკონომიკური კავშირების დამყარებისათვის. მას რეგულარულად ჰქონდა შეხვედრები ინგლისის, საფრანგეთის მეწარმეებთან და ფინანსისტებთან. კანდელაკის მისიამ მუშაობა დაიწყო აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობით, რომლის მთავარი მიზანი იყო საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების საქართველოსკენ შემობრუნება.

საფრანგეთში საქართველოს წარგზავნილთა საკმაოდ აქტიური მოღვაწეობის ფონზე ავისმომასწავებელი იყო საქართველოს ხელისუფლების ინფორმაცია აზერბაიჯანის გასაბჭოების შესახებ. ამ ფაქტმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოსადმი ევროპის ქვეყნების საქმიან დამოკიდებულებაზე. მიუხედავად ამისა, კანდელაკის მისია კვლავინდებურად აქტიურობდა, რათა მაქსიმალურად გამოეყენებინა საფრანგეთში ყოფნა. 27-29 სექტემბერს კანდელაკს შეხვედრები ჰქონდა პარიზში მყოფი ლონდონის, ბერლინის, რომისა და ბერნის დელეგაციებთან. ამ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა.[2]

კანდელაკის მისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენს წარმომადგენლობასთან შექმნილ საინფორმაციო ბიუროს მუშაობის გაძლიერებას, ქართული ნედლეულის რეკლამირებას ევროპის ბაზარზე და ა.შ. მისიის აქტიური მუშაობის შედეგად მიიჩნევენ იმ ხელშეკრულებებს, რომელიც დაიდო 1920 წლის შემოდგომაზე. საქართველოს ეკონომიკური მისიის უმთავრესი მიზანი იყო ევროპის ქვეყნებიდან სესხის აღებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ამ მხრივ, მთავრობა იმედებს ამყარებდა საფრანგეთის მსხვილ მრეწველებზე, ბანკირებზე, კ. კანდელაკს დახმარებას ჰპირდებოდა ფირმა „მორიელ-ფერანი“, იმ

---

[1] **А. И. Чохели.** Политика Франции в отношении Грузии.., გვ. 66.

[2] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 2, საქ. 44, ფურც. 206.

შემთხვევაში თუ საქართველო ანტანტის ქვეყნების მიერ „დეიურე“ იქნებოდა აღიარებული.[1]

სამწუხაროდ, სესხის საკითხის მოგვარებას მთელი რიგი პრობლემები შეექმნა 1920 წლის გაზაფხულზე. რუსეთის მიერ აზერბაიჯანის დაპყრობამ დააფრთხო ევროპელები. სერიოზული სირთულე შეიქმნა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა, მათ შორის საფრანგეთიც. საფრანგეთს თვითონ გაუჩნდა პრობლემები ამერიკის სესხის დაფარვასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, წარუმატებლად დამთავრდა სესხთან დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკური მისიის საქმიანობა პარიზში და საქართველოს სესხის მიღების შანსი საგრძნობლად შემცირდა. ამ მხრივ არც კ. კანდელაკისა და არც მთავრობის სხვა წევრების შემდგომმა მცდელობებმა მიაღწიეს მიზანს.

ამრიგად, საქართველო-საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში არ იყო სტაბილური. შემდეგ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. იურიდიულად გაფორმდა ორივე მხარისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულებები.

§ 5. პირველი ნაბიჯები ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან საქმიანი კავშირების დასამყარებლად.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ საქართველოს მთავრობამ დროებით შეწყვიტა ამ ქვეყანასთან საქმიანი კონტაქტები და ყურადღება ნეიტრალურ ქვეყნებთან ურთიერთობებზე გადაიტანა. ამ მიზნით 1918 წლის დეკემბერში სკანდინავიის ქვეყნებში გაგზავნილ იქნენ ბერლინში მყოფი სავაჭრო-ეკონომიკური კომისიის წევრები. საქართველოს წარგზავნილები პირველად შვეციას ესტუმრნენ. სტოკჰოლმში მათ თბილი შეხვედრა მოუწყვეს. ქართული დელეგაციის მიზანი იყო

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 617, ფურც. 182.

შვეციის სახელმწიფოს მესვეურებისა და საქმიანი წრეებისთვის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა და ამ ქვეყნის ნედლეულის ბაზარი შეესწავლა.[1]

ქართულ მხარეს პირველ რიგში აინტერესებდა შვეციაში პირველად მოხმარების საქონლის შეძენის პირობები. ჩვენი ქვეყანა მწვავედ განიცდიდა ქაღალდის, ასანთის, შაბიამნის, გოგირდის ნაკლებობას, შვეციაში კი მათი ხელსაყრელ ფასებში შესყიდვის შესაძლებლობა არსებობდა. ეკონომიკური კომისიის სამუშაო გეგმაში ასევე შედიოდა შვეციის ჰიდროტექნიკური ინდუსტრიის გაცნობა, რომლითაც ეს ქვეყანა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო სკანდინავიის ქვეყნებს შორის.

საქართველოს ეკონომიკურ კომისიას ფართოდ გამოეხმაურა ადგილობრივი პრესა. იბეჭდებოდა კომისიის წევრების ვრცელი ინტერვიუები ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ: განსაკუთრებით საგულისხმო იყო ეკონომიკური კომისიის წარმომადგენლის მ. ყაუხჩიშვილის შეხვედრა შვეციის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ თროლთან.

მხარეებმა განიხილეს საქართველო-შვეციის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკვანძო საკითხები. ყოფილმა მინისტრმა დიდი ყურადღებით მოისმინა ეკონომიკური კომისიის წინადადებები, რომ საქართველოს შეეძლო შვეციისათვის მიეწოდებინა მანგანუმი, მატყლი, ბამბა, თამბაქო, ღვინო, ხილი და სხვა. ამავე დროს შეეძინა ყველა სახის პირველმოხმარების ნაწარმი. მოლაპარაკებების მსვლელობისას მასპინძლებმა აღნიშნეს, რომ საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება შვეციას კავკასიის სხვა ქვეყნებთან დაახლოების უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემდა.[2] შვეციის მხარე თბილისს მთელი კავკასიის ეკონომიკურ ცენტრად მიიჩნევდა. მასპინძელმა სტუმრების პატივისცემად დარბაზობა გამართა, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.[3]

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 15.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 15.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 15.

ეკონომიკური კომისიის წევრებს ასევე შეხვედრა ჰქონდათ შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო განყოფილების ხალმძღვანელთან. მან სტუმრებს დახმარება აღუთქვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, კერძოდ ინგლისის მთავრობისაგან შავ ზღვაზე შვეციის გემების შესვლის ნებართვის მიღებაში, ვინაიდან შავი ზღვა, ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი ნეიტრალური სახელმწიფოების გემებისათვის.[1]

სტოკჰოლმის მრეწველთა კავშირის რეკომენდაციით საქართველოს დელეგაციამ მოლაპარაკება გამართა შვეციის რამდენიმე მსხვილ საექსპორტო ფირმებთან საქონელგაცვლის საკითხებზე, მაგრამ ქართულმა მხარემ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე თავი შეიკავა, შავ ზღვაზე ნეიტრალური გემების შესვლის ნებართვის მიღებამდე. ასეთი ნებართვა მხოლოდ 1919 წლის მარტში იქნა მიღებული.[2]

ამის შემდეგ ამ ფირმებთან შეთანხმებებს არავითარი დაბრკოლება არ ემუქრებოდა, თუ ჩვენი წარმომადგენლის მიერ შეკვეთილი შვედური საქონლის ღირებულების 30% ნაღდი ფულით დაიფარებოდა, დანარჩენი კი ნედლეულით იქნებოდა გარანტირებული.[3] სამწუხაროდ, ჩვენმა დელეგაციამ მთავრობისგან ვერ მიიღო პასუხი, თუ რამდენად შესაძლებელი იყო შვეციის მხარის მოთხოვნების დროულად შესრულება.

ქართული მანგანუმით დაინტერესდა შვეციის ერთ-ერთი მსხვილი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ფაქტობრივად უვარგის ნედლეულს ხმარობდა. ამიტომ ქარხნის ხელმძღვანელობამ მაღალი ხარისხის ქართული მანგანუმის შეძენის სურვილი გამოთქვა.[4] საქართველოს წარგზავნილების ყურადღება მიიპყრო მილსადენების წარმოების ტექნოლოგიამ,[5] რომელიც საქართველოსათვის უაღრესად საჭირო იყო.

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 15.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 15.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 16.
[4] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 16.
[5] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 16.

ეკონომიკურმა კომისიამ ასევე მოლაპარაკება გამართა ევროპაში ცნობილი შვეციის ელექტროტექნიკური მიმართულების სპეციალიზირებულ საწარმოო ფირმა "SE"-სთან ჭიათურის რკინიგზის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით. კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ფირმამ შეიმუშავა ჭიათურის რკინიგზის ელექტროფიკაციისა და მისი ხარჯთაღრიცხვის პროექტი.[1] ეს პროექტი საქართველოსათვის უაღრესად სასარგებლო იყო, ვინაიდან ჭიათურის მაღაროებიდან მანგანუმის გატანა ძირითადად ურმებით და ცხენებით ხდებოდა. ასეთ პირობებში კი შეუძლებელი იყო მისი დროულად ნავსადგურებამდე ტრანსპორტირება.

ეკონომიკურმა კომისიამ დაათვალიერა შვეციის მრავალი ფაბრიკა-ქარხანა და ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების შესახებ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სოლიდური მასალა გაუგზავნა.[2] ვფიქრობთ, რომ შვეციიდან მიღებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობას, მის სტრუქტურებს ამ ქვეყანასთან უფრო ეფექტური საქმიანი თანამშრომლობის საშუალებას მისცემდა.

საქართველოს ეკონომიკური მისიის წარმომადგენლები 1919 წლის იანვრის ბოლოს ნორვეგიასაც ესტუმრნენ.[3] ისინი პირველად ქ. ქრისტენიაში ჩავიდნენ. მათ შეხვედრა ჰქონდათ ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომელმაც ქმედითი დახმარება გაუწია მათ, რათა საფუძვლიანად გაცნობოდნენ ნორვეგიის ეკონომიკას. ქრისტენიაში კომისია გაეცნო ამ ქვეყნის ერთერთი უმსხვილესი საბანკო დაწესებულების საქმიანობას, რომელსაც დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი ნორვეგიის ინდუსტრიულ განვითარებაში. ამ ბანკის ძალისხმევით ომის დროს დაარსებულა სააქციონერო საზოგადოება „სამეგრელოს საზოგადოება" 10 მლნ. საწესდებო კაპიტალით. საზოგადოებას სამეგრელოში 35 წლით იჯარით აუღია თავად მინგრელსკის მამულე-

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 16.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 16.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 17.

ბი.[1] საზოგადოების ერთ-ერთი დირექტორთაგანი იყო ნორვეგიაში ცნობილი ინჟინერი ქრისტიანსენი, რომელსაც საქართველოში შეუქმნია სამი ექსპედიცია: ტყის რესურსების გამოყენების, მდ. ცხენისწყლის სიმძლავრის ამოშავებისა და მადნეულის ათვისების მიმართულებით. მ. ყაუხჩიშვილი ამის შესახებ აღნიშნავდა: „ამ პროექტების გაცნობის შემდეგ მე დავრწმუნდი იმაში, რომ საზოგადოების მესვეურები საქართველოში სერიოზულ ღონისძიებებს გეგმავდნენ“.[2]

საზოგადოების მესვეურებს გამოუხატავთ მზადყოფნა შეესრულებინათ სერიოზული სამუშაოები ფოთსა და მის შემოგარენში ჭაობის ამოშრობისა და ქალაქის მუნიციპალური დაწესებულებების ტექნიკური სრულყოფისათვის. თავად ქრისტიანსენს ნორვეგიულ-ქართული ბანკის შექმნის სურვილი გასჩენია.[3] აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები სესხის თაობაზე. საზოგადოების წარმომადგენლებმა შესაძლებლად მიიჩნიეს სესხის განაღდებაში ნორვეგიული ბანკების მონაწილეობა, თუ ეს მოხერხდებოდა ინგლისთან ერთად (პოლიტიკური მოსაზრებით).[4] რაც მთავარია, ნორვეგიელებმა თანხმობა განაცხადეს სესხის განაღდებაზე ჩვენი მხრიდან მანგანუმის მიწოდების გარანტიით.

ქრისტიანსენი 1919 წლის აპრილში აპირებდა საქართველოში ჩასვლას, რათა მთავრობასთან გაემართა მოლაპარაკება ზემოხსენებულ საკითხებზე. მაგრამ მისი წარმომადგენელი კაპიტანი რუსტედი, რომელსაც შეხვედრები ჰქონდა პარიზში ჩვენს დელეგაციასთან, ნაადრევად მიიჩნევდა საქართველოში ჩასვლას, რის შემდეგაც ქრისტიანსენმა გადაიფიქრა საქართველოში მგზავრობა.[5]

მ. ყაუხჩიშვილს ბერლინში დაბრუნების შემდეგაც არ შეუწყვეტია ქრისტიანსენთან ურთიერთობა. ის იმდენად იყო ჩვენი ქვეყნით დაინტერესებული, რომ პირადად საფრანგეთში ჩაიდა,

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 17.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 17.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 17.
[4] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 17.
[5] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 17.

რათა გაცნობოდა ვერსალის კონფერენციაზე საქართველოს გარშემო შექმნილ სიტუაციას.[1] ქრისტიანსენს უპირველეს მიზნად კლავაც თავად მინგრელსკის მამულებთან დაკავშირებული საკითხების პირველ პირებთან აპირებდა შეხვედრებს.

საქართველოს წარმომადგენლები გაეცვნენ ნორვეგიაში ცნობილი ერთ-ერთი მსხვილი ელექტრო-ქიმიური გაერთიანების მუშაობას.[2] ამ საწარმოს მიერ უმაღლესი ხარისხის ფეროშენადნობის მიღების მეთოდი მთელ ქვეყანაში საუკეთესოდ ითვლებოდა. საწარმოს მესვეურები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ მათ შეეძლოთ კონკურენცია გაეწიათ მსოფლიოს ნებისმიერი ფერომანგანუმის დამმუშავებელი საწარმოებისათვის. საწარმოს ხელმძღვანელობას მანგანუმი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა, ამიტომ ქართულ მხარეს გაუჩნდა პერსპექტივა, მათთვის მაღალი ხარისხის ქართული მანგანუმი შეეთავაზებინა. ამ უმსხვილეს საწარმოსთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებით, ქვეყანაში არსებული ჰიდრორესურსების გამოყენებით, საქართველოს ჰქონდა შესაძლებლობა მანგანუმის წარმოებაში გარკვეული წარმატებისთვის მიეღწია.

მ. ყაუხჩიშვილმა ამ გაერთიანების ხელმძღვანელს სტინგს სთხოვა დახმარება გაეწია საქართველოსათვის ფერომანგანუმის გადამმუშავებელი საწარმოს შექმნის საქმეში. მან დიდი სიამოვნებით მიიღო ქართული დელეგაციის წინადადება და ამ საკითხზე თანხმობა წერილობით დაადასტურა. უფრო მეტიც მან საქართველოს მთავრობასთან საქმიანი ურთიერთობის სურვილი გამოთქვა.[3]

საინტერესოდ წარიმართა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის წარმომადგენლის ალ. ჯაბადარის მოღვაწეობა ბელგიაში. 1919 წლის 10 ივნისს მან დაიწყო ამ ქვეყნის ეკონომიკის შესახებ ცნობების შეგროვება.[4] პირველი მსოფლიო ომის დროს ბელგიის ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესო-

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 18.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 18.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 301, ფურც. 18.
[4] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 27.

ბა განადგურდა. ხოლო ბრიუსელში, ლიეჟში, ანტვერპენში გადარჩენილი საწარმოები გერმანელებმა გამოუსადეგარ მდგომარეობაში დატოვეს. თითქმის ყველა მანქანა-დანადგარი გაზიდულ იქნა. ქვანახშირის საბადოებში მუშაობა შეწყდა. მხოლოდ შაქრის ქარხნები და წვრილ-წვრილი სახელოსნოები მუშაობდნენ. ანალოგიურად მოქმედებდნენ გერმანელები მათ მიერ დაკავებულ საფრანგეთშიც. მშვიდობის დამყარების შემდეგ ბელგიელები შეუდგნენ გერმანიაში გატანილი მანქანა-დანადგარების მოძიებას. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომელთაც უნდა დაედგინათ გატანილი მანქანა-დანადგარების ადგილსამყოფელი.

გმირული შრომის შედეგად 1919 წლის ივნისის ბოლოსათვის ბელგიელებმა ფაბრიკა-ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილი აამუშავეს და ქვანახშირის მაღაროების ექსპლუატაცია აღადგინეს. ამუშავდა პირველი მოხმარების საგნების მწარმოებელი საწარმოები, შაქრის, ტყავეულის ქარხნები. პირველ ხანებში სამრეწველო საქონლის დეფიციტის გამო მთავრობამ ექსპორტი აკრძალა, მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა უკეთესობისკენ. ადგილობრივი საქონლის ექსპორტი ჯერ საფრანგეთში განხორციელდა, შემდეგ სხვა ქვეყნებშიც. მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ვალუტის კურსის გასამყარებლად.[1]

ალ. ჯაბადარი ცდილობდა ბელგიის ხელისუფლებისთვის, ასევე მსხვილი ფირმებისათვის შეეთავაზებინა ქართული მარგანეცი, თამბაქო, მატყლი, ხე-ტყე და სხვა, რომელთა შეძენა ამ ქვეყნის მზარდი მრეწველობისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა.[2] ბელგიელები საქართველოს და მის ბუნებრივ პირობებს არ იცნობდნენ. ამიტომ აქ ოფიციალური საინფორმაციო ბიუროს შექმნის საჭიროება შეიქმნა, რათა დაინტერესებულ პირთათვის საჭირო ცნობები მიეწოდებინათ.

ძირითადად საქართველოს წარმომადგენელმა შეძლო ამ მიმართულებით მთელი რიგი საკითხების მოგვარება. ქ. ბრიუსელში ოფიციალური გაზეთ *„ეტუაც ბელჟის“* მიერ გამოქვეყნდა სა-

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 27.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 27.

ინტერესო ცნობები საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ალ. ჯაბადარი აღნიშნავდა ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის გულისხმიერებას და პატივისცემას საქართველოსადმი, რომელიც უპრობლემოდ ბეჭდავდა საქართველოს შესახებ ნებისმიერ სტატიას.[1] საერთოდ ბელგიურმა პრესამ აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველო-ბელგიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას.

პრესის საშუალებით მიღებული ცნობების საფუძველზე ბელგიელ ვაჭართა, მრეწველთა მთელი რიგი ჯგუფები ჩვენი ქვეყნით დაინტერესდნენ და საქართველოს წარმომადგენელს სთხოვდნენ ქვეყნის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობების მიწოდებას.[2] თავისთავად ცხადია, რომ ნაჩქარევად მიცემული ცნობები მთელ რიგ ხარვეზებს შეიცავდა, მიუხედავად ამისა, არაერთმა მსხვილმა მადნეულის კომპანიამ საქართველოსთან საქმიანი კონტაქტების დამყარების სურვილი გამოთქვა, ბელგიური ბანკების მესვეურებმა კი, საქართველოს წარმომადგენელს ბელგიურ-ქართული ბანკის დაარსების იდეა შესთავაზეს.[3] საქართველოს სოლიდური ბუნებრივი რესურსები გააჩნდა, მაგრამ საკუთარი ძალებით მსხვილი გადამამუშავებელი მრეწველობის საფუძვლის ჩაყრა მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ამიტომ ისეთ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანასთან საქმიანი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, როგორიც იყო ბელგია, საქართველოს მრეწველობას სასიკეთოდ წაადგებოდა.

საქართველოს მთავრობას ფინეთთანაც ჰქონდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მოგვარების მცდელობა. ამ მიზნით საქართველოს ეკონომიკური მისია საჭირო ინფორმაციას აგროვებდა. მისიის წევრები საქმიან ურთიერთობებს ამყარებდნენ, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებთან.[4] ფინეთის ხელისუფლებაც დაინტერესებული იყო საქართველოსთან საქმია-

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 27.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 27.
[3] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 27.
[4] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 27.

ნი კონტაქტების დამყარებით. ნედლეულის ბაზრის შესწავლის მიზნით აქ მივლინებულ იქნა ფინეთის სენატის სასურსათო ექსპედიციის რწმუნებული, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა მთავრობის წარმომადგენლებთან ფინეთისათვის საჭირო საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით. ფინეთის წარმომადგენელი განსაკუთრებით დაინტერესდა ქართული მანგანუმით, მატყლით, აბრეშუმის პარკით და ა.შ.[1]

ფინეთის სენატის სასურსათო ექსპედიციის რწმუნებულის მიერ საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის სახელზე 1919 წლის 19 აპრილს გაგზავნილ წერილში ჩამოთვლილი იყო ის საქონელი, რომელიც ფინეთს სჭირდებოდა. კერძოდ: მატყლი, თამბაქოს ფოთოლი, კონიაკი, ღვინო, გამხმარი ხილი, ხილის კონსერვები და სხვა სულ 18 მლნ. მანეთის საქონელი.

1919 წლის 19 მაისს საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ფინეთიდან წერილი მიიღო. წერილის ავტორი ითხოვდა გარანტიას, რომ ფინეთიდან ჩამოტანილ საქონელს რეკვიზიცია არ დაემუქრებოდა და არ შექმნოდა დაბრკოლება საქართველოში მის თავისუფალ გაყიდვას, ასევე დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე ფინეთის გემების თავისუფალ მოძრაობას.[2]

1919 წლის აგვისტოს დასაწყისში დათარიღებული წერილით ფინეთის წარმომადგენელი აცნობებდა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელს ე. გეგეჭკორს, რომ ფინეთის მთავრობის ნებართვით ამავე წლის 1 აგვისტოს გაიგზავნა პირველი მოხმარების საქონლით დატვირთული გემი, რომლის საქართველოში ჩასვლა ნავარაუდევი იყო 10 აგვისტოსათვის.

ფინეთის წარმომადგენელი სთხოვდა მინისტრს გაგზავნილი საქონლის სანაცვლოდ ექვივალენტური ღირებულების ნედლეულის (მატყლი, თამბაქო და სხვ.) მიწოდებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას, რათა ფინური გე-

---

[1] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 27.
[2] *სცსსა*. ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 28.

მები საქართველოს ნავსადგურებში არ დაეყოვნებინათ.[1] ფინეთის მხარეს აინტერესებდა საქონელგაცვლასთან დაკავშირებული მთელი რიგი სხვა საკითხების გარკვევა. კერძოდ, უზრუნველყოფდა თუ არა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ფოთის ან ბათუმის ნავსადგურებში ფინეთიდან ჩამოტანილი საქონლის ადგილებზე ტრანსპორტირებას, ასევე ფოთიდან სომხეთსა და აზერბაიჯანში ტვირთის გაგზავნის ორგანიზაციას, მოიხსნებოდა თუ არა შეზღუდვები თბილისში ქაღალდით თავისუფალ ვაჭრობაზე, დაემუქრებოდა თუ არა შემოტანილ საქონელს რეკვიზიცია.[2]

ფინეთის მხარე ითხოვდა გარანტიას მთავრობის მხრიდან ჩამოტანილი საქონლის ექვივალენტური ღირებულების ნედლეულის დაუყოვნებლივ მიწოდებისა და საქართველოდან მის შეუფერხებელ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. ზემოხსენებული წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ფინეთის სამთავრობო სტრუქტურები სერიოზულად იყვნენ დაინტერესებული საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობებით.

დასასრულს თვალი გადავავლოთ დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკას. ამ მხრივ უღრესად საინტერესო მასალას გვაწვდის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის ყოფილი მინისტრი კ. კანდელაკი.

1918 წელს (7 თვეში) საქართველოში შემოტანილ იქნა 140.9 მლნ. მანეთის საქონელი. გატანილ იქნა 153.0 მლნ. მანეთის. 1919 წელს შემოტანილ იქნა 9.62,8 მლნ. მანეთის, გატანილ იქნა 388 მლნ. მანეთის საქონელი. 1920 წელს (11 თვე) შემოტანილ იქნა 2.592.2 მლნ. მანეთის, გატანილ იქნა 178.7 მლნ. მანეთის საქონელი.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ დამოუკიდებლობის პირველ წელს ქვეყანას საგარეო ვაჭრობაში აქტიური ბალანსი ჰქონია. 1919 წ. მდგომარეობა უარესდება, ხოლო 1920 წელს გაუმჯობესებისაკენ მიდის. საერთო ჯამში საქართველოს სომხეთის

---

[1] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 28.
[2] *სცსსა.* ფ. 1891, აღწ. 1. საქ. 302, ფურც. 28.

გარდა ყველა ქვეყანასთან პასიური ბალანსი ჰქონდა. საქართველოს ყველაზე აქტიური ურთიერთობა ჰქონდა აზერბაიჯანთან. მთელი საგარეო ვაჭრობის 45.9% ამ სახელმწიფოზე მოდიოდა. ევროპის ქვეყნებზე 40%, დანარჩენ ქვეყნებზე 14.1 %.[1] ქვეყანას, რომელსაც ყველაფერი შემოაქვს საკვები პროდუქტის ჩათვლით ეს შედეგი გასაკვირი არ უნდა იყოს.

მოყვანილი ცნობები არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს შესაძლებლობების მაქსიმუმად, რომ ქვეყანას მეტი შესაძლებლობა ჰქონდა.

[1] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული.., გვ. 116.

დასკვნა

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი უაღრესად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქვეყანამ რუსეთისაგან უმძიმესი ფინანსურ-ეკონომიკური მემკვიდრეობა მიიღო. სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი მოშლილი იყო. ქვეყანა მოიცვა უმუშევრობამ, შიმშილმა, ინფლაციამ, სხვადასხვა ავადმყოფობების ეპიდემიამ და ა.შ.

ახალშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ებრძოდა უზარმაზარი გარეშე ძალა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ბოლშევიკური, ისე დენიკინის რუსეთი, რომლების უკიდურესად ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენით ორივე მათგანი სხვადასხვა ბანაკიდან, იმპერიული ამბიციებით, მიუღებელი მეთოდით ცდილობდა სისხლშივე ჩაეხშო ახალგაზრდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობა მოსვენებას არ აძლევდა ოსმალეთსაც. მის წინაშე წარმოჩინდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აჩრდილი. საქართველოს დაკნინება, მისი ტერიტორიის დაქსაქსვა თურქეთის ხელისუფლების უპირველეს ამოცანად იქცა.

ერთი სიტყვით, ქვეყნის დამოუკიდებლობას დაუპირისპირდა ორი დიდი სახელმწიფო, რომელთა გამკლავება საქართველოზე ბევრად უფრო ჩამოუყალიბებელ და ძლიერ ქვეყნებს გაუჭირდებოდა. ყველა არეულობები, შიდა დაპირისპირებები, საომარი მოქმედებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, ძირითადად ამ ორი სახელმწიფოს მიერ იყო ინსპირირებული. რუსეთი სწევდა სოლიდურ ხარჯებს, რათა საქართვლოს მოსახლეობის მთლიანობა შიგნიდან მოეშალა.

ამ მიზნით სოციალურ სამოსელში გახვეული შეიჭრებოდა თავის მოსაზღვრე რაიონებში და უაღრესად ბინძური მეთოდებით საფუძველს უთხრიდა ქვეყნისა და ხალხის ერთიანობას. 1918წ. დასასრულს საქართველოს მოუხდა სომხეთის თავდასხმის მოგერიება, რომელიც იყო რუსეთის მიერ ინსპირირებული. ეს ომი საქართველოს გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ დიდი ადამიანუ-

რი და მატერიალური მსხვერპლის ფასად. ომის მიზანი იყო რუსეთისათვის ამიერკავკასიის დაბრუნება. ამისთვის უპირველესად საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობა იყო დაგეგმილი.

ამ გეგმას მხურვალედ უჭერდა მხარს ინგლისის მთავრობა. „სამწუხაროდ ამ რუსულ-ინგლისური გეგმის ბადეში სომხეთი მოჰყვა“.

1918 წლის ზაფხულში (17-22 ივლისი) საქართველოს მთავრობას დასჭირდა ჯარის ნაწილების შეყვანა აფხაზეთში და ჩრდილოეთის მიმართულებით მთელი სანაპირო ზოლის ტუაფსემდე გაწმენდა რუსეთის ჯარისაგან. ქართულ ჯარს ასევე მოუხდა რუსეთის მიერ წაქეზებული აზერბაიჯანელთა სამხედრო ავანტიურის აღკვეთა. სინამდვილეში საქართველოს თავს დაესხა აზერბაიჯანული პასპორტებით უზრუნველყოფილი რუსეთის ჯარი, რომელიც ჩვენმა მხედრობამ უკუაქცია.

ახლადშექმნილ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დამოცხადების დღიდან მოუხდა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი გაბოლშევიკებული რუსეთის ჯარის და მასთან დაკავშირებული სამხედრო სტრუქტურების, კერძოდ კავკასიის „სანამესტნიკო“ ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებების ლიკვიდაცია და უმუშევრად დარჩენილ უკმაყოფილო ჩინოვნიკების რუსეთში გასტუმრება. ამ ღონისძიების გატარებას რამდენიმე მილიონი მანეთის თანხა დასჭირდა.

რა თქმა უნდა, ომმა უაღრესად უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენს სახალხო მეურნეობაზე, მაგრამ არც ომამდე იყო ქართული ეკონომიკა დალხინებული. საქართველო თითქმის 120 წლის განმავლობაში იყო რუსეთის კოლონია, რომელიც თვითონ ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი მძიმე მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოური კაპიტალის ხელში იყო მოქცეული. რუსეთი შეგნებულად აფერხებდა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებას. ამიერკავკასია, საქართველო მას სჭირდებოდა საკუთარი მრეწველობის ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად. გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას კი დაუფარავად ებრძოდა. ჭიათურისა და ბაქოს წიაღისეულების გადამუშავებას ის გვერდს ვერ აუვლიდა,

ვინაიდან ორივე ძალიან ესაჭიროებოდა. ამიერკავკასიის რკინიგზაც მის ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობაშიც. ომის წლებში ამ დარგმაც დიდი ზარალი განიცადა. საქართველოს, ამიერკავკასიის ბაზრით დაინტერესებული იყვნენ არა მარტო რუსეთის საფეიქრო და ლითონდამმუშავებელი საწარმოების მესვეურები, არამედ მსხვილი მემამულეებიც. მათთვის ხელსაყრელი იყო ტერიტორიულად ახლოს მდებარე ბაზარი. ამიტომ ხორბლეულის წარმოებას მოხერხებულად უშლიდა ხელს „დიდი ბატონი“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უაღრესად რთულ სიტუაციაში, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება უხდებოდა სახელმწიფოს მშენებლობა. სულ რაღაც ორ წელიწადსა და ათ თვეში ვერ დაძლევდა იმ უამრავ პრობლემას, რომელიც ქვეყანაში დაგროვდა მრავალი წლის განმავლობაში.

ნ. ჟორდანიას მთავრობას ხელისუფლების ყოფნის პერიოდში ცდა არ დაუკლია ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს ფეხზე დასაყენებლად. თუ რა შედეგი მიიღო ეს სხვა საკითხია.

მრეწველობაში წარმატებაზე საუბარი უხერხულად მიგვაჩნია. თუმცა მომპოვებელ სფეროში იყო გარკვეული წარმატებები, მხედველობაში გვაქვს მანგანუმისა და ქვანახშირის წარმოებები.

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებებისა აგრარული რეფორმა დადებით შეფასებას იმსახურებს.

მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის სახელმწიფო ბანკის დაარსება. კერძო და სოზაგოდებრივი ხასიათის საკრედიტო ორგანიზაციების შექმნა სახელმწიფო ბანკის მეთვალყურეობის ქვეშ. გაუსაძლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, საზღვარგარეთის ქვეყნების ფინანსური პრობლემების ფონზე, საქართველომ შექმნა ქართული ფული (ბონი). მიუხედავად იმისა, რომ იგი რესპუბლიკის ბუჯეტის შევსების უმთავრესი წყარო იყო და ბლომად იბეჭდებოდა, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც გაძლიერებული ტემპით ბეჭდავდნენ ქაღალდის ფულს და რომელთა ღირებულება უმნიშვნელო იყო, სახელდახელოდ გამოცემული, ეკონომიკურ საფუძველს მოკლებული ქართული ბონი უფრო ჯანსაღი აღმოჩნდა. დოლარის ფასი 5.500

ლარს არ აღემატებოდა, მაშინ როდესაც ბევრ სხვა ქვეყანაში მისი ღირებულება გაცილებით მაღალი იყო. საქართველოში გაცილებით ნაკლები ფული იბეჭდებოდა, ვიდრე რუსეთში და სხვა პოსტიმპერიულ ქვეყნებში.

დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საქართველოსათვის არც საერთაშორისო მდგომარეობა იყო ხელსაყრელი. საგარეო იზოლაციის გარღვევას ახლადშექმნილი სახელმწიფო ვერ ახერხებდა. რუსეთი სამოქალაქო ომში იყო გახვეული. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მისი ეკონომიკური ურთიერთობების პრინციპი იყო – ვისაც მოერეოდა, უკანასკნელ ლუკმას ამოაცლიდა პირიდან. მასთან ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება ამ ეტაპზე თითქმის შეუძლებელი იყო. დიდი ძალისხმევა დასჭირდა მთავრობას, რათა ამ სრულიად დამშეულ და გაშიშვლებულ „ბუმბერაზს“ არ ჩაეყლაპა ქვეყანა. როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყანას ომის დროს საქართველოს ჩაეკეტა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები მან დაკარგა სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია. მარგანეცის წარმოება შეწყდა, დაიკარგა მისი საერთაშორისო ბაზარი.

საქართველოს საშიშროება აღმოსავლეთითაც ემუქრებოდა. თურქეთს მუდროსის ზავის შემდეგაც კი არ აუღია ხელი საქართველოზე. ირანსაც კი ამიერკავკასიის დაპყრობისაკენ ეჭირა თვალი.

რაც შეეხება სხვა მეზობლებს: სომხეთს საქართველოსთან ომში დამარცხების შემდეგ სასურსათო ეკონომიკური პრობლემები შეექმნა და უკვე პოლიტიკური თამაშების თავი არ ჰქონდა. აზერბაიჯანთან კი, უფრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს. მოგვიანებით, ამ ორ რესპუბლიკას რუსეთი დაეპატრონა.

საქართველოს ხელისუფლებამ დროთა განმავლობაში მოახერხა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეტნაკლებად საგარეო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგება. გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და მასთან მრავალმხრივი ურთიერთობის სურვილი გამოთქვა. ამ ეტაპზე საქართველო გერმანიის სახელშეკრულებო ბაზას ქმნიდა 1918 წლის ფოთის შეთანხმება

და 12 ივლისის ბერლინის კონვენციები. ამ ხელშეკრულებების რეალიზება განაპირობებდა საქართველოსთვის პრიორიტეტული სფეროების – სამთამადნო მრეწველობის, სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარებას. საკრედიტო-ფულადი სისტემის მოგვარებას, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობების დარეგულირებას, უსაფრთხოების განმტკიცებას და ა.შ.

სამწუხაროდ გერმანია I მსოფლიო ომში დამარცხდა, მას შიდაარეულობა მოჰყვა ამიტომ მან საქართველო დატოვა და თან გაიყოლა მისი აღმშენებლობის დიდი პერსპექტივა.

ინგლის-საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები არასოდეს ყოფილა აქტიური, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის ინგლისის საგარეო ვაჭრობის უმსხვილეს ბანკთან 1920 წლის ნოემბერში დადებული ხელშეკრულება სესხის გამოყოფის თაობაზე.

მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები შეინიშნებოდა საქართველო-იტალიის სავაჭრო-ეკონომიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებში, რომელიც საქონლის ბრუნვასა და სავაჭრო ოპერაციებში იტალიური ფირმებისა და კომპანიების, საბანკო დაწესებულებების გააქტიურებაში გამოიხატა. ამ მხრივ აღსანიშნავია ხელშეკრულება ტყვარჩელის ქცანახშირის აუზის კონცესიის შესახებ. 1919 წლიდან ფუნქციონირებდა იტალია-კავკასიის ბანკი, რომელიც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

1920 წელს საქართველო-საფრანგეთს შორის მთელი რიგი ხელშეკრულებები დაიდო. განსაკუთრებით აღსანიშნავია 17 ნოემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულება მეაბრეშუმეობის ერთერთ უმსხვილეს ფირმა ფერან-გინტრანთან, რომელიც საქართველოს აბრეშუმის მრეწველობაში ფრანგული კაპიტალის ინვესტირების სოლიდური პროექტი იყო.

საინტერესო იყო საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან (ბელგია, ნორვეგია, ფინეთი, შვეცია) ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად. საქართველოს ეკონომიკური მისიის წარმოამდგენლების მიერ ამ ქვეყნების ოფიციალურ პირებთან და

საქმიან წრეებთან გამართული შეხვედრები და კონსულტაციები სამომავლოდ სერიოზული საქმიანო კონტაქტების დამყარების საფუძველს ქმნიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა უცხოეთის ქვეყნებთან საქმიან ურთიერთობებს. ამ პრობლემისადმი საქართველოს ხელისუფლების სერიოზული დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ შემდგომი მისი საქმიანობა უფრო ეფექტური და ნაყოფიერი იქნებოდა.

ამგვარად სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მენშევიკური ხელისუფლების მიერ გადადგმული მთელი რიგი ნაბიჯები ჩვენ დადებითად შევაფასეთ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ მხრივ ჟორდანის მთავრობას შეცდომა არ დაუშვია. პირიქით მის მიერ დაშვებულ იქნა არა ერთი უაღრესად სერიოზული შეცდომა, რომელმაც უმეტესწილად განაპირობა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა. ცნობილია, რომ მენშევიკურ მთავრობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირველ ეტაპზე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნებისაკენ იყო ორიენტირებული (პროგრამა მინიმუმი), მაგრამ მას არ აღმოაჩნდა ეკონომიკის მართვის საკმარისი უნარი. მისი მოქმედება არ იყო თანმიმდევრული, ხშირ შემთხვევაში მის საქმიანობაში შეინიშნებოდა სტიქიურობა და არაორგანიზებულობა.

ამის შესახებ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი და მთავრობის ყოფილი მაღალი რანგის მოხელე გრიგოლ ლორთქიფანიძე აღნიშნავდა: მთავრობის ფინანსურ-ეკონომიკური ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი მტკიცე და გარკვეული გეზი. არ ჰქონდა ერთი გამოკვეთილი ხერხემალი... ის ქანაობდა კაპიტალისტურსა და სოციალისტურ ეკონომიკას შორის, უფრო კი მეორისაკენ იხრებოდა. იმჟამინდელი მთავრობის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის ეს გამონათქვამი ჭეშმარიტად ასახავს იმ რეალობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ ხელისუფლების საქმიანობაში. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს: ლოიდ ჯორჯის მთავრობა უსაყვედურებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მან მთლად ბოლშევიკურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში შეტოპა

ლენინი კი უყიჟინებდა ნ. ჟორდანიას, რომ ის ლოიდ ჯორჯის ბურჟუაზიულ გზას გაჰყვა და პოლიტიკურადაც მის კუდს წარმოადგენდა.

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას და დიდი ბრიტანეთის ჯარების სარდლის გენერალ უოკერს შორის გამართული საუბარი. ნოე ჟორდანიას ერთ-ერთ შეკითხვაზე, თუ რა დახმარებას მიიღებდა მენშევიკური საქართველო ინგლისისაგან, გენერალმა უპასუხა: „... რაც შეეხება კაპიტალის მოდენას, თქვენში არსებული სოციალიზმის პირობებში მოკავშირეთა კაპიტალები აქ ვერ მოვლენ“.

II ინტერნაციონალის ლიდერები მენშევიკურ მთავრობას ეროვნული ბურჟუაზიული ინტერესების დაცვის პოლიტიკას უწუნებდნენ. კ. კაუცკი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აქ (იგულისხმება საქართველო – ჯ.ა.) კაპიტალიზმი სათანადოდ არ არის განვითარებული და თქვენი მისია იმაშია, რომ ხელი შეუწყოთ მის განვითარებასო. კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ქართველი მენშევიკების სოციალისტურ ბუნებას.

ავიღოთ აგრარული რეფორმა, რომელიც ჩვენ პრინციპში დადებითად შევაფასეთ, მაგრამ მას სერიოზული ხარვეზები გააჩნდა. უდიდეს შეცდომად მიგვაჩნია სამეურნეო ტრადიციის მქონე მემამულეებისათვის შვიდ დესეტინამდე მიწის ჩამოჭრა. მიწის საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ ძირი გამოუთხარა ქვეყანაში ინტენსიური მეურნეობის დამკვიდრების პერსპექტივას. ხელისუფლებამ მიწის კერძო საკუთრება დააკანონა, მაგრამ არც მუნიციპალიზაციის პროგრამაზე აუღია ხელი. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დაისაკუთრეს საერობო და საქალაქო თვითმმართველობებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, არაფერს ვამბობთ სახელმწიფო საკუთრებაზე. აქ საქმე გვაქვს შერეულ ეკონომიკაზე და ამ ეტაპზე მთავრობას სერიოზულად ვერ გავაკრიტიკებთ. მით უმეტეს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს გეგმიურობასა და ფართონაციონალიზაციაზე უარის თქმის შემდეგაც, შერეულ ეკონომიკაზე, „რომელიც საზოგადოებრივი და კერძო მესაკუთრეობის ნაზავია სრულად ხელი არ აუღიათ.

1945-1951 წლებში ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ მოახდინა უმთავრესი დარგების — ელექტროენერგიის, გაზის, ქვანახშირის, ფოლადისმომპოვებელი საწარმოების, რკინიგზის და სხვა დიდი საწარმოების ნაციონალიზაცია. მაგრამ ბრიტანულ საწარმოთა უმრავლესობა კერძო საკუთრებაში დატოვა. ამასთან მისი სერიოზული მსჯელობის საგანი იყო თუ როგორი უნდა ყოფილიყო შერეულ ეკონომიკაში ბალანსი.

შერეული ეკონომიკის პოლიტიკა საქართველოს მთავრობისთვის ნამდვილად არ იყო უცხო ხილი. ის თითქოს მხარს უჭერდა მეურნეობის განზოგადოების საქმეში ზომიერების დაცვის საჭიროებას, სწორედ აქ გვეპარება ეჭვი მის გულწრფელობაში, ამიტომ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ საკითხთან დაკავშირებით მოგვეწოდებინა კ. კანდელაკის რამდენიმე მოსაზრება, ვინაიდან მისი პოზიცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას.

„სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა ცოტა, თუ ბევრი, თავისი საკუთარი მეურნეობა, ადგილობრივი თვითმმართველობებიც. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ მეურნეობის განზოგადოება „ნაციონალიზაციის“ ან „მუნიციპალიზაციის“ სახით, ნიშანდობლივი თვისება იყოს მხოლოდ სოციალისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ეკონომიკური პოლიტიკის. ძველად თვით თვითმპყრობლური მონარქიებიც აწყობდნენ სახელმწიფო წარმოებას, ბურჟუაზიული რესპუბლიკებიც; ხოლო ჩვენს დროში დიქტატორული ტოტალიტარული სახელმწიფოებიც ატარებენ ამ ზომებს ცხოვრებაში ხალხის დასამორჩილებლად და დიქტატურის გასაძლიერებლად.

ზოგჯერ კ. კანდელაკი სახალხო მეურნეობის განზოგადოებას სოციალისტურ ფერებში ხატავს. „თავი და თავი ამ საქმეში ის არის, რომ მართლაც საზოგადოებას ეკუთვნოდეს ასეთი მეურნეობა, რომ მართლაც მომხმარებელი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების უმრავლესობას, იყოს წარმოების ბედის ნამდვილი გადამწყვეტი, როგორც მისი დამზადების ისე განაწილების პროცესში“.

ის იშველიებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას, სადაც დაფიქსირებულია, რომ რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებმიცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია. რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოებას და გაძლიერებას. ეს იმას ნიშნავს რომ, ჩვენმა კონსტიტუციამ სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა და განვითარება ერთ-ერთ მთავრ მიზნად გამოაცხადა.

ჟორდანიას და მის გუნდს კ. კანდელაკის ჩათვლით აუცილებლად მიაჩნდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების პროგრამის განხორციელებში ერის ყველა სასიცოცხლო ძალას უნდა მიეღო მონაწილეობა, რომ ამ საქმეში გამოყენებული ყოფილიყო ეკონომიკური საქმიანობის ყველა ფორმა. ეს გუნდი თითქოს საკუთრების ერთ რომელიმე მიმართულების ჩარჩოებში არ იკეტებოდა.

სამწუხაროდ, ნ. ჟორდანიას, კ. კანდელაკის და მთავრობის სხვა წევრების მიერ უდავოდ ყურადსაღები მოსაზრებები შერეული ეკონომიკის და ნაციონალიზაციის პოილიტიკის შესახებ, ხშირ შემთხვევებში არ ეხმიანებოდა საკუთარ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, სადაც დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდან არაორგანიზებულად, ქაოსირად, ხშირ შემთხვევაში რუსული ბოლშევიზმის მეთოდით ნაციონალიზირებულ იქნა მრავალრიცხოვანი საწარმოები და მეურნეობები.

კ. კანდელაკი, მთლიანად მთავრობა „გასაზოგადოებულ“ მეურნეობათა სიმრავლეს იმით ხსნიდნენ, რო მჩვენში კერძო მრეწველობა და კერძო ვაჭრობა უკიდურესად სუსტი იყო. ბევრი საქმე იყო გასაკეთებელი, ოღონდ საკმარისი კერძო ინიციატივა და კერძო საშუალებები უნდა გამოჩენილიყო.

ჩვენ ამ მოსაზრებას სრულად ვერ დავეთანხმებით. საქმე იმაშია, რომ სწორედ „ნაციონალიზაციის“ მთავრობისეულმა საქმიანობამ, რომელიც ბიუროკრატიზმის, სახელმწიფო მოხელეთა, თვითნებობის, ხშირ შემთხვევაში მათი ძალადობის ფონზე მიმდინარეობდა, განაპირობა წარმოებასა და ვაჭრობაში სახალხო

მეურნეობის სხვა სფეროში თავისუფალი კონკურენციისა და თვითშემოქმედების შეზღუდვა და აქედან გამომდინარე კერძო ინიციატივის დაკნინება.

იმჟამინდელი გადასახედიდან ჩვენი ქვეყანა მდიდარი იყო ბუნებრივი სიმდიდრით, განსაკუთრებით ჰიდროენერგორესურსებით. მისი ათვისება გატყავებულ ქვეყანას არ შეეძლო. მაგრამ თუ მთავრობას მრეწველობის აღმშენებლობაზე ჰქონდა გეზი აღებული, მაშინ ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე ჰესების მშენებლობაზე მაინც უნდა ეზრუნა. ამ მხრივ მას ხელი არ გაუნძრევია, ხოლო საუბარი იმაზე, რომ ჩვენ მდიდარი ვართ ბუნებრივი რესურსებით, საუბრად დარჩა დამოუკიდებლობის ბოლომდე.

რაც მთავარია, სახელმწიფოს გარედან შემოჰქონდა თითქმის ყველაფერი. პირველი მოთხოვნილების საქონლის ჩათვლით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და გაზეთი *„საქართველო“* ურჩევდნენ ხელისუფლებას ადგილობრივი ნედლეულის ბაზარზე აეწყო საწარმოები. „ჩვენ ზოგი საწარმოსთვის იმდენი მასალა გვაქვს, ერთი ორი ქარხანა ვერ აუვა“ – იუწყებოდა გაზეთი. ამაში იგულისხმებოდა საქსოვი ფაბრიკები, შუშეულობის, საყოფაცხოვრებო, საოჯახო ნივთების საწარმოები, ხისდამმუშავებელი, თამბაქოს, მატყლის, რძის გადამამუშავებელი ქარხნები.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, მანგანუმის ექსპორტში მან გაამართლა. ამას ვერ ვიტყვით თამბაქოზე. შეიძლება ითქვას, თამბაქოს ექსპორტის მონოპოლიამ, რომელიც ხშირ შემთხვევაში უხეში მეთოდებით ტარდებოდა, უმეტესწილად განაპირობა მეთამბაქობის დაცემა. ანალოგიური მდგომარეობა იყო აბრეშუმისა და მატყლის ექსპორტის მონოპოლიასთან დაკავშირებით. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ზღუდავდა კერძო ვაჭართა და მეწარმეთა ინიციატივას და აქტიურობას. მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ინდივიდუალურად გასულიყვნენ უცხოეთის ბაზარზე. „საქართველოში არ იყო გამოცხადებული საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მსგავსად რუსეთისა, მაგრამ ის ჭრელი და არეული ფორმა საგარეო ვაჭრობისა, თამბაქოს, აბრეშუმის, მატყლისა და სხვათა მონოპოლიებითა და ნახევარ მონოპოლიებით, არ შეიძლება ჩაითვალოს იმ დროისთვის უეჭველად აუცილებელ

ფორმად და მიზანშეწონილად“ – აცხადებდა სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გრ. ლორთქიფანიძე.

საქართველოს სახელმწიფოს არ ჰქონდა საბრუნავი ფული, რომელიც მონოპოლიას სჭირდებოდა რათა უმტკივნეულოდ დაეკავებინა კერძო კოლექტიური ვაჭრობის ადგილი. პოლიტიკური არასტაბილურობა, მთავრობის მიერ გატარებული რადიკალური ღონისძიებები აფრთხობდა კერძო კაპიტალს. ფული გადიოდა ბანკიდან ის არ იღებოდა სახალხო მეურნეობაში ე.ი. ხდებოდა კაპიტალის გაქცევა. ასეთ დროს ერთ-ერთი ძირითადი სფერო, სადაც მეწარმეთა და ვაჭართა კაპიტალი შემოდიოდა, საგარეო ვაჭრობის სფეროა. სახელმწიფო კი სდევნიდა მას, თვითონ გამოდიოდა ასპარეზზე, ხოლო კაპიტალის მაგიერ ამ საქმისთვის სპეციალურად მოჭრილი ბონის გროვა მოჰქონდა. ეს ეკონომიკური ცხოვრების სისხლანკლებობას ქმნიდა – აღნიშნავდა გრიგოლ ლორთქიფანიძე.

ქვეყნის ეკონომიკა მყარად მაშინ დგას ფეხზე, როცა აქვს უდეფიციტო ბიუჯეტი, მაშინ, როდესაც შემოსავალი გასავალზე ბევრად მეტია. ამ მხრივ ჩვენში სავალალო მდგომარეობა იყო. ორი წელი ქვეყანამ უზარმაზარი დეფიციტით დაასრულა. მან ვერ შეძლო ბიუჯეტის შევსების მექანიზმის შემუშავება. საბაჟოები ასე თუ ისე ფუნქციონირებდნენ, მაგრამ მათი წარმატებული მუშაობისთვის დიდი ძალისხმევა იყო საჭირო. მებაჟეებს მუშაობის ელემენტარული პირობები არ ჰქონდათ. ზოგ მათგანს ღია ცის ქვეშ უხდებოდა მუშაობა. ვერ მოხერხდა ამ უაღრესად საჭირო სამსახურის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

მთავრობამ ვერ შექმნა მობილური საგადასახადო სისტემა. აქაც გამოცდილი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა შეიმჩნეოდა. უაღრესად რთული იყო მოსახლეობიდან გადასახადების ამოღება. რაც მთავარია საგადასახადო სამსახურის მოქმედების არეალი იყო უაღრესად შეზღუდული. როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა სტაბილური კრიზისიდან ვერ გამოდიოდნენ. საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო. ასე გრძელდებოდა დამოუკიდებლობის მთელ პერიოდში. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო იძულებულია, რომ ქაღალდის ფული ბეჭდოს. სხვა გზა მას არ

აქვს. ასე მოიქცა საქართველოს მთავრობაც. ჯერ ის სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად ამიერკავკასიის ბონებით სარგებლობდა, შემდეგ საკუთარი ბონი შექმნა, სამომავლოდ სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შექმნაზე ფიქრობდა.

ეს ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ქვეყანაში დიდი რაოდენობით ქაღალდის ფული დაიბეჭდა, რასაც შესაბამისად უარყოფითი შედეგები მოჰყვა. მთავრობა ანუგეშებდა მოსახლეობას, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის ქაღალდის ფული იბეჭდებოდა, მაგრამ ეს ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლეოდა. ქვეყანა, რომელიც მიჯაჭვულია საბეჭდ მანქანასთან, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ალ. ასათიანის თქმის არ იყოს, მისი ეკონომიკური მდგომარეობა უნუგეშოა.

სახელმწიფომ იკისრა უაღრესად რთული მისია, როგორიცაა პურის მიწოდება ე.ი. მუშა-მოსამსახურეები აყვანილ იქნა სახელმწიფო პურის რაციონზე. ამასთან დაკავშირებით გრ. ლორთქიფანიძე ამბობდა „ბაზრის, კერძო ინიციატივის შემოქმედებისა და ენერგიის მაგივრობას ადვილად ვერ შეძლებდა უფულო და ახალგაზრდა რესპუბლიკის ნორჩი ბიუროკრატია. პურის საქმის ასეთი ნაწილობრივი ნაციონალიზაცია არ იყო და ვერც იქნებოდა დადებითი შედეგების მომტანი ვერც სახელმწიფო ფინანსებისთვის, ვერც ნაციონალური აღებ-მიცემისთვის, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის".

სახელმწიფომ შემოიღო ხელფასის ნატურალიზაციის მეთოდი ე.ი. შრომის ანაზღაურება ხდებოდა პურით, ნავთით, მარილით, შეშა-ნახშირით და ა.შ. მუშა-მოსამსახურის ხელფასი იმით განისაზღვრებოდა თუ ვის რამდენი სული ყავდა ოჯახში. ეს ე.წ. სოციალური უზრუნველყოფის მეთოდი ნაწილობრივ შეპარული ხელფასის სფეროში ძირს უთხრიდა კაპიტალისტური ეკონომიკის წესს, რომელიც დამყარებულია შრომის კვალიფიკაციის ნაყოფიერებისა და სხვა პრინციპზე, რაც მთავარია აკნინებდა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს.

მენშევიკური მთავრობა ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ქართველი ხალხის ნებით საქართველოს სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წამყვანი

ადგილი სოციალ-დემოკრატებმა დაიკავეს და ქვეყნის მართვის პოლიტიკური პასუხისმგებლობა მათ იკისრეს. ამან წაახალისა მმართველი პარტიის საქმიანობაში ზედმეტი პარტიულობისა და ნაკლები სახელმწიფოებრიობის პრაქტიკა. ეს ფაქტორი უცხოელებსაც არ დარჩენიათ შეუმჩნეველი. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: 1918 წლის აგვისტოში საქართველოში სტუმრად მყოფმა ავსტრია-უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ვ. ფრანკშტეინმა, მის მიერ საქართველოს მთავრობის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე სიტყვით გამოსვლისას გაიხსენა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II-ის მიერ 1914 წელს ქ. ბრემენში წარმოთქმული სიტყვა „მე – განუცხადებია იმპერატორს – არ ვცნობ პარტიებს, მე ვცნობ მხოლოდ გერმანელებს“. ანალოგიური სიტყვით მიმართა სტუმარმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს: „მე არ ვცნობ პარტიებს, მე ვცნობ მხოლოდ ქართველებს“. სტუმარმა დელიკატურად მიუნიშნა, თუ რა ზიანი მოაქვს ერისა და ქვეყნის ინტერესების იგნორირებას და მოუწოდა ქართველ პოლიტიკოსებს სახელმწიფოებრივი აზროვნებისაკენ.

მენშევიკურ მთავრობას ქვეყნის მართვის საკმარისი გამოცდილება არ ჰქონდა. ამას თვითონ მთავრობის წევრებიც არ უარყოფდნენ, მაგრამ ამ ფაქტს თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდნენ: რომ მსოფლიოში სოციალ-დემოკრატების სახელმწიფოს სათავეში ყოფნის პრეცედენტი არ ყოფილა, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა სახელმწიფო საქმიანობა სხვა ქვეყნების მაგალითზე აეგოთ და იძულებული იყვნენ თვითონ გაეკვლიათ საკუთარი გზა. ამ მოსაზრებას ნამდვილად გავიზიარებთ – მართალია არ ჰქონდა მენშევიკურ მთავრობას მოქმედების გამოკვეთილი გეზი. ეს იყო მისი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ნაკლი. ის ქანაობდა სოციალისტურსა და კაპიტალისტურ ეკონომიკას შორის. ზოგ შემთხვევაში, როგორც ამას თვითონ საკუთარი გუნდის წევრები ამბობდნენ უფრო მარცხნივ იხრებოდა.

ავიღოთ თუნდაც საგარეო ვაჭრობის დიდი ნაწილის მონოპოლიზაცია. სახალხო ობიექტების ნაციონალიზაციისა და ხელფასის ნატურალიზაციისაკენ ლტოლვა. ფულად სასაქონლო პრინციპებზე დამყარებული ვაჭრობის ნაცვლად სურსათის გაც-

ვლა-გამოცვლის პრინციპის წამოყენება. შრომისა და წარმოების საქმეში სოციალური უზრუნველყოფის ელემენტების გამოყენება ყველა ეს სოციალიზმის ელემენტებია. ჩვენ გამოცდილებასთან დაკავშირებით სხვა არგუმენტებიც გვაქვს: ქართული სოციალ-დემოკრატია თავიდან დამოუკიდებლობისათივს არ იბრძოდა და არც საამისო პროგრამა ჰქონდა შემუშავებული. გარეშე ფაქტორე-ბით ნაკარნახევი, მოულოდნელი დამოუკიდებლობის ვითარებაში მან ვერ შესძლო ქვეყნის ეკონომიკური სადავეების ხელში აღება. რის გამოც ფერხდებოდა სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება და ქვეყანა ასე ადვილი ლუკმა შეიქმნა დამპყრობლისთვის.

DJAMBUL ANCHABADZE

FROM THE HISTORY OF THE ECONOMIC POLITICS OF THE GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC (1918-1921)

The Georgian Democratic Republic was endowed by Soviet Russia with an utterly hard legacy – a ruined industry, a diminished agriculture, an emptied treasury, unemployment, famine, inflation, etc. The country was in a complete external isolation. In the context of chaos and disorganisation Germany was the first state which was ready to recognize the sovereignty of Georgia and established multilateral relations with it. The treaties concluded between the two countries in the summer of 1918 were of great significance in setting up the Georgian statehood and from the point of view of its further development.

But regretfully Germany was defeated in the I World War and the great prospects of our country's construction were lost too. The Mensheviks government made every attempt to set the country on its feet – to restore the industry and the agriculture, to settle the financial system, to break through the external isolation, etc. But all this was not sufficient enough to achieve the desired effects. The country came to be in a deep slump. To make the matters worse the government committed several grave mistakes not having a well-shaped program for the country's socio-economic development. It wavered between the capitalist and socialist economy, was not experienced enough in state government. The ruling party didn't care much about the industry of Georgia and neither had it any worked out program for it. While assuming the independence prompted by the external factors the Georgian government couldn't take control of the country's economy and as a result the country being unable to overcome the crisis became a tasty morsel for the conqueror.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი I. დემოკრატიული საქართველოს მთავრობის პირველი ღონისძიებები 11

თავი II. საქართველოს მრეწველობა 1918-1921 წლებში 18

თავი III საქართველოს სოფლის მეურნეობა 1918-1921 წლებში 49

თავი IV. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა 80
§ 1. სახელმწიფო ბიუჯეტი 89
§ 2. ფულის საკითხი 103
§ 3. სახელმწიფო ბანკი 115
§ 4. სოციალური პოლიტიკა 121

თავი V. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო -ეკონომიკური ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან 130
§ 1. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობები 130
§ 2. საეჯრო-ეკონომიკური კავშირები ინგლისთან 144
§ 3. საქართველო-იტალიის საეჯრო-ეკონომიკური ურთიერთობები 154
§ 4. საქართველო-საფრანგეთის საეჯრო-ეკონომიკური ურთიერთობები 173
§ 5. პირველი ნაბიჯები ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან საქმიანი კავშირების დასამყარებლად 189

დასკვნა 200

ჯამბულ ანჩაბაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან
(1918-1921)

JAMBUL ANCHABADZE

FROM THE HISTORY OF THE ECONOMIC POLITICS OF THE GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC
(1918-1921)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge